



---

გამომცემლობა „მერიდიანი“  
Publishers „Meridiani“

მართლმადიდებელი ეკონომისტისა და  
ბიზნესენის ბიბლიოთეკა

THE LIBRARY OF ORTHODOX ECONOMIST AND  
BUSINESSMAN

მღვდელი ბასილ ახვლედიანი,  
გიორგი შიხაშვილი, ნიკოლოზ ბაკაშვილი

Priest Basili Akhvlediani,  
Giorgi Shikhashvili, Nikoloz Bakashvili

**მართლმადიდებლური  
თეოლოგიური ეკონომიკისა  
და მართვის საფუძვლები**

**FOUNDATIONS OF ORTHODOX  
THEOLOGICAL ECONOMICS AND  
MANAGEMENT**

თბილისი 2009

Tbilisi 2009

მართლებადიდებელი ეკონომისტისა და  
ბიზნესების ბიბლიოთეპა  
მღვდელი ბასილ ახვლედანი,  
გიორგი შიხაშვილი, ნიკოლოზ ბაკაშვილი

**მართლმადიდებლური თეოლოგიური  
ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები**  
დაბეჭდია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს რეკომენდაციით

**მთ. რედაქტორი:** ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე)  
**რედაქტორი:** ევგენი ბარათაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის  
დეპარტამენტის უფროსი

**რეცენზენტები:**  
**დეკანზი ლვისო შალიკაშვილი,** თბილისის ქაშვეთის ტაძრის  
მღვდელმსახური

**რევაზ გოგოხია,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-  
წიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის პროფესორი

**ინეზა გაგნიძე,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-  
წიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის პროფესორი

**რევაზ ლორთქიფანიძე,** პროფესორი

რეცენზირებულია და წერადასულია გამოსცემაზე საქართველოს  
სამოცურავო უფროკადულურ მართლადიდებული ეკლესის გა-  
მომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ.

ფოთოსა და ხომის მოტივობილიტი



სამებრძო	სრ. №
16.06.09	309

© მღვდელი ბასილ ახვლედანი, გიორგი შიხაშვილი, ნიკოლოზ ბაკაშვილი.  
თბილისი, 2009.

ISBN 978-9941-10-120-5

მართლმადიდებლური სახურის-ეპარქიალობითი  
მოძღვრება გვასწავლის:

„თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3, 10);

„ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ (ლუკ. 10, 7);


„ჩვენი ბელლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი  
ათასობიწენ, ათიათასობიწენ ჩვენს საძოვრებზე“ (ფსალმ. 143, 13);

„მოპმადლე ნაყოფიერებაი მიწასა ჩვენსა; მასაზრდოებელო ჩვენო  
და ჩვენთა პურთა და ყანათათვის ბარაქის მომცემელო“ (ღვთისმშობლის  
„ბარაქის“ ხატის დაუკავშირებლი, კონდაკი 1);

„ეკონომოსი უნდა ჰყავდეს ყველა ეპისკოპოსს, მონასტერს და  
ეპლესიას“ (დიდი სკულის კანონი: VI 26; VII 11);

„სიმართლით შეძნილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე  
არ უნდა დაგამციროთ“ (დიდი სკულის კანონი: ღანგრ. 21);

„საზოგადოებრივი კეთილდღეობა სულიერი და ხორციელი  
საზრდოს ერთიანობით არის განპირობებული“ (წმ. ილია მართალი).



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II  
მეცხოველეობის ფერმაში

## საქართველოს ხათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვერდოვანი:

„კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც“.

„შრომა და განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრევლში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია“.

„საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა“.

„ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებითა და დიდი შრომით უნდა გადავწყვიტოთ, საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან, ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს“.

„აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა“.

„საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტიაა“.

„შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, ავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახობავს“ (და. 1,27-28).

„გავა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის ფამამდე“ (ფსალმ. 103, 23).

„ჩვენში უამრავი მდინარეა. რამდენი თევზის საშენი შეიძლება გაკეთდეს აქ?“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).



საკალმახე მეურნეობა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში, სოფელი სნო.

## შინაგანსი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიელობის ფერმაში (ფოტო) .....	5
საქალმახე მეურნეობა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში, სოფელი სნო (ფოტო).....	7
შინაარსი .....	8
Contents .....	11
რეზიუმე.....	14
Summary.....	18
<b>თავი I. მართლგადიდებლური თეოლოგიური ეპონომიკისა და მართვის საფუძლები.....</b>	<b>21</b>
1.1. ეპონომიკური თეორიის მართლგადიდებლური გააზრება .....	21
1.1.1. ბიბლია, ეკონომიკა, მეცნიერება .....	21
1.1.2. ეკონომიკური თეორია და მართლმადიდებლობა .....	30
1.1.3. მართლმადიდებელი წმინდანები და ღვთისმეტყველები ეკონომიკისა და მართვის შესახებ .....	53
1.1.4. ქართველი წმინდანები (წმ. მეფე დავით აღმაშენებელი, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი, წმ. ილია მართალი) ეკონომიკისა და მართვის შესახებ.....	62
1.1.5. სამედიცინო საქმიანობის მართლმადიდებლური გააზრება.....	78
1.1.6. საფინანსო-საგადასახადო საქმიანობის მართლმადიდებლური გააზრება .....	86
1.1.7. თეოლოგიური ეკონომიკა – სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა .....	92
1.2. პორნოეროტიკული პიზენსი და მასმედია ერთსტიანული ზორბის თვალსაზრისით .....	99
<b>თავი II. სამეცნიერო-მართლგადიდებითი საქმიანობის სა და სასოფლო-სამეცნიერო ტარმოვანის თეოლოგიური საფუძლები.....</b>	<b>108</b>

2.1. სამეცნიერო-მართლგადიდი თმათიკა და სრულის მეურნეობა პიბლიაზი .....	108
2.2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სრულიაღურ-ეპონომიკურ-ეპოლოგიური და სასოფლო-სამეცნიერო საკითხების შესახებ.....	137
<b>თავი III. სამკლასიო ეპონომიკის განვითარება- გზის თეოლოგიურ-ტრგანიზაციული უსაბეჭდებლობები საქართველოში.....</b>	<b>153</b>
3.1. ეპლესიის აღგიღი და ორლი საზოგადოებაში: თეოლოგიური გააზრება .....	153
3.2. ფუძემდებლური ორგანიზაციულ-სამართლებ- რივი ღობუმენტები საეპლესიო ეპონომიკისა და მართვის სფეროში .....	183
3.2.1. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადი- დებელ ეკლესიას შორის .....	183
3.2.2. სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა დიდი სჯულის კანონის მიხედვით .....	191
3.2.3 გრიგოლ ბაჟერინისძის პეტრიწონის მონასტრის წესდება.....	199
3.2.4. შიომღვიმის მონასტერი და დავით აღმაშენებლის ანდერძი.....	203
3.2.5. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება.....	207
<b>თავი IV. სამკლასიო ეპონომიკის განვითარების კერსამეტივები საქართველოში.....</b>	<b>213</b>
4.1. განათლებისა და მაცნეობების ორგანიზაცია საეპლესიო ეპონომიკის სფეროში .....	213
4.2. საეპლესიო ეპონომიკის განვითარების კერსამეტივები საქართველოსა და ცალკეულ ეპარქიებში .....	228
4.2.1. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანის ტყე-პარკის სულიერი და სამეურნეო განვითარება.....	228

4.2.2. მეაბრუშუმეობის განვითარების პერსპექტივები .....	234
4.2.3. ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები სტეფანწმინდისა და ხევის გარეუაში.....	240
4.2.4. ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები ბოლნისის ეპარქიაში.....	248
4.2.5. ბოლნისის ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობა .....	253
4.2.6. საქართველოში საეკლესიო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობი საქველმოქმედო ფონდი „ივერია“.....	256
4.2.7. საპროექტო წინადადება – „აგროეკოლოგიური ტურიზმი“ .....	264
4.2.8. საპროექტო წინადადება – „ქართული ქრისტიანული თემის დაარსება წუღლულაშენის მონასტერთან (ებრაული კიბუცის ქართული ვარიანტი)“.....	278
<b>თავი V. სამართლო ეკონომიკისა და სამრო ბიზნესის თეოლოგიურ-სინერგიული განვითარების საფუძვლები .....</b>	<b>285</b>
5.1. საქართველოს ეკლესიის სამართლეო საქმიანობის აღორძინება-განვითარების მიზანთაღი მიმართულებები .....	285
5.2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში .....	300
5.3. მართლგადიდებადან თეოლოგიური ეკონომიკის უმთავრესი პრიციპები, კარადიგმები და კონცეპციები .....	305
ლიტერატურა და წყაროები .....	322
აგტორთა შესახებ .....	346
მღვდელი ბასილ აზვლედინი .....	346
გიორგი შიხაშვილი.....	352
ნიკოლოზ ბაგაშვილი.....	359
ლმერთმა დალოცოს თანამდგომი ადამიანები! .....	365

## CONTENTS

<b>Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II in a lifestock farm (photo) .....</b>	<b>5</b>
<b>Trout farm in Stepantsminda and Khevi Eparchy, village Sno (photo) .....</b>	<b>7</b>
<b>Contents .....</b>	<b>11</b>
<b>Summary .....</b>	<b>18</b>
<b>CHAPTER I. FOUNDATIONS OF ORTHODOX THEOLOGICAL ECONOMICS AND MANAGEMENT ....</b>	<b>21</b>
<b>1.1. Orthodox consideration of economic theory .....</b>	<b>21</b>
1.1.1. Bible, economy, science .....	21
1.1.2. Economic theory and orthodoxy .....	30
1.1.3. Orthodox Saints and theologians about economy and management .....	53
1.1.4. Georgian Saints about economy and management .....	62
1.1.5. Orthodox consideration of medical activity .....	78
1.1.6. Orthodox consideration of financial-taxation activity .....	86
1.1.7. Theological economics – scientific-practical and study discipline.....	92
<b>1.2. Porno-erotic business and mass media from Christian moral point of view .....</b>	<b>99</b>
<b>CHAPTER II. ECONOMIC-MANAGERIAL ACTIVITY AND AGRICULTURAL PRODUCTION THEOLOGICAL BASES .....</b>	<b>108</b>
<b>2.1. Economic-managerial thematic and agricultural economy in the Bible .....</b>	<b>108</b>
<b>2.2. Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II about social- economic-ecological and agricultural issues .....</b>	<b>137</b>
<b>CHAPTER III. ECCLESIASTIC ECONOMY DEVELOPMENT THEOLOGICAL-ORGANIZATIONAL CAPABILITIES IN GEORGIA .....</b>	<b>153</b>

<b>3.1. Church place and role in the society: Theological perception</b> ...	<b>153</b>
<b>3.2. Foundational organizational-legal documents in ecclesiastic economy and management field</b> .....	<b>183</b>
3.2.1. Constitutional Agreement between Georgian State and Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church .....	183
3.2.2. Economic-managerial thematic in accordance with the great religion law .....	191
3.2.3. Discipline of Grigol Bakurianisdze Petritsoni Monastery .....	199
3.2.4. Shiomgvime Monastery and the will of David Agmashebeli (Builder) .....	203
3.2.5. Regulations of Georgia's Autocephalous Orthodox Church management-administration .....	207
<b>CHAPTER IV. ECCLESIASTIC ECONOMY DEVELOPMENT PERSPECTIVE IN GEORGIA</b> .....	<b>213</b>
<b>4.1. Education and science organization in ecclesiastic economy field</b> .....	<b>213</b>
<b>4.2. Ecclesiastic development perspectives in Georgia and in separate Eparchies</b> .....	<b>228</b>
4.2.1. Spiritual and economic development of Krtsanisi recreational forest of Georgia's patriarchy .....	228
4.2.2. Silkworm breeding development perspectives .....	234
4.2.3. Economy development perspectives in Stepantsminda and Khevi Eparchy .....	240
4.2.4. Economy development capabilities in Bolnisi Eparchy .....	248
4.2.5. Bolnisi Eparchy youth center activity .....	253
4.2.6. Georgia's ecclesiastic economy development facilitation charity foundation "Iveria" .....	256
4.2.7. Project proposal - "Agriecological tourism" .....	264
4.2.8. Project proposal - "Christian community foundation at Tsugrugasheni Monastery (Georgian version of Jewish Kibbutz)" ..	278

<b>CHAPTER V. ECCLESIASTIC ECONOMY AND TEMPORAL BUSINESS THEOLOGICAL-SYNERGIC DEVELOPMENT BASIS</b> .....	<b>285</b>
<b>5.1. Main directions of Georgian church economy activity restoration-strengthening</b> .....	<b>285</b>
<b>5.2. Small and medium business development in Georgia</b> .....	<b>300</b>
<b>5.3. Main principles, paradigms and concepts of orthodox theological economics</b> .....	<b>305</b>
<b>Literature and sources</b> .....	<b>322</b>
<b>About authors</b> .....	<b>346</b>
Priest Basili Akhvlediani .....	346
Giorgi Shikhashvili .....	352
Nikoloz Bakashvili .....	359
<b>God bless the helpmates!</b> .....	<b>365</b>

## რეზიუმე

ბიბლიის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება უფლისმიერად დაგენილ-მოწოდებულია თეორიულ-მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად უზრუნველყოს საზოგადოების დემოგრაფიური, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

წმინდა წერილის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრებისა და მის-გან გამომდინარე თეოლოგიური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ბიბლიური პარადიგმების, კონცეფციებისა და პრინციპების სისტემა.

ბიბლიის მიხედვით მთელი სამყაროს, დედამიწის, გლობალური და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, ყოველი ცალკეული სახელმწიფოს, ორგანიზაციის, საწარმოს, ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის შემოქმედი, უზნაესი განმგებელი და მმართველი არის უფალი ღმერთი.

სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის უფლისათვის სათნოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზეციური ნეტარების მოპოვებას.

წინამდებარე ნაშრომის შესრულებას საფუძვლად დაედო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევა.

მონოგრაფიაში მართლმადიდებლური სარწმუნოების საფუძველზე მიმდინარეობს შეჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეკონომიკური თეორიის მართლმადიდებლური გააზრება; ადამიანის დანიშნულება და ცხოვრების მიზანი; საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანი; ეკონომიკური, მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო თემატიკა წმინდა წერილში; მართლმადიდებელი წმინდანები და ღვთისმეტყველები ეკონომიკისა და მართვის შესახებ; თეოლოგიური ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისკიპლინა; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ; ეკლესიის ადგილი და როლი საზოგადოებაში; ორგანიზაციულ-სამართლებრივი დოკუმენტები საეკლესიო ეკონომიკისა და მართვის სფეროში; განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაცია

საეკლესიო ეკონომიკის სფეროში; საქართველოს ეკლესიის სამეურნეო საქმიანობის აღორძინება-განმტკიცების ძირითადი მიმართულებები; ქრისტიანული პრინციპების ასახვის აუცილებლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციაში; საეკლესიო ეკონომიკისა და საერო ბიზნესის თეოლოგიურ-სინერგიული განვითარების საფუძვლები და სხვ.

ყოველი ქრისტიანის მიწიერი ცხოვრების უმაღლესი მიზანია საკუთარი ცხოველებების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება, რაც მისი სულის ნეტარებას უზრუნველყოფს.

მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის მექვეყნიურ მოთხოვნილებათა და კმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა წარმოადგენს ღვთივადებების იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

საქართველოს ჰემიარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ქრისტიანული ეკინომიკური აზროვნებისაკენ შემოძრულება. საჭიროა ეკინომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი, მართლმადიდებლური ზნეობით დასაშვები ფორმების, მიმართულებებისა და მასშტაბების განსაზღვრა, ამ სფეროში ცოდვა-დანაშაულთა აღკვეთის გზების დაგენა და ამთ ადამიანთა და ერის სულიერი გადარჩენის პერსექტივების გააზრება.

თეოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ქრისტიანული საზოგადოებრივი წარმოების პროცესში სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტექნიკა-ტექნოლოგიის მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი, რომელიც მოეშვასაზრება სულის ნეტარების უზრუნველმყოფი ზნეობრივი კანონის განხორციელებას.

თეოლოგიური ეკონომიკა ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ზათოათის სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისკიპლინაა. იგი იყვლევს სამეურნეო-მმართველობით პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნისა და გამოყენების

სინერგიულ გზებს დაფინანსდებილ იქ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანისა და ერის საუკუნო წეტარებას უზრუნველყოფს.

თეოლოგიური ეკონომიკა არის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის დაფინანსდებილი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოსა და კაცობრიობის დაფინანსულიერ პარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – ფასულობათა (მათ შორის – ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (დაფინანსდებილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთები გამოყენება.

რელიგიურ-საღვთისმეტყველო და სამეცნიერო-პრაქტიკული თვალ-საზრისით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II შემოქმედება და პირადი მოღვაწეობა წარმოგვიდგება როგორც საქართველოს ეკლესიის სოციალური დოქტრინისა და ქართული სახელმწიფოს დაფინანსულიერი, პარმონიული სოციალურ-ეკონომიკური (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების) განვითარების ეროვნული კონცეფციისა და რეალური პრაქტიკული საქმიანობის საფუძველი.

ეკლესია წარმოადგენს ღმერთის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას. ეკლესიის მისია მდგომარეობს იმაში, რომ ღმერთთან სინერგიული თანამშრომლობით უზრუნველყოს კაცობრიობისათვის მარადიული სიცოცხლე ზეციურ სასუფეველში.

დიდი სჯულის კანონი და მასში ასახული სამეურნეო-მმართველობითი სწავლება საეკლესიო და საერთო ხელისუფალთა მისწრაფებების პარმონიული ურთიერთშესამების ისტორიულ საფუძველსა და ნიმუშს წარმოადგენს, რისი აღორძინებაც აუცილებელია თანამედროვე პირობებში, რათა საქართველომ აღიდგინოს დავითისა და თამარის დროინდელი დიდება და კეთილდღეობა.

სასოფლო-სამეურნეო რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენებასა და სასურსათო უშიშროების პრიბლების მოგვარებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია, ზოგადად, საეკლესიო ეკონომიკისა და, კერძოდ, საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

მთლიანობაში, თავისი მატერიალურ-ფინანსური ბაზის გაძლიერების მეშვეობით, საქართველოს ეკლესია სრულად დაიკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფს მრევლს სამუშაოთი და შემოსავლებით. ამასთან, შეიტანს დიდ წელილს საქართველოში მცირე, საშუალო და აგრარული ბიზნესის განვითარებაში.

ჩვენი ეკლესია იბრუნებს ტრადიციულად ძლიერ პოზიციებს როგორც სასულიერო მოღვაწეობის, ასევე საერთო, სამეურნეო საქმიანობის სფეროში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მთელი ქვეყნის დაფინანსულიერ, სინერგიულ განვითარებას.

საქართველოს სულიერ-მატერიალური სინერგიისა და პარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ქრისტიანული აზროვნებისაკენ შემობრუნება, ეკონომიკაში ქრისტიანული საფუძვლებისა და პრინციპების აღორძინება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენა, ერის მატერიალური და სულიერი პროგრესისათვის საჭირო თანამედროვე მაღალეფებისათვის დარგების განვითარება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციას საფუძვლად უნდა დაედოს თეოლოგიური სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა კომპეტენტური და დაინტერესებული მხარის მიერ, რათა სათადო მუშაობა გაიშალოს დასახული მიზნების მიღწევისათვის.

ნაშრომი განვითვნილია სასულიერო პირების, საეკლესიო ეკონომოსების, თეოლოგების, მეცნიერების, პროფესორების, ეკონომისტების, ბიზნესმენების, მენეჯერების, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის, მოუხდავად პროფესიისა და სოციალური მდგომარეობისა.

## SUMMARY

**Bible economic-managerial doctrine is established and vocationed by the Lord to ensure the society god spiritual, synergic social-economic development practically and theoretical-methodologically.**

**Bible paradigms, conceptions and principles represent the Holy Scripture economic-managerial doctrine and consequenced there from theological economic theoretical-methodological foundation.**

In accordance with the Bible the creator, supervisor and manager of all the activities of the whole universe, earth, global and regional social-economic processes, every separate state, organization, entity and human is the God.

Economic-managerial activity implementation virtuously for the God shall ensure our earthly joy and shall considerably condition heavenly beatitude obtaining.

**The Work is Performed by Blessing of Ilia II, Catholicos-Patriarch of Georgia.**

**Based on the orthodox faith the discussion with respect to the following issues are conducted in this work:** economical theory orthodox comprehension; human's designation and goal of life; social production final task; economical, managerial and agricultural thematic in the Holy Scripture; Orthodox Saints and theologians opinions about economy and management; theological economics, as scientific-practical and study discipline; Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II about social-economic-ecological and agricultural issues; church place and role in the society; organizational-legal documents in the field of church economy and management; education and science organization in the church economy field; Georgian Church economic activity restoration-strengthening main trends; Christian principles reflection necessity in social-economic development conception of Georgia; ecclesiastic economy and temporal business theological-synergic development basis, etc.

The supreme goal of each Christian earthly living is moral law realization in his/her own vital activity process that shall ensure his /her spiritual beatitude.

**In accordance with the Christian faith economic activity final goal is the production of material and immaterial wealth necessary for a human's world requirements satisfaction based on the moral foundation designated by the Lord, that through constant spiritual perfection shall ensure a human's entering the heavens.**

Returning to the Christian economic thinking is necessary for Georgia's real progress. It is necessary to define forms, directions and scales allowed by orthodox moral required for economy functioning, sin-crime suppression ways designation in this field and by doing so humans and nation spiritual surviving perspectives perception.

Such material and immaterial wealth shall be created in the process of Christian public production based on theological foundations through social-economic relations and techniques-technology that shall serve spiritual beatitude ensuring moral laws realization.

**Theological economics is science-practical and study discipline of theological-economical character. It researches synergic ways of creation and application of material and immaterial wealth necessary for human's and society material and spiritual requirements satisfaction in the economic-managerial processes, based on such moral foundation designated by the Lord, that shall ensure human's and nation's beatitude forever.**

**Theological economics is economic-managerial activity God-designated theoretical-methodological basis the practical realization of which shall ensure every human's, society, nation, state and humanity God-spiritual harmonic social-economic development.**

**The main principle of Christian economics is – honest (with God-designated moral) obtaining of values (including money, property, wealth) and their application for kindness.**

**From religious-theological and scientific-practical point of view, creation and personal activity of Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II are presented before us as the basis for social doctrine of Georgian Church and national conception of Georgian state God-spiritual, harmonic social-economic (including agricultural production) development and real practical activity.**

Church represents the organization established by the Lord. The

mission of the Church is to ensure humanity eternal life in heaven through synergic cooperation with the Lord.

Great religion law and reflected therein economic-managerial studies represent historical basis and sample of harmonic combination of ecclesiastic and temporal rulers' aspirations, the restoration of which is necessary in the current conditions, so that Georgia may restore the fame and prosperity of David's and Tamar's times.

Ecclesiastic and particularly church agricultural production development may generally greatly contribute to agricultural resource potential efficient application and food safety problems settlement.

In general, Georgian church through its material-financial base empowering shall completely satisfy its requirements and shall provide the parish with the employment and incomes. Besides it shall greatly contribute to the development of small, medium and agricultural business in Georgia.

Our Church repossesses traditionally powerful positions in ecclesiastic activity as well as in temporal, economic activity field that finally shall facilitate the entire country's spiritual, synergic development.

For Georgia's spiritual-material synergy and harmonic social-economic development it is necessary to return to Christian thinking, to restore Christian basics and principles in economy, to restore agricultural production, to develop contemporary highly efficient trends necessary for nation material and spiritual progress.

Georgia's economic development national conception shall be based on theological economic-managerial doctrine that shall be necessarily considered by all competent and interested stakeholders in order to perform respective activities for designated goals achievement.

**This work is designated for theologians, ecclesiastics, economists, businessmen, managers, students and all the interested persons, notwithstanding the profession and social status.**

## თავი I. მართლებადიდებლური თეოლოგიური ეპონომიკისა და მართვის საფუძვლები

### 1.1. ეპონომიკური თეორიის მართლდიდებლური გააზრება

#### 1.1.1. ბიბლია, ეკონომიკა, მეცნიერება

ბიბლიის სამეცნიერო-ეკონომიკური მოძღვრება გვასწავლის:<sup>1</sup>

1. „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავ. 2, 6);
2. „სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ. 7, 12);
3. „იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“ (იოან. 6, 27);
4. „ოუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3, 10);
5. „ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა“ (1 ტიბ. 6, 10).

ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა საგან-ძურში ზეაღმატებული აღვილი უკავა ბიბლიას, რომელშიც ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის (მათ შორის,

1 ბიბლიური ტექსტები და ციტატები (მრგვალ ფრჩხილებში — წიგნების, თვეებისა და მუხლების მითითებით) წინამდებარე ნაშრომში მოტანილია წიგნებიდან: 1) ბიბლია. საქართველოს საკატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989; 2) ახალი აღთქმა. დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ძველი ბერძნულიდან თარგმნა პ. ბრუჯგაბერ. მთ. რედ. ლ. ნადარე-იშვილი. თბ., 2004; 3) ბიბლია. მცხოური ხელნაწერი. ტექსტი გამოსაცემად მოაშადა და გამოკვლევა დაურთო ე. ლოჩანაშვილმა. რედ. ზ. სარჯველაძე. ტ. 1-5, თბ., „მეცნიერება“, 1981, 1982, 1983, 1985, 1986; 4) ახალი აღთქმა. დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. შემდგენელ-გამომცემელი მღვდელი გიორგი სამსონიძე. თბ., 2003.

ეკონომიკის) საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, საზოგადოებრივი განვითარების, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობისა და ყოველი ინდივიდის არსებობის ზოგადი კონცეპტუალური საფუძველი და პრაქტიკული მოქმედების მეთოდოლოგია.

წმ. ოარე ოქროპირი ბიბლიის შესახებ ამბობს: „საღმრთო წერილის სულ მოკლე გამონათქვამებშიც კი შეგვიძლია უდიდესი ძალა მოვიძიოთ და აზრთა გამოუთქმელი სიმდიდრეც“?<sup>2</sup>

წმინდა წერილის სიბრძნე „ხსნის ჩვენი სულის უფაქიზეს შრებს, თვალნათლივ გვიჩვენებს შედეგს ცოდვისა და ბოროტებისა, შედეგს სიყვარულისა და სიკეთისა, გვიჩვენებს მარადიულ და წარმავალ ღირებულებებს, – განვიძმარტავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მოგვიწოდებს ყველას: „თქვენი ყოველდღიური თანამგზავრი უნდა გახდეს წიგნი და მათ შორის უპირველესი წიგნი – ბიბლია“.<sup>3</sup>

ბიბლიის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება უფლისმიერად დაგენილ-მოწოდებულია – თეორიულ-მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად უზრუნველყოს საზოგადოების დამაკიურებელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

წმინდა წერილის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრებისა და მისგან გამომდინარე თეოლოგიური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სისტემა ბიბლიური პარადიგმების, კონცეფციებისა და პრინციპებისა, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. „ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1,1);
2. „უფლისა არის ქვენიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი“ (ფს. 23,1-2);
3. „შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად.

<sup>2</sup> ციტირებულია წიგნიდან: დათიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია. ეკლესიის მამათა გამონათქვამები. შემდგენელი გ. კალანდაძე. თბ., 2007, გვ. 79-80.

<sup>3</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შინაშვილი. თბ., „გეოგრაფია“, 2004, გვ. 13.

სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება“ (1 ნეშტ. 29,11-12);

4. „გახარებთ, რათა ...ცრუ ღვთაებებიდან ცოცხალი ღმერთის მიმართ მიიქცეთ, რომელმაც შექმნა ცა, მიწა, ზღვა და ყოველივე ის, რაც მათშია, და რომელმაც გარდასულ თაობებში ნება უბოძა ყველა ხალხს, თავიანთი გზით ევლოთ“ (საქმე 14, 15-16);
5. ღმერთი, სამყაროსა და ყოველივე სამყაროულის შემოქმედი, ცისა და მიწის უფალი, ხელთქმნილ ტაძრებში როდი მკვიდრობს. და არ მოითხოვს მსახურებას კაცთა ხელით, თითქოს რაიმე სჭირდებოდეს, არამედ ყველას თვითონ ანიჭებს სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს. ერთი სისხლისაგან შექმნა მან კაცთა მთელი მოდგმა, რათა დამკვიდრებულიყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე, და დააწესა მათი დამკვიდრების ჟამნი და ზღვარნი. რათა ეძიათ ღმერთი, იქნებ როგორმე შევიგრძონოთ ან მივაკვლიოთო, თუმცა შორს როდია თვითული ჩვენგანისაგნ. ვინაიდან მასში ვცოცხლობთ, ვიძგრით და ვარსებობთ“ (საქმე 17, 24-28);
6. „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავ. 2, 6);
7. „სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ. 7, 12);
8. „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შროსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი დავთის წყალობაა“ (ეკლ. 5, 18);
9. „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეულობას ადამიანის სამსახურებლად, რათა გამოიღოს პური მიწისაგან“ (ფსალმ. 103, 14);
10. „გავა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის ჟამამდე“ (ფსალმ. 103, 23);
11. „ჩვენი ბელლები საგსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარ-

- ნი ჩვენი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე“ (ფსალმ. 143, 13);
12. „ბედნიერია ის კაცი, ვინც პპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი – ხალას ოქროს“ (იგუ. 3, 13, 14);
  13. „გამაგრდი, მთელო ქვეყნის ერო! ამბობს უფალი, და იშრო-მეთ, რადგან თქვენთანა ვარ, ამბობს ცაბაოთ უფალი. ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო, ამბობს ცაბაოთ უფალი“ (ანგ. 2,4,8);
  14. „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათ. 22,21);
  15. ეს ხელები შველოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსასაც ვინც იყენენ ჩემთან. ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სნეულთ, და გახსოვდეთ უფლის იესოს სიტყვები, რადგანაც თავად თქვა: უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე 20, 34-35);
  16. „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3,10);
  17. „ლირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ (ლუკ. 10,7);
  18. „იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“ (იოან. 6,27);
  19. „ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე ვერაფერი დამიმონებს. საჭმელი მუცლისათვის და მუცელი საჭმლისათვის, მაგრამ ღმერთი ერთსაც შემუსრავს და მეორესაც. სხეული კი არა სიძვისათვის, არამედ უფლისათვის, ხოლო უფალი – სხეულისათვის“ (1 კორ. 6, 12-13);
  20. „ყველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა“ (1 ტიმ. 6,10);
  21. „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ზიზნები ხართ ჩემთან“ (ლევ. 25,23);
  22. „არც ერთ მღვდელს და ლევიანს, არც მგალობელს და შეწირულ კარისკაცს ამ ღვთის სახლში მოშახურეს, არ დაეკისროს არც ხარკი, არც გადასახადი და არც ბეგარა“ (1 ეზრ. 7,24);
  23. „როცა ისრაელიანთაგან აიღებო მეათედს, რომელიც თქვენთვის მაქვს მათგან მოცემული თქვენს სამკვიდროდ, უფალს გადაუხა-დეთ მისგან დალა – მეათედი მეათედიდან; ...მისგან გადაუხდით საუფლო ღალას აარონ მღვდელს“ (რიცხ. 18,26,28);
  24. „ნუ დაჩაგრავ მოჯამაგირეს და დარიბ-დატაპს, შენი მოძმე იქნება ის თუ შენს ქვეყანაში, შენს კარზე მცხოვრები მდგ-მური. თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან დარიბია იგი და შენი იმედი აქვს; არ გიჩივლოს უფალთან და ცოდვა არ დაგედოს“ (რჯლ. 24,14,15);
  25. „დარიბს ნუ წაართმევ, რადგან დარიბია იგი; ბეჩავს კარ-იბჭესთან ნუ დაჩაგრავ; რადგან უფალი გამოესარჩდება მათ და მის მმარცველთა სულს გასძარცვავს“ (იგავ. 22,22-23);
  26. „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან“ (მათ. 5,7);
  27. „უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე. 20,35);
  28. „მძლეველს სვეტად აღვმართავ ჩემი ღვთის ტაძარში, და აღარ გავა გარეთ; და დავაწერ მას სახელს ჩემი ღვთისას, სახელს ჩემი ღვთის ქალაქის – ახალი იერუსალიმისას, ზეცით რომ ჩამოდის ჩემი ღვთისაგან, და ჩემს ახალ სახელს“ (გამოცხ. 3, 12).
- ეს ბიბლიური სიბრძნე ნათლად გვიჩვენებს, რომ ადამიანის ცხოველებების პროცესში გამორჩეული ადგილი სამურნეო-მმართველობით საქმიანობას უკავა, იგი საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.
- ბიბლიური სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრების მიხედვით, კაცობრიობა და საარსებო გარემო, ეკონომიკური პოტენციალის ჩათვლით,

ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა პროცესი, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, საღვთო ნების, განმგებლობის, ზრუნვის, განჩინებებისა და დაშვების საფუძველზე მიმდინარეობს.

ბიბლიის სოციალურ-ეკონომიკური თემატიკა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საფუძვლები ასახულია მიმდინარე ამბებსა და მოვლენებში, ღმერთის ქმედებებსა და სასწაულებში, იესო ქრისტეს ქადაგებებში, საუბრებსა და იგავებში.

ბიბლიის მიხედვით მთელი სამყაროს, დედამიწის, გლობალური და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, ყოველი ცალკეული სახელმწიფოს, ორგანიზაციის, საწარმოს, ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის შემოქმედი, განმგებელი და მმართველი არის უფალი ღმერთი.

ბიბლიაში გადმოცემულია ღვთაებრივი მმართველობის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც უმთავრესი თეოლოგიური სამეურნეო-მმართველობითი პრინციპი არის ის, რომ ეკონომიკურ პროცესებს (გლობალურ, რეგიონულ, მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეებზე) მართავს უზენაესი განმგებელი, უფალი-ყოვლისმპურობელი.

რუსი მეცნიერ-ეკონომისტი ვ. კანდალინცევი წერს, რომ ღმერთი სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს მართავს ისეთი მეთოდებით, როგორიცაა:<sup>4</sup>

- ბიბლიური კანონი, ანუ ადამიანების ნებისმიერი საქმიანობის, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობით ქმედებათა ღვთივგამოცხადებული წესების სავალდებულო კრებული;
- ღოფა-კურთხევა – ღმერთის მიერ ადამიანისთვის ბოძებული განსაკუთრებული უნარი და შესაძლებლობები, რაც აუცილებელია სამეურნეო-მმართველობითი მიზნების მისაღწევად;
- დახმარება – შეგონების, სწავლების, ხელმძღვანელობის მეშვეობით;

<sup>4</sup> Кандалинцев В. Политическая экономия Библии. М., «Инком Полиграф», 1999, с.7.

- იმპერატიული ზემოქმედება – ადამიანში მიზნის მიღწევისა და სათანადო ქმედებისადმი მისწრაფების წარმოქმნის სახით;
- შეკავება – შიდა და გარე რესურსების მოკლება-ჩამორთმევის საფუძველზე.

**ბიბლიაში სიღრმისეულად არის ასახული მრავალფეროვანი სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა, სახელმობრ:** ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების გზები, წარმოებისა და მართვის აუცილებლობა, საკუთრება, შრომა, ეკონომიკის ცალკეული დარგები (მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განათლება და სხვ.), მოგება, გადასახადები, ფული და სარგებელი, სიმძიდირე, მართვა, დაგეგმვა, აღრიცხვა, ეფექტიანობა, ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ოჯახში, ეკონომიკა და ეკლესია, წარმოება და ბუნებრივი გარემო, ეკონომიკა და ომები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა.

**აღნიშნული თემატიკა გადმოცემულია სამცნიერო კვლევისათვის მიღებული და აუცილებელი ისეთი ფორმებით, როგორიცაა:**

- დოგმატურ-საღვთისმეტყველო დებულებები და საღმრთო განჩინებები;
- საღვთო და საერთო აზროვნება-მოქმედებათა სინერგია;
- ზოგადიურიდიული და სამეურნეო სამართლის ნორმები;
- მეცნიერული კვლევა და მსჯელობა;
- სოციალურ-ეკონომიკური აზრისა და სამეურნეო ცხოვრების ისტორია;
- ცალკეული მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მოვლენები;
- სამეურნეო-პრაქტიკული და მმართველობითი საქმიანობის მეთოდები.

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვასწავლის: „მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის**

შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“.<sup>5</sup>

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს ბიბლიის უზენაეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ ღირებულებას და მისი მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობა-აუცილებლობას სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო პროფილის მკვლევართათვის.

ბიბლიის გავლენით საუკუნების მანძილზე ყალიბდებოდა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის საფუძვლები – ეკონომიკა, სამართალი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, დემოკრატიული იდეალები, ადამიანის უფლებათა კონცეფციები. ევროპის უდიდესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოღვაწეების საქმიანობა ბიბლიური იდეებით იყო განმსჭვალულ-შთაგონებული.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის ეპოქამ თითქოს ჩრდილში მოაქცია რწმენა, ბიბლი და მისი იდეალები, მაგრამ ცივილიზებული მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეწარმეები და სახელმწიფო მოღვაწეები თვალისაზრის გვიჩვენებენ ასეთი გარემოების მოჩვენებითობასა და მცდარობას. მოვიხმოთ ზოგიერთი მათგანის გამონათქვამები ამის შესახებ.

ალბერტ აინშტაინი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „რაც უფრო მეტ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერება ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მეტად მივდივართ დასკვნებამდე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით“.<sup>6</sup>

მაქს ბორნი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „მეცნიერება სწავლულს ბევრ მორალურ და ეთიკურ მოთხოვნას უყენებს. თუ მეცნიერს სწამს ღმერთი, ეს მას უადვილებს პრობლემას. მეცნიერს უნდა ჰქონდეს დიდი მოთმინება და მორჩილება, ამ თვისებებს კი მას რელიგია აძლევს“.<sup>7</sup>

ალფ ბიერკე, ნობელის ბიერკეს საღებავების კორპორაციის პრე-

ზიდენტი: „თანამედროვე მეცნიერებამ ვერ მოკლა ბიბლიის ფუნდამენტური ჭეშმარიტებები. მე მწამს ღმერთი, იესო ქრისტე, მე მწამს ბიბლია“.<sup>8</sup>

კორჯ გაშინგტონი, ამერიკის 1-ლი პრეზიდენტი: „შეუძლებელია მართო ქვეყნა და მსოფლიო ღმერთის და ბიბლიის გარეშე“.<sup>9</sup> ამ აზრს ავითარებს უილიამ მაკ-კინლი, ამერიკის 25-ე პრეზიდენტი: „ჩვენ ვალდებული ვართ შევისწავლოთ ბიბლია, ოღონდ არ უნდა შემოვიფარგლოთ ამით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი ცხოვრებაში“.<sup>10</sup> ხოლო თეოდორ რუზველტი ამბობდა: „თითქმის ყველა ადამიანი, რომელთა საქმიანობას შედევი მოჰქონდა, თავის ცხოვრებისეულ გზას ბიბლიურ სწავლებაზე ამყარებდა“.<sup>11</sup>

როგორი საზომებითაც არ უნდა მივუდგეთ ბიბლიას, იგი სრულიად უნიკალური წიგნია. ბიბლიური თხორბა იწყება სამყაროს შექმნით, პირველი ადამიანების ყოფა-ცხოვრებით და მთავრდება რომაული კულტურის ეპოქით. ბიბლიის ყველაზე გვიანდელი წიგნებიც კი თითქმის ორი ათასი წლისაა. მიუხედავად ასეთი სიძელისა, ბიბლია დღესაც უაღრესად აქტუალურია. ასეულობით მიღიონი ადამიანი დღევანდელ ეპოქაშიც ეწაფება და ცხოვრებაში იყენებს ბიბლიურ სიბრძნეს. ამას საფუძვლად უდევს ღვთატბოვი მოძღვრების ჭეშმარიტება, სიწმინდე, უბერებლობა და ყოვლისმომცველობა.

5 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბ., „გეოგრაფია“, 2004, გვ. 4.

6 მы верим. Говорят современные учёные о вере в Бога. 1988, с. 41.

7 იქვე, გვ. 35.

8 იქვე, გვ. 14.

9 Библия опережает науку на тысячи лет. Ред. В. Губанов. М., 1996, с. 130.

10 იქვე, გვ. 131.

11 Библия и наука. Ред. П. Харчлаа. Ашфорд. США, с. 97.

### 1.1.2. ეკონომიკური თეორია და მართლმადიდებლობა

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ოფიციალურად მიღებულ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი უფალი ღმერთი, ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. ამის გამო ღლევანდელი საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანს უმეტესად ამქვეყნიური სიამოვნების (პედონიზმი), ბედნიერების (ევდემონიზმი), მატერიალური ღოვლათისა და მაქსიმალური ფულადი მოგების წებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს. ასეთ საფუძველს დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება კი სიმდიდრის გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებასა და საზოგადოების სულიერ დაცემს იწვევს, რაც იმქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანთა საბოლოო წარწყმედას განაპირობებს.

საზოგადოების ნაწილის, მათ შორის, ეკონომისტების მოწმუნეობა განაპირობებს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თეოლოგიური გააზრების მოთხოვნილებას და სათანადო თეორიულ-პრაქტიკული საკითხების დამუშავება-განხორციელების შესაძლებლობას. დღის წესრიგში დგენა ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთივდაღენილი კავშირურთიერთობების შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი წვლილის შეტანა ქრისტიან ეკონომისტებთან ერთად ყველა დაინტერესებულ და კომპეტენტურ ადამიანს შეუძლია.

საზოგადოებრივი წარმოების უღმერთობა (ათეიიტური გააზრება) დღეისათვის თითქმის მთელი კაცობრიობისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომ აუცილებელია ასეთი სიტუაციის ღვთივსულიერი მეცნიერული ანალიზი და ეკონომიკური განვითარების ქრისტიანული გზების ძიება როგორც მთელი მსოფლიოს, ასევე ცალკეული ქვეყნების მასშტაბით.

სოციალიზმის პერიოდში ქრისტიანული სარწმუნოების საყოველთაო დევნა-დამცირების ეპოქამ ადამიანებს საღვთო ჭირობულების საბოლოო

ტების გააზრების სურვილი, უნარი და საშუალება დააკარგვინა. საბჭოთა საქართველოს ეკონომისტები უღვთო კატეგორიებით აზროვნებას და მხოლოდ ამქვეყნიურზე ფიქრს მიაჩვიეს. შესაბამისად ფუნქციონირებდა ეკონომიკაც.

დღეისათვის, დემოკრატიზაციის პირობებში, უკვე შესაძლებელი და აუცილებელია ტრადიციული, ჰემშმარიტი სარწმუნოებისა და მსოფლმხედველობისაგან შემობრუნება, ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღდგენა-განვითარება.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ქრისტიანული გააზრებისა და ამ საფუძველზე საქართველოს ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვა-გამგეობის კონკრეტული გზების განსაზღვრის საკითხებს.

ეკონომიკა ამქვეყნიური ცხოვრების მატერიალური საფუძველი და უმთავრესი შემაღებელი ნაწილია. სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის უფლისათვის სათხოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზეცური ნეტარების მოპოვებას.

სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში პირდაპირ თუ ირიბად ჩაბმული არიან ცალკეული ადამიანები, ყოველი ოჯახი და ნებისმიერი ორგანიზაცია. ეკონომიკის ავკარგიანობაზე არის დამოკიდებული საზოგადოების ყველა ფენის და მთელი სახელმწიფოს არსებობა, სამეურნეო საკითხებით დაინტერესებულია ეკლესიაც. ამიტომ ნაშრომში ასაზული მოსაზრებები და დებულებები თანაბრად არის განკუთხილი თეოლოგების, სასულიერო პირების, ეკონომისტების, ბიზნესმენების, მენეჯერების, მეცნიერების, პროფესორების, სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის, მიუხედავად პროფესიისა და სოციალური მდგომარეობისა. ამავე დროს, თემატიკის ეკონომიკური ორიენტაცია თავისთავად გულისხმობს მისდამი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ეკონომისტების მომეტებული ყურადღების გამახვილების საჭიროებას.

წინამდებარე ნაშრომში მართლმადიდებლური სარწმუნოების სა-

ფუძველზე მიმდინარეობს შეჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეკონომიკური თეორიის მართლმადიდებლური გააზრება; ადამიანის დანიშნულება და ცხოვრების მიზანი; საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანი; ეკონომიკური, მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო თემატიკა წმინდა წერილში; მართლმადიდებელი წმინდანები და ღვთისმეტყველები ეკონომიკისა და მართვის შესახებ; თეოლოგიური ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ; ეკლესიის ადგილი და როლი საზოგადოებაში; ორგანიზაციულ-სამართლებრივი დოკუმენტები საეკლესიო ეკონომიკისა და მართვის სფეროში; განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაცია საეკლესიო ეკონომიკის სფეროში; საქართველოს ეკლესიის სამეურნეო საქმიანობის აღორძინება-განმტკიცების ძირითადი მიმართულებები; ქრისტიანული პრინციპების ასახვის აუცილებლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში; საეკლესიო ეკონომიკისა და საერო ბიზნესის თეოლოგიურ-სინერგიული განვითარების საფუძვლები და სხვ.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თეორიული საფუძვლების მართლმადიდებლური გააზრებისათვის აუცილებელია ქრისტიანულ ლიტერატურაში ასახული სამეურნეო მმართველობითი თემატიკის სათანადო შესწავლა.

ქრისტიანული სარწმუნოების მიზანებით, ყოველი ადამიანისათვის ღმერთს დადგენილი აქვს ამქეცენიური და იმქეცენიური ცხოვრების ეტაპები. ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, აქედან გმირმდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი მიწიერი ცხოვრების მიზანი. მართმადიდებლური კატეხიზმო გვასწავლის: „კაცის დანიშნულება ის არის, რომ განვითაროს ღვთისაგან მონიჭებული ბალი და ნიჭი და, რაოდენადაც შესაძლებელია შეზღუდულის არსებისათვის, მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას, მიიღოს რაოდენადაც შეიძლება, მეტი მონაწილეობა საუკუნო საღმრთო ნეტარებაში. სულ უკანასკნელი

მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. მაგრამ კაცი შესდგება არა მარტო სულისაგან, არამედ ხორცისაგანაც. აქედან ცხადია, რომ თავის დანიშნულებას კაცმა უნდა მიაღწიოს მიწის და ქვეყნის დახმარებით. ხილული ქვეყანა ასწავლის კაცს სულის ამაღლებას ღვთისადმი“.<sup>12</sup>

მიწიერი ცხოვრების განმავლობაში ადამიანი მუდმივად უნდა ადიდებდეს ღმერთს და ზრუნავდეს სულიერი სრულყოფისათვის: „...იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“ (მათ. 5,48) – გვმოძღვრავს მაცხოვარი. პავლე მოციქული ამბობს: „მიველტვი მიზანს, ღვთის უზენაესი ხმობის პატივს ისო ქრისტეში“ (ფილია. 3,14).

ყოველი ქრისტიანის მიწიერი ცხოვრების უმაღლესი მიზანია საკუთარი ცხოველქმედების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება, რაც მის სულის ნეტარებას უზრუნველყოფს.

ადამიანის დანიშნულების და ცხოვრების მიზნის ამგვარი განმარტება განაპირობებს მისივე სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საბოლოო მიზნის შესაბამისი განსაზღვრის აუცილებლობას, რაც თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკის უმთავრეს კრიტერიუმად უნდა იქცეს.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის უშუალო შედეგი ნივთიერი დოკლათისა და ფულის შექმნა-დაგროვებაში გამოიხატება. ქრისტიანული საწმუნოება არ განიკითხავს არც სიმდიდრეს და არც მდიდარ ადამიანს. დიდი სკულის კანონში ნათქვამია: „სიმართლით შექმნილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დაგამციროთ“.<sup>13</sup> ამავე დროს, ადამიანმა ფული და სიმდიდრე კერპად არ უნდა გაიხადოს, არ უნდა დაემოროს მათ. უფალი გვეუბნება: „არავის ძალუბს თრი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძლებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზდებს.

12 სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989, გვ. 123.

13 დიდი სკულის კანონი. ლანგრის კურის კანონები. მუხლი 21. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1987. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1987, გვ. 194, 536.

ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც<sup>“14</sup> (მათ. 6,24). მაცხოვარი ამ გამონათქვამით გვასწავლის, რომ სიმდიდრისადმი მონური მორჩილება შეუთავსებელია ადამიანის ღვთივმონიჭებულ დანიშნულებასა და ცხოვრების მიზანთან, რადგანაც ეს გამოიწვევს ღმერთის გმობასა და სულიერი სრულყოფის უარყოფას. ამიტომაც უფალი გვასწავლის: „ნუ იუნჯებთ თქვენს საუნჯეს ამ ქვეყნად, სადაც უანგი და მღილი ღრღნის მას, და სადაც მპარავნი თხრიან და იპარავენ. არამედ დაიუნჯეთ თქვენი საუნჯე ზეცად, სადაც ვერც უანგი და ვერც მღილი ვერა ღრღნის მას, და სადაც მპარავნი ვერ თხრიან და ვერ იპარავენ. ვინაიდან სადაც არის საუნჯე თქვენი, იქვე იქნება გული თქვენი“ (მათ. 6,19-21).

ქრისტიანული განმარტებით, სიმდიდრე ეს არის როგორც გარეშე, დროებითი და მიწიერი, ასევე უმაღლესი, ზეციური და სულიერი დოკლათის სიუხვე, რომლის შექმნა-დაგროვების შესაძლებლობა ადამიანს აქვეყნიური ცხოვრების, ძირითადად, ეკონომიკური საქმიანობის დროს ეძლევა. ადამიანმა, მისთვის ღვთივმოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოს სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ხორციელი და სულიერი მოთხოვნილებების ღმერთისათვის მოსაწონ ურთიერთშესაბმებას.

ბიბლიის მიხედვით, სამყარო და მასში მიმდინარე პროცესები, მათ შორის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, ესქატოლოგიურია.<sup>15</sup> ცათა სასუფეველში კონომიკა, ბიზნესი, ფული და მიწიერი სიმდიდრე არ იარსებს, ყოველივე აქვეყნიური გარდახდება, ხოლო დირსულებს უფალი ნეტარ საუკუნო ცხოვრებას განუმზადებს, „რადგანაც ვიცით, რომ თუ ეს ჩვენი მიწიერი სახლი, თუ ეს კარავი დაინგრევა, ღმერთის მიერ გვაქვს სასახლე ცაში, ხელთუქმნელი და მარადიული“ (2 კორ. 5,1), – წერს პავლე მოციქული.

14 „მამონა“ სირიული სიტყვაა, რომელიც სიმდიდრეს ან მიწიერ დოკლათს ნიშნავს.

15 ესქატოლოგია (ბერძნ.: eschatos — დასასრული დროსა და სივრცეში, ზღვარი, საბოლოო მიზანი და logos — მოძღვრება) — ქრისტიანული სწავლება სამყაროს დასასრულის, მიწიერი ისტორიის არსის, ადამიანისა და კაცობრიობის ხედრის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ მართლ-მადიდებლური სარწმუნოების მიხედვით სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა და ემაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოკლათის შექმნა უნდა წარმოადგენდეს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

ეკონომიკურ საქმიანობაში სარწმუნოებრივი საფუძვლების გაუთვალისწინებლობა იწვევს სულის მომაკვდინებელი ანგარების და მისგან გამომდინარე ვერცხლისმოყვარეობის აღზევებას, რომელიც პავლე მოციქულის თქმით, ყოველგვარი ბოროტების ფესვს წარმოადგენს (1 ტიმ. 6, 10). ამის გამო გამრავლდება და გაბატონდება სხვა ისეთი დამღუპველი ცოდვები, როგორიცაა: ამპარტავნება, დიდებისმოყვარება, სიძვა-სიბილწე, ნაყორვანება, მემთვრალეობა, შერი, მრისხანება და სხვ.<sup>16</sup> ასეთი გარემოება კი ადამიანებს ცოდვის მონებად გადააქცევს, საზოგადოებას დაასნეულებს და ქვეყნის დაღუპვას გამოიწვევს.

იციან რა ანგარებისა და ვერცხლისმოყვარეობისათვის დამახასიათებელი ყოვლისწამბილწეველობის უნარი, გლობალიზაციის პროცესების წარმმართველი ზოგიერთი ანტიკრისტიანული და ანტიპეტომანური ძალები თავის არაკეთილსინდისიერ საქმეებში წწორედ ეკონომიკურ მეთოდებს და ფულს იყენებდებ მათსავე მიერ გეგმაზომიერად გაღატაკებული მასების დასათრგუნავად. შედეგად, დღევანდელ ცივილიზებულ თუ არაცივილიზებულ მსოფლიოში თითქმის სრულიად გამეგდა მამონას, ანუ ფულისა და სიმდიდრის წარმართული ღვთაების კერძი, რომლის თაყვანისცემის გამოც მრავალი ადამიანი, როგორც დარიბი, ასევე მდიდარი, ცოდვის მონად და შერიან, ბოროტ არსებად გადააქცა. ამასთან დაკავშირებით პავლე მოციქული გვეუბნება, რომ უკეთური გზით „გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახშები ებმებიან, და მრავალი შლეგური, მავნე და კაცთა დამღუპველი და წარმწყმედი გულისთქმის ტყვე-

16 მომაკვდინებელი ცოდვების შესახებ იხ.: ცოდო-მადლის წიგნი. ობ., 1993, გვ. 5.

ნი ხდებიან“ (1 ტიპ. 6, 9). ამასთან, ცოდვილთა გონს მოყვანის მიზნით იგივე მოციქული ადამიანებს, რომ ყველანი უნდა წარვსდგეთ უფლის სამსჯავროს წინაშე, რათა უზენაესმა „თვითუელს მიაგოს კუთვნილი იმის მიხედვით, თუ რას იქმოდა, სხეულში მყოფი, კეთილს თუ ბოროტს“ (2 კორ. 5, 10). სამსჯავროს შემდეგ კი უფლის განგებით წავლენ ცოდვილნი „საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი – საუკუნო სიცოცხლეში“ (მათ. 25, 46).

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისაკენ შემოძრუნება. საჭიროა ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი, მართლმადიდებლური ზნეობით დასაშვები ფორმების, მიმართულებებისა და მასშტაბების განსაზღვრა, ამ სფეროში ცოდვა-დანაშაულთა აღკვეთის გზების დადგენა და ამით ადამიანთა და ერის სულიერი გადარჩენის პერსექტივების გააზრება.

დღის წესრიგში დგება სხვადასხვა ათეისტური, მამონას კერძოს და ფულზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორიების ღვთისულიერი, ადამიანის სიყვარულზე ორიენტირებული ქრისტიანული ეკონომიკური თეორიით კნონზომიერი და აუცილებელი შეცვლის აქტუალური საკითხი.

ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლები ღვთივდადგენილად არის გადმოცემული ბიბლიაში.

ადამიასა და ევას კურთხევისას ღმერთმა უთხრა მათ: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახორხავს“ (დაბ. 1,28). ჯერ კიდევ ევას შექმნამდე „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2,15). ღმერთის მცნების დარღვევისთვის ადამი და ევა დაისაჯნენ; უფალი ეუბნება ადამს: „...მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიღებდე მისგან საზრდოს მოელი სიცოცხლე. ...პიროვლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე“ (დაბ. 3,17,19). ადამის და ევას პირველი შვილი კაენი მიწის მუშაკი იყო, ხოლო მეორე შვილი აბელი – მეცხვარე (დაბ. 4,2).

აქედან ჩანს, რომ უკვე პირველ ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა დაუწესა. შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ისე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაქმაყოფილებისათვის. პავლე მოციქულის თქმით, „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3,10).

მართლმადიდებლური სარწმუნეობის მიხედვით, შრომა, გარდა მიწიერი ცხოვრების უზრუნველყოფის საშუალებისა, საუკუნო სიცოცხლის მოპოვების პირობაცაა, ვინაიდან ცნობილია, რომ უქნარები ვერ მოიპოვებენ ცათა სასუფეველს. მიტროპოლიტი ინკვენტი გვასწავლის: „ზეციურ სასუფეველში არის ყველაზე დიდი ნეტარება, უმაღლესი დიდება და ღირსება, ულევი სიმდიდრე და ამიტომ თუ მცირე და მწირი წარმავალი მიწიერი სიმდიდრისათვის დიდი შრომა და გარჯაა საჭირო, მაში როგორ შეიძლება მიიღო შრომის გარეშე ულევი სიმდიდრე?“

ზეციური სასუფეველი არის უმაღლესი ჯილდო და სად იძლევიან ჯილდოს უბრალოდ და არაფრისათვის? აბიტომ, თუ მიწიერი და ღროებითი ჯილდოსათვის საჭიროა შრომა და მოღვაწეობა, მით უმეტეს საჭიროა გარჯა ზეციური და საუკუნო წყალობის მისაღებად“.<sup>17</sup>

სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეოლოგიურ-მართლმადიდებლური გააზრების საქმეში მნიშვნელოვანია XX საუკუნის დასაწყისში რუსი სასულიერო პირების, მეცნიერებისა და ღვთისმეტყველების შემოქმედება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოლიტიკური ეკონომიკის დოქტორის, პროფესორის, დეკანოზ სერგი ბულგაკოვის (1871-1944) 1912 წელს გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომი „მეურნეობის ფილოსოფია“<sup>18</sup> მასში თეოლოგიურ ჭრილში განხილულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: მეურნეობრიობის ფილოსოფიის პრიბლებები; თანამედროვე ეკონომიზმი; მეურნეობის თეორიის ნატურფილოსოფიური საფუძვლე-

17 მიტროპოლიტი ინკვენტი. გზა ცათა სასუფეველისა. წილპის ეპარქიის გამოცემა, თბ., 1994, გვ. 17.

18 Булгаков С. Н. Философия хозяйства. В книге: Булгаков С. Н. Сочинения в двух томах. Т. 1, М., «Наука», 1993, с. 49-308.

ბი; ძირითადი სამეურნეო ფუნქციების მნიშვნელობა; მეურნეობის ტრანსცენდენტური სუბიექტის შესახებ; მეურნეობის სოფიურობა; სოციალური პოლიტიკის პრობლემა; მეურნეობის სული; პიროვნება მეურნეობაში; მეურნეობის ფენომენოლოგია; სიმდიდრის ცნების პირობითობა; პოლიტიკური ეკონომიკის პრობლემა; ეკონომიკური მატერიალიზმი, როგორც მეურნეობის ფილოსოფია და სხვ.

დეკანზი სერგი ბულგაკოვი თვლება მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკას, როგორც მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად. მის ნაშრომებს, სამწუხაროდ, ნაკლებად იცნობენ ჩვენი სწავლული ეკონომისტები. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ საკითხით დანტერესებულ მეცნიერთათვის მეტად საჭიროა სათანადოდ იქნეს გამოკვლეული მეცნიერ-ეკონომისტის, ღვთისმეტყველისა და სასულიერო პირის – სერგი ბულგაკოვის მდიდარი შემოქმედება.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, სარწმუნოების უმკაცრესი დევნის პირობებში, ფიქრიც კი შეუძლებელი იყო საბჭოურ ათეისტურ სივრცეში მოქცეულ მართლმადიდებელ ქვეყნებში, ზოგადად, ღვთისმეტყველებისა და, კერძოდ, თეოლოგიური ეკონომიკის განვითარების შესახებ.

უღმერთო სოციალისტურ თეორიაზე აგებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სისტემაში კანონზომიერი დაცემა განიცადა. კრიტიკულ მდგრადიობაში აღმოჩნდით დღესაც, ფულისა და სიმდიდრის, ანუ მამონას თაყვანისმცემელ, ათეისტურ საბაზრო ეკონომიკაზე ბრძა ორიენტაციის პირობებში.

სოციალისტური სისტემა გამორჩეულ პიროვნებებს აღმერთებს, კაპიტალისტური – მამონას. ორივე სისტემა უგულებელყოფს ჭეშმარიტობერთს, ღვთივადგენილ ზნეობას, ცათა სასუფელის პერსპექტივას და წარმოების მიზნად მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის (ჰელონიზმი, ევდემონიზმი) ზრუნვას აღიარებს, ზნეობისა და ეკონომიკის ასეთი ორიენტაცია კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ცოდვა-ბოროტების საყოველთაო აღზევებას და აღამიანთა საუკუნო სულიერ წარწყმდას გამოიწვევს.

ამავე დროს, მეურნეობრიობის ორივე ფორმა ეყრდნობა

ღვთივდადგენილ, ისტორიულად ადაპტირებულ საფუძველს, რომელიც ადამიანთა მიერ ამ ჭეშმარიტების აღიარება-გათვალისწინების შემთხვევაში უზრუნველყოფს საზოგადოების რეალურ სულიერ-მატერიალურ პროგრესს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მატერიალური და სულიერი წინსვლისათვის აუცილებელია ქრისტიანული აზროვნებისაკენ შემობრუნება და მართლმადიდებლური ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბება, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მეურნეობრიობის ტრადიციული და თანამედროვე მაღალეფებიანი მიმართულებების განვითარება.

დღის წესრიგში დგას წართმეულ-მივიწყებული ქრისტიანული აზროვნების აღდგენა-განვითარების, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ჭეშმარიტ, ღვთიურ გზაზე დაყენების უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც თეოლოგებთან ერთად მეცნიერ-ეკონომისტებმა და ბიზნესმენებმაც უნდა გადაწყვიტონ.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელშიც ეკონომიკა აღარ იარსებებს. ამიტომ ქრისტეს მოძღვრება სამეურნეო საქმიანობას განიხილავს როგორც დროებით, ესქატოლოგიურ პროცესს, რომლის მიზანს ადამიანის ამქვეყნიური მოთხოვნილებების დაქმაყოფილება წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი უნდა შეიქმნას ღვთივადადგენილი ზნეობრივი მოთხოვნების იმ ჩარჩოებში, რომელთა დარღვევა ადამიანის სულის წარწყმედას გამოიწვევს. ასეთ საფუძველს ეყრდნობა ბიბლიური და, კერძოდ, იესო ქრისტეს სწავლება, რომლის უმთავრესი მიზანია ცათა სასუფელის მიღწევა.

საზოგადოებაში გავრცელებულია დილეტანტური აზრი, თითქოს ქრისტიანული სარწმუნოება განიკითხავს ადამიანთა ამქვეყნიურ მოთხოვნილებებს, მიწიერ სიხარულს, შრომას, ეკონომიკურ საქმიანობას, სიმდიდრეს. ასეთი შეხედულების უსაფუძვლობას გვიდასტურებს ბიბლია, რომლის სწავლების მიხედვით, ყოველივე ამქვეყნიუ-

რი დასაშებია, თუ იგი სიმართლეს, სიკეთეს, სიყვარულს ეფუძნება და ემსახურება.

ყოველივე ადამიანურისადმი პატივისცემას გამოხატავს იესო ქრისტეს მიერ მოხდენილი პირველი სასწაული გალილეის ქალაქ კანაში, სადაც მაცხოვარი, მისი დედა და მოწაფეები ქორწილში იყვნენ მიწვეულნი. ხელმოკლე მასპინძლებს ღვინო შემოაკლდათ. იესომ დედამისის თხოვნით თვრამეტ სასწაულამდე წყალი გადააქცია საუკეთესო ღვინოდ, იგი მიართვეს თამაღას, რითაც მას ლხინის გაგრძელების საშუალება მიეცა. „ასე დაუდო დასაბამი იესომ სასწაულებს გალილეის კანაში და გამოავლინა დიდება თვისი. და იწამეს იგი მისმა მოწაფეებმ“ (იოან. 2,11). ეს მოვლენა გამოხატავს მაცხოვრის დამოკიდებულებას ადამიანთა ამქვეყნიური მოთხოვნილებისადმი, რომელთა დაქმაყოფილების აუცილებლობა შრომის, სამეურნეო საქმიანობისა და ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს.

სამეურნეო საქმიანობის უფლისმიერი კურთხევა არის ასახული სასწაულებრივ თევზჭერაში, რომელიც მაცხოვარმა მოახდინა გენესარეთის ტბაში. მთელი ღამის უნაყოფო შრომით დამაშვრალმა სიმონ პეტრემ და მისმა ამხანაგებმა ამჯერად „დაიჭირეს იმდენი თევზი, რომ ბადე ეხეოდათ“ (ლუკ. 5,6). ამ მოვლენას, გარდა შრომის პროცესის წახალისებისა, სხვა უდიდესი მნიშვნელობაც ენიჭება. ეს იყო სიმბოლური მოქმედება, რომლითაც სიმონ პეტრეს, იკოდსა და ოთანეს მიეთითათ მათ მომავალ დიდ წარმატებებზე მრავალი ადამიანის ქრისტიანობაზე მოქცევის საქმეში.

გალილეის, ანუ ტიბერიის ზღვის გაღმა იესომ სასწაულებრივად დააპურა ხუთი ათასი შეიერთ ადამიანი. ამ სასწაულის მნიშვნელობა ხალხმა თქვა: „ჭეშმარიტად ეს არის წინასწარმეტყველი, რომელიც უნდა მოსულიყო ქვეყნად“ (იოანე 6,14). ეს შემთხვევა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ დაპურების შემდეგ იესომ „თავის მოწაფეებს უთხრა, აეკრიფათ ნარჩენები, რომ არაფერი დაკარგულიყო“ (იოან. 6,12), რითაც რაციონალური, უნარჩენო ბუნებათსარებლობის აუცილებლობა იქნა ხაზგასმული. უფლის ამ სწავლების

უგულებელყოფისა და ბუნების მაექსპლუატირებელი წარმოების განვითარების შედეგია დღეისათვის თითქმის მთელს მსოფლიოში გამეფებული ეკოლოგიურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც იოანე მოციქულის წინასწარმეტყველების მიხედვით, აპოკალიფსურ პერიოდში კაცობრიობის დაღუპვის ერთ-ერთი ნიშანია.<sup>19</sup>

სამეურნეო საქმიანობაში კომპეტენტურობის აუცილებლობაზე მიგვითითებს იგავი გონიერ და უგონო მშენებლების შესახებ (მათ. 7,24-27; ლუკ. 6,47-49). მასში ლაპარაკია კეთილგონიერ კაცზე, რომელმაც მყარ ნიადაგზე აიშენა სახლი. ასეთ ნაგებობას, უგუნური კაცის მიერ აშენებული სახლისაგან განსხვავებით, ვერ ანგრევს სტიქიური ძალები.

შშენებლობის ეფექტური დაგემზა-დაფინანსების პრინციპი არის გადმოცემული იგავში კოშკის მშენებლის შესახებ. აქ მაცხოვარი გვეუბნება: „თუ რომელიმე თქვენგანი მოისურვებს კოშკის აგებას, განა თავდაპირველად არ დაჯდება და გამოვლის ხარჯს, რაც დასჭირდება მის დასრულებას? რათა, საძირკველს თუ ჩაყრის, მაგრამ ვერ შესძლებს დაასრულოს, მნახველებმა არ დაუწყონ დაცინვა და თქვან: აი, კაცი, რომელმაც დაიწყო შენება და დასრულება კი ვერ შესძლოო“ (ლუკ. 14,28-30).

ვაჭრობა-მოგების უფლისმიერ წახალისებას ასახავს იგავი ტალანტებზე (მათ. 25,14-30).<sup>20</sup> მასში მოთხოვობილია იმის შესახებ, რომ ერთმა ბატონმა შორს გამგზავრებისას თავისი ქონება მსახურებს ჩააბარა. ორმა მათგანმა კომერციის მეშვეობით გააორმაგა დატოვებული თანხა, ხოლო მესამებ ეს არ გააკეთა. დაბრუნებულმა ბატონმა ეს უკანასკნელი დასაჯა, რადგან მან ჩაბარებული ვერცხლი მოვაჭრეს არ მისცა და ბატონს სარგებლითურთ არ დაუბრუნა.

19 ამ საკითხზე ანალოგიური მსჯელობა, აგრეთვე, იხ.: Rev. Dr. Dan Sandu. Eastern Orthodox Theology and Practices Related to Ecological Issues. საქართველოს სააკადემიურო ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო უურნალი „ლოგოსი“. IV, 2007, გვ. 259-267.

20 ერთი ტალანტი (ქანქარი) უდრის 49, 116 კგ. ოქროს, ან 43, 65 კგ. ვერცხლს. ძველად ფასს მცირდებას ლითონების წინით განსაზღვრავდნენ. აღებ-მიცემობაში იყენებდნენ ოქრო-ვერცხლის ნივთებს, ზოდებს, სხმულებს, რომელთა წონაც ქისაში გამოკრული საქციალური საწონი ქვების წონას შეესაბამებოდა (რჯუ. 25,13).

პროდუქციის წარმოების სრული პროცესი არის გადმოცემული იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ (მათ. 13,24-30). მასში აღწერილია ხორბლის დათესვა, გარე ფაქტორების მავნე ზეგავლენა ყანის მდგომარეობაზე, ჯეკილის მოვლა-გაფრთხილება, მოსავლის აღება-დაბინავება, ხელმძღვანელისა და ხელქეთების ურთიერთობა.

მათეს სახარებაში უფალი გვასწავლის: „მსგავსია ცათა სასუფეველი ყანაში დაფლული განძისა, რომელიც იპოვა კაცმა, დამალა და გახარებული წავიდა; გაყიდა ყველაფერი, რაც ებადა, და იყიდა ის ყანა. და მერე, მსგავსია ცათა სასუფეველი ვაჭარი კაცისა, რომელიც ეტებს ლამაზ მარგალიტს. და როცა იპოვის ძვრფას მარგალიტს, წავა, გაჰყიდის ყველაფერს, რაც აბადია, და იყიდის მას“ (მათ. 13,44-46). ამ მაგალითებით ნაჩვენებია ცათა სასუფეველის უპირატესობა ყოველგვარ მიწიერ სიმდიდრესთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ იგავები იქსო ქრისტეს ქადაგების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. იგავებით საუბარი გვხდება ძველ აღთქმაშიც, მაგრამ საოცარ სრულყოფილებასა და სილამაზეს მან მაცხოვრის მეტყველებაში მიაღწია. სწავლების ასეთი ფორმა იმისა-თვის იყო საჭირო, რომ ადამიანებს ადვილად გაეგოთ ახალი აღთქმის სიბრნის საფუძვლები. სახარების იგავებში საყოფაცხოვრებო-ეკონომიკური მაგალითების განხილვის საფუძველზე აღწერილია ცათა სასუფეველი და ნაჩვენებია მასში ადამიანის მონველრის გზები.

ზემოთ აღწერილთა გარდა, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი იგავები: უმოწყალო გამსესხებელზე; ვენახის მუშებზე; ორ მოვალეზე; ერთგულ სახლმართველზე; გულმოწყალე სამარიტელზე; ფხიზელ მონებზე; მთესველზე; მდიდარისა და ლაზარეზე; მებაუესა და ფარისეველზე; ბოროტ მევენახებზე და სხვ.

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ზოგიერთ ადამიანს დიდალი ქონება უგროვდება. ბიბლიაში უხვად არის მაგალითები მდიდარი და, ამასთან, მართალი, კეთილი და ღმერთისათვის სათნო ადამიანებისა. ასეთები არიან: აბრაამი, ისაკი, იაკობი, იოსები, დავითი, სოლომონი, იოსაფატი, იობი, იოსებ არიმათიელი, ზაქე და სხვ.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, მდიდარი ადამიანი თავის ქონებას უნდა უყურებდეს როგორც სხევებისთვის დახმარების გაწევის საშუალებას. მპარავიც „ნუღარ მოიპარავს, არამედ იშრომოს და თავისი ხელით კეთილი საქმე აკეთოს, რათა შეეძლოს გაიკითხოს გაჭირვებული“ (ეფეს. 4,28). სხვა შემთხვევაში „გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახში ებმებიან და ბევრი შლევური, მავნე და კაცთა წარმწყმედ-დამღუპველი გულისთქმის ტყვენი ხდებიან“ (1 ტიმ. 6,9).

მაცხოვარი გვეუბნება: „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებული იქნებიან“ (მათ. 5,7). სიმდიდრის კეთილად გამოყენებით ადამიანს შეუძლია ცათა სასუფეველს მიაღწიოს, უკეთური მდიდარი კი ჯოჯონხეთში ხვდება.

მაგალითად, იგავში მდიდარი კაცისა და ლაზარეს შესახებ (ლუკ. 16, 19-31) მოთხოვთილია, თუ როგორ დაიმონა ადამიანი მოხვეჭილმა ქონებამ და ფულმა. ამ მდიდარს არ ებრალებოდა მის ჭიშკართან მწოლიარე გლახაკი, ავადმყოფი ლაზარე. სიკვდილის შემდეგ ლაზარე ხვდება სამოთხეში, ხოლო მდიდარი – ჯოჯონხეთში. ამ იგავის მიხედვით, მდიდარი ისკება არა სიმდიდრის, არამედ გაუმაძღობის, უკეთურობისა და გლახაკთა შეუბრალებლობის გამო.

ბიბლიის მიხედვით შერმა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაქმაყოფილებისათვის. პავლე მოციქული გვასწავლის: „გულმოღვინედ ეცადეთ, რომ იცხოვროთ მშვიდად, აკეთოთ თქვენი საქმე, და იმრომოთ თქვენი ხელით, როგორც გამცნო თქვენ, რათა ღირსეულად იქცეოდეთ გარეშეთა მიმართ, და არაფერი გაკლდეთ“ (1 თეს. 4, 11-12). ადამიანი ვალდებულია მიატოვოს უკეთური საქმე, „იშრომოს და კეთილი საქმე აკეთოს თავისი ხელით, რათა შეეძლოს გაიკითხოს გაჭირვებული“ (ეფეს. 4, 28). პავლე მოციქული თავად იძლეოდა ასეთ მაგალითს და უუბნებოდა მოწავეებს: „თქვენ თვითონ იცით, რომ აი, ეს ხელები შველოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსასაც, ვინც იყვნენ ჩემთან. ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სხეულთ, და გახსოვდეთ უფლის იქსოს სიტყვები, რადგანაც თავად

თქვა: „უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე 20, 34-35).

ღმტრთი თავისი არსით – სრულყოფილებაა (მათ. 5, 48), მისი ნებაც ასევე ქეთილი, სათონ და სრულყოფილია (რომ. 12, 2). ასეთივე თვისებრივი მდგომარეობისაკენ მოუწოდებს უფალი ყოველ ადამიანს, ყველა ერს: „იყავით თქენი სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“ (მათ. 5, 48). ასეთი მდგომარეობის მიღწევა უნდა იყის ყველა ჩვენგნის და მთელი ქვეყნის უმთავრესი მიზანი ჩვენი ნებისმიერი საქმიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა „განვწმინდოთ ჩვენი თავი ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან“ (2 კორ. 7,1).

ბიბლიური სწავლებით ადამიანის სხეული ტაძრია მასში დამკვიდრებული სულიწმიდისა, რომელიც ღმერთისგან გვაქვს და არ გვექუთვნის ჩვენ, ამიტომ უნდა ვადიდოთ ღმტრთი ჩვენი სხეულით და ჩვენი სულით, რომელიც არიან ღმრთისა (1 კორ. 6, 19, 20).

ჩვენს მიზანსწავგათა უზენაეს კრიტერიუმად უნდა იქცეს პავლე მოციქულისეული მოწოდება: „სხეული – უფლისათვის და უფალი – სხეულისათვის“ (1 კორ. 6, 13).

ეკონომიკური საქმიანობის თეოლოგიურ-ზნეობრივი და ღვთაებრივ-ჰუმანისტური აღქმა მიგვითითებს ფულის, გადასახადებისა და ფინანსების ტრადიციული ფუნქციების სარწმუნოებრივი პოზიციებითან გააზრების აუცილებლობაზე. სახელდობრ, ყოველი მათგანის უმთავრესი ფუნქცია, ჩვენი აზრით, უნდა მდგომარეობდეს მათ მიერ სიყვარულის და ზნეობრიობის საზომის განხორციელებასა და ხორციელი და სულიერი საწყისების ღვთივსეულიერი პაროლისული (სინერგიული) ურთიერთშესაბების მოგვარებაში.

წმინდა წერილიდან ნათლად ჩანს, რომ სამეურნეო საქმიანობა თვით ღმტრთის მიერ არის დადგენილ-წახალისებული და გვევლინება როგორც ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეოლოგიური გააზრების შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე. მით უფრო, რომ უცხოეთში უკავე ჩამოყალიბდა ისეთი სამეცნიერო-პრაქტიკული და

სასწავლო დისციპლინები, როგორიცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, თეოლოგიური სამეურნეო ეთიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, ქრისტიანული ბიზნესი, ეკლესიის მენეჯმენტი და სხვ.

თავისი მოძღვრების ზნეობრივი საფუძვლის შესახებ იქსო ქრისტე გვეუბნება: „გიყვარდეს უფალი ღმტრთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, – აი, უპირველესი მცნება. და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. არ არსებობს ამათ-ზე დადი მცნება“ (მარ. 12,30-31).

ეს სწავლება უზენაეს ზნეობრივ ნორმას უნდა წარმოადგენდეს ყოველი ადამიანისათვის მისი ცხოველქმედების ნებისმიერ სფეროში.

ამ მცნებათა დაცვა-შესრულება ყოველ ადამიანს განსაკუთრებით მოეთხოვება და ესაჭიროება ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, სადაც ესოდენ ძალუმალ ზემოქმედებენ ჩვენზე ბნელი ძალები ვერცხლისმოყვარეობის მეშვეობით, რომელიც ყოველგვარი ბოროტების ფესვს წარმოადგენს. ბოროტების ძლევა კი მხოლოდ ქრისტესმიერი სიყვარულითა და მართლმადიდებლური ზნეობით არის შესაძლებელი.

მართლმადიდებლური სწავლების მიზედვით ადამიანი წარმოადგენს სხეულის (ხორცის), სამშვინველისა და სულის ერთიანობას. „გამოსახა უფალმა ღმტრთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნებტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (დაბ. 2,7). ღმტრთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსებად (დაბ. 1,26), რაც ადამიანის უმაღლესი ღირსების მიმანიშნებელია. მართლმადიდებელი ეპლესის კატეხიზმოში წერია: „ღმტრთმა შექმნა ხორცი პირველ კაცის ადამისა მიწისაგან, შთაბერა მას შინა სამშვინველი ცხოვრებისა, ე.ი. სული უკვდავი, გონიერი, თავისუფალი და წმიდა; ყველა ამით კაცი მსგავსია, – თუმცა კი ძალიან სუსტად, – ღვთის სისრულისა. ხორცი კაცისა ღმტრთმა შექმნა მიწისაგან, როგორც ხორცი ყველა სხვა ცხოველთა, სული კი შექმნილია ღვთის ყოვლადშემძლებელის

ძალით, როგორც სრულიად ახალი ქმნილება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ნივთიერ ქვეყანასთან“<sup>21</sup>. ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ადამიანის სხეული მიწად მიიქცევა (დაბ. 3,19), ხოლო სული უბრუნდება ღმერთს, რომელმაც შთაბერა (ექლ. 12,7).

კაცი ამ ქვეყანაზე განსაკუთრებული არსებაა, რომელსაც აქვს გონიერი, თვისუფალი და უკვდავი სული, რითაც ადამიანი ღვთის ხატს (სახეს) წარმოადგენს. ღვთის მსგავსებაში კი იგულისხმება ადამიანის უნარი და მისწრაფება, გამუდმებული სულიერი მოღვაწეობის შედეგად მთავრობის სისრულეს და ღვთის მსგავსებას. სულ უკანასკნელი მისწრაფება „პაციისა არის ღმერთი, ერთობა, ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. როგორც ღვთის სახედ და მსგავსად შექმნილს არსებას, კაცს არ შეუძლიან არ ეძიოს ერთობა ღმერთთან“<sup>22</sup>.

ადამიანი წარმოადგენს სულის, სამშვინველისა და სხეულის სრულ პარმონულ ერთობას. სული მისწრაფების ღმერთისაკენ, სამშვინველი შეერთებულია და ემორჩილება სულს, ხოლო სხეული სამშვინველს.

ადამიანის ხორციელი სიცოცხლე არ განირჩევა სხვა არსებებისაგან და ძღვომარჯობს სხეულის მოთხოვნილებათა დაკაცყოფილებაში, რომლებიც ერთიანდება ორ ძირითად ინსტინქტში: თვითშენარჩუნების ინსტინქტსა და გამრავლების ინსტინქტში.

სამშვინველი არის სასიცოცხლო ძალა, რომელიც მოცემული აქვს ადამიანს ღმერთისაგან სხეულის სამართავად. სამშვინველის ყველა მოძრაობა და მოქმედება ერთიანდება სამ ჯგუფად: აზრები, გრძნობები და სურვილები. სულიერი (სამშვინველისული) ცხოვრება გულისხმობს გონების, გრძნობისა და ნების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

სხეულსა და სამშვინველს ჰემოთ არის სული, რომელიც ადამიანში კლინდება სამი სახით: ღმერთის შიში, სინდისი და ღმერთის წყურვილი. სული ხშირად გვევლინება, როგორც სამშვინველისა და სხეულის მსაჯული და ყოველივეს აფასებს განსაკუთრებული, უმაღ-

ლესი პოზიციებიდან. ადამიანი თავისი სულით მუდმივად (შეგნებულად და შეუცნებლად) მისწრაფების ღმერთისაკენ, სურს შეასრულოს თავისი დანიშნულება და დაიმკვიდროს საუკუნო სიცოცხლე.

ადამმა და ევამ ღვთის მცნების უგულებელყოფით ჩაიდინეს უდიდესი ცოდვა, რითაც დაარღვიეს ადამიანში არსებული ჰარმონიული ერთობა სულს, სამშვინველსა და სხეულს შორის. ამ დროიდან მოყოლებული ადამიანმა თავის „დანიშნულებას უნდა მიაღწიოს ცოდვასთან ბრძოლის, სიკვდილის, ხრწნილების და აღდგომის გზით“<sup>23</sup>.

სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთმა მას დაუწესა ღვთითდადგენილი გეგმით და კანონებით არსებობა, ამავე დროს, იგი გამუდმებით ზრუნავს ქვეყნიერებისათვის (საღვთო განგებულება). ადამიანი სხვა ქმნილებებთან ერთად არის სამშალება უფლის ხელში საღვთო განგებულების მიზნების განხორციელებისათვის. „უფალმა ყოველივე საკუთარი მიზნისთვის შეჰქმნა“ (იგავ. 16,4), ამიტომ „მისით ვცოცხლობთ და ვმოძრაობთ და ვართ“ (საქმე 17,28), „რადგანაც მისგან და მის მიერ და მის მიმართაა ყოველი“ (რომ. 11,36).

კაცის ღვთივადგენილი დანიშნულების, როლისა და მისწრაფებების მართლმადიდებლური არსი ადამიანის უმაღლესი ღირსების მაჩვენებლია და მთუთითებს მისი სულიერი (საბოლოო ჯამში, ცათა სასუუკვლის) მოთხოვნილების უზენაესობაზე.

მიწიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება საზოგადოებრივი წარმოების საშუალებით, რომელიც მხოლოდ ამქეუწური ცხოვრების დროს არის დაშვებული და წუთისოფლის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს.

თანამედროვე პირობებში „ხორცი მეტ ნაწილად მშვინვიერია; კაცის სულსა და ხორცის შორის ბრძოლაა; ხორცი იმორჩილებს სულს და ბატონობს იმაზედ; აღდგომის შემდეგ კი ხორცი ჩვენი იქნება სულიერი, უკვდავი, უვნებელი; ხორცი შეიქმნება სულის მორჩილ იარაღად“<sup>24</sup>. პავლე მოციქული გვასწავლის: „სულიერად

21 სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989, გვ. 121.

22 იქვე, გვ. 123.

23 იქვე, გვ. 124.

24 იქვე, გვ. 170.

იარეთ და ნუ ცდილობთ აღასრულოთ ხორცის სურვილი, რადგან ხორცის სულის საპირისპიროდ სურს, სულს კი – ხორცის საპირისპიროდ; ისინი ერთმანეთს ეურჩებიან, რათა ვერ აღასრულოთ ის, რაცა გსურთ. ...ხორცის საქმენი აშკარაა: სიძვა, უწმინდურება, აღვირასნილობა, კერპომსახურება, ჯადოქრობა, მტრობა, შულლი, შური, რისხვა, აშლილობა, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალება, ღორმუცელობა და სხვა მისთანანი. ....ამის მოქმედნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს. ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტყბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება; ...ხოლო მათ, ვინც არიან ქრისტესნი, ჯვარს აცვეს ხორცი მისი სურვილებით და ვნებებითურთ. თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ“ (გალ. 5,16-25), „...ვინც რას დასთესს, მასვე მოიმკის. ვინც ხორცისთვის თესავს, ხორცისგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო ვინც სულისთვის თესავს, სულისგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს“ (გალ. 6,7-8).

ადამიანს ამქვეყნიური დოგლათის შექმა-გამოყენება წუთისოფელში ცხოვრების დროს უხდება, ხოლო ყოველივე, რაც წუთისოფელშია: ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და სიამაყე ცხოვრებისა, არ არის უფლისაგან და წარმავალია, მასთან ერთად წარმავალია უფლის უარმყოფელი და ამქვეყნიურის თაყვანისმცემელი ადამიანიც, „ხოლო ღმრთის ნებისმყოფელი წარუგალია უკუნისამდე“ (1 იოან. 2,15-17).

ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, რომ მიწიერი ცხოვრება არის დაუცხრომელი შრომის, სულიერი სრულყოფის და ზნეობრივი გმირობის დრო, მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის ადამიანის თვითშემხადების პერიოდი.

აქედან გამომდინარე, ადამიანმა ამქვეყნად უნდა მოახდინოს სხეულის, სამშვინველისა და სულის მოთხოვნილებათა ღმერთისათვის მოსაწონი ურთიერთშეხამება მოციქულისეული დევიზით: „სხეული – უფლისათვის, ხოლო უფალი – სხეულისათვის“ (1 კორ. 6,13), ხოლო ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელების მიზნით ადა-

მიანმა, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოს აზროვებისა და მოქმედების, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მის მოხვდერას ცათა სასუფეველში. ასეთი საზოგადოებრივი წარმოები-სათვის უმთავრესია ღვთის სასუფევლის ძიება, ხოლო დანარჩენი მიეცემათ ადამიანებს (შდრ. ლუკ. 12,13). ამავე დროს, მორწმუნე და ღვთისათვის სათონ ადამიანი წუთისოფელში გადატანილი ყველა გაჭირვებისათვის „სამოცდათჯერ და მეტად დაჯილდოვდება ამქვეყნიური ცხოვრების დროსაც“<sup>25</sup>.

თეოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ქრისტიანული საზოგადოებრივი წარმოების პროცესში სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტექნიკა-ტექნოლოგიის მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერი და არანივთიერი დოკუმენტი (ქრისტიანული ფასეულობა), რომელიც მოეშვასხურება სულის ნეტარების უზრუნველყოფი ზნეობრივი კანონის განხორციელებას და არ გამოიწვევს ღმერთის გმობას, მამონას გაკურპებას და მომაკვდინებელ ცოდვათა წარმოშობა-გაბატონებას.

ქრისტიანული ცხოვრების (რომელშიც შესაბამისი სამეურნეო-შპართველობითი საქმიანობაც უნდა ვიგულისხმოთ) მიღწევა-მოწესრიგების გზას გახსწავლის მაცხოვარი, რომელიც ამბობს: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემს მიერ“ (იოან. 14,6). უფალი აქ ლაპარაკობს მამა-ღმერთზე, როგორც ყველა ადამიანურ მისწრაფებათა ჭეშმარიტ მიზანზე. ადამიანები ესწრაფვიან საუკუნო დიდებას, რომელშიც სუფელს მამა, ხოლო ქრისტე არის ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა.

ღირსი იუსტინე პოპვიჩი წერს: „ნებისმიერი ადამიანური საქმიანობა – ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოსნობა, ხელოვნება, განათლება, კულტურა – თავის წარუგალ ღირებულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა განათლდება და გააზრება ღმერთკაცში – ჩემს უფალისა და ღმერთში იესო ქრისტეში“<sup>26</sup>.

25 მიტროპოლიტი ინოქენტი. გზა ცათა სასუფელისა. თბ., 1994, გვ. 33.

26 ღირსი იუსტინე პოპვიჩი. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი. წიგნში: სიტყვა მართლისა საწმუნოებისა. თბ., 1995, ტ. 5, გვ. 158.

ასეთი აზროვნებისა და მოქმედების საფუძველი კი სიყვარულია, სიყვარული უფლისა და მოყვასის მიმართ (შდრ. მარ. 12,30-31). ამ უდიდეს მცნებას უნდა ემყარებოდეს ადამიანის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, ხოლო თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკის, როგორც მეცნიერული მიმართულების, საფუძველს და კვლევის მიზანსაც სწორედ სიყვარულზე დამყარებული მეურნეობა უნდა წარმოადგენდეს.

**სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსი იეგულიელი (ტაბატაძე)** აღნიშნავს: „როგორც მარხვა არ არის ქრისტიანისთვის თვითმიზანი და იგი არის ადამიანის სულის ცხოვნების საშუალება, ასევე ეკონომიკური წინსვლა არ უნდა იყოს თვითმიზანი, რამეთუ წმინდა წერილი გვეუბნება: „რაიცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს. რამეთუ რომელმან სთესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მიერ თვისთა მოიმკოს ხრწილება; ხოლო რომელმან სთესოს სულსა თვისსა, სულისაგან თვისისა მოიმკოს ცხოვნებაი საუკუნოი“ (გალ. 6,7-8).

ლოცვა-კურთხევით შესრულება საქმისა, საწინდარია შრომის კეთილად წარმართვისა, რომელიც სიმდაბლითა და ღვთისადმი მორჩილებით სრულდება.

ვერანაირ ეკონომიკურ პრობლემებს დადებითად ვერ გადავწვეტო, თუ, რა თქმა უნდა, არ გვექნება ღვთის და მოყვასისადმი სიყვარული, რომელსაც დედაეკლესია ქადაგებს.“<sup>27</sup>

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე წარმოების პრინციპები და მეთოდები, ძირითადად, ქრისტიანობის საფუძველზე და მის წიაღში არის ჩასახულ-განვითარებული და მხოლოდ უღვთო საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემების პირობებში მოხდა მათი ღვთივსულოებრივის უარყოფა. ქრისტიანული მეურნეობრიობა თავიდანვე ეფუძნებოდა საკუთრების ნებისმიერ ფორმას, მართვის სხვადასხვა მეთოდს, გეგმურ თუ საბაზრო ურთიერთობებს, პრიორიტეტულობას და გათანა-

<sup>27</sup> ეპისკოპოსი იეგულიელი (ტაბატაძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კინფერენციას მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>, გვ. 12.

ბრებას მოტივაციაში და სხვ. ამიტომ ქრისტიანული წარმოები-სათვის საჭიროა არა რამე ახალი ეკონომიკურ-მმართველობითი პარადიგმების, პრინციპებისა და ფორმების აღმოჩენა-შემოღება, არამედ დიდი ხნის პრობირებულის ღვთივსულიერ შინაარსობრივ საფუძველზე აღორძინება და საყოველთაო გამოყენება.

ამავე დროს, აუცილებლად უნდა ითქვას იმ დიამეტრული თეორიული, მეთოდოლოგიური და პრატიკული განსხვავების შესახებ, რომელიც არსებობს თანამედროვე წარმოებასა და ქრისტიანულ მეურნეობრიობას შორის: თანამედროვე ათეისტური ეკონომიკა მხოლოდ მიწიერი ცხოვრების გააზრებით შემოიფარგლება და ამიტომც შეზღუდულია და ცოდვიანი, ქრისტიანული წარმოება კი ზეციური, საუკუნო ნეტარი ცხოვრების პერსპექტივაზეა დამყარებული და ამიტომაც ყოვლისმომცველია და უფლისათვის სათონ.

ქრისტიანული ეკონომიკური საქმიანობის აღდგენა-დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი გზა იმ ღვთივდადგენილი ზნეობრივი ნორმების დაცვაა, რომელთა უარყოფა ყოველთვის წარმოშობდა და კვლავაც გამოიწვევს უმწვავეს სულიერ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს.

ქრისტიანული ზნეობის დარღვევა დიდ ცოდვიანობას, ღმერთის გმობას და მის განდევნას ნიშნავს, ხოლო ღმერთის გარეშე დარჩენილი ადამიანი „...ეშმაქს მიემსგავსება, რადგანაც ცოდვა ეშმაკის ძალაც არის და სახეც ერთსა და იმავე დროს. და როცა უღმერთკაცოდ დარჩენილი ადამიანი ცოდვას ემუშავება და ემონება, იგი თავისი ნებითვე ხდება ეშმაკის მსგავსი, თავისიანად შეექნება ბოროტ სულს“, ეშმაკის მიზანიც სწორედ ეს არის: „უღმერთო გახადოს ადამიანი, მოაკლოს მას ღვთისმსგავსება, მოსწყვიტოს იგი ღმერთკაც იესო ქრისტეს და, ამგვარად, თავის მსგავს ბოროტ არსებად გადააქციოს“.<sup>28</sup> თანამედროვე ვითარება ამის ნათელი დადასტურებაა – „ჭეშმარიტად, უღმერთობის მიზეზით დაბნელდა სულიც და გონებაც ჩვენი. ადამიანმა დაკარგა უნარი

<sup>28</sup> ღირსი იუსტინე პაპოუიჩი. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი. წიგნში: სიტყვა მართლისა საწმუნოებისა. თბ., 1995, ტ. 5, გვ. 162.

თეორის და შავის, სიკეთის და ბოროტების გარჩევისა და იქცა იარაღად ეშმაკისა“.<sup>29</sup>

ღმერთმა ადამიანის სულს დაუწესა ზნეობრივი კანონი, რომლის მეშვეობით ხელმძღვანელობს ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობას. ადამიანის ამქვეყნიური ზნეობრივი მოვალეობები ოთხ მირითად ჯგუფად იყოფა: საკუთარი თავის მიმართ, მოვასის მიმართ, გარესამყაროს მიმართ და უმაღლესი მოვალეობანი ღმერთის მიმართ.

სამწუხაროდ, დღვეანდელ საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა უდიდესი ნაწილი მხოლოდ ვიოსტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ესწრაფვის აღნიშნულ მოვალეობათა შეუგრძნობლად. ფაქტობრივად უარყოფილია ქრისტიანული ზნეობრიობა, რაც უღმერთობის შედეგი და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის მიზეზია. ამიტომ დღვისათვის უმთავრესი მიზანი მართლაცდიდებლური მსოფლმხედველობისა და ზნეობის აღდგენა უნდა იყოს. ამის გარეშე საქართველოს წინსვლა და განვითარება არ უწერია. ათეისტურ საფუძველზე შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და პროგრამები ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგებს, უზნეობა ამქვეყნიურ განსაკუდელებს, ცოდვისაობას და იმქვეყნიურ ჯოვანეთს გვიმზადებს, ქრისტიანული ზნეობის გამარჯვება კი – ზესვლას და საუკუნო სიცოცხლეს. თითოეულ ქართველსა და სრულიად საქართველოს სულიერი შობა-აღორძინება სჭირდება, ხელახალი შობის გარეშე ჩვენ ვიზილავთ ცათა საუფეველს (შედრ. იოან. 3,3).

ცათა სასუფეველში (ღვთის სასუფეველი, ქრისტეს სასუფეველი) მხოლოდ ქრისტეს ჭეშმარიტი მორწმუნენი, ზნეობრივი და ცოდვების მონაწილი ადამიანები მოხვდებან ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. სასუფეველში ადამიანის სულის საუკუნო ნეტარება იქნება უზრუნველყოფილი. ამავე დროს, მართალი ადამიანები, სულიერ ნეტარებას, ღმერთის შემწეობით, ამქვეყნიური ცხოვრების დროსაც შეიგრძნობენ.

29 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 1994 წლის საშოაო ეპისტოლე. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1994, გვ. 8.

### 1.1.3. მართლმადიდებელი წმინდანები და დგომისმეტყველები ეკონომიკისა და მართვის შესახებ

ბიბლია ადამიანის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეოლოგიური და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია, რომლის მიხედვითაც თანდათან განვითარდა ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნება და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობა.

თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდანების ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების შესწავლას.

ეკონომიკურ საკითხებზე ბევრს წერდნენ წმინდანები, ეკლესიის მამები, ღვთისმეტყველები. მათგან აღსანიშნავია წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ანტონი დიდის, კლიმენტი ალექსანდრიილის და სხვათა ნაშრომები.

ფულის, სიმდიდრის, მართვისა და დიდების შესახებ საკითხების განხილვისას წმ. ბასილი დიდი გვასწავლის, რომ უფლის მიერ შექმნილი ნებისმიერი არსების ნახვისას ცხადად უნდა გავიხსნოთ დამბადებელი მისი: „პირველ რიგში, რაუმას ბალახის მორჩის ან ყვავილს იხილავ, გულისხმაჲავ ადამიანის მსგავსი ბუნება მისი და გაიხსნე სიტყვა იგი ბრძენი ესაიასი: ყოველი ზორციელი თივა არს და ყოველი დიდება კაცისაი ვითარცა ყვავილი თივისაი (ეს. 40,6), რადგანაც სიცოცხლის დროისა და კაცობრივი კეთილდღეობის ხანმოკლე სიხარულსა და შვებას წინასწარმეტყველის მიერ ჭეშმარიტად შესაფერისი ხატი მოეძებნა.

დღეს ვინმე სხეულით განცხრომაშია, ფუფუქებისაგან ზორცითაა დამბიმებული, ჭაბუკური ასაკის შესაფერისად კეთილფეროვნებით ჰყვავის, ძლიერია, სიცოცხლით აღსავსე და სურვილებში დაუმარცხებელი, ხვალ კი, ან დროისაგან ჩამომჭერარი, ან სატკივარით დაუძლურებული მხოლოდ სიბრალულსადა იწვევეს.

დღეს ვინმე ცნობილია დიდი სიმდიდრით, მის ირგვლივ სიმრავლეა პირფერთა და მცველთა, რომელნიც მეგობრობის პატივს

ოჩემებენ და მისი წყალობის მოსაპოვებლად თავს არ ზოგავენ; უამრავი ნათესავი და მრავალრიცხოვანი გუნდი შსახურთა, რომელიც ან მისი საჭმელისათვის ზრუნავს, ან მის რომელიმე სხვა მოთხოვნას აღასრულებს, სახლიდან გასვლისას თუ შინ დაბრუნებისას თან მიჰყვებ-მოჰყვებიან და შემზევდოთა შორის შერს აღძრავენ. ამასთან, სიმდიდრეს რომელიმე სამოქალაქო ძალაუფლებაც დაუმატე, ან პატივი მეფეთაგან, ან მმართველობა ხალხებისა, ან კიდევ წინამდლოლობა ლაშქრისა, მაცნე, რომელიც მის წინაშე ხმამაღლა დაღადებს, კვერთხოსანნი, რომელიც ქვეშევრდომთა ზედა ისეთ საშინელ ტანჯვასა და გვემას მოაწევენ, როგორიცაა ქონების აღწერა, დაპატიმრება და საპტორობილე, რაც აუტნელ შიშს ხელქვეთთა შორის კიდევ უფრო ზრდის. მაგრამ რაღაა შემდგომად ამისა? ერთ დამტე, ერთი ხურგება, ჭვალი გვერდებისა ან ანთება ფილტვებისა მას კაცთაგან წარიტაცებს და სცენიდან გაიყვანს, მყის დაცარიელდება სამოქმედო ადგილი მისი და დიდება მისი, ვითარცა სიზმარი წარხდება. ამიტომაც შეადარა წინასწარმეტყველობა კაცობრივი დიდება უუძლურეს ყვავილს“.<sup>30</sup>

**წმ. ბასილი დიდის თქმით:** „სიმდიდრე ბომბეული გვაქვს ჩენი ცხოვრების შესანახად, და არა ცოდვის წაქეზებისათვის: ოქრო ცხონების საშუალებად უნდა მსახურებდეს, და არა – სულის დასაღუპავად“.<sup>31</sup>

ვერცხლისმოყვარეობისა და სიმდიდრისადმი მონობის შესახებ წმ. ოთახე ანტონი ამბობს: „ეშმაკულით შეპყრობილ ათას კაცთან მივიღობს საქმის დაჭერა, ვიღრე ერთ ვერცხლისმოყვარესთან, რადგან არც ერთ ეშმაკულით შეპყრობილს არ გაუკეთებია ის, რაც გააკეთა იუდამ ფულის გულისათვის“;<sup>32</sup> „იგი (ვერცხლის-მოყვარება)

30 წმ. ბასილი დიდი. პომილიები ექვსი დღისათვის. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2000. საქართველოს საპატირიარქო. თბ., 1999, გვ. 160.

31 ციტირებულია წიგნიდან: სულიერი მდელო. ტექსტი მოამზადეს ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა. რედ. თ. გოგოჩაშვილი. საქართველოს საპატირიარქოს პრესცენტრის გამოცემა. 2005, გვ. 741.

32 ციტირებულია წიგნიდან: ზნეობრივი დვთისტყველება. პასუხისმგებელი გამოცემაზე მღვდელი სერგი კასრაძე. რუსთავი, 1993, გვ. 25.

თიხასა შინა და მწვირესა დაგვფლავს, რამეთუ ოქრო და ვეცხლი თიხა არს და მწვირე, – ხოლო ქრისტე აღგვამაღლებს ნივთთაგან ქვეყანისათა და გვიბრძანებს ზრუნვად საუნჯისა მისთვის ზეცათასა. იგი აქაც შრომით და ურვით წარაგებს ცხოვრებასა ჩვენსა და მუნ თანამდებ გვყოფს ცეცხლსა მის უშრეტისა, ხოლო ქრისტე სასმელისათვისცა ერთისა გრილისა წყლისა მოგვცებს სასყიდელსა მოუკლებელად და უფროსად მრავლად წილად“.<sup>33</sup> წმ. ოთახე ოქროპირი იქვე აღნიშნავს, რომ უკეთური მბლავრის, ანუ მამონას მონობას ადამიანისათვის ტანჯვა და ჭირი მოაქვს, „რამეთუ უმეტესი ჯოჯონეთს მიმავალი ამის მიერ მივლენ, რამეთუ ოქრო შეიყვარეს და გლახაკნი არა შეიწყნარეს“,<sup>34</sup> ამასთან, „ნეტარია მდიდარი, რომელიც არასდროს კარგავს მხედველობის არიდან მადლის სიმდიდრეს. ...უფალმა იმიტომ მოგცა სიმდიდრე, რომ მისით ზეცა იყიდო. ...მდიდრები კი არა, სიმდიდრის მსახურნი განისჯებიან. ...გამდიდრება გსურს? დაუმეგობრდი უფალს და ყველაზე მდიდარი იქნები“.<sup>35</sup>

**წმ. გრიგოლ დვთისმეტყველი წერს:** „სიმდიდრის მოყვარულთა ბიწიერება ისეთია, რომ არაფრით შემოიფარგლება, ითხოვს, რაც შეიძლება მეტს: იგი იმით მკურნალობს დაუოკებელ წყურვილს, რომ განუწყვეტლივ სვამს“.<sup>36</sup>

**წმ. ანტონი დიდი გვასწავლის,** რომ „მარტოოდენ სულის სიმდიდრეა უსაფრთხო და განუძარცველი, ხოლო ეს არის: სათნოებითი და დვთივსაწადი მოღვაწეობა, კეთილ საქმეთა ცოდნა და ქმა, რადგან სიმდიდრე ამ სოფლისა – ბრმა მეგზურია და უგუნური თანამბჭობი; ვინც კი მოიხმარს ამ სიმდიდრეს ბოროტად და განსაცხოობელად, წარიწყმედს კიდეც თავის უგრძნობ სულს“.<sup>37</sup>

33 დვთივ-შევნიერი სწავლანი, რომელსა წწოდება ოქროს წყარო, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირის მიერ. თბ., 1905, გვ. 173-174.

34 იქვე, გვ. 174.

35 ციტირებულია წიგნიდან: სულიერი მდელო. ტექსტი მოამზადეს ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა. რედ. თ. გოგოჩაშვილი. საქართველოს საპატირიარქოს პრესცენტრის გამოცემა. 2005, გვ. 738, 742, 747, 756.

36 იქვე, გვ. 737.

37 წმ. ანტონი დიდი. შეგონებანი ადამიანთა ზნეობისა და საიკეთო მოღვწეობის შესახებ. წიგნში: წმინდა მღვიძარეთა სათნოებათმოყვარეობა. გამოცემის

ამიტომ სულიერი ვნებების მოწევნისას უნდა გვახსოვდეს, რომ „ისინი, რომლებიც მართლაზროვნებენ და სურთ, რომ ყოველივე საკუთარი ჯეროვნად და უსაფრთხოდ განაგონ, არათუ ხრწნადი ნივთების ფლობას მიიჩნევენ საწადელად, არამედ – მართებულ და ჰეშმარიტ სწავლებებს, რადგან ამათგან ბედნიერდებიან ისინი. მართლაც, სიმდიდრე წარიპარება და უძლევრესთაგან მიიტაცება. ასეთ დროს სწორედ სულის სათნობაა ერთადერთი მყარი და განუძარცველი ქონება, რაც გადაარჩენს მის მფლობელს სიკვდილის შემდეგ, რადგან ამგვარად განმსჯელთ ვერ წარიტაცებს ოცნებები სიმდიდრეზე და სხვა დანარჩენ სიამეებზე“.<sup>38</sup>

კლიმიტი აღლესანდრიელი თავის ნაშრომში – „რომელი მდიდარი ცხონდება“<sup>39</sup> – ასაბუთებს პარადიგმული ხასიათის ორ მოსაზრებას: 1) სიმდიდრე თავისთავად არ წარმოადგენს დაბრკოლებას ადამიანის ცხონების გზაზე. ასეთი დაბრკოლება სიმდიდრის მოყვარებაა; 2) კეთილგონივრულად გამოყენებული სიმდიდრე ჟეიძლება ცხონების საშუალებად იქცეს.

მთლიანობაში, ქრისტიანული სწავლების მიხედვით, სიმდიდრე კი არ ხერგავს ცათა სასუფეველში შესასვლელს (იხ.: მათ. 19,23,24), არამედ – უზნევ ბიზნესი, უკეთური გზით ქონების მოპოვება, სიმდიდრის ბოროტად გამოყენება, დაუოკებელი ვერცხლისმოყვარეობა, ანგარება, სიბუნე და გაჭირვებულთა განუკითხაობა. მდიდრები დატაკებს საარსებო წყაროს აძლევენ, დარიბები მდიდრებს კი – მათი ცხონების საშუალებას.

ქრისტიანული ეკონომიკის მოთხოვნებს, სხვა ბევრი წმინდანის ანალოგიურად, რეალურ ცხოვრებაში ახორციელებდნენ მღვდელმთავრები ნიკოლოზ საკვირველთმომქმედი და სპირიდონ ტრიმიფუნტელი.

მთლიანობაში, მართლმადიდებლური მოძღვრება და პრაქტიკუ-

რეცენზიუნტ-კონსულტატი დეკანზი, დვითისმეტყველების კანდიდატი მაქსიმე ჭანტურია. ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოგი დაურთო ედიშერ ჭყლიძემ. თბ., „ახალი ივირონი“, 2006, გვ. 25.

38 იქვე, გვ. 17.

39 Климент Александрийский. Кто из богатых спасется. Ясенево, 2000.

ლი საქმიანობა თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის სფეროში შესაძლებელია გადმოიცეს წმინდანთა მიერ გამოითქმული და პირად ცხოვრებაში განხორციელებული შემდეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადიგმების, პრინციპებისა და კონცეპტუალური აზრების მეშვეობით:<sup>40</sup>

1. რაც საკუთარი თავისთვის არ გსურს, იმას სხვას ნუ გაუკეთებ; და რაც გინდა, რომ სხვებმა გაგიკეთონ, ის ჯერ თვითონ გაუკეთე სხვებს;
2. ნუ ეძიებ საკუთარი თავისთვის სარგებელს – სხვისი დაზიანებით;
3. თითოეულის სარგებელი მოყვასის სიყვარულში მდგომარეობს, მოყვასის სარგებელი კი მის სიყვარულში;
4. იცხოვრე სხვებისთვის, თუ გინდა, რომ საკუთარი თავისთვის იცხოვრო;
5. მეგობრობით კეთილ ადამიანებს უნდა დავუკავშირდეთ; ჩვენი უხსელოესი და უპირველესი საზრუნვაოთ – ახლობლებს; ჩვენი სიყვარულით – ყველას; ჩვენი შემწეობით – გაჭირვებულთ;
6. ჰეშმარიტი სიყვარული ყოველთვის განწყობილია იმაზე მეტის გასაკეთებლად, ვიდრე აკეთებს ან შეუძლია გააკეთოს;
7. სიყვარულის ვალი – ეს ისეთი სახის ვალია, რომ განუწყვეტლივ გრძელდება მისი გადახდა, მაგრამ ბოლომდე არა-სოდეს გადაიხდება;
8. ნუ იქნები თავისმოყვარე და ღვთისმოყვარე იქნები; ნუ იქნები საკუთარი თავისთვის გამორჩენის მოსურნე და მმისმოყვარე იქნები;
9. მიწაზე ისე არაფერი არ ბატონობს გონებაზე და არ ეუფლება გულს, თუნდაც – გულით ქრისტიანებისასაც კი, როგორც ფული და ქონება;

40 იხ.: სულიერი მდელო. ტექსტი მოაშადეს ნ. თარაშვილმა, ხ. რაქვიაშვილმა, თ. ასათიანმა. რედ. თ. გოგონაშვილი. საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის გამოცემა. 2005, გვ. 283-316, 519-538, 624-643, 732-760, 765-772.

10. ოქრო კერპია, რომლის საკერპოზე გროვდებოდნენ და გროვდება კაცთა მოდგმის უმეტესი ნაწილი;
11. ფული მხოლოდ ნიშანი უნდა იყოს, რომელიც ზარაფხანის შესავსებად არის შექმნილი; ახლა კი იგი იქცა ნადავლად, რომლისთვისაც ქრისტიანული სისხლიც კი იღვრება;
12. როგორც იუდამ გაყიდა ქრისტე ოცდაათ ვერცხლად, ასევე მრავალი ადამიანი ქრისტეს მადლს ხრწნად სიმდიდრეზე ყიდის;
13. გამოწურეთ მდიდრების სახლები და ეტლები: ნახეთ რამდენიც ცრემლი დავდინება;
14. ნუ შეურაცხყოფ ღატაკს: იგი უფალთან იჩივლებს;
15. დაინდე ღატაკი და შენც დაგინდობს უფალი;
16. აქ მდიდრები ხშირად მფარველობენ ღარიბებს; იქ (მომავალ ცხოვრებაში) ღარიბები იქნებიან მდიდართა შუამდგომელნი;
17. ვაჭრობაში სასწორად ყოველთვის სინდისი გამოიყენე;
18. მავანი მდიდარია ფულით, სულით კი ღარიბია;
19. ღატაკია ის მდიდარი, რომელიც ხრწნადი ვერცხლითა და ოქროთი მდიდრება, მაგრამ სათხოებით ღარიბდება;
20. პირველ მდიდარს, ისევე როგორც უკანასკნელ ღატაკს, მარადისობაში მხოლოდ მისი საქმენი – კეთილნი და ბოროტნი მიჰყება;
21. თუნდაც მთლიანად მოიპოვო სამყარო, მაინც საფლავში მოთავსდები, სადაც ვერ განარჩევ მეფეს მათხოვრისაგან;
22. მოქეცი მიწიერ სიმდიდრეს ისე, როგორც სტუმარს, რომელიც პატიოსნად უნდა მიიღო და პატიოსნად უნდა გააცილო;
23. მდიდარი, უფლისაგან ბოძებული სიმდიდრის პატრონი კი არაა, არამედ – განმკარგავი და მოურავი, რომელმაც ბოძებულისათვის უფალს თავის დროზე უნდა მიაგოს პასუხი;
24. ის კი არ არის მდიდარი, ვისაც ბევრი აქვს, არამედ ის, ვინც კარგად სარგებლობს იმით, რაც აქვს;
25. იბატონე სიმდიდრეზე, მას კი არ მისცე ნება, გმართოს;
26. ვინც სიმდიდრის მონაა, იგი ისე ინახავს მას როგორც მონა, ხოლო ვინც გადაიგდო მონობის უღელი, იგი გასცემს სიმდიდრეს, როგორც ბატონი;
27. იმისთვის გეძლევა სიმდიდრე, რომ შენც გასცე;
28. სიმდიდრე და ქველმოქმედება განუყრელნი უნდა იყვნენ;
29. ღვთის მოწყალება მოყვასის მიმართ მოწყალებით ეძიე; შეიყვარე ღატაკი, რათა მისი საშუალებით შენც მიიღო ღვთის წყალობა;
30. ადამიანებისათვის იაფთასიანი ქველმოქმედებით შეგვიძლია ფასდაუდებელი ზეციური სასუფეველი მოვიპოვოთ;
31. ფულის ხარჯვას კი ნუ უყურებ, არამედ ამ დანახარჯის მონაგებს;
32. მოწყალების ძალა იმაში კი არ არის: ბევრს გაიღებ თუ ცოტას, არამედ იმაში, რომ გასცე არანაკლები, ვიდრე – შეგიძლია;
33. მოწყალებიდანაც მიეცი სხვებს მოწყალება;
34. ის კი არ არის ჭეშმარიტად გულმოწყალე, რომელიც მოჭარბებულიდან აძლევს, არამედ ის, ვინც საჭიროსაც მოიკლებს ღატაკებისათვის;
35. მოწყალება ის კი არ არის, რომ მხოლოდ ფული მისცე, არამედ ის, რომ ქრისტიანული გულმოწყალებით მისცე;
36. სიხარულით გაცემა მეტს ნიშნავს, ვიდრე – ბევრის გაცემა;
37. მდიდრები მხოლოდ მაშინ შევლენ ცათა სასუფეველში, როდესაც მათ ღარიბები შეიყვანებ;
38. უფალი ბრძნულად და მართებულად აგვარებს გაჭირვებულთა კეთილდღეობას კაცთმოყვარე მწყალობელთა მეშვეობით და კეთილისმყოფელთა ნეტარებას – კაცთმოყვარეობის საქმეთა მეშვეობით;
39. სალესი ქვით შეიძლება გაიგო ოქროს ხარისხი, ხოლო ოქროთი – ადამიანის ხარისხი;

40. სიმდიდრე კი არაა ცუდი რამ, არამედ ვერცხლისმოყვარებაა ცუდი;
41. ვერცხლისმოყვარე ადამიანი ღვთისგან განდგომილია, ისევე, როგორც ვერცხლისმოყვარებაა კერპთთაყვანისმცემლობა;
42. ძეგლისთვის ისევე არ არსებობს ის, რაც მას აქვს, როგორც ის, რაც მას არ აქვს;
43. მიატოვე არა მხოლოდ ამაო საზრუნავი ზედმეტისათვის, არამედ – საჭიროსათვის ზედმეტი ზრუნვა;
44. კარგია სიყვარულითა და სიმშვიდით გამდიდრება;
45. დედამიწაზევე ნეტარია სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეებს ზეციური სამუშაოს მოპოვებაში დაეხმარება;
46. მეფისა და ხალხის ერთიანობა ჭეშმარიტ რწმენაში არის ცხოველმყოფელი წყარო მათი სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ძალისა;
47. მიწიერი მეუფება მხოლოდ ზეციურთან კავშირშია მტკიცე და ჭეშმარიტად წარმატებული;
48. ადამიანთა ჭეშმარიტი კეთილდღეობა ვნებათაგან განთავისუფლებაში მდგომარეობს, ვნებათა შეკავება მხოლოდ რწმენით, ღვთისმოსაობითა და სიმტკიცითაა შესაძლებელი;
49. თანამდებობა, ხარისხი ანდა პატივი ქრისტიანისათვის უღლია, რომელიც ღვთის სახელის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ უნდა დაიდგას;
50. საქმე, რომლის აღსრულებაც ღმერთმა დაგვაკისრა, არასოდეს არ უნდა გადადო იმისათვის, რომ ადამიანს აამო; ადამიანის ნების აღსასრულებლად ღვთის ნებას ნუ უგულებელყოფ;
51. ჯერ საკუთარი თავის მართვა უნდა ისწავლო, შემდეგ კი – სხვებისა;
52. თქვენს ხელქვეითებს ისე მოექცით, როგორც ისურვებდით, რომ თქვენი უფროსი მოგქცეოდათ;
53. უმჯობესია, ხელქვეითებს უყვარდე, ვიდრე ეშინოდეთ, რადგან

- შიში სიცრუესა და პირფერობას ბადებს, სიყვარული კი – ჭეშმარიტებასა და გულმოღვინებას;
54. ადამიანს, რომელსაც უჭირს ქვეშევრდომად ყოფნა, კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება ადამიანების ხელმძღვანელობა;
55. ცხოვრება შრომაა, შრომა კი ცხოვრებაა;
56. ღმერთმა ადამიანი შრომისათვის შექმნა და მისცა მას ამისათვის აუცილებელი ორგანოები; აქედან გამომდინარე, უსაქმური კაცი – ღვთის წესრიგიდან და ქმნილების მიზნიდან გადახვევაა;
57. გიყვარდეს შრომა. თუ ის თავის სარჩენად არ გესაჭიროება, შესაძლოა საჭიროა – როგორც წამალი. შრომა სხეულის ჯანმრთელობაა და სულის სარგებელია;
58. დილით ადგომისას საკუთარ თავს უთხარი: „სხეულო, იმუშავე, რათა გამოიკვებო; სულო, იფხიზლე, რათა ზეციური სასუჯეველი დაიმკვიდრო“;
59. ნურასოდეს იქნები სრულიად უქმად: ან იყითხე, ან წერე, ან ილოცე, ან იფიქრე;
60. თუ სიღარიბე მრავალ მიწიერ სარგებელს გვაკლებს, სამაგიეროდ, მას მიყვავართ იმ გზისაკენ, რომელიც მრავალი ხიფათისაგან არის თავისუფალი;
61. სიღარიბე არასწორად მოპოვებულ სიმდიდრეზე უმჯობესია;
62. უმჯობესია, მცირეოდენი – სიმართლით, ვიდრე ბევრი – უსამართლობით;
63. ღვთისთვის სათნო – დიდებული საქმეები კი არაა, არამედ – დიდი სიყვარული, რომლითაც ისინი კეთდება. არაფერია დიდებული, როცა მცირედ უყვართ, და არაფერია მცირე, როცა მალიან უყვართ;
64. დაე, ყველამ შეასრულოს თავისი დანიშნულება: მაშინ ყველას მაღალი დანიშნულება ექნება – საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის, და მთლიანობაში – შესანიშნავი წესრიგი.

ყოველივე ეს ფრიად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, ამიტომ მართლმადიდებელი სამწესო, მთელი ქართველი ერი უნდა აღიჭურვოს ასეთი სწავლებით, რაც მას ღმერთთან დაახლოებს და პარმონიული, სინერგიული ცხოვრების შესაძლებლობებს გადაუშლის.

#### **1.1.4. ქართველი წმინდანები (წმ. მეფე დავით აღმაშენებელი, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი, წმ. ილია მართალი) ეკონომიკისა და მართვის შესახებ**

თანამედროვე საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს სარწმუნოებრივი და ეროვნული მსოფლიმედველობის პარმონიული ურთიერთშეთანაწყობა.

საზოგადოების წინსვლის ჰემმარიტი გზა უფალთან ყოფნა და მეურნეობის ტრადიციული და თანამედროვე პრინციპების ორგანული დაკავშირებაა, რაც ჩვენი ქვეყნის ღვთიერული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს და გარანტიას წარმოადგენს.

დღევანდელ პირობებში აუცილებელია სახელმწიფოს, ეკლესიისა და ბიზნესის ფურადების ცენტრში მოქმედ ისეთი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკისა და მართვის სარწმუნოებრივი გააზრება, სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა ბიბლიასა და ქრისტიანულ ლიტერატურაში, საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობრიობა, შრომა, სიღარიბე, სიმდიდრე და სხვა.

სამეურნეო-მმართველობით საკითხებს სათანადო ყურადღებას უთმობდნენ თავის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში ქართველი ღვთისმეტყველები, წმინდა მამები, კეთილმსახურნი მეფენი და კეთილმორწუნე ღვდოფალნი.

მამონას ზეგავლენის საშიშროების შესახებ გვაფრთხილებს წმ. მეფე დავით აღმაშენებელი: „ვეცხლი, ვითარცა მიწაი, და ოქროი, ვითარ თიხაი უბნისაი ვიუნჯენ, თაყვანის ვეც ანგაპრებისა მამო-

ნას, ვითარ – იგი ძეველთა მათ – ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა. ...და აწ, მომდრეებელი მუხლისათაი, ვხმობ, ვითარცა სხვაი მანასე: მილხინე, პოი მეუფეო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა, და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა, და ნუ დაშვი მე ქვესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაი, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან“<sup>41</sup>.

ეკონომიკური საკითხების ქრისტიანული გააზრების შესახებ ქადაგებდა და წერდა წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი. ბედნიერების საფუძვლად მას ადამიანის დაუცხრომელი სულიერ-ხორციელი შრომა და ძალისხმევა მიაჩნდა: „...ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი – შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ესენი თუ გსურს ბედნიერება“<sup>42</sup>.

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი პირველად ქუთაისში დაიბეჭდა ორ ტომად 1913 წელს. ეს არის ქართული საღმრთო-მეტყველო სკოლის, კერძოდ კი, ქართული პომილეტიკის საუკეთესო ტრადიციების შესანიშნავი გაგრძელება. წმინდა მღვდელმთავრისა და მეცნიერის „ქადაგებებიცა და „ცდისეული ფსიქოლოგიაც“, რომელიც პირველად 1858 წელს გამოქვეყნდა რუსულად, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ რწმენასა და მეცნიერებას შორის არსებული დაპირისპირება ძალად შექმნილი და ხელოვნურია და რომ სინამდვილებში ისინი ერთმანეთს ეხმარებიან და ავსებენ: მეცნიერული ცოდნის გარეშე რწმენას სიმტკიცე აკლია, ხოლო მეცნიერება რწმენის გარეშე მკვდარია“<sup>43</sup>.

აქ მოვიტანთ ამონარიდს წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა გელათის მონასტერში 1896 წელს

41 დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი. წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. 2, თბ., 1987, გვ. 202, 203-204.

42 ქადაგებანი იმრეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913, გვ. 454.

43 კოპლატაძე გ. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 2001, გვ. 159.

გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს: „მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მსარე ამ დიდებულ კაცისა, რომელ-შიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო, თუ სამდვდელო, – რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სა-მოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწვნილი მეცნიერი იყო და იმდენავე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

...ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ზიდსა სწავლება მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთის-სოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი, და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა ერთმანეთის შეუბლალავად და დაუმორჩებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული<sup>44</sup>.

ბუნებრივია, რომ ასეთი მღვდელმთავარი და მეცნიერი

უყურადღებოდ არ დატოვებდა ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ქრისტიანული გააზრებაა. ასეთ საკითხებს იგი სწორედ სარწმუნოების, მეცნიერების, ერის საჭიროებათა გათავისებისა და დაუღალავი სულიერი და ხორციელი შრომის აუცილებელი ურთიერთშესაბების კუთხით უდგებოდა და ამის საფუძველზე სამწესოს მაშინდელ რთულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ვითარებაში ზნეობრივი ცხოვრებისა და ღვთივსულიერი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის გზებს ასწავლიდა.

**გადმოცემით წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის თეოლოგიურ-ეკონომიკური სწავლების უმთავრეს პარადიგმებს და კონცეპტუალურ მოსაზრებებს:**

1. ანგარიშის შედგენით გონიერი კაცი მოიმატებს გამოცდილებასა, იგი შეიტყობს, რა შეეწევა მის საქმის წარმატებასა, და რა დააბრკოლებს მას, და ესრეთ მომავლის წლისათვის საქმეს უმჯობესად დააწყობს. საუბედუროდ, ჩვენ ყოველთა, გვავიწყდება ერთი ანგარიში, რომელიცა უსაჭიროესია და უმეტესად სასარგებლო არის თვითურლისათვის; რომელი? ქრისტიანული ზნეობითი ცხოვრების და ყოფა-ქცევის ანგარიში წარსულის წლის განმავლობაში. ...ესრეთი ანგარიში უმეტესად სასარგებლო იქნება შენოვის, ვიდრე სხვანი, ვინაიდგან ადამიანის ყოველი საქმის და შრომის წარმატება დამოკიდებულია შინაგანთა მისთა თვისებათა და მიღრეცილებათა ზედა. კეთილ გონიერი ქრისტიანე ყოველ საღამოს გამოიკვლევს თავის სულიერს მდგომარეობასა, შენ წელიწადში ერთხელ მაიც აღასრულე ეს სასარგებლო საქმე<sup>45</sup>.
2. უკეთუ შენ ხარ ვაჭარი, როდესაც იწყებ შენი ვაჭრობის ანგარიშის შედგენას, მაშინ ისიც პკითხე შენ თავს: რა სახით აწარმოებდი ვაჭრობასა, სიმართლით, ანუ მოტყუებით? აღებმიცემაში გახსოვდა შენ, რომ სჯული შენი ყოველ საქმეში მოითხოვს სიმართლესა და პატიოსნებასა, ანუ სამწუხაროდ, შენ

44 ქადაგებანი იმერუთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913, გვ. XII-XIII.

45 იქვე, გვ. 12-13.

- მხოლოდ იმას ფიქრობდი, რაც შეიძლება და რა სახითაც შეიძლება მომეტებული მოგეგო, ერთი სიტყვით, გახსოვდა შენ, რომ კაცი ჯერეთ უნდა იყოს ქრისტიანე და მერმეთ ვაჭარი?<sup>46</sup>
3. თუ ხელმწიფის სამსახურში ხარ, როდესაც შეადგენ შენი სამსახურის ანგარიშსა, მაშინ ესეც ჰქითხე შენს თავს: როგორ ასრულებდი სამსახურსა, კეთილ-სინდისიანად, ანუ ბრუნდეთ? საქმის წარმოებაში შენ, იქნება გახსოვდა მარტო ფორმა, ანუ გარეგანი სახე საქმისა და არა შინაგანი მისი მნიშვნელობა? შენ, იქმნება იმას ცდილობდი, რომ შენთა უფროსთა თავი მოაწონო და ჯილდოები მიიღო, და არა იმას, რომ მოყვასთა შენთა მისცე სარგებლობა და შემწეობა? ერთი სიტყვით, იქნება, შენ დაგავიწყდა, რომ კაცი პირველად უნდა იყოს ქრისტიანე და მერე სამსახურის აღმასრულებელი, ანუ უმჯობეს არს, ქრისტიანობა და სამსახურის აღსრულება ისე განუყოფელად უნდა იყოს შეერთებული შენში, რომ ერთი მეორეს დაამშვენებდეს.<sup>47</sup>
  4. უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გყვანან მოწაფენი, რომელთა შენ ასწავლი ანუ წიგნსა, ანუ რომელსამე ხელობა-სა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირ-მოუთნელი ანგარიში უნდა მისცე შენ სინიდისსა. რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას წარსულის წლის განმავლობაში? გახსოვდა შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა, რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისაგან? მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლის მოწაფესა, არამედ, უწინარეს ყოველთა, პატიოსნება, შრომის მოყვარეობა, ერთი სიტყვით, ქრისტიანობა.<sup>48</sup>
  5. ანგარი კაცი ოდესაც იღებს ქრთამს, ფიქრობს, ბედნიერი და დიდი კაცი შევიქმნებიო. გარნა იმასაც მიხედე, რასა იტყვის მაცდუნებელი: უკეთუ თაყვანის მცე მე, ესე ყოველი მოგცე; მაშასადამე ყოველი ცოდვის აღსრულება არს ეშმაკის თაყვანის-

46 იქვე, გვ. 13.

47 იქვე, გვ. 13-14.

48 იქვე, გვ. 14.

- ცემა; ყოველი სარგებლობა და ქმაყოფილება გამომავალი ცოდვისა-გან, ეშმაკის მსახურება არის, მაშასადამე ღვთის ურის ყოფა.<sup>49</sup>
6. სულიერი სიმდიდრე ემსგავსება ხორციელს სიმდიდრესა: თუ ვაჭარი კაცი არ ცდილობს, რომ ყოველთვის ცოტ-ცოტა მაინც დაუმატოს თვისსა სიმდიდრესა, ბოლოს იგი სრულიად გაღარიბდება. ეგრეთვე, თუ ქრისტიანე არ ცდილობს, რომ თან და თან უმჯობესი შეიქმნება, ბოლოს უარესი შეიქმნება და წარწყმდება.<sup>50</sup>
  7. შეიძლება, მმანო ჩემნო საყვარელნო, კაცმა ამ სოფელში ყოველი თვისი სოფლიური საქმე ისრედ დააწყოს, რომ ყოველი მისი შრომა და მოქმედება გადაიქცეს ღვთის-მსახურებად; ისიც შეიძლება, რომ ყოველი მისი ცხოვრება იყოს მსახურება და მონება მამონისა. ვაჭარი, რასაკვირველია, თავისი გამდიდრებისთვის ვაჭრობს და იღებს; გარნა უკეთუ იგი ვაჭრობს სიმართლით და პატიოსნებით, სიმდიდრეში არ არის ამპარტავანი, სიღარიბეში არ არის სულმოკლე, არამედ ესავს უფალსა, მონაგებისაგან თვისისა განუყოფს რასმეს გლახაკსა და ობოლსა, — ვაჭრობა მისი შეირაცხება ვითარცა მსახურება ღვთისა. ჩინოვნიკი ემსახურება და შრომას სწევს ჯამაგირისათვის და ჯილდოისათვის, გარნა უკეთუ იგი ემსახურება სიმართლით და პატიოსნებით, მსახურება მისი შეირაცხება, ვითარცა მსახურება ღვთისა.<sup>51</sup>
  8. სამთა ეგოდენ დიდთა სათნოებათათვის, ვითარცა ღვთის პატიოს-ცემა, ეკლესიის შემქობა, ობლების გამოზრდა, არა თუ განხერწნადი ფულის გამოღება არ უნდა გემბიმებოდეს, არამედ თავისა შენისა სიცოცხლე არ უნდა დაზოგო.<sup>52</sup>
  9. მხოლოდ ის სიმდიდრე არის მკვიდრი და მაგარი, რომელიც კაცმა მიიღო ერთითა პატიოსნითა შრომითა.<sup>53</sup>
  10. ერთი მეორეს შური ქვეყნას ვერ გააკეთებს, ბედნიერება ქვეყ-

49 იქვე, გვ. 21.

50 იქვე, გვ. 154.

51 იქვე, გვ. 232-233.

52 ქადაგებანი მიერუთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II, ქუთაისი, 1913, გვ. 150.

53 იქვე, გვ. 379.

- ნისა აშენდება მხოლოდ სწავლითა, შრომითა, პატიოსნებითა. ქვეყანა გაძლიერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მცხოვრებნი ერთი მეორეს არ უშლიან, არამედ, ხელს უწყობენ.<sup>54</sup>
11. ჩვენ ქრისტიანენი ვართ, და ვითარცა ქრისტიანეთა უდიდესი ფასი უნდა მივაწეროთ იმ მაგალითსა, რომელსაც გვიჩვენებს საღმრთო ისტორია. მოვიყუანოთ აქედაგან მაგალითი: მაცხოვარი იქსო ვიზორე სრულ ჰასაკის მოსვლამდე და სახარების ქადაგების დაწყებამდე სცხოვრობდა ოსებ ხუროს სახლში და ეხმარებოდა მას ხურობაში. უდიდესი მოციქულთა შორის პავლე, როდესაც თავისუფალ დროს იპოვნიდა ქადაგებიდგან, იწყებდა თვისის ხელითა კერვასა ბაბბის კარვებისასა და იქიდგან ირჩენდა თავის თავსა. უმაღლესნი მამათა შორის, ვასილი დიდი, გრიგორი ლვის-მეტყველი, იოანე ოქროპირი, თავისუფალი რომ იქნებოდნენ ეკლესიის მსახურებისაგან, აღიღებდნენ ბარსა და თოხსა და შეუდგებოდნენ მიწის კეთებასა, ესენი ყოველი დამამცრომელად არ რაცხდნენ ესრეთსა მუშაობასა. მოკლედ: განვაღლოთ გულისაგან ის ცრუ, ცბიერი და მზაკვარი ჰაზრი, ვითომც მუშაობა იყოს კაცის ლირსების დამამდაბლებელი. ბედნიერი არის ქვეყანა, რომელსა შინა ყოველი მცხოვრები, დღნი და მცირენი, არიან შრომის მოყვარენი; თავის შრომაზე და მცადინებაზე აქვთ იმედი და მათგან ელიან წარმატებასა. საწყალი და საბრალო არის ის ქვეყანა, სადაცა უმრავლესნი პირნი შესჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდვიათ ჩინებზე, ჯამაგირზე, ჯილდოზე, ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხ-ჰყოფენ და უკადრისობენ. ღმერთო, განაძე გულისაგან ჩვენისა ყოველი ცრუ ჰაზრი, მოგვეც მხნეობა, დაპბადე ჩვენს შორის სული შრომისა და მოღვაწობისა! ამინ.<sup>55</sup>
  12. ლვისნიერად იქცევა კაცი, რომელსა აქვს გულში ჭეშმარიტი სასოება და სარწმუნოება. თუ მდიდარი არის იგი, არ გან-

- ლაღდება, არ დაივიწყებს თავსა თვისსა. სიმდიდრე მას არ გააფუჭებს: მას ყოველთვის აქვს სახეში მომავალი საუკუნე და ეშინია, რომ არ მოაკლდეს მას, და ჰცდილობს თვით სიმდიდრე თვისი მოიხმაროს ამ საქმისათვის. თუ იგი არის ღარიბი, მაშინ იგი არ შთავარდება სასოწარკვეთილებასა შინა, არამედ სცდილობს, რომ, რაც შეუძლია და რითაც შეუძლია, სათონ-ეყოს ღმერთსა. მაშასადამე, ნუ იფიქრებ, რომ მდიდარი წარწყმდა მხოლოდ მისთვის, რომ სიმდიდრე ჰქონდა, ანუ ღარიბი სცხონდა მარტო სიღარიბით. სიმდიდრე თავის თავად ვერც აცხოვნებს, ვერც წარწყმდს კაცსა, არამედ მოხმარება სიმდიდრისა; მზგავადვე სიღარიბე. სულის ცხოვნება დამოკიდებულია სასოებასა და სარწმუნოებასა ზედა. ვისაც ესენი აქვს გულში ცხოველად, იგი სიმდიდრე-საც მოიხმარს ცხოვნებისათვის და სიღარიბესაც.<sup>56</sup>
13. მართალია, მმანო ჩემნო, დაწინაურებული საზოგადოებასა შინა, ანუ სიმდიდრითა, ანუ სწავლითა, ანუ ხარისხითა, უდიდესია სარგებლობასა უნდა აჩვენებდენ ქვეყანასა. გარნა რაც გინდა წვრილი და მდაბალი იყოს ადამიანი, მაინც შეუძლია მცირე სარგებლობა მისცეს ქვეყანასა. ისიც დიდი სარგებლობა იქმნება, თუ იგი არის შრომის მოყვარე! ისიც კეთილია, თუ მარტო თავის თავს არჩენს.<sup>57</sup>
  14. რაც გინდა მდიდარი იყოს კაცი, მაინც არ უნდა დაუტევოს შრომა. წინააღმდეგ ამისა, თუ მან განისვენა, იგი ზარმაცდება, მიეჩვევა უქმობასა და უქმობა შთააგდებს მას მრავალთა ცოდვათა შინა და ბოლოს სიმდიდრესაც დაჰკარგავს იგი და ყოველსა სულიერსაცა ღირსებასა. ...იგი თვის სიცოცხლეს და სიმდიდრეს ისრე უნდა უყურებდეს, ვითარცა ლვითისაგან დროებით მიბარებულს ნიჭისა, რომელსა ზედა ღმერთი ანგარიშს მოსთხოვს მას. როდესაც მდიდარსა და შემძლებელს კაცს ესრეთი ჰაზრი, მაშინ იგი ვეღარ გაპბედავს, რომ სიმდიდრე მოიხმაროს ჭამისა, სმისა და ლხინისათვის; არამედ სცდი-

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> ქადაგებანი იმერუთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913, გვ. 186.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 357.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 350.

ლობს, რომ მოიხმაროს იგი, როგორადაც იამება მას, ვინც მიაბარა იგი დროებით, ესე იგი ზეციერსა მამასა ჩვენსა.<sup>58</sup>

15. შენ თხოულობ პურსა არსობისასა და ამასთანავე ბოროტად ხმარობ იმასაც, რაც გაქვს, რაც მოგცა კიდეც ღმერთმა; ერთ საღამოს დახარჯავ იმდენს, რაიცა ათს სულს გლახაცს მრთელი წელიწადი გამოზრდიდა. შენ ყელამდი საგსე ხარ ყოვლითა სიკეთითა და მახლობლად შენი სახლისა ზოგიერთი შიმშილით კვდებიან. შენ არ შრომობ, უქმად ატარებ შენს დღეს, თუმცა შენც მოვალე ხარ, მზგავსად სხვათა კაცთა ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა. თხოვ ღმერთსა პურსა არსობისასა (რომელიც ბრძანებს: „რომელიც არ შრომობს, არც უნდა სჭამდესო“).<sup>59</sup>

გადმოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გააზრებასა და პრობლემების გადაჭრას დაუთმო დიდი ყურადღება თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსმა. მის მიერ გამოკვლეულია სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მთელი წყება, სახელდობრ: ბედნიერება, სიმდიდრე, სიღარიბე, სწავლა-განათლება, ვაჭრობა, მართვა და სხვ. მათი უმთავრესი მომენტები საქართველოს დღე-განდელ საჭიროებებს ესადაგება და გვაძლევს სწორ გეზს ქვეყნის მომავალი ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ამიტომ ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების გადაუდებელი ამოცანა არის ის, რომ წმინდანის მექმევიდრეობის სათანადო გამოკვლევისა და გააზრების საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძვლები, ზოგადი პრინციპები და დავსახოთ მათი განხორციელების გზები.

თეოლოგიური ეკონომიკური, როგორც ღვთივსულიერი სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულების ჩამოყალიბების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძე).

58 იქვე, გვ. 394-395.

59 ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II, ქუთაისი, 1913, გვ. 10.

თეოლოგიურ-ეკონომიკური მიდგომის მიხედვით, საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონმდირებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან პარმონიულად შეხამბული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

სწორედ ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტეხილებში, ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე, მსოფლიოში მოწინავე და თვითმყოფადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა.

ამის შესახებ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: „უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ სალბს იქიდამ ჰქონდა ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძლოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოპოვენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“,<sup>60</sup> „...წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ...ეს სამთა უამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ...აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომწევებაა აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგა“;<sup>61</sup> „ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, — გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, საქაოსა-

60 ჭავჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 176.

61 ჭავჭავაძე ი. ერი და ისტორია. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 200, 204.

თვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და პლალადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“.<sup>62</sup>

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეოლოგიურ-მართლმადიდებლური გააზრების საფუძვლები, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადიგმები, კონცეფციები და პრინციპები, შესაბამისი პარაქტიკის ანალიზი, სამეცნიერო-ეკონომიკური კვლევის მეთოდიკის საკითხები და, მთლიანობაში, წმ. ილია მართლის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება გადმოცემულ-ჩამოყალიბებულია ქართველი ერის ამ სათავეანებელი წმინდანის, მეცნიერისა და პრაქტიკოსი ეკონომისტის (ბანკირის) მრავალ ნაშრომში, რომელთაგან აღსანიშნავა: „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, „ერი და ისტორია“, „სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ“, „წინამდღვრიანთ-კარის ქართული სამეურნეო სკოლა“, „ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ“, „ობისის სამეურნეო სკოლის შესახებ“, „სატექნიკო და სახელოსნო საწავლებელთა შესახებ“, „მეცხრამეტე საუკუნე“, „რა გითხრათ?, რით გაგახაროთ?“, სხვადასხვა წლების შინაური მიმოხილვები, „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების საქმე“, „კერძო და სათემო მიწათმოფლობელობა“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზანები“, „პოლემიკა ნოე ქორდანიასთან“, „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“, „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“, „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ“, „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე“, „ძვირფასი სააღებმიცემო ჭირნახულის საქმე“, „მელიორაციის საქმე“, „მევენახეობის და მეღვინეობის საქმე“, „მებამბეობის საქმე“, „პურულის საქმე“, „მესაქონლეობის საქმე“, „ჩვენი მეურნეობა და გზებისა და ბაზრის საკითხი“, „მრეწველობის საქმე“, „წერილები საქართველოს საბანკო-საკრე-

დიტო და საფინანსო საქმეებზე“, „საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“, „ჩვენი გლეხობა და ტყით სარგებლობის საქმე“, „სოფლის მოხელეთა არჩევანი“, „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“, „გაზეთი „მეურნე“ და სხვ.

ბიბლიური მოძღვრების საფუძველზე წმ. ილია მართალი მიიჩნევს, რომ „სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც“. ხორციელ ღონეს იგი „საეკონომიო მოქმედებასაც“ უწოდებს. ყოველი ადამიანის, ერის და ქვეყნის ჭეშმარიტი, ღვთივსულიერი პროგრესი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეს ორი ძალ-ღონე პარმონიულად შეერთლება და „ერთად და განუყრელად“ გვექნება. წმინდანი წერს: „მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას შეარ-და შეარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და, როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყვარში ეს ორი უდღადი, ყოველთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შემზღვიერთად და განუყრელად“.<sup>63</sup>

იურიდიულ-ეკონომიკური, წოდებრივ-ქონებრივი, ორგანიზაციულ-მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო საკითხების თეოლოგიურ-ისტორიული ანალიზის საფუძველზე წმ. ილია მართალი მიიჩნევს, რომ „...ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დაგტროფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართებს და არა ხელის შემართვა“.<sup>64</sup>

ასეთ გარემოებებათა გათვალისწინებით წმინდანი დასკვნის, რომ საყოველთაო სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა შხო-

63 ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა 1892 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955. გვ. 337.

64 ჭავჭავაძე ი. ცხოვრება და კანონი. თხზ., ტ. 6, თბ., 1956. გვ. 56.

ლოდ საერთო, შეერთებული ძალისხმევით არის შესაძლებელი.

წმ. ილია მართლის სოციალურ-ეკონომიკური კვლევა, მისი აზროვნება ეფრდობა ობიექტური ისტორიზმისა და ისტორიის ღვთისმეტყველების კანონზომიერებებსა და პრინციპებს. დღვევანდელი მოვლენების ანალიზს იგი იწყებს წარსულის შეფასებით, საიდანაც გამოკვეთს სათანადო პარადიგმას, კონცეფციას, მაგისტრალურ გზას, რომელიც აწმყოს წაიყვანს წინ მომავლისაკენ.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა ობიექტური კვლევის შედეგად წმ. ილია მართალმა გამოკვეთა სოფლის მეურნეობის უპირატესი როლი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება-გაძლიერებისა და სულიერ-ხორციელი წინსვლის საქმეში: „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. იმიტომ, რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიკური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული. ...ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. აქედამ ადგილად მისახდომია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიქცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდ ფულსაც ხარჯვენ, რომ მაგ უმთავრეს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფერხებელი დენა ჰქონდეს“.<sup>65</sup>

საზოგადოების უპირველესი ზრუნვისა და დაცვის ობიექტად წმინდანმა სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, მიწათმოქმედება აღიარა, რაღაც ხედავდა, რომ „ერთადერთი ღონი ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მოწათმოქმედებაა ჩვენში“. „...თელავის თავად-აზნაურობას ეს საჭიროება უგრძვნია და საგნად შემდგარ ამ-ზანაგობისა დაუდვია განკარგება და გაძლიერება მიწათმოქმედებისა. განკარგება და გაძლიერება სწორედ იმ მხარეს უნდა მიექცეს,

რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინონ, გაუმრავალგვარონ კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემთხვები საჭირნახულო შეუწონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირფასი რამ ჭირნახული დაუდვან საგნად მიწისმომქმედს და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი ააღებინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა“.<sup>66</sup>

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის სამეურნეო-მშართველობითი ურთიერთობების პარმონიზაციის მიზნით წმინდანი გვირჩევს: „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით, თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყურს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცონბდეს, და მეორეს გზით – მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშეველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება“;<sup>67</sup> ამავე დროს, საჭიროა უშუალო მწარმოებლები გავერთიანდეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კოოპერატივებში და „...ვეცადოთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისათვის მიუწოდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყნოთ და ამ გზით ბევრი ერთად შევებნეთ უდელში ცხოვრების ავგარგიანობის საწევლად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს, ჩვენვე გვრგებოდეს“.<sup>68</sup> ასეთი ორგანიზაციების მაგალითად წმინდანს მოჰყვეს: „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოება“, „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“, „ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება“, ჭირნახულის მომყვანთა ამხანაგობები, საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებები და სხვ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნიშანდობლივია თანამედროვე ისრაე-

66 ჭავჭავაძე ი. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 40,42.

67 ჭავჭავაძე ი. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 258.

68 ჭავჭავაძე ი. ძველი და აზალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 13.

65 ჭავჭავაძე ი. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 257-258.

ლის მაგალითი, რომლის აგრარული ეკონომიკის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო კოპერატივები წარმოადგენენ. ამ ქვეყნაში მოქმედებს კო-ოპერატივის ძირითადად ორი ტიპი – უნიკალური კოლექტიური ფორმაციები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნენ: კიბუცები („კომუნალური მურნეობა“) და მოშავები („მუშათა დასახლებები“).<sup>69</sup>

ზოგიერთ ნაშრომში წმ. ილია მართალი განიხილავს ზოგადად მონარქიული მმართველობის ინსტიტუტის და, კონკრეტულად, მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების განხორციელების უდიდეს მნიშვნელობას საქართველოსათვის. მაგალითად, მიწათმფლობელობის სისტემის სამართლიანი და ოპტიმალური მოწყობა-რეგულირების საქმეში საქართველოს მეფეთა როლის შესახებ იგი წერს: „სიკეთე ჩვენის ეკონომიკურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე საღმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშროებული და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ზნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფები, იმ დრომდე ქვეყნა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძლოლია მტერს ასე თუ ისე“.<sup>70</sup>

წმიდანის აღწერით, ჩვენი სახელოვანი მეფები შემკულნი იყენენ ძლიერი ქართული სახელმწიფოს მმართველისათვის აუ-ცილებელი და დამახასიათებელი ისეთი პიროვნული თვისებებით, როგორიცაა: ეკლესიურობა, სულიერება, ზნებორივი სიწმინდე, დიდუნებოვნება, გულით და აზრით გონიერება, განსწავლულობა, ლიდერობა, სამართლიანობა, სიმშვიდე, მეურნის ნიჭი, გამრჯეობა, ქველმოქმედება, გაჭირვებულთა და სწავლითა დაზმარება, უცხოთშემწყნარებლობა.

69 კიბუცების და მოშავების შესახებ იხ.: 4.2.8.

70 ჭავჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 177.

წმ. ილია მართლის მემკვიდრეობა საზოგადოებრივი ცნობიერების და ყოფიერების ყველა სფეროს მოიცავს, რომელთა შორის უმთავრესია ქრისტიანულად გააზრებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა. წმინდანმა და მეცნიერმა, პირველმა ქართველ მკვლევრებს შორის, ჩვენი მრავალსაუკუნვანი ეკონომიკური საფუძვლების სულიერ ჭრილში გამორკვევა აღიარა საქმიანობის ძირეულ მიზნად. მან თავისი შემოქმედებითა და შრომით დაგვანახა, თუ რა უნდა ვაკეთოთ ქვეყნის საზოგადოებრივი კეთილდღეობის აღორძინებისა და შემდგომი სრულყოფისათვის.<sup>71</sup>

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციას საფუძვლად უნდა დაედოს წმ. ილია მართლისული, ქრისტიანული მოძღვრებიდან გამომდინარე პარადიგმების ერთიანობა: „მამული, ენა, სარწმუნოება“, „წარსული, აწყო, მომავალი“, „სულიერი და ხორციელი პური“, „სულიერი და ხორციელი ღონის ერთიანობა“, „წოდებრივ-ქონებრივი თანასწორობა“, „საერთო-ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობა“, „შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხი“, „სწავლა, ცოდნა და მეცნიერება“, „ღონე – ღონეს, შრომა – შრომას“, „სოფლის მეურნეობის უპირატესობა“, „მიწა და გუთანი“, „ეკონომიკური სიძლიერე – საადგილმამულო მრეწველობა“, „მონარქიის როლი ეკონომიკაში“, „პარმონია: მთავრობა, ხალხი, მეურნეობა“, „ურთიერთსიყვარული“.

71 მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდა). სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. ილია მართლის შემოქმედებაში. სადიპლომო ნაშრომი. ხელმძღვანელი გ. შიხაშვილი. თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია, 2000, გვ. 87.

### **1.1.5. სამედიცინო საქმიანობის შართლმაღიდებლური გაპრინტი**

**ბიბლიის სამედიცინო მოძღვრება გვასწავლის:**

1. „თუ არ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, არ დაიცავ და არ შეასრულებ ყველა მის მცნებას და წესებს, რომელთაც გიცხადებ დღეს, გადმოვა შენზე ყველა ეს წყვევლა და გეწევა: ...მოგაწებებს უფალი შავ ჭირს, ვიდრე არ გადაგაშენებს იმ ქვეყნიდან, რომლის დასამკვიდრებლადაც მოსულხარ. მოგწყლავს უფალი ჭლექით, ციებ-ცხელებით, ხურვებით, გვალვით, ხორშაკით და სიყვითლით; დაგიწყებენ დევნას, ვიდრე არ დაიღუპები“ (რკლ. 28, 15,21-22);
2. „ვინც თავისი შემოქმედის წინაშე სცოდავს, დაე ის ჩავარდეს მკურნალის ხელში!“ (ზირ. 38,15);
3. „თუ გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურს დაუგდებ მის ბრძანებებს და დაიცავ ყველა მის წესს, არ შეგყრი არცერთ სენს, ...რადგან მე ვარ უფალი, შენი გამკურნებელი“ (გამ. 15,26);
4. „ემსახურეთ უფალს, თქვენს ღმერთს და გიკურთხებთ იგი პურსა და წყალს. არ გავაჭაჭანებ სნეულებას თქვენს შორის. არ იქნება შენს ქვეყანაში მუცელმომწყდარი და ბერწი; ავავსებ შენი სიცოცხლის დღეებს“ (გამ. 23, 25-26);
5. „ავადმყოფობს რომელიმე თქვენგანი? ეკლესიის ხუცესთ მოუხმოს, რათა ილოცონ მისთვის და ზეთი სცხონ უფლის სახელით. რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს და აღადგენს მას უფალი; და თუ ცოდვები აქვთ ჩადენილი, მიეტევება მას. აღიარეთ ერთმანეთის წინაშე თქვენი ცოდვები და ილოცეთ ერთურთის გამო, რათა განიკურნოთ, ვინაიდან ბევრი რამ ძალუბს მართლის გულმოდგინე ლოცვას“ (იაკ. 5, 14-16);
6. „შენს სნეულებას ნუ მიუყრუებ, არამედ შეევედრე უფალს და განგკურნავს“ (ზირ. 38,9);
7. „უფალმა მიწისგან შექმნა წამლები და გონიერი კაცი არ უგულებელყოფს მათ“ (ზირ. 38,4);
8. „ცოდნა მკურნალს თავს აუმაღლებს და დიდებულთა წინაშე მოუხვეჭს პატივს“ (ზირ. 38,3);
9. „მიეცი ადგილი მკურნალს, რადგან უფალმა შექმნა და ნუ მოიშორებ, რადგან გჭირდება იგი“ (ზირ. 38,12);
10. „პატივი მიაგე მკურნალს, ...რადგან უფალმა შექმნა იგი, რადგან მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ (ზირ. 38,1-2);
11. „განკურნეთ სნეულნი, განწმინდეთ კეთროვანნი, აღადგინეთ მკვდარნი, განდევნეთ ეშმაკნი; უსასყიდლოდ მიგილიათ და უსასყიდლოდვე გაეცით“ (მათ. 10, 8).
12. „მკურნალო, განიკურნე შენი თავი“ (ლუკ. 4, 23).

თეოლოგიური მოძღვრებიდან ცნობილია, რომ ადამიანებს განსაცდელი ან რწმენაში განსამტკიცებლად, ან მცდარი, ცოდვიანი გზიდან მოქცევისათვის ეძლევა. სიკვდილი და ავადმყოფობა კაციობრიობის ისტორიაში სწორედ ადამისა და ევას პირველქმნილი ცოდვის შედეგად შემოვიდა. დღესაც უფალი ადამიანს, რიგ შემთხვევებში, ავადმყოფობას უზავინის ცოდვების გამო, მათი გამოსყიდვის მიზნით, რათა გავაცნობიეროთ ეს მანკიერებანი, შევიცვალოთ ცოდვიანი ცხოვრების წესი.

ავადმყოფობა გვეგზავნება, აგრეთვე, ცოდვების ჩადენისგან შესაკავებლად და, მათი განკურნების შემთხვევაში, უფლის განსაღიძებლად (მაგალითად, იესო ქრისტეს მიერ დაბადებიდან ბრძის განკურნება სილოამის საბანელთან).

ავადმყოფობის დროს ექიმს უნდა მივმართოთ, ამასთან, აუცილებელია „დვოთისაგან ვითხოვოთ კურთხევა მკურნალობაზე და მთლიანად მივენდოთ ღვთის ნებას. მაშინ ლოცვით, მარხვით, მოწყალების გაცე-

მითა და სხვა კეთილი საქმეებით შეგვიწყალებს უფალი და გვაჩუქებს განკურნებას“.<sup>72</sup>

ჩვენი განკურნებისათვის უმთავრესი და უებარია ლოცვები სწორ-თათვის, რომლითაც მივმართავთ უფალ იესო ქრისტეს:<sup>73</sup>

„შენ მხოლო ხარ ქრისტე მსწრაფლ შემწე, მსწრაფლ გამოაჩინე ზეცით საფარველი შენი ჭირვეულსა მონასა (მხევალსა) შენსა ზედა და იხსენ სწორებათაგან ჭირთა და მწარეთა საღმობათაგან და აღადგინე მაქებელად შენდა, და საღიძებელად სამარადისოდ, მეოხებითა ღვთისმშობელისათა მხოლო კაცომოყვარე.

საღმობისა სარეცელსა ზედა მდებარესა და სასიკვდინოთა წყლულებითა მოწყლულსა ვითარცა ოდესმე აღადგინე მაცხოვარ სიდედრი იგი პეტრესი და განრღვეული ცხედარსა ზედა ტვირ-თული, ეგრეთვე აწცა მოწყალეო ვნებულსა ამას მოჰქედენ და განკურნენ, რამეთუ შენ მხოლო ხარ უძლურებათა და საღმობათა და სწორებათა ნათესავისა ჩვენისათა მტვირთველი და ყოველი-ვე ძალების, ვითაცა მრავალმოწყალე ხარ“ და ლოცვა ყოველსა სწორებასა ზედა: „მეუფეო ყოვლისა მპყრობელო, მკურნალო სულთა და ხორცთა ჩუენთაო, რომელი დაამდაბლებ და ადამაღ-ლებ, რომელი სწყლავ და კვალად განკურნებ, მმათა ამათ ჩუენთა ზედა სწორებათა მოჰქედე მოწყალებითა შენითა, მოჰყავ მარჯვე-ნა შენი უხილავი, სავსე ლხინებითა და კურნებითა. განკურნენ მონანი ესე შენი (სახელები) და აღადგინე იგინი ცხედრისაგან სწორებისა მათისა და შეკრისხენ სულსა ამას უძლურებისასა და განაშორე ამათგან ყოველივე წყლულება და ყოველივე საღმობა და ყოველივე გვემა და ყოველივე მხურვალება, გინა ცხრო და რაოდენი რა არს ამათ თანა ბრალი, გინა უსჯულოება მოუტე-ვე, ულხინე, შეუნდევ კაცომოყვარებისა შენისათვის. ჰე უფალო, შეიწყალე დაბადებულნი ესე შენი ქრისტე იესოს მიერ, უფლისა

ჩუენისა, რომლისა არს დიდება თანა ყოვლად-წმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“

აღსანიშნავია, აგრეთვე, შემდეგი საჯანმრთელო ლოცვები, რომლებითაც მივმართავთ წმინდანებს:

- თავის ტკივილის დროს – წმ. წინასწარმეტყველსა და ნათლისმცემელს იოანეს, წმ. დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალს;
- თვალის ტკივილის დროს – წმ. მახარებელ ლუკას, წმ. მიცი-ქულ ფილიპეს, წმ. მღვდელმთავარ ნიკოლოზს, მირონ-ლუკის მთავარებისკოპოსს, წმ. დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალს;
- სიბრძმავისაგან განსაკურნებლად – წმ. მღვდელმთავარ ნიკოლოზს, მირონ-ლუკის მთავარებისკოპოსს, წმ. დიდმოწამე დიმიტრი თესალონკელს, ღირს შიო მღვიმელს;
- სიმუნჯისა და ენაბლუობისაგან განსაკურნებლად – წმ. მღვდელმთავარ ევტიქის, კონსტანტინეპოლელ მთავარებისკო-პოსს, ღირს იოანე რილელს;
- კბილის ტკივილის დროს – წმ. მღვდელმოწამე ანტიპას, პერ-გამის ეპისკოპოსს, წმ. დიდ კეთილმსახურ მეფე ვახტანგ გორ-გასალს;
- გულის დაავადებების დროს – წმ. იოასაფს, ბელგოროდელ ეპისკოპოსს;
- მუცლის ღრუს (კუჭის) დაავადებების დროს – წმ. დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალს, წმ. დიდმოწამე არტემიოსს;
- წელის ტკივილის დროს – ღირს სერაფიმე საროველს;
- ქალის უძლურებისა და სისხლდენის დროს – წმ. მღვდელ-მოწამე იპატის, ღანგრის ეპისკოპოსს, ღირს დავით გარე-ჯელს;
- უშვილობისას – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მშობლებს წმ. და მართალ იოაკიმეს და ანას, წმ. იოანე ნათლისმცემელის მშობლებს წინასწარმეტყველ ზაქარიას და მართალ ელისა-

72 არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე). ქრისტიანული დამოკიდებულება ფადმყოფობისადმი. წიგნში: საქართველოს სამედიცინო კალენდარი 2000. საქართველოს საპატიარქოს გამომცემლობა. თბ., 2000, გვ. 299.

73 იხ.: ვის კვეთორო ფადმყოფობისა და გაჭირვების დროს. რუსთავი, „გორგასალ“, 2002.

- ბედს, წმ. მოციქულთასწორს ქართველთა განმანათლებელ ნინოს, წმ. მოწამე შუმანიკ დედოფალს, ღირს შიო მღვიმელს;
- ალერგიის დროს – წმ. მოწამებს, უკერცხლოთ მკურნალო კვიროს და ოთანებს;
- კიბოსაგან განსაკურნებლად – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „პანტანასა“;
- მემთვრალეობისა და ლოთობის სენის დასაძლევად – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „თასი შეუსმელი“;
- ნარკომანიისაგან განსაკურნებლად – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „პანტანასა“;
- ვნებათა და ცოდვათა დასაძლევად – წმ. მთავარანგელოზ იერომიელს.

ქრისტიანული ზნეობის მიხედვით სავალდებულოდ გვერაცხება შეწევნა გაჭირვებულთა, რომელთაგან, ალბათ, ყველაზე მეტად ავადმყოფები იტანჯებიან და ამიტომაც დიდ დახმარებას საჭიროებენ.

ბიბლიაში სწორულთა მკურნალობას მნიშვნელოვნი ადგილი აქვს დათმობილი. იქსო ქრისტე დიდი სიყვარულით და სრულიად უანგაროდ კურნავდა ავადმყოფებს. ჩამოვთვალოთ ნაწილი ამ სასწაულებრივ კურნებათაგან:

1. სამუშო კაცის ძის განკურნება (გალილეის კანა) – (იოან. 4,43-54);
2. არაწმინდა სულით შეპყრობილის განკურნება სინაგოგაში (კაპერნაუმი) – (მარკ. 1,21-28; ლუკ. 4,31-37);
3. პეტრეს სიდედრის განკურნება (კაპერნაუმი) – (მათ. 8,14-15; მარკ. 1,29-31; ლუკ. 4,38-39);
4. მრავალი სწორულის განკურნება (კაპერნაუმი) – (მათ. 8,16-17; მარკ. 1,32-34; ლუკ. 4,40-41);
5. კეთროვნის განკურნება (გალილეა) – (მათ. 8,2-4; მარკ. 1,40-45; ლუკ. 5,12-16);

6. განრღვეულის განკურნება (კაპერნაუმი) – (მათ. 9,1-8; მარკ. 2,1-12; ლუკ. 5,17-26);
7. ბითეზდას აუზთან სწორულის განკურნება (იერუსალიმი) – (იოან. 5,1-16);
8. ხელგამხმარი კაცის განკურნება შაბათს (კაპერნაუმი) – (მათ. 12,9-13; მარკ. 3,1-5; ლუკ. 6,6-11);
9. ასისთავის მსახურის განკურნება (კაპერნაუმი) – (მათ. 8,5-13; ლუკ. 7,1-10);
10. ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძის მკვდრეთით აღდგენა (ნაინი) – (ლუკ. 7,11-17);
11. ეშმაკეულის განკურნება (კაპერნაუმი) – (მათ. 12,22-23);
12. ღადარინელ ეშმაკეულთა განკურნება (გენესარეთის ტბის აღმოსავლეთი ნაპირი) – (მათ. 8,28-34; მარკ. 5,1-20; ლუკ. 8,26-39);
13. იაიროსის ქალიშვილის მკვდრეთით აღდგენა და სისხლმდინარი დედაკაცის განკურნება (კაპერნაუმი) – (მათ. 9,18-26; მარკ. 5,21-43; ლუკ. 8,40-56);
14. ორი ბრძის განკურნება (კაპერნაუმი) – (მათ. 9,27-31);
15. ეშმაკეული ყრუ-მუნჯის განკურნება (კაპერნაუმი) – (მათ. 9,32-34);
16. ბრძის განკურნება (ბეთსაიდა) – (მარკ. 8,22-26);
17. ბრძად შობილის განკურნება (იერუსალიმი, სილოამის აუზი) – (იოან. 9,1-41);
18. ათი კეთროვნის განკურნება (სამარიისა და გალილეის საზღვარი) – (ლუკ. 17,11-19);
19. ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება (ბეთანია) – (იოან. 11,1-46).

მოციქულებმაც ქრისტესგან მიიღეს სწორულთა მკურნალობის უნარი: „და მოუხმო თავის თორმეტ მოწაფეს, და მისცა მათ ხელმწიფება უწმინდურ სულთა განდევნისა და ყოველგვარი სენისა თუ ყოველგვარი უძლურების განკურნებისა“ (მათ. 10, 1). წარგზავნა მოწაფეები იქსო ქრისტემ ღმრთის სასუფელის საქადაგებლად და სწორულთა განსაკურნავდ და უთხრა მათ: „მიაკითხეთ და უქადაგეთ, რომ მოა-

ხლოვდა ცათა სასუფეველი. განკურნეთ სნეულნი, განწმინდეთ პე-  
თროვანნი, აღადგინეთ მკდარნი, განდექნეთ ეშმაკნი; უსასყიდლოდ  
მიგილიათ და უსასყიდლოდვე გაეცით“ (მათ. 10, 7-8).

უსასყიდლოდ, ანუ უკურცხლოდ მეტავრის პრინციპია, რაც დღევანდელ საქარ-  
თველოში, საეკლესიო-სამონასტრო სამკურნალოთა გარდა, თითქმის  
სრულიად უგულებელყოფილია.

ჩვენში მიმდინარე რეფორმების უმთავრესი მიზანია საბაზრო  
ეკონომიკის დამკვიდრება. ჯანდაცვის სისტემის რეფორმაც, მისი  
დღევანდელი სახით, ძრიდარად, ამ მიზნის აბსოლუტურად იდენ-  
ტურ შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული.

„შოკური თერაპიის“, ტოტალური პრივატიზების და კომერ-  
ციალიზაციის ყოვლისმომცველი მეთოდები უარყოფითად მოქ-  
მედებს ჯანდაცვის მდგომარეობაზე და იწვევს შეუქცევად სამედი-  
ციონო, დემოგრაფიულ და ზნეობრივ გართულებებს.

ცალკეული ადამიანის და საზოგადოების ჯანმრთელობა არ უნდა  
იყოს კომერციის მიზანი და საგან. კომერციის მორევში ნებსით თუ  
უნებლიერ ჩაფლული, ფულს გამოლევნებული, ანგარებით დაავადებული  
მეტავრი, ისევე როგორც სამედიცინო ბიზნესის მესვეური ვერც სა-  
კუთარ თავს განიკურნავს უზნების სენისაგან (შძრ. „მეტავრიალო,  
განიკურნე შენი თავი“ (ლუკ. 4, 23) და ვერც სხვას უშველის რამეს.

ამავე დროს, ექიმის შრომა, მისი უდიდესი პუმანური და სახელმწი-  
ფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მაღალმაზრაუ-  
რებადი უნდა იყოს. იესო ქრისტე აქაც გვასწავლის, რომ ღირსია  
მუშაკი თავისი საგზლისა და საზღაურისა (მათ. 10, 10; ლუკ. 10,  
7). მეტავრის გარანტირებულ მაღალ ხელფასს უნდა აძლევდეს  
სახელმწიფო, ან რომელიმე არასამთავრობო თუ ბიზნეს-ორგა-  
ნიზაცია, ხოლო პაციენტი, წინასწარი იძულების გარეშე, ნე-  
ბაყოფლობითი გასამრჯველოთი, შეძლებისამებრ გამოხატავდეს  
მადლიერებას ექიმისადმი. მისაღებია, აგრეთვე აღტერნატიული,  
კერძო კომერციული სამედიცინო საქმიანობაც, განსაკუთრებით მა-  
შინ, თუ ქვეყანაში იმოქმედებს მაღალორგანიზებული, უსასყიდლო,

სადაზღვევო და ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული ჯანდაცვის  
სისტემა. ასეთი სისტემა უნდა უყრდნობოდეს სახელმწიფოებრივი,  
საეკლესიო-სამონასტრო და მესამე (არასამეტარმეო) სექტორის  
სამკურნალო ორგანიზაციების პარმონიულ არსებობა-განვითარე-  
ბას.

თავდადებული, უანგარო შრომისა და მეტავრის უამრავ  
მაგალითს თვით იესო ქრისტე გვაძლევს ახალ აღთქმაში. ამასვე  
აკეთებდნენ მისი მოციქულები და მოწაფებები. მაგალითად, პავლე  
მოციქული კარვების კეთებით იყო დაკავებული (საქმე 18, 3). მი-  
სივე თქმით, – „თუ ვინმექს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“  
(2 თე. 3,10). ამასთანავე, ვინაიდან შრომა, მისი ღვთაებრივი  
დანიშნულებისამებრ, ცათა სასუფევლის მოპოვებაში უნდა გვეხ-  
მარებოდეს, მაცხოვარი გვასწავლის: „ხრწნადი საზრდოსათვის  
ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება  
საუკუნო სიცოცხლედ, და რომელსაც მოგცემთ ძე კაცისა; ვინაიდ-  
ან მამა ღმერთმა აღბეჭდა იგი“ (იოან. 6, 27).

სწორედ ასეთი საზრდოსთვის ზრუნავდა ქართული სახელმ-  
წიფოს გონიერი და კეთილი მმართველი – წმ. მეფე დავით აღ-  
მაშენებელი, როდესაც ჩაიფიქრა მოწყალე საქმე, ღვთის უდიდეს  
კაცომოუგარეობასთან შემსგავსებული და ააშენა გელათის მონ-  
ასტერთან ქსენონი (საავადმყოფო), რომელშიც შეკრიბა ბერები,  
სამღვდელონი, სნეულნი. მოუმზადა მათ „ყოველივე სახმარი, უნ-  
აკლოდ და სიეხვით, გაუჩინა შემოსავალი. თვითონ მივიდოდა  
ხოლმე, მოიხილავდა, მოიკითხავდა, თითოეულს ეამბორებოდა, მა-  
მასავით აფუფუნებდა, სწყალობდა, ამხნევებდა, რომ მოეთმინათ.  
თავისი ხელით ამოწმებდა საწოლებს, სამოსლებსა და საგე-  
ლს, მათ ჭურჭელსა და სახმარს. თითოეულს აძლევდა სამყოფ  
ოქროს და ზედამდგომელებს აფრთხილებდა. თითოეულის საქმეს  
მშვენივრად და ღვთისმსახურებით განაგებდა“<sup>74</sup>

ეს არის ჯანდაცვის სახელმწიფოებრივი მართვის ქრისტიანული

74 მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ის-  
ტორია. თბ., „მერანი“, 1999, ტ. 3, გვ. 10-11.

მოდელი, რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სათანადო პროგრამა საზოგადოების ყველა ფუნდამენტური სექტორის მონაწილეობით და განვითარდეს სამედიცინო მომსახურების სისტემა დღევანდელ საქართველოში.

### 1.1.6. საფინანსო-საგადასახადო საქმიანობის მართლმადიდებლური გააზრება

საფინანსო-საგადასახადო ოქმატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიბლიურ ღვთისმეტყველებასა და ისტორიაში. საზოგადოებრივ და საგადამზღველო მოვალეობათა საფუძვლები ასახულია სინას მთის კანონმდებლობაში, რომელიც ღმერთმა თავისი სასწაულებრივი გამოცხადების დროს დაუდგინა მორწმუნე ხალხს. ბიბლიურ კანონმდებლობას სხვაგვარად მოსეს კანონმდებლობა (რჯული) ეწოდება, ვინაიდან სწორედ მოსემ მოამზადა ერი საღვთო რჯულის მისაღებად და ღმერთმაც მოსეს მეშვეობით გადასცა იგი ხალხს წერილობითი სახით.

მოსეს სჯულის მიხედვით საგადასახადო მოვალეობა ატარებდა საყოველთაო ხასიათს და კრცელდებოდა არა მხოლოდ ადამიანთა რომელიმე ცალკეულ ფეხაზე, არამედ სახელმწიფოს ყველა წევრზე. ებრაელთა იმჟამინდელ სახელმწიფოში, მისი მარტივი ორგანიზაციული მოწყობის გამო, არ არსებობდა ისეთი სახელისუფლებო დაწესებულებები, რომლებიც გარეშე მატერიალურ მსარდაჭერას საჭიროებდნენ. ამიტომ არც მაშინ და არც მსაჯულთა მმართველობის დროს მოსახლეობის საგადასახადო მოვალეობა არ ატარებდა განსაზღვრულად სახელმწიფოებრივ ხასიათს. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას საჭიროებდა და რომლისთვისაც ღმერთმა საყოველთაო საგადასახადო ბეგარა დააწესა – იყო რელიგიური ორგანიზაცია, თავისი სადღესასწაულო კარვით, აღთქმის კიდობნით და მღვდელმსახურთა ფეხით. ამდენად, საგადასახადო მოვალეობა განსაკუთრებულად რელიგიური ხასიათისა იყო.

გადასახადთა შორის უპირველესად უნდა აღინიშნოს ეწ. სულის

გამოსასყიდი, რომლის დადგენისას უფალმა უთხრა მოსეს: „როცა შეუდგება (აარონი, – ავტორები) ისრაელიანთა აღრიცხვას მათი სათვალავის გასაგებად, გადაუხადოს თითოეულმა აღრიცხვის დროს თავისი სულის გამოსასყიდი უფალს, რომ უამი არ მოედოთ აღრიცხვისას. ეს უნდა გადაიხადოს ყველამ, ვინც სათვალავში გადის: ნახევარი შეკელი საღვთო-შეკელის მიხედვით: ოცი გერაა შეკელში; ნახევარი შეკელი საუფლო ძღვენია. ყველა, ვინც კი სათვალავში გადის, ოცი წლის ასაკიდან მოყოლებული, ძღვენი უნდა მიართვას უფალს. მდიდარმა არ უნდა გადაამეტოს და ღარიბმა არ უნდა დააკლოს ნახევარ შეკელს, რასაც უფალს აძლევთ ძღვნად თქვენი სულის გამოსასყიდად. აკრიფე გამოსასყიდი ვერცხლი ისრაელიანთაგან და გაეცი სადღესასწაულო კარვის სამსახურისათვის. იყოს სამახსოვროდ ისრაელიანთათვის უფლის წინაშე თქვენი სულის გამოსასყიდად“ (გამ. 30, 12-16).

აარონს და მის შთამომავლობას ღმერთმა მღვდლობის სამსახური მიანიჭა. ამასთან, დაუდგინა: „აპა, გავალებ ჩემთვის შემოწირული ღალისათვის ყურისგდებას; ისრაელიანთა მთელს შემოწირულობას გამლევ წილად შენ და შენ შვილებს სამარადისო წესით“ (რიცხ. 18, 8). ღვევიტელებს კი ღმერთმა მისცა „სამკვიდროდ ყველაფრის მეათედი, რაც ისრაელშია, მათი სამსახურის სანაცვლოდ, რასაც სადღესასწაულო კარავთან ასრულებენ“ (რიცხ. 18, 21), ამასთან, დაუწესა: „როცა ისრაელიანთაგან აიღებთ მეათედს, რომელიც თქვენთვის მაქვს მათგან მოცემული თქვენს სამკვიდროდ, უფალს გადაუხადეთ მისგან ღალა – მეათედი მეათედიდან; ...მისგან გადაუხდით საუფლო ღალას აარონ მღვდელს“ (რიცხ. 18, 26, 28).

მოსახლეობისათვის დადგენილი იყო, აგრეთვე, მეათედი მთელი მოსავლიდან, რომელიც ყოველწლიურად მოდის ყანაში, ხორბლის, ღვინის და ზეთის მეათედი, საქონლისა და ცხვრის პირველმოგებული საერთო-სახალხო ზეიმისათვის (რჯლ. 14, 22, 23). ცალკე იყო დაწესებული ბეგარა მიწის ყოველი პირველმოწეული ნაყოფის სახით; იგი ხმაღდებოდა საზოგადოებრივ ზეიმებს (რჯლ. 26,1-5), რომლებშიც, სწავათა შორის, ღარიბი მოსახლეობაც მონაწილეობდა.

ყველა ეს რელიგიური ბეგარა საგალდებულო იყო თითოეული ადამიანისათვის, კანონი არ ყოფდა მოსახლეობას გადამხდელებად და არაგადამხდელებად. მეთედური წესით განსაზღვრული გამოსალები საშემოსავლო ხასიათს ატარებდა, ანუ არ იყო მუდმივად დადგენილი და ყოველთვის ეფარდებოდა შემოსავლის ოდენობას. ხოლო სულის გამოსასყიდის გადახდა ხდებოდა ყველასათვის დაწესებული თანამარი რაოდენობით – ნახევარი შეკლი ვერცხლი დარიბისა და მდიდრისათვის.

აღსანიშნავია, რომ კანონი ათავისუფლებდა ახალდაქორწინებულს ყოველგვარი სოციალური თუ ეკონომიკური ბეგარისაგან ერთი წლის განმავლობაში: „თუ ვინმეს ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავს, ნუ გავა სალაშქროდ და ნურც ნურაფერი დაეკისრება მას; ერთი წლით თავისუფალი იყოს სახლისთვის და გაახაროს თავისი ცოლი, რომელიც მოიყვანა“ (რჯლ. 24,5). ამაში ნათლად ჩანს ბიბლიური კანონმდებლობის კაცთმოყვარე ხასიათი, რის საფუძველზეც ახალდაქორწინებულს ეძლევა საშუალება სრულად ჩაერთოს საშინაო მეურნეობის კეთილმოწყობისა და ოჯახის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

საგადასახადო-საფინანსო მოვალეობების აღსრულება უფლისმიერად აკისრია ცალკეულ ადამიანებს, სამთავრობო, სამეწარმეო თუ არასამეწარმეო ორგანიზაციებს, მასმედიას, მთლიანად სახელმწიფოს, მის ლიდერებს, მეფეებს, პრეზიდენტებს და თვით ეკლესიასაც.

სახელმწიფომ, მისმა ორგანიზაციებმა და მმართველებმა, მეწარმეებმა, ბიზნესმენებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ღმერთის ნების, დაშვებისა და განჩინებების საფუძველზე არსებობენ და მისგანვე მოწოდებული არიან იზრუნონ ადამიანის, ერის, საზოგადოების, ქვეყნისა და ეკლესიის კეთილდღეობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში დუხშირი და სულიერად დაცლილი საზოგადოება არ და ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს არსებობას, ხოლო უფალი სხვა, ხალხისათვის მზრუნველ მმართველობასა და მეწარმეებს მოუვლენს ქვეყანას.

ებრაელთა მეფე, ბიბლიური წინასწარმეტყველი, მეფისალმუნე და-გითი, მაშინდელი სახელმწიფო მოხელეები, სამხედროები, მეწარმეები,

მთელი ერი მაღლიერებითა და სიყვარულით სწირავდნენ ღმერთის ნებით მიღებულ ქონებას იმავე ღმერთს და მის ეკლესიას. წმ. დავითი ასე მიმართავს ქვეყნის შემოქმედს და გამგებელს: „შენია, უფალო, დიდება, ძლიერება, ქება, ძლევა და დიდებულება, ისევე როგორც ყოველივე ცაზე და ქვეყნაზე. შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება. ვინა ვარ მე, ან ვინ არის ჩემი ერი, ამდენის შემოწირვა რომ შევიძელით? რადგან ყოველივე ეს შენგან არის, ეს ყოველივე შენი ხელით მოცემული შემოგწირეთ. ვინაიდან მდგმურნი და ხიზანი ვაროთ შენს წინაშე, ჩემი მამა-პაპის მსგავსად. ახლა კი გახარებულს ვხედავ აქ მყოფ შენს ერს, რომელიც შესაწირავს გიძღვნის. სამარადისოდ დაიცავი ეს, შენი ერის გულის ფიქრები და ზრახვანი და შენსკენ წარმართე მათი გულები“ (1 ნეშტ. 29, 11-18).

სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების უპირველესი მოვალეობა სწორედ ღმერთისადმი პატივის მიგება და სულიერების აღმშენებლობა.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, თუ რა დიდ სახსარს და შრომას გაიღიძნენ ჩვენი მეფეები, ერი და სახელმწიფო სულიერებისა და ზნეობრიბის აღმშენებლობისათვის არა მარტო საქართველოში, არამედ თვით ისრაელსა და ქვეყნიერების სხვა კუთხებშიც. ამას ემსახურებოდა როგორც საქართველოს ოფიციალური საგადასახადო-საფინანსო პოლიტიკა, ასევე ცალკეული ორგანიზაციებისა და პიროვნებების კეთილი ნება.

სამწუხაროა, რომ დღევანდელ საქართველოში ეს ბიბლიური მოვალეობა და ისტორიული ტრადიცია ჩვენი საგადასახადო-საფინანსო პოლიტიკისათვის მეორეხარისხოვან საგანს წარმოადგენს. ამავე პოლიტიკის უმთავრესი მიზანია გადასახადის ამოღება ნებისმიერი საშუალებით და თითქმის სრულად არის უგულებელყოფილი ისეთი მნიშვნელოვანი ზნეობრივ-სამურნეო ფაქტორი, როგორიც გადამხდელთა საერთო სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი მდგომარეობა და

კონკრეტული გადახდისენარიანობაა. ასეთი გარემოებით თამამდებან ბიზნეს-ორგანიზაციებიც, რომლებიც, თავის შერივ, მძარცველურ ფასებს და ტარიფებს უწესებენ მომხმარებელს – გაზზე, ელექტროონურგაზე, საწვავზე, წამლებზე, სამდიცინო მომსახურებაზე, ტრანსპორტზე და სხვ.

კვლავ დავუბრუნდეთ ბიბლიურ მოძღვრებას და ვნახოთ, თუ რას ასწავლის იგი ეკონომიკის მესვეურებსა და სხვადასხვაგვარი გადასახად-ტარიფების დამდგენ-შექრებებს გადამხდელის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, იმ ფონზე, როცა საქართველოში გადამხდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად გადახდის-უუნაროა. ამისათვის განვიხილოთ თეოლოგიური სწავლება შრომის საზღაურისა და დარიბებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ბიბლიის ტექსტებში განსაკუთრებულად არის ხაზგასმული შრომის დაფასებისა და მუშაკის საზღაურის მნიშვნელობის საკითხი. ბიბლია გვასწავლის: „ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ (ლუკ. 10,7), ხოლო გასამრჯელოს გადახდის აუცილებლობაზე ნათქვამია: „ნუ დაჩაგრავ მოჯვამაგირეს და დარიბ-ლატაკს, შენი მომმე იქნება ის თუ შენს ქვეყნაში, შენს კარზე მცხოვრები მდგმური. თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან დარიბია იგი და შენი იმედი აქვს; არ გიჩივლოს უფალთან და ცოდვა არ დაგედის“ (რჯლ. 24, 14, 15); „ნუ შეავიწროვებ შენს თვისტომს, და ნუ გაძარცვავ; ნუ დაიტოვებ დილამდე ქირის კაცის გასამრჯელოს“ (ლუკ. 19, 13); „როცა შენი მომმე გადარიბდება შენს თვალწინ, და შენ მოგეყიდება, მონურად ნუ ამუშავებ. ნუ იბატონებ მასზე ძალმომრეობით და შენი ღმერთის გეშინოდეს“ (ლუკ. 25, 39, 43); „დარიბს ნუ წაროთმევ, რადგან დარიბია იგი; ბერავს კარიბჭესთან ნუ დაჩაგრავ; რადგან უფალი გამოესარჩლება მათ და მის მძარცველთა სულს გასძარცვავს“ (იგავ. 22, 22, 23).

ყველა ვალდებულია დაეხმაროს და გადარჩინოს დარიბი ადამიანი. ხოლო უსამართლო, გულქა, მძარცველ და სასტიკ ადამიანებს ღმერთი ჯეროვან სასჯელს განუმზადებს. ასეთებს არ ასცდებათ უფლის და ერის წყველა (რჯლ. 27, 19) და საუკუნო ცეცხლსა და გაებას დამსახურებენ (იაკ. 5, 3, 4; ეს. 10, 1-3). ასეთი სასჯელის მაგალითები ბიბლიასა და ჩვენს რეალობაში უამრავია.

უდიდესი ბიბლიური მცნების მიხედვით, ადამიანისა და საზოგადოების მოღვაწეობა, სახელდობრ, ეკონომიკური და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობა სიყვარულის უზენაეს გრძნობას უნდა ეფუძნებოდეს. ამასთან დაკავშირებით, ა. რიხი მრავალგზის აღნიშნავს, რომ ადამიანის ნებისმიერ საქმიანობაში უმთავრესია ქრისტიანული ჰემანურობა (რწმენა, იმედი, სიყვარული). ადამიანის სიყვარულის აუცილებლობის პრინციპი „სამართლიანია არა მხოლოდ უშუალო პიროვნული, არამედ ინსტიტუციონალურ-განზოგადებული ურთიერთობებისთვისაც, მათ შორის – ეკონომიკური სისტემების შიგნით“.<sup>75</sup>

თეოლოგიური ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – ფასეულობათა (მათ შორის ფულის, ქონების, სიმდიდრის) ჰემანურობით, სიმრთლით (ღვთივადებენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.

მეურნეობრიობის შედეგად მიღებული დოველათის განაწილება-გადანაწილებისა და, კერძოდ, საგადასახადო-საფინანსო საქმისათვის ფუზემდებლურს და სავალდებულოს უნდა წარმოადგენდეს იესო ქრისტეს სწავლება: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათ. 22, 21). მასში ასაზულია სამურნეო საქმიანობის უმთავრესი ფუნქცია და ზნეობრივი ნორმაც. კეისრის (ხელისუფლების) მსახურება ხელს არ უნდა უშლიდეს ღმერთის ჭეშმარიტ მსახურებას და ზნეობრიობის აღსრულებას.

ამ გარემოებას გადასახადების დამდგენ-ამკრეფიც და გადამხდელიც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლიზიები გარდუვალია. ამის შესახებ წმ. ოთარე თქრიპარი ამბობს: „ხოლო შენ, კაცო, ოდეს გესმას, თუ: „მიეცით კეისრისაი კეისარსა“, უწყოდე ვითარმედ მათ საქმეთა იტყვის მიცემად კეისრისა, რომელინი ღმრთისმსახურებასა არა ავნებენ, ვითარ არს ხარკი ანუ ზუერი, გინა თუ ესევითარი რაიმე. ესე არიან კეისრისანი. ხოლო უკუეთუ ესევითარსა რასმე ეძიებდეს კეისარი (რომელ არს მეფე), რომელ სულისა სავნებელ იყოს და ღმრთისგან განმყოფელ, არა ჯერ-არს მორჩილებაი. უკუეთუ ესევითარსა რასმე ზედა ვპმორჩილობდეთ,

75 Рих А. Хозяйственная этика. Пер. с нем. Е.Довгань.Франкфурт на майне, Москва, Посев, 1996, с. 416.

არა კეისრისად არს იგი საქმე, არამედ ეშმაკისა ხარკი არს და ზუერი ესევითარი იგი“.<sup>76</sup>

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ განხილული ბიბლიური სწავლება რიგ შემთხვევებში თითქმის სრულად შეესაბამება დღევანდელ საქართველოში დასაქმება-ანაზღაურებისა და გადამსდელთა საკალალო მდგომარეობას. საგადასახადო-საფინანსო და საფასო-სატარიფო პოლიტიკის შემთხვევებელ-გამტარებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ გადამსდელთა მასას აუცილებლად ზნეობრივი და პუბლიკური საზომებით უნდა მოუდგეს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ეფექტიანი სამეწარმეო და საფინანსო საქმიანობის წარმართვა, გადახდისუნარიანობის ამაღლება, გადასახადების მობილიზება, ბიუჯეტის გაზრდა-განმტკიცება და რეალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი.

#### 1.1.7. თეოლოგიური ეკონომიკა — სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა

ადამიანის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საფუძველია საღმრთო ნება და განგებულება. ასეთ საქმიანობას აქვს თავისი ღვთივსულიერი თეორიული (თეოლოგიური) საწყისი და პრაქტიკული გმოვლენა.

სარწმუნოებრივ საფუძველზე დამყარებულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობას შეისწავლის და წარმართავს სათანადო სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა — თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი, მთანი, ამოცანები, პრინციპები, პარადიგმები, მეოთხები და ა.შ.

თეოლოგიური ეკონომიკა ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ზასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინაა. იგი შეისწავლის სამეურნეო-მმართველობით პროცესებში ადამიანისა და საზოგადოების მატერიალურ

და სულიერ მოთხოვნილებათა დაგმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოკუმენტის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანისა და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს.

თეოლოგიური ეკონომიკა არის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ღვთივდადგენილი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ პარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.<sup>77</sup>

ბიბლიური ეკონომიკური მოძღვრებიდან და დიდი სჯულის კანონის დებულებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპი — ფასეულობათა (მათ შორის — ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.<sup>78</sup> სიმართლე, ზნეობა და სიკეთე კი სიყვარულია — სიყვარული ღმერთის, მოყვასის და უფლის ქმნილების მიმართ, ამიტომაც ქრისტიანული ეკონომიკა სიყვარულს უფუძნება და სიყვარულის კვლავწარმოებას ისახავს უზნეას მიზნად.

თუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2008 წლის მაისში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე — „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, ბოლნისის ეპისკოპოსი უფრომი (გმრეკელიძე) აღნიშნავდა: „ქრისტიანული ეკონომიკა, როგორც თეორიულ-პრაქტიკული მოძღვრე-

77 თეოლოგიური ეკონომიკის ძირითადი ცნებებისა და პარადიგმების შესახებ იხ.: 1) შიხაშვილი გ. ეკონომიკური თეორიასა და პრაქტიკის მართლმადიდებლური საფუძვლების გააზრუბისათვის. უურნ. „ეკონომიკა“, 1994, №9-12; 2) შიხაშვილი გ. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი. თბ., 1996, გვ. 11-13. 3) შიხაშვილი გ., მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია), შიხაშვილი გ. თეოლოგიური ეკონომიკის საფუძვლები: პარადიგმები და კონცეფციები წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) შემოქმედებიდან. უურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2008, №2, გვ. 20-21.

78 დიდი სჯულის კანონი. ლანგრის კუბის კანონები. მუხლი 21. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1987. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1987, გვ. 194, 536.

76 წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანებაზი მათეს სახარებისათვის. თარგმანი წმ. ეფთვიძე მთაწმინდელისა. წიგნი III, თბ., 1998, გვ. 259.

ბა, უნდა ეფუძნებოდეს, უპირველეს ყოვლისა, წმიდა წერილს, ბიბლიას, როგორც უტყუარ და უალტერნატივო ჭეშმარიტებას, აგრეთვე, ჩვენი ეკლესის, განსაკუთრებით, სამონასტრო მოღვა-წეობის მდიდარ ისტორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას. ასე-ვე გლეხკაცობის, პატიოსან მიწათმოქმედთა ბუნებრივ მოვლენათა დაკვირვების შედეგად დაგროვილ სამეურნეოდ საჭირო უნარ-ჩვე-ვებს, დაბოლოს, რა თქმა უნდა, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უნიკალურ მიღწევებს. გავიმეორებ, რომ ჩვენი წარსულში ცნობილი სამონასტრო კომპლექსები ამ მიმართებით ჩვენთვის ძალზედ დიდი მაგალითია, ვინაიდნ იქ მყოფი მამები, გარდა ღვთივსულიერი ცხოვრებისა, უძლრესად გამოცდილი პრაქტიკოსი მეურნენი და გამგე-ბელნი იყვნენ. ამ მხრივ კი დღეს ბევრი რამ შესასწავლი და გა-მოსაყენებელია. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მეცნიერ მუშავები სტუ-დენტებთან ერთად თავიანთ ნააზრევსა და მიგნებებს პერიოდულად საერთო სახელმძღვანელო ნაშრომებად აქცევენ, რაც აღმავლობისა და აღორძინების მდგომარეობაში მყოფი თანამედროვე ეკლესია-მონასტრებისათვის სასარგებლო თანადგომა იქნება“.<sup>79</sup>

**ბოლო პერიოდში თეოლოგიური ეკონომიკა გვევლინება როგორც სასწავლო დისციპლინა, რომელიც ინერგება სხვადასხვა უმაღლეს სა-სწავლებელში.**

ეკონომიკური საქმიანობის მხოლოდ ღვთივსულიერი სამეცნიერო-პრაქტიკული გააზრება მოვციტანს რეალურ სასურველ შედეგებს, ვინაი-დნა მარტოლენ „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება, მასთან არის მართალთა შეწევნა, ის არის ფარი უმწიკვლოთათვის, იცავს სამართლის გზებს და მადლიანთა სავალს იფარავს... ბედნიერია ის კაცი, ვინც პპოვა სიბრძნე და ვინც გონიე-რება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი ხალას ოქროს“ (ივავ. 2,6-8; 3,13,14).

**საქართველოს მართლმადიდებელი და სხვა დაინტერესებული ეკო-**

ნომისტების გადაუდებელი ამოცანაა ქრისტიანული ეკონომიკას, რო-გორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინის წარ-მოჩენა, ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი და უფლისათვის სათანადო ფორმების, მიმართულებებისა და მასშტაბების, ამ სფეროში ცოდვიანობის სილრმისეულობის განსაზღვრა და ცოდვათა მაქსიმალური აღვეთის გზების დადგენა, საქართველოს ეკონომიკის მართვის მაკრო და მიკრო დონეებზე შესაბამისი გამოკვლევა-ანალიზის ჩატარება და ამის საფუძველზე ქვეყნის ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სათანადო კონცეფციისა და რეკომენ-დაციების შემუშავება.

**ამასთან დაკავშირებით პროფესორი ი. გაგნიძე წერს, რომ „მთე-ლი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური საქმიანობის წარმატების საფუძველი მართლმადიდებლური ცნებებით ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ. მხოლოდ იგი წარმოადგენს ერის „სულიერ საკვებს“, თითოეული მოქალაქესა და მთლიანად ქვეყნის ინტერესების ერთ მთლიან ჯაჭვში, ერთმანეთისადმი დაპირისპირების გარე-შე, ჰარმონიულ იერარქიაში სინერგიული ეფექტით შექრებსა და გამაერთიანებელს“.<sup>80</sup>**

უდიდესი ცოდვა, ჩვენ მიერ ჩადენილი უფლის განგებულებისა და ერის წინაშე არის საქართველოსათვის ღვთივმიმადლებული გეორგიანუ-ლობის – სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაკრიტიკული ეფექტებისათვის სასარგებლო თანადგომა იქნება“.

**მომადლებულის გმობისათვის უკვე ვისჯებით:** მიწები გაყიდულ-გა-პარტაქებულია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არ მუშავდება, სოფლები უსახურ და უფუნქციო დაბა-ქალაქებად გადაიქცა, ტყეები გაიჩეხა, მდინარეები დაშრა, კვების პროდუქტებს ვეღარ ვაწარმო-ებთ და სხვა. მიწის ბარაქა დავკარგეთ და ვერც ინდუსტრიამ მო-გვიტანა სიკეთე, დამშეულ და მათხოვარ ქვეყნად ვიქეცით...

**ტრადიციული მიწათმოქმედების (გეორგიანელობის) აღორძი-ნებისაკენ მოგვიწოდებდა უწმინდესი და უნეტარესი ილია II ჯერ კიდევ 1995 წელს: „...ჩვენც გვმართებს გამოვიძიოთ, რას საქმია-ნობდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს, როცა ნედლეულისა და მანქანა-**

<sup>79</sup> ეპისკოპოსი ეფრემი (გმრეკელიძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>, გვ. 12.

<sup>80</sup> გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა. თბ., „უნივერსალი“, 2007, გვ. 35.

დანადგარების ნაკლებობა ასე მწვავედ იგრძნობა, ფაბრიკა-ქარხნები ერთ დღეში ვერ ამუშავდება. კრიზისიდან გამოსვლისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს მიწა, ჩვენი მარჩენალი. ხალხი ჯერ შიმშილისგან უნდა ვიხსნათ, შემდეგ კი შეგვეძლება წარმოების თანდათანობით აღდგენასა და განვითარებაზეც ვითვიროთ. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია“.<sup>81</sup>

აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია საეკლესიო ეკონომოსების, საერო ეკონომისტებისა და ბიზნესმენების მომზადებისათვის განათლების სათანადო სისტემის ორგანიზება.

ასეთი სპეციალისტების მომზადება შეიძლება მოგვარდეს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში (სადაც 2007 წლიდან უკვე მოქმედებს სპეციალური „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1997-2006 წლებში თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიაში და 2002-2004 წლებში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ერთ-ერთი ავტორის (გ. შიხაშვილი) მიერ იკითხებოდა კურსი „თეოლოგიური ეკონომიკა“, დღეისათვის, იმავე ფაკულტეტზე ზოგადი მენეჯმენტის სპეციალობისათვის მის მიერვე დანერგილია საგანი „საეკლესიო მეურნეობის მენეჯმენტი“, ვამზადებთ, აგრეთვე, პროგრამას დოქტორანტურისათვის სახელწოდებით: „თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძლები“.<sup>82</sup>

მთლიანობაში, თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის დისციპლინების პროგრამებს, ჩვენი აზრით, საფუძლად უნდა დაედოს ქრისტია-

ნული გააზრება და მისგან გამომდინარე თემატიკა, რომლის ძირითადი საკითხები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- 1. ადამიანის ცხოვრების ქრისტიანული აღქმა**
  - 1.1. ადამიანი, როგორც ღმერთის ქმნილება, მისი ხორციელი და სულიერი საწყისები;
  - 1.2. ადამიანის ღვთივდადგენილი დანიშნულება და ცხოვრების მიზანი; ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება;
  - 1.3. ოჯახი, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების ძირითადი საფუძლები.
  
- 2. ეკონომიკისა და მართვის ქრისტიანული გააზრება**
  - 2.1. ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება. მოხმარების არსი;
  - 2.2. შრომის, წარმოებისა და მართვის აუცილებლობა;
  - 2.3. ეკონომიკისა და მართვის ადგილი და როლი ამქვეყნიურ ცხოვრებაში;
  - 2.4. საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა;
  - 2.5. ცოდვიანობა ეკონომიკასა და მართვაში, ეკონომიკური მომენტები მომაკვდინებულ ცოდვებში.
  
- 3. ეკონომიკურ-მმართველობითი საკითხები ბიბლიასა და ქრისტიანულ ლიტერატურაში**
  - 3.1. ეკონომიკა და მართვა ძველსა და ახალ აღთქმაში;
  - 3.2. სამეურნეო-მმართველობითი საკითხები კანონიკურ მართლმადიდებლურ ლიტერატურაში, ეკლესიის მამების, ღვთისმეტყველებისა და წმინდანების შემოქმედებასა და ცხოვრებაში;
  - 3.3. თანამედროვე ქრისტიანობა ეკონომიკისა და მართვის შესახებ;
  - 3.4. საეკლესიო და სახელმწიფო მმართველობის სიმფონია, მონარქიის ინსტიტუტი.

81 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1995, გვ. IX.

82 თეოლოგიური ეკონომიკის სფეროში განათლების შესახებ იხილეთ, აგრეთვე, 4.1.-ში.

4. ეკონომიკური აზროვნების განვითარება ქრისტიანული სარწმუნოების შექმნები
  - 4.1. ეკონომიკური აზრის ქრისტიანული ნიმუშები ისტორიული პერიოდებისა და ცალკეული ქვეყნების მიხედვით;
  - 4.2. ათეისტური და არაქრისტიანული თეოლოგიური სამეცნიერო-მართველობითი მოძღვრებები.
5. თანამედროვე ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობა ქრისტიანული ზნების მოთხოვნათა ფონზე
  - 5.1. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დახასიათება;
  - 5.2. ეკონომიკა, ბიზნესი და მართვა გლობალიზაციის პირობებში;
  - 5.3. საკუთრება, შრომა, წარმოება, ვაჭრობა, კონკურენცია, მონოპოლია, ფული, ფინანსები, დაგროვება და სიმდიდრე დღევანდელ პირობებში;
  - 5.4. ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ცალკეულ ადამიანებსა და ოჯახის წევრებს შორის;
  - 5.5. ეკონომიკა და გარემოს დაცვა;
  - 5.6. ეკონომიკა და ომები, სამხედრო წარმოება;
  - 5.7. სახელმწიფო და ეკლესია;
  - 5.8. საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობრიობა;
  - 5.9. ქრისტიანული თემის ეკონომიკა;
  - 5.10. ეკონომიკურ-მმართველობითი ცოდვაანობის მაქსიმალური აღკვეთა – გადარჩენის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება;
  - 5.11. ცალკეული ადამიანის, ერის, სახელმწიფოსა და კაცობრიობის გადარჩენის ღვთივდადგენილი აუცილებლობა და ეკონომიკურ-მმართველობითი წინამდღვრები;
  - 5.12. სამყაროს დასასრული და ეკონომიკის ესქატოლოგიურობა;
  - 5.13. ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარდიგმები, კონცეფციები და მოდელები.

6. თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა
- 6.1. ეკონომიკური თეორიის ქრისტიანული საფუძვლები;
- 6.2. ქრისტიანული ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა;
- 6.3. ქრისტიანული ეკონომიკის სწავლების საკითხები საერო და სასულიერო სასწავლებელში.

7. საქართველოს მატერიალური და სულიერი პროგრესის მართლმადიდებლური პრინციპები:
  - 7.1. საქართველოს ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია;
  - 7.2. საქართველოს ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები და პროგრამები.
- აღსანიშნავია, რომ სასწავლო დანიშნულებასთან ერთად, ჩამოთვლილი საკითხები ატარებენ სამეცნიერო ხასიათს, რის საფუძველზეც შესაძლებელია გაიშალოს სათანადო კვლევითი სამუშაოები.

## 1.2. პორტოპროტიკული ბიზნესი და მასშედია პრისტიანული ზეორბის თვალსაზრისით

### ბიბლიური მოძღვრება გვასწავლის:

1. „ნუ იქმთ საქმესა შეგინებისა ამისსა, რომელი მოვიძულე“ (იერემ. 44,4);
2. „მებავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“ (ქბრ. 13,4);
3. „იქნებ არ იცით, რომ თქვენი სხეული ქრისტეს ასონი არიან? ნუთუ ასოებს წავართმევ ქრისტეს, რათა მებავის ასოებად ვაქციო ისინი? ...ან იქნებ არც ის იცით, რომ ვინც მებავს შეერთვის, მისი ერთხორცი ხდება; რადგანაც ნათქვამია: „ორივე იქნება ერთ ხორცი“. ხოლო ვინც უფალს უერთდება, ერთი სულია მასთან ერთად. ...ნუთუ არ იცით, რომ თქვენი

სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სული წმიდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან, და რომ არ ეკუთვნით თქვენსავე თავს? ...მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა“ (1 კორ. 6, 15-20).

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების კვალიბაზე ადამიანთა ცნობიერებასა და საქმიანობაში თანდათან მკვიდრდება ბიზნესი თავისი რეალური თუ წარმოსახვითი მიმზიდვებლობით, მრავალფეროვნებითა და შესაძლებლობებით. მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთსარგებლიანობა ნორმალური ბიზნესის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა. მომხმარებელი თავისი სურვილისა და შესაძლებლობების მიხედვით ირჩევს მწარმოებელს, მის პროდუქციას ან მომსახურებას. ეს ბიზნესის უზოგადესი თეორიული პრინციპია, მისი ასტრაქტული მოდელია.

**შრომა, სამურნეო საქმიანობა, ბიზნესი თვით უფალი ღმერთის მიერ არის დადგენილ-წახალისებული.** განსაკუთრებით საჭირო და მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარება დღევანდელი, დუხშირი საქართველოსათვის. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამბობს, რომ „მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტია“;<sup>83</sup> აუცილებელია ხელი შეეწყოს „მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა“;<sup>84</sup> საზოგადოების ზრუნვა „ეკონომიკის წინსვლისათვის არ არის საშიში, თუ მასთან ერთად განვითარდება სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობები: ჭეშმარიტი სარწმუნოება, ეკლესიურობა, ზნეობა, მეცნიერება, ხელოვნება“<sup>85</sup>.

სამწუხაროდ, პრაქტიკული ბიზნესი, რიგ შემთხვევებში, მოგებისადმი დაუოკებელი მისწრაფებით, ანუ მამონასადმი თაყვანისცემით

თავბრუდაწვეულ-დაბრმავებული, უგულებელყოფს სულიერ და ზნეობრივ მოთხოვნებს, რის გამოც იგი ზშირად საზოგადოებისათვის მეტად საშიშ მოვლენად იქცევა. სწორედ ამის გამო, სხვადასხვა ქვეყანაში ზოგადსაკაცობრიო და ადგილობრივი მორალური ფასეულობების გათვალისწინებით ხდება ბიზნესის ზოგიერთი სახეობის კონტროლი, რეგულირება, შეზღუდვა და აკრძალვა. ასეთ ქმედებას ექვემდებარება: მასობრივი მოსპობის იარაღის და რადიოაქტიური ნივთიერებების ბიზნესი, მავნე კვების პროდუქტების წარმოება, ნარკობიზნესი, პორნობიზნესი, პროსტიტუცია, ტრეფიკინგი, კრიმინალური ფულის „გათეთრება“ და სხვ.

გარდა სამართლებრივი აკრძალვებისა, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს ბიზნესის რეგულირების ზნეობრივი ნორმები, რომელთა დაცვა სავალდებულოა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ბიზნესმენებისათვის. ეს არის ბიზნესის ეთიკა, რომლითაც სწორი, ზნეობრივი ქმედება გამიჯნულია არასწორისაგან.

**პოსტსოციალისტურ საქართველოში არახული სიღუბჭირისა და პროფესიული მოუმზადებლობის პირობებში ფართო მასებს ბიზნესში ჩაბმის ბევრი რეალური თუ მოჩვენებითი საშუალება მიეცათ, რაც თავის დროზე წარმატებებთან ერთად ბევრ უარყოფით შედეგსაც მოგვიტანს. ამდენად, მოგალენი ვართ განვჭრილოთ არასასურველი პერსპექტივები, დაგადგინოთ მათი გამომწვევი მიზეზები და სათავეშივე აღვევეთოთ მოსალოდნელი გართულებები.**

საქართველოში უკანონო და უზნეო ბიზნესის ჩასახვა-განვითარების უმთავრესი მიზეზებია: ნიჰილიზმი ეროვნული მსოფლებელის, კულტურული და ეკონომიკური ტრადიციების მიმართ; რელიგიური და ზნეობრივი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა; მასების უკიდურესი სიღუბჭირე; დაბალი პროფესიული კვალიფიკაცია; ეკონომიკის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი რეგულირების დაბალი დონე; ვერცხლისმოყვარეობის ცოდვა, ანუ ადამიანთა დაუოკებელი ლტოლვა უპატიოსნო გზით სიმდიდრის მოპოვებისაკნ; კორუფცია; გლობალიზაციის ზოგიერთი მავნე მიმართულების ნეგატიური ზეგავლენა და სხვ.

<sup>83</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ.შიხაშვილი. თბ., „გეოგრაფია“, 2004, გვ. 160.

<sup>84</sup> იქვე, გვ. 160.

<sup>85</sup> იქვე, გვ. 112.

უზნეო ბიზნესს მეტად საგალალო შედეგების გამოწვევა შეუძლია ეკონომიკური, კულტურული, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კატასტროფის ჩათვლით. ერთ-ერთი ასეთი საქმიანობა სიძვა-სიბილწის, ანუ პორნოროტიკული ბიზნესია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ბილწი ადამიანი არის ბიწიერი, საძაგლი, უწმინდეური, საზიზღარი, გარყვნილი სუბიექტი. სიბილწი კი ბილწის თვისებაა. მნელი წარმოსადგენი არაა, რომ ბილწი ადამიანების მომრავლება სიძვა-სიბილწის დაამკიდრებს, რაოდენობა თვისებრიობაში გადავა, შედეგად პიროვნების, ერის და სახელმწიფოს სულსა და სხეულს სიბილწი დაეძატრონება, რაც გარდუვალ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დაცემას გამოიწვევს.

სიძვა-სიბილწის ბიზნესი დღეს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროშია შეჭრილი. კინო, ვიდეო, თეატრი, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი და კომპიუტერული პროგრამები, პრესა, რეკლამა, მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება – თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად უწევს პროგანდას სიშიშვლესა და პორნოროტიკას.

ერთი შეხედვით უწყინარი, მცირე სიშიშვლის ცქერა და პროპაგანდაც კი დამღუპველი სიბილწის დასაწყისაა. გავისწონოთ, რომ ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი ქამი და მისი შთამომავლობა მამის სიშიშვლის უდიერი ცქერის გამო იქნა დაწყევლილი ღმერთისა და ნოეს მიერ.

დაგაკვირდეთ თუნდაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოფენილ სიძვა-სიბილწის ამსახველ უურნალ-გაზეთებს, რომლებიც შეფარულად თუ აშკარად, სხვადასხვა დოჭით, გამომსახველობითა და შინაარსით გვთავაზობენ ბინძურ პროდუქციას.

ჩვენ გამოვკითხეთ ასეთი პროდუქციის მწარმოებელთა და გამავრცელებელთა გარკვეული რაოდენობა. მწარმოებლები აცხადებენ, რომ ბიზნესის თავისუფლების პირობებში მათი საქმიანობა იურიდიულად და ზნეობრივად დასაშვებია, ამასთან, ეს პროდუქცია ეროტიკულია და არა პორნოგრაფიული. გამავრცელებლები კი

ამბობენ, რომ გაჭირვების ან მესვეურთა მოთხოვნის გამო იმულებული არიან ივაჭრონ ასეთი პროდუქციით, ამასთანავე, ბევრ მათგანს მიაჩნია, რომ ასეთი საქმიანობა გარყვნილების დამკვიდრებას უწყობს ხელს.

მაინც რა არის სინამდვილეში ეროტიკა და რითა იგი პორნოგრაფიაზე უკეთესი და უწყინარი, რის საფუძველზეც დასაშვებია მისი ლეგალიზება? გავიხსენოთ და ხაზი გავუსვათ, რომ პორნოგრაფიის მავნეობას და უკანონობას „ეროტიკოსი“ ბიზნესმენები თავადაც „აღიარებენ“.

ცნობილია, რომ ეროსი (კუპიდონი, ამური), რომლის სახელს და ქმედბას უკავშირდება ეროტიკა როგორც მოვლენა, წარმართულ მითოლოგიაში სივეარულის ღვთაებაა. იგი რამდენიმე მამისა და ღედის „სივეარულის“ (ალბათ, ჯგუფური სექსუალური ორგიების) ნაყოფია. ერთ-ერთმა მამამ (ზევსმა) კინალამ მოკლა ახალშობილი ეროსი, რომელიც ერთ-ერთმა, გარყვნილმა ღედამ (აფროდიტემ) უსიერ ტყეში გადამალვით ძლივს გადაარჩინა. მომავალში უმაღლური შვილი გადამტჩენ ღედასაც არ ინდობს და მასაც, სხვების მსგავსად, მწვავე სამრუშო ვნებებით აფორიაქებს. იგი თვით ზევსს ურღვევს სიმშვიდეს. თაყვანისმცემელთავის მას მოაქვს სივეარულის მოლოდინის დარდი, ეჭვი და სიამე, წარმატების სისარული და ხშირად დაღუპვაც. ეროსის საპატივცემლოდ ეროტიდიებს აწყობდნენ (შევადაროთ დიონისესეულ ბაკქანალიებს, ორგიებს, სატურნალიებს). ეროსი არა მარტო მოპიდაპირე სქესთა, არამედ მამათმავალთა (ჰომოსექსუალისტთა) და პედოფილთა (ბავშვთა სექსუალურად მოსურნეთა) ღვთაებაცაა.

ეროსი თანამეონახეა უბილწესი დიონისესი (ბაკქოსი, ბაზუსი), რომელიც, თავის მხრივ, სქესობრივი ჟინის, აღვირახსნილი გარყვნილების და ფალოსის (ბერძ. — მამაკაცის სარცხვინელი) კულტის ღვთაებაა. დიონისემ არგოსში მისი უარმყოფელი ქალები დააგიჟა და საკუთარი შვილები დახოცვინა. დიონისეს მოგზაურობა მექორწილეთა ტრიუმფალური სვლის მსგავსია. ყველგან სმა და ნადიმია, სიმღერა და ცეკვა. ვინც ამას უარყოფს, სასტიკად

ისჯება. დიონისე თავისი კულტის გავრცელებისას, ჯერ მხიარული და ლმობიერია, მაგრამ თუ არ დაუჯერებენ, ის გაწყრება და დანდობა არ იცის.

წარმართულ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც სიძვა-სიბილწის კულტი იყო გამეფებული, ყველაფერი „უწყინარი“ სი-შიშვლით, „სიყვარულით“ (ეროტიკით) იწყებოდა და უსაძაგლესი სექსუალური ორგიებით (პორნოგრაფიით) მთავრდებოდა.

ზემოაღწერილიდნ გამომდინარე, ეროტიკა – ბილწი ღვთაების – ეროსის შესაბამისი უმდაბლესი გრძნობების გამოვლინებაა, საიდანაც ანომალიური სიყვარული (გარყვნილება, სიძვა, მრუშება) და ფსიქიური ამღილობა – ეროტომნია და პორნომნია ვითარდება, რაც ამ დაავადებით შეპყრობილ ადამიანებს ამრავლებს და საზოგადოებასაც შესაბამისად ასწეულებს.

სწორედ ეს არის ეროტიკა, რომელიც პორნოგრაფიის მსგავ-სად, სიძვა-სიბილწეს ქადაგებს, აწარმოებს და ავრცელებს. უკე-თეს შემთხვევაში ეროტიკა პორნოგრაფიის პრელუდია და მისი შენიდბული ფორმაა, ისევე როგორც ეროსი საწყისი საფეხურია „სიყვარულის“ კიბეზე, ხოლო დიონისე – ამ „სიყვარულის“ ბინძუ-რი დაგვირგვინება. ამდენად, არავითარი ფიზიოლოგიური, ზნეობრივი და იურიდიული განსხვავება მათ შორის არ შეიძლება არსებობდეს. ამიტომაც მათი შერწყმის საფუძველზე წარმოშობილ მოგებისად-მი ლტოლვას და შესაბამის საქმიანობას სამართლიანად შეიძლება ვუწიდოთ პორნოეროტიკული ბიზნესი, რომელიც ადამიანში სიძვა-სიბილწეს ნერგავს. ბილწი ადამიანების მომრავლება საზოგადოებას გააძილებს, რაც ქვეწისათვის კატასტროფაა, ხოლო გარყვნილების ბიზნესშენისათვის – არასული შემთხველების უშრეტი წყარო.

სათანადო მასალები და სპეციალისტები გვიდასტურებენ, რომ საქართველოში უკეთ სწრაფად ვითარდება გარყვნილებისა და სქესობრივი გაუკულმართების პრაქტიკულად ყველა სახეობა: მა-მათმავლობა, ლესბოსელობა, ინკუსტი, პედოფილია, ზოოფილია, ნეკროფილია და სხვ. ამის კვალობაზე, ასევე სწრაფად ვრცელ-დება სიძვა-სიბილწის თანამდევი ხორციელი, სულიერი და სო-

ციალური სნეულებები: შიდსი, ათაშანგი, გონირეა, იმპოტენცია, შიზოფრენია, ნიჰილიზმი, ბილწისტყვაობა, პროსტიტუცია, ოჯა-ხური ინსტიტუტის მოშლა, ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა, ნარკომანია, დამნაშავეობა და სხვ.

სავალალოა, რომ პორნოეროტიკული ბიზნესის და ჩამოთვლილი ანომალიების მსხვერპლი ძირითადად ახალგაზრდობაა. დღეს პა-ტარა ბავშვიც კი გათვითცნობიერებულია იმაში, რაც ახლო წარ-სულში მხოლოდ უაღრესად გარყვნილმა სუბიექტებმა იცოდნენ. არც ერთი სიბილწე ისე ღრმად არ გაუჯდება ადამიანს სულსა და ხორცში, როგორც სიძვა, მით უფრო ადრეულ ასაკში შეცნობილი. და როგორც „გვირგვინი“ ყოველგვარი სიბილწისა, ჩვენს ახალ-გაზრდობაში დამკვიდრდა გინება საკუთარი დედისა, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვესმის. როგორც საკუთარი, ასევე სხვისი დედის გინება კი დედა-ღვთისმშობლის გინების ტოლფასია; ჭეშმარიტად: „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“...

თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენი საზოგადოება რეალურად კარგავს ღვთივმონიჭებულ და ისტორიულ ქარტებილებში შენარჩუნებულ სიწმინდეს. ბინძური პორნოეროტიკული ბიზნესი სიბილწის კულტს ამკვიდრებს, უბიწოება ბიწიერებით იცვლება.

ასეთ გარემოებასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამბობს: „სამწუხაოოდ, ტელევიზია, პრესა და ფილმები, რომლებიც ეროტიკას, მკველელობასა და ძალმომრეობას უწევენ პოპკანდას, ბოლომდე არღვევენ საზოგადოების ჯერ კიდევ შემორჩენილ ზნეობრივ ჯებირს“.<sup>86</sup>

ყოველივე ეს არყევს საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებს, რაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კატასტროფას გამოიწვევს.

გარყვნილებისათვის დასაჯა ღმერთმა წარღვნით მაშინდელი კაცობრიობა, ცეცხლითა და გოგირდით გაანადგურა სიძვით მო-ცული სოდომი და გომორა. ახლაც ვუახლოვდებით იმ ნიშნულს,

86 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბ., „გეოკურია“, 2004, გვ. 117.

როდესაც კვლავ დაგისჯებით – დავისჯებით საბოლოოდ.

წარმართული საქართველო იმ დროს გამეფებული სიძვა-სიბილწისა და კერპთაყვანისმცემლობისაგან ქრისტიანობამ იხსნა. ქრისტიანობის პერიოდში ჩამოყალიბდა საქართველოში წმინდა ურთიერთობა მამაკაცსა და დედაკაცს შორის, შეიქმნა ზნეცემილი, ქართული ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ძლიერების საფუძველს წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში საქართველოს საპატრიარქომ არაერთხელ ოფიციალურად განაცხადა პორნოერეტიკული ბიზნესის მოძალების აღკვეთის აუცილებლობის შესახებ და მოუწოდა ხელისუფლებას – წინ აღუდგეს საზოგადოებისათვის მავნე ამ საქმიანობას.

საპატრიარქოს მიმართვას იხილავდნენ თბილისის მერიაში, პროკურატურაში, მაგრამ რეალური შედეგი ჯერ არ ჩანს. საკითხის განხილვა აუცილებელია უფრო მაღალ ინსტანციებში. სასწრაფო საქმე არ უნდა გაჭიანურდეს, ყველა ვალდებულია იბრძოლოს სიბილწის დასათრგუნავად. იგი არც გარედან უნდა შემოვუშვათ და ქვეყნის შიგნითაც აღვკვეთოთ. ეს სათანადო კანონებშიც უნდა აისახოს.

საზოგადოება მკაცრად უნდა ამზელდეს პორნოეროტიკული ბიზნესის, გარყვილებისა და პროსტიტუციის მესვეურებს. არ უნდა შეგვაკრთოს დემოკრატიის, მეწარმეობისა და პრესის თავისუფლების არასწორმა, ტენდენციურმა გაგებამ, საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა გაგუმართოთ სიძვა-სიბილწის ბიზნესს.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება მასმედიას შეუძლია, რასაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II: „უურნალისტებს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ, თქვენზე დიდად არის დამოკიდებული, როგორც დღევანდელი დღე, ისე – მომავალი.

ჩვენი საზომი, მოქმედების კრიტერიუმი უნდა იყოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაყრდნობილი ზნეობა. უურნალისტიკა საზოგადოებას წინ უნდა უძღვდეს“.<sup>87</sup>

ნებისმიერი უწმინდური ბიზნესის სულისჩამდგმელი სატანაა. მასთან წილნაყარია ყველა, ვინც ასეთ ბიზნესში მონაწილეობს და იუდასავით 30 ვერცხლად ჰყიდის ადამიანის სიწმინდეს, ერის კულტურას, სახელმწიფოს მომავალს.

ქრისტიანული მეურნეობრიობის უმთავრესი პრინციპია მატერიალური დოკუმენტის ღვთივდადგნილი ზნეობით, სიმართლით მოპოვება და სიკეთეში გამოყენება. აქედან გამომდინარე, ბიზნესის დანიშნულება, მიზანი და თავისუფლება ზნეობრივ სიწმინდეშია და არა პორნოეროტიკულ სიბილწეში.

87 იქვე, გვ. 162-163.

## **თავი II. სამეცნიერო-მეცნიერებელობითი საქმიანობისა და სასოფლო-სამეცნიერო წარმოების თეოლოგიური საფუძვლები**

### **2.1. სამეცნიერო-მეცნიერებითი თემატიკა და სოფლის მეცნიერება ბიბლიაში**

ეკონომიკური საქმიანობა ამქვეყნიური ცხოვრების საფუძველი და უმთავრესი შემაღებელი ნაწილია. ამ საქმიანობის უფლისთვის სათოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და ზეციურ ნეტარებას. ეკონომიკურ საქმიანობაში პირდაპირ თუ ირიბად ჩაბმულია ცალკეული ადამიანი და ნებისმიერი ოჯახი. ეკონომიკის ავკარგიანობაზე არის დამოკიდებული საზოგადოების ყოველი ფენის და მთელი სახელმწიფოს არსებობა. სამეცნიერო საკითხებით დაინტერესებულია კვლესიაც.

ეკონომიკა არის ერთ-ერთი იმ სფეროთაგანი, სადაც ხდება ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესთა თანხედრა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, მოქმედებები ისინი ერთობლივად თუ დამოკიდებლად, მათი მოქმედების ჩარჩოები შეიძლება გამოიხატოს ზემოთ გადმოცემული კონცეპტუალური გამონათქვამით: „მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანს, ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაგმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა წარმოადგენს ღვთივდადგენილ იმ ზნებრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფელში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს“.

ადამიანის ნებისმიერი მოქმედება, იქნება ეს ინტელექტუალური თუ ფიზიკური, არის შრომა. შრომის ხარისხზეა დამოკიდებული ნებისმიერი საქმის წარმატება. ეს არის საფუძველთა საფუძველი. და თუ ეს საფუძველი მყარია (ანუ, მაღალხარისხიანი), მაშინ ნებისმიერი საქმის წარმატება გარანტირებულია.

როდის გამოიღებს დამოძღვრა მაქსიმალურ ნაყოფს? მაშინ, როდე-

საც დამმოძღვრელი პირადი მაგალითით გვმოძღვრავს. ეს კი ყველასთვის ცნობილი უდრეკი ჰეშმარიტებაა. ამიტომ ღმერთი, რომელიც თავად არის ჰეშმარიტება, უფალი უფლებათა და მოძღვარი მოძღვართა, არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, თავის პირველ მოქმედებას გამოხატავს შრომაში: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1,1). შექმნა, ანუ – იშრომა. მაგრამ უფლის შრომა ამით როდი ამოიწურა. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ წლებში მაცხოვარი ჩვენი იქსო ქრისტე პასუხობს თავის მდევნელ პურიებს: „მამა ჩემი აქამდე იღვწის, და მეც ვიღვწი“ (იოან. 5,17). ვაკეთებ, ანუ კვლავ – ვშრომობ. ესე იგი, ღმერთი, როგორც ცისა და მიწის შექმნისას, როგორც მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრებისას, ასევე დღესაც განუწყვეტლივ მოქმედებს (შრომობს), რითაც თავად გვაძლევს ჩვენი ცხოვრების წესის მაგალითს, რათა არ შეურაცხვყოთ ღვთისადმი ჩვენი ზატება – „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ზატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი ღედამიწაზე დახოსხავს“ (დაბ. 1,27-28). ე.ი. ღმერთმა ადამიანს, ერთი მხრივ, განუწყვეტლივ – შრომა, ხოლო, მეორე მხრივ, ღვთის მუდმივი ღიღება და სულიერი სრულყოფილებისათვის ზრუნვა დაუწესა – „მაშ, იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“ (მათ. 5,48).

ეკონომიკისა და სასოფლო-სამეცნიერო წარმოების ქრისტიანული საფუძლები ღვთივდადგენილი არის წარმოდგენილი ბიბლიაში.

კერ კიდევ ევას შექმნაძე „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2,15). ე.ი. ადამიანი საწყისშივე შექმნილია მიწათმოქმედად – მეურნედ და, ამასთან, მას მიეცა შემოქმედების უნარი და თავისუფალი ნება.

მაგრამ, მცნების დარღვევისთვის ადამი და ევა დაისაჯნენ. უფალი ეუბნება ადამს: „ . . . მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. . . პიროვლიანი

ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე“ (დაბ. 3,17,19). ადამის და ეკას პირველი შეილი კაენი მიწის მუშაკი იყო, ხოლო მეორე შეილი ასელი – მეცხვარე (დაბ. 4,2).

ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ პირველ ადამიანებს ამქეცნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა დაუწესა. ადამიანმა თავისი თავისუფალი ნება, შემოქმედებითი უნარის საშუალებით უნდა გამოხატოს შრომაში, ხოლო შედეგად მიიღოს თავისი შრომის კეთილი ნაყოფი, რაც ცათა სასუფელში დამკიდრების წინაპირობაა. ამასთან, თავად შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების საჭირობათა დაკმაყოფილებისათვის. პავლე მოციქულის თქმით, „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3,10) და კიდევ: „ზარმაცის სული მოწყურებულია, მაგრამ არაფერი აქვს; მუყაითნი კი დანაყრდებიან“ (იგავ. 13,4).

ბიბლია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თეორიული საფუძველია, რომლის მიხედვითაც თანდათან განვითარდა ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნება და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანს პირველი მოქმედების (შრომის) გამოხატვა ღვთის მიერ დაევალა მიწათმოქმედებაში (მიწის დამუშავებაში), ედემის ბაღში. ხოლო, ცოდვით დაცემის, მათი დაწყევლის შემდეგ ისინი განგდებულ იქნენ ედემის ბაღიდან, მაგრამ ბრძანება მაინც არ შეცვლილა – ისინი დარჩნენ კვლავ მიწაზე მშრომელებად და სასჯელად, შრომა ბევრად გაურთულდათ (დაბ. 3,17). მაგრამ, ამასთან, ღვთის კურთხევაც გარდაემატა, რაც გამოხატა იმაში, რომ შრომა წახალისდა მადლომოსილი სიხარულისა და ბეღნიერების გრძნობით, რომელიც ნაშრომის (ნაყოფის) ხილვით ეუფლება ადამიანს: „ვხედავ, კაცთათვის სხვა სიკეთე რომ არ ყოფილა, თუ არ იხარა თავის ნაღვაწით, რადგან ესაა მისი წილი ამ მზისქვეშეთში, ვინ დაანახვებს, რა მოხდება შემდგომად მისა?“ (ეკლ. 3,22) და: „თავისი მიწის მუშაკი პურით დანაყრდება, ხოლო ვინც ამაოდ ირჯება, სიღარიბით დანაყრდება“ (იგავ. 28,19).

მართალია, შრომა დამბიმებულია, მაგრამ ის, ამასთანავე, კურთხეულია და კურთხეულია თავად შშრომელი და კურთხევა ვრცელდება არა მარტო ამქეცნად, არამედ ცათა სასუფელშიც და თან, ბევრად გარდამტებულად, ვიდრე მას ადამიანი იმსახურებს: „დაწერე: ნეტარ არიან მკვდარნი, რომელიც მოკვდებან უფლის მიერ ამიერიდან. ჰო, ამბობს სული, რათა განისვენონ თავიანთ შრომათაგან, და საქმენი მათი კვალდაკვალ მიჰყვნენ მათ“ (გამოც. 14,13).

შრომა არის სამი სახის: 1. ფიზიკური შრომა (შრომა სხეულით); 2. ინტელექტუალური შრომა (სამშვინველით); და 3. სულიერი შრომა (ე.ი. სხეული და სამშვინველი იღვწიან სულის ცხონებისთვის). ადამიანი უნდა იღვწოდეს, რათა მესამე სახის შრომა ცხოვრების წესად გაიხადოს და მხოლოდ მაშინ შესძლებს ის არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენებას.

ფიზიკური შრომისაგან დასვენება არა მხოლოდ იმ ქვეწად მოხდება, არამედ გარკვეული ღვთივდადგენილი მცნებები (კანონები) სააქამიციც მოქმედებს. უფალმა ადამიანებს დაუწესა, რათა იქმოდნენ ექვს ღღეს და მეშვიდე ღღეს დაისვენონ თავიანთი საქმეებისგან და ღვთის სადიდებელი საქმეები აკეთო.

არც ეს შემთხვევაა გამონაკლისი და თავად უფალმა მოგვცა მაგალითი, რასაც ბიბლიის დასწუბისშივე ვკითხეულობთ: „გაასრულა ღმერთმა მეექსე ღღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე ღღეს ყოველი საქმისგან, რაც გააკეთა. აკურთხა ღმერთმა მეშვიდე ღღე და წმიდაპყო იგი, რადგან ამ ღღეს დაისვენა ღმერთმა ყოველი საქმისგან, რასაც ჰქმიდა ღმერთი და აკეთებდა“ (დაბ. 2,2-3). ჩვენს საქმეთაგან მეშვიდე ღღეს დაისვენება აისახა ასევე ღვთის მიერ სინას მთაზე მოსესთვის მიცემულ ათ მცნებაში: „მეშვიდე ღღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთოთ, არც შენ, არც შენმა ვაჟამა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს“ (გამ. 20,10); სხვაგან: „ექვსი ღღე კი განსვენების შაბათია, წმიდა შეკრებულობა. არაფერი საქმე არ აკეთოთ. ეს იყოს უფლის შაბათი მთელს თქვენს

საცხოვრებლებში“ (ლევ. 23,3); და კიდევ: „მეშვიდე დღე უფლის, შენი ღმერთის შაბათია: არაფერი საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმაწვილმა, არც შენმა ხარმა, არც შენმა სახედარმა, არცერთმა შენმა პირუტყვმა, და არც შენმა მდგმურმა, რომელიც შენს ქალაქებში ცხოვრობს, რომ დაისვენოს შენმა ყმამ და ყმაქალმა შენთან ერთად“ (რჯლ. 5,14). ხოლო: „რადგან ვინც შევიდა მის განსასვენებელში, მანვე განისვენა თავის საქმეთაგან, როგორც თავისთაგან ღმერთმა“ (ებრ. 4,10). ამასთან, სადაც არსებობს კანონი, იქ „უცილებლად არსებობს სასჯელიც უფალი ბრძანებს: „თუ არ გამიგონებთ – არ იუქმებთ შაბათ დღეს და აიკიდებთ ტვირთს, შემოხვალთ შაბათ დღეს იერუსალიმის კარიბჭეებში, მაშინ ცეცხლს წავუკიდებ მის კარიბჭეებს და ცეცხლი შეჭამს იერუსალიმის სასახლეებს და არ ჩაქრება“ (იერ. 17,27). გადატანითი მნიშვნელობით კი „იერუსალიმში“ ყოველმა ადამიანმა თავისი თავი უნდა მოისაზროს, რათა დვთის შიშით მაინც წმიდა ჰყოს იგი.

ღვთის მოშიში ადამიანის შრომა წარმატებული და ღვთის მიერ წახალისებულ იქნება, როგორც დავით მეფის ფსალმუნში ვკითხულობთ: „ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ!“ (ფს. 127,1-2); ასევე: „კაცისათვის არაფერია იმაზე კარგი, რომ ჭამოს, სვას და დატკბეს თავისი ნაღვაწით. ეს გამოვცადე, რადგან ესეც ღმერთის ხელთა“ (ეკლ. 2,24); და: „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შენოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა; და რაკი ბევრს ვეღარაფერს გაიხსენებს კაცი თავის სიცოცხლეში, ღმერთი მისცემს მას გულის სიხარულს“ (ეკლ. 5,18-19).

უფალი აკურთხებს მორწმუნის შრომას, მაგრამ, ამასთანავე, მოძღვრავს, რომ ადამიანებმა იშრომონ არა დასაღუპავი საკვებისათვის, არამედ საკვებისათვის, რომელიც ადამიანს ღვთის სადიდებლად განაძლიერებს: „ხრწნადი საზრდოსთვის ნუკი ზრუნავთ, არამედ

იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ, და რომელსაც მოგცემთ მე კაცისა; ვინაიდან მამა ღმერთმა აღბეჭდა იგი“ (იოან. 6,27).

**ბიბლია გვასწავლის – ღირს არს მუშაკი (მშრომელი)** თავისი სასყიდლისა და, ამასთან, მშრომელმა მიწისმოქმედმა პირველმა უნდა მიიღოს ნაყოფი, რადგან დაწერილია: „ნუ აუკრავ პირს ხარს ლეწვის დროს“ (რჯლ. 25,4). ამასთან დაკავშირებით უფალი შეგვაგონებს და გვაფრთხილებს: დაქირავებულს „თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან ლარიბია იგი და შენი იმედი აქვს; არ გიჩივლოს უფალთან და ცოდვა არ დაგეღოს“ (რჯლ. 24,15).

**ბიბლია გვასწავლის, რომ ადამიანმა უნდა აკეთოს ყველაფერი,** რისი გაკეთებაც შეუძლია (ზნებისა და საღვთო მცნებების ფარგლებში): „რისი კეთების ძალაც შესწევს შენს ხელებს, აკეთე; რადგან არც საქმე, არც საფიქრალი, ცოდნა, ან სიბრძნე არ გაგვება შავეთში, სადაც მიდისარ“ (ეკლ. 9,10), მაგრამ, როგორც მაცხოვარი გვმოძღვრავს, მოღის ღამე, როცა არავის შეეძლება შრომა... (იოან. 9,4).

**ბიბლია ისეთ დეტალურ საკითხებსაც ეხება, როგორიცაა თუნდაც მშრომელი ადამიანის აღრე აღგომა და მისი მნიშვნელობა. აღრე აღგომა ღვთის ერთგულებისა და ყოველდღიურ მოვალეობათა შესრულების ნიშანია.** ხოლო აღრე აღვომის დაზარება სიღარიბის მიზეზია.

**ბიბლიაში გადმოცემულია შრომის ფუძემდებლური განხილვა.** საინტერესოა, თუ რატომ დაისვენა უფალმა მეშვიდე დღეს; სჭირდებოდა თუ არა უფალს დასვენება (ის ხომ ღმერთია); რატომ დაისვენა მეშვიდე, და არა მეორე, მესამე ან სხვა რომელიმე დღეს; რას ნიშნავს დაისვენო, მაგრამ ამავდროულად იღვწიოდე (შრომობდე) საკუთარი სულისთვის და სხვების საკეთილდღეოდ და სხვა ერთობ საინტერესო უამრავი საკითხი, მაგრამ ეს სცილდება ეკონომიკურ თემატიკას და წმინდა საღვთისმეტყველო მეცნიერებაში გადადის.

**ტიბერიალეს ზღვის გადაღმა იესომ სასწაულებრივად დააპურა**

ხუთი ათასი მშენერი ადამიანი. ეს შემთხვევა განსაკუთრებით იმით არის აღსანიშნავი, რომ დაპურების შემდეგ იესომ თავის მოწაფეებს დაავალა აეკრიფათ ნარჩენები, რათა არაფერი დაკარგულიყო (ითა. 6,12). მოწაფეებმა აკრიფეს და გაავსეს თორმეტი კალათი ქერის პურის ნატეხებით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა. მაცხოვრის მოწოდებასა და მოწაფეთა ქმედებაში ასახულია თეორიული დებულება და პრაქტიკული გზა შრომის პროდუქტების დაფასება-გაფრთხილების, უნარჩენო წარმოება-მოხმარებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის. ეს კი, თანამედროვე გაეგბით, მდგრადი განვითარების ფუნდამენტურ პარადიგმას წარმოადგენს. დღემდე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, პრაქტიკულად უგულებელყოფილია ეს დეთაებრივი სწავლება, რის გამოც უაღრესად არის გამწვავებული გლობალური ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასურსათო კრიზისი, რომლის დაძლევა შხოლოდ ბიბლიური სამეურნეო-ეკოლოგიური მოძღვრების გააზრება-გამოყენების მეშვეობით არის შესაძლებელი.

სამეურნეო საქმიანობაში, კერძოდ, შშენებლობაში ეკონომიკურ-ეკოლოგიური კომპეტენტურობის აუცილებლობაზე მიგვითოებს იესო ქრისტეს იგავი გონიერი და უგონო შშენებლების შესახებ (მათ. 7, 24-27; ლუკ. 6, 47-49). აյ მაცხოვარი გვასწავლის: „ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც კლდეზე დააშენა თავისი სახლი. და მოვიდა წვიმა, მოგარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეპეთნენ ამ სახლს, მაგრამ ვერ დასცეს, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული. და ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე ააშენა თავისი სახლი. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს და დასცეს; და დიდი იყო დაცემა მისა“ (მათ. 7, 24-27).

მნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ სიბრძნის უგულებელყოფის გამო დღეს ჩვენშიც და მთელ მსოფლიოშიც მრავალი ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრიბლება არის გამწვავებული. ისიც დამაფიქრებელია,

რომ საქართველოს მესვეურები ეკონომიკას „ქვიშიან“ (არაწარმოებაზე დაფუძნებულ) ნიადაგზე აშენებენ, რაც ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური სახლის გარდუვალ დაცემას გამოიწვევს.

თანამედროვე პირობებში აუცილებელია სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის რაღიკალური ჰუმანიზაცია რელიგიური პრინციპების და ზნეობის საფუძველზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სახელმძღვანელო, საქართველოსათვის, საღაც ესოდენ მწვავედ ვლანდება გაუაზრებელი და უზნეო ეკონომიკური საქმიანობის სავალადო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგები.

სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების უპირველესი მოვალეობა სწორედ ღმერთისადმი პატივის მიგება და სულიერების აღმშენებლობაა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ანგა წინასწარმეტყველის წიგნი, რომლის შინაარსი უაღრესად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის. მასში, სახელმძღვანელო, გატარებულია აზრი, რომ თუ ერთ განუდგა უფალს, სარწმუნოებრივად დაკრინდა და არ სურს ტაძრის (როგორც კონკრეტულის, ასევე ზოგადის – ეროვნულ-სულიერი ტაძრის) შენებას შრომა და სახსარი შესწიროს და შხოლოდ პირად კეთილდღეობა-გამდიდრებაზე ზრუნავს, იგი სასტიკად ისჯება. ხოლო, თუ აღადგენს დანგრეულ ტაძარს და დაუბრუნდება მამა-პაპათა სარწმუნოებას, მაშინ უფალი მასთან იქნება და ყველაფერში გაამარჯვებინებს.

ანგა წინასწარმეტყველის პირით ღმერთი საყვედურობს მდიდრებს, რომ ისინი კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობენ, ხოლო უფლის სახლი და საქმე კი მიგდებული აქვთ. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: „დაუკვირდით თქვენს საქციელს. ბევრს თესავთ, მაგრამ ცოტასა მკით; ჭამთ, მაგრამ ვერ ძღვით; სვამთ, მაგრამ ვერ იკლავთ წყურვილს; იცვამთ, მაგრამ ვერ თბებით; გახვრეტილი ქისისთვის იღებს მშრომელი შრომის საზღაურს. ...ბევრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ მცირედი გისრულდებათ; რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ, ...იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი თქვენ სახლებზე ზრუნავთ. ამიტომ არის, რომ დაგიკავათ ცამ ცვარი და მიწამ დაგიკავათ მოსავალი. გამოვიხმე გვალვა მიწაზე, მთებზე, პურზე, ღვინოზე, ზეთისხილზე და

ყველაფერზე, რასაც მიწა აღმოაცენებს; ადამიანზე, პირუტყვზე და ყოველივე ნაჭირნახულებზე“ (ანგ. 1,5-11).

ისმინა ხალხმა ღმერთის ხმა და დაიწყო ტაძრის შშენებლობა, ხოლო უფალი ამხნევებს მას: „გამაგრდი, მთელო ქვეყნის ერო! ამბობს უფალი, და იშრომეთ, რადგან თქენთანა ვარ, ამბობს ცაბაოთ უფალი. ...ჩემი სული იმყოფებს თქენებს შორის. ნუ გეშინიათ. ...კიდევ ცოტაც და შევარყევ ცას და მიწას, ზღვასა და ხმელეთს. შევარყევ ყველა ხალხს, და ასრულდება ყოველი ხალხის საწადელი: დიდებით ავავსებ ამ სახლს, ამბობს ცაბაოთ უფალი. ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო, ამბობს ცაბაოთ უფალი. პრევანდელზე უფრო დიდი იქნება ამ უკანასკნელი სახლის დიდება, ამბობს ცაბაოთ უფალი. ამ ადგილზე მოვაფენ მშვიდობას, ამბობს ცაბაოთ უფალი“ (ანგ. 2,4-9).

ამ მცრი მოცულობის წიგნის დაკვირვებული შეამჩნევს, რომ მასში გადმოცემულია ფუნდამენტური ბიბლიურ-თეოლოგიური მიდგომა ისეთი უმნიშვნელოვანების საკითხისადმი, როგორიც არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია, რაც ესოდენ აქტუალურია თანამედროვე საქართველოსათვის.

საქართველოში დღეს მიძღინარე სულიერი აღორძინების პროცესი, ხალხის (განსაკუთრებით – ახალგაზრდობის) მოქცევა სარწმუნოებისაკენ, ეკლესია-მონასტრების განსაკვითრებელი მომრავლება, რელიგიური ლიტერატურის და ინფორმაციის ნაკადის საოცარი ზრდა, ჩვენი დროის სასწაული – ყოვლადწმიდა სამების გრანდიოზული ტაძრის აშენება, ნათლად გვიჩვენებს, რომ ვისმინეთ უფლისა და კვლავ დავადექით მის გზას, რაც ჩვენი გადარჩინის, გამარჯვების და ღვთისულიერი პარმონიული განვითარების საწინდარს წარმოადგენს. მაგრამ, ეს იმ შემთხვევაში, თუ სულიერი გულგრილობა არ დაგვძალავს და კვლავ არ განვუდგებით უფალს და მის მოძღვრებას...

საქართველოს სულიერი აღორძინება და პარმონიული განვითარების პერსპექტივა ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტ უცხოელ მეგობრებსაც უნდა ასარგებეს, ვინაღან ბიბლიური ისტორიიდან ცნობილია, რომ თვით წარმართი, ებრაელთა მოსისხლე ქვეყნების მეფეებიც კი მიაგებდნენ

პატივს ჭეშმარიტ, ბიბლიურ ღმერთს და მის ეკლესიას. მაგალითად, იერუსალიმის დანგრეული ტაძრის აღდგენის ხელშეწყობისა და დაფინანსების მიზნით სპარსთა მეფე ართახშასთამ (არტაქსერქესმ) გასცა განკარგულება „...ყველა მეგანძურის მიმართ, რომ რასაც კი მოგთხოვთ ეზრა, მღვდელი და ცათა ღმერთის რჯულის მოძღვარი, დაუყონებლივ შესრულდეს. ...ყველაფერი, რაც კი ნაბრძანები აქვს ცათა ღმერთს, ბეჯითად უნდა გაკეთდეს ცათა ღმერთის სახლისათვის, რათა არ დაატყდეს მისი რისხვა სამეფოს, მეფეს და უფლისწულებს. გაცნობებთ, რომ არც ერთ მღვდელს და ლევიანს, არც მგალობელს და შეწირულ კარისკაცს, ამ ღვთის სახლში მოშვახურეს, არ დაეკისროს არც ხარკი, არც გადასახადი და არც ბეგარა“ (1 ეზრ. 7, 21, 23, 24).

ბიბლიაში გადმოცემული მოსეს რჯული (მოსეს კანონმდებლობა), მისი საღვთო წარმომავლობის გამო უზენაესი სიბრძნით, სიყვარულით, ჰუმანიზმით, სამართლიანობითა და ძალითაა გამსჭვალული. ასევე საღვთო განგებულებით, მას უდიდესი ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულება აქვს. მთელი ბიბლიური სწავლება და, კერძოდ, მოსეს კანონმდებლობა არის ის კონცეპტუალური საფუძველი (პარადიგმა, კონცეფცია, მოდელი), რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ღვთივსულიერ პარმონიულ განვითარებას.

ცოდვით დაცემული კაცობრიობისათვის საბოლოო მსოფლიო ისტორიული მიზანი ღმერთთან შერთვებასა და ზნეობის აღორძინებაში მდგომარეობს. ამ უდიდესი მიზნის განხორციელებისათვის და ამ პროცესში სხვა ერების მოზიდვა-ჩართვისათვის ღმერთმა ებრაელი ერი, ისრაელის სახელმწიფო შეარჩია და სამოქადაგო გეგმა-კანონმდებლობითაც აღჭურვა. ამდენად, ბიბლიურ სწავლებას ყოველი ერისა და სახელმწიფოსათვის უზენაესი მნიშვნელობა გააჩნია.

მოსეს კანონმდებლობა და დამოუკიდებელი სახელმწიფო უზენაესად მაშინ ებრაელებს, როდესაც ისინი უფლის ნებით ეგვიპტის მონობისაგან განთავისუფლდნენ, პალესტინაში დასახლდნენ და საზოგადოებრივ აღმშენებლობას შეუდგნენ.

მოსეს რჯულში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია კანონებს

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ. მოსეს კანონმდებლობაში მიწა წარმოდგენილია როგორც მფლობელობის მთავარი საგანი და ღმრთის მმართველობის ობიექტი. მიწის მფლობელობა აქ ემყარება თეოკრატიულ პრინციპს, რომელიც გამორიცხავს სხვა ქვეყნებში გავრცელებულ მიწის ბუნებრივი, თვითნებური მიტაცება-მითვისების პრაქტიკას.

ბიბლიური სწავლებით და, კონკრეტულად, მოსეს კანონმდებლობის მიხედვით, მიწა შხოლოდ ღმერთის საკუთრებაა, რომელიც საუკუნოდ განკარგავს მას საყოველთაო შემოქმედის უფლებით, ვინაიდან: „ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1,1), დააფუძნა და დაამყარა მიწა (ქვეყანა), მოათავსა მიწა სივრცეში, დაამტკიცა სვეტნი მიწისა, შექმნა მნათობნი ცისა მიწის (ქვეყნის) გასანათებლად, მიწის მოსარწყავად მდინარეები აღავსო წყლით და მოავლინა წვიმა, ნაყოფიერ ჰყო მიწა (ქვეყანა), შექმნა მიწა საცხოვრებლად, ადამიანს მისცა უფლება მიწაზე – „კურთხეული ხართ უფლის მიერ, ცისა და ქვეყნის შემოქმედის მიერ, ცა – ცად უფლისათვის, ხოლო ქვეყანა მისცა ადამის ძე“ (ფს. 113,23-24). მაგრამ ადამიანის უფლება მიწაზე არ არის შეუზღუდვავი, რის გამოც ღმერთი შევგანსხვაბს: „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრი. რადგან ზღვებზე დააფუძნა მან იგი და მდინარეებზე მოაწყო იგი“ (ფს. 23, 1-2) და მცნებად გვიწესებს: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან“ (ლევ. 25, 23).

მოსეს დროინდელ წარმართულ ქვეყნებში გაბატონებული იყო მიწის მფლობელობის ბუნებრივ-ისტორიული, მიტაცება-მითვისების უსამართლო კანონი მისგან გამომდინარე მრავალი ცხოვრებისუეული ანომალით. მისი საპირისპიროა მიწის თანაბარზომიერი განაწილების თეოკრატიული პრინციპი, რომელიც მოსეს სახელმწიფოს ყოველი წევრისათვის უზრუნველყოფდა მიწის მფლობელობისა და მიწათმოქმედების თანაბარ უფლებას.

როდესაც მოხდა ისრაელიანთა აღრიცხვა გვარეულობისა და მამაკაცების მიხედვით, უფალმა უთხრა მოსეს: „ამათ დაუნაწილებ

ქვეყანას სამკვიდროებად სახელთა რიცხვის მიხედვით. მრავალრიცხვანს უფრო დიდი სამკვიდრო მიეცი, მცირერიცხვანს – მცირე; თითოეულს მათი რიცხვის მიხედვით მიეცეს სამკვიდრო. ოღონდ წილისყრით უნდა დანაწილდეს ქვეყანა, მამეული შტოების სახელთა მიხედვით მიღონ სამკვიდრო. წილისყრის პირობაზე უნდა დაუნაწილდეთ სამკვიდროები, მრავალრიცხვანთ და მცირერიცხვანთ“ (რიცხ. 26, 53-56).

მიწის სამუდამო გაყიდვა ისრაელში აკრძალული იყო, ვინაიდან თეოკრატიულად დაუშვებელია მიწათსარგებლობის პრინციპის მიშვება ბუნებრივ-ისტორიული შემთხვევითობების ამარა, რასაც სოციალური უსამართლობა, ადამიანთა დამონება, სიღატაკე და სხვა უარყოფითი შედეგები მოაქვს. ამ თეოკრატიულ პრინციპის შესატყვისება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ცნობილი თანამედროვე თეორიაც, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ უნდა მოაწესრიგოს ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. ისრაელის მოქალაქეს შეეძლო გაეყიდა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი მხოლოდ გარკვეული დროით, რომლის შემდეგ იგი კვლავ უსასყიდლოდ უნდა დაბრუნებოდა მასვე, ან მის მემკვიდრეებს. ასეთი სჯულდებულება პრაქტიკულად ხორციელდებოდა ცნობილი საშაბათო წლების დაწესებით.

საშაბათო წლებს უდიდესი თეოკრატიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს მოსეს კანონმდებლობის მთელს სისტემაში. საშაბათო წლების სისტემა ეყრდნობა ბიბლიურ მსოფლიხედვებს შაბათის მნიშვნელობის შესახებ. შაბათი ითვლება მოსვენების დღედ (რომლითაც თვით ღმერთმაც ისარგებლა სამყაროს შექმნის შემდეგ) და აგრეთვე დღედ, რომელიც ადასტურებს სამყაროს სიკარგეს და სრულყოფილებას – „დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აპა, ძალიან კარგი იყო... გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისგან, რაც გააკეთა. აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაპყო იგი“ (დაბ. 1,31; 2,2,3).

საშაბათო წლების სისტემის უდიდესი დანიშნულება არის ის, რომ

მოაწესრიგოს და საწყის მდგომარეობას დაუბრუნოს ის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების პროცესში გადაცდნენ სათანადო ნორმებს.

ასეთი სისტემა უპრეცედენტოა მსოფლიოს ისტორიაში და მისი დაწესება შესაძლებელი იყო მხოლოდ თეორატიულ სახელმწიფოში, სადაც სუფეს უზრუნველისის განვითარება და სამართლიანობა.

საშაბათო წლების სისტემა შედგებოდა ორმაგი გრადაციისაგან. იგი იწყებოდა მეშვიდე წლით („საშაბათო წელი“) და მთავრდებოდა ორმოცდამეთით („საიუბილეო წელი“), რომელიც დაასრულებდა მეშვიდე წლების შემდეგულს ( $7 \times 7 + 1$ ), რის შემდეგაც იწყებოდა მეშვიდე წლების ახალი შემდეგული. საშაბათო წლის უმთავრესი დებულება არის ღმერთის მოთხოვნა მიწის მოსვენების შესახებ – „იუქმოს მიწამ შაბათი უფლისათვის. ექვს წელიწადს თესავდე შენს ყნას, ექვს წელიწადს სხლავდე შენს ვენას და იღებდე მოსავალს. მეშვიდე დღეს კი საუქმო შაბათია მიწისათვის, უფლის შაბათი. ყანა არ დათესო და ვენახი არ გასხლა“ (ლევ. 25, 2-4).

შაბათის წლის თეორატიული მნიშვნელობა, მიწასთან მიმართებაში, მდგომარეობს შემდეგში: ამ დროს მიწა აღიღებენ იმ სრულყოფილ თვისებებს, რომელიც მას ღმერთისგან ჰქონდა მინიჭებული სამყაროს შექმნისას, აგრეთვე, ისრაელიანებისათვის პალესტინის მიწების განაწილების დროს და რომელიც მან დაკარგა დამუშავებისა და გამოფიტვის შედეგად. გარდა ამისა, აღსანიშნავია მისი დიდი ეკონომიკურ-ტექნიკური დანიშნულებაც. კერძოდ, აგრონომიული თვალსაზრისით, შაბათის წელი, პერიოდულად განმეორებადობის კვალობაზე, ასრულებდა ანეულის (ანეული ეს არის მინდორი, რომელიც არ მუშავდება ერთი წლის განმავლობაში, რათა მიწა გაიწმინდოს სარეველებისაგან და მოხდეს ნიადაგის განაყოფიერება) და მიწის სასუქის როლს. იმ პერიოდში მეცხოველობა კარგად იყო განვითარებული. მიწის შესვენების წელს დიდმალი პირუტყვი მინდვრებში იყო დატოვებული, რაც ბუნებრივი სასუქით უზრუნველყოფდა მიწას. ყოველივე ეს გამოფიტული მიწის პოტენციალის აღდგენას ემსახურებოდა (შევადაროთ მიწის კლებადი ნაყოფიერების მაღალისეულ პესიმისტურ თეორიას).

მეშვიდე წლის კანონი სხვა მნიშვნელოვან მომენტებსაც ითვალისწინებდა: „ჩაფანტული მარცვლიდან ამოსული არ მომკა და გაუსხლავი ვაზიდან ფურძენი არ მოკრიფო. უქმი წელიწადი იყოს მიწისათვის. მიწის უქმობის დროს გქონდეთ საჭმელად შენ და შენს ყმას, შენს ყმაქალს, ქირისკაცს და მდგმურს, რომელიც შენთან დგას, შენს პირუტყვს და ცხოველებს, რომლებიც შენს მიწაზე არიან, მთელი მოსავალი გქონდეთ საჭმელად“ (ლევ. 25, 5-7). ამ კანონით, უქმობაში მყოფი მიწის ნაყოფით სარგებლობა შეუძლია ყველას, ვინც ამას საჭიროებს და მანამდე არ ჰქონდა მისი გამოყენების უფლება. კანონის თეორატიული მნიშვნელობა მდგომრეობს იმაში, რომ ამ დროს გარკვეული თვალსაზრისით ხდება აღდგენა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პერიოდისა, როდესაც ცოდვებით და უგოისტური ინსტინქტებით დაუვადებელი აღამიანები ერთიან თრგანიზმს წარმოადგენდნენ და თანაბარუფლებიანად სარგებლობდნენ ბუნების სიკეთებით. ამასთან, კერძო საკუთრების საერთო სარგებლობაში ერთი წლით გადაცემის მეშვეობით მიიღწეოდა დადებითი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ეთიკური შედეგები.

კანონი ითვალისწინებდა ერთს ღარიბ-ღატაკებისათვის და აღამიანთაგან ხშირად დაჩაგრული პირუტყვისათვის საზრდოს მიცემასაც: „ექვს წელიწადს თესე მიწა და აიღე მისი მოსავალი. მეშვიდე წელს არ დაამუშავო, მიაგდე იგი, რომ საზრდო ჰქონდეთ შენი ერთს ღარიბ-ღატაკებს, და რომ მისი ნარჩენები გარეულმა პირუტყვმა ჭამოს. ასევე მოიქცი შენი ვენახისა და ზეთისხილის მიმართ“ (გამ. 23, 10-11).

მეტად საინტერესოა საკითხი მიწის შესვენების დროს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ, თითქოს საეჭვოა, დაუმუშავებელ ნიადაგზე მოვიდეს ხალხის დასაკმაყოფილებლად საკმარისი მოსავალი. ეს ეჭვი გაიფანტება, თუ გავითვალისწინებთ პალესტინის ისტორიულ-გეოგრაფიულ თავისებურებებს და უფლის ზრუნვა-განგებულებას.

საყოველთაოდ ცნობილია პალესტინის კლიმატურ-აგრონომიული პოტენციალის და მოსავლიანობის მაღალი დონე. ბიბლიაში ამის შესახებ

წერია, რომ ეს არის ქვეყანა, „სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი“ (გამ. 3,17), იგი „ყოველი ქვეყნის შშვენებაა“ (ეზეკ. 20,6). უფალი უშბენება ისრაელიანებს, რომ ღმერთი ერს დაასახლებს პალესტინაში, „მადლიან ქვეყანაში, ნაკადულთა და წყაროთა ქვეყანაში, სადაც ნიაღვრები მოედინებიან მთად და ბარად, ხორბლისა და ქერის, ყურძნისა და ლევის, და ბროწულის ქვეყანაში, ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც არ მოგაკლდება საჭმელი და პური და არაფერი გაგიჭირდება, ქვეყანაში, რომელსაც რინა აქვს ქვებად და რომლის მთებიდანაც რვალს გამოკვეთავ. შეჭამ და გაძლები, და დალოცავ უფალს, შენს ღმერთს, იმ მადლიანი მიწისათვის, რომელიც მოგცა“ (რჯლ. 8, 7-10).

პალესტინის სამეურნეო პოტენციალთან ერთად, უფალი თავისი ზრუნვა-განგებულებითაც ეხმარება ისრაელიანებს: „თუ იკითხავთ, რა ვჭამოთო მეშვიდე წელს, თუ არ დავთესეთ და თუ არ ავიღეთო მოსავალი, ვბრძანებ ჩემს კურთხევას თქვენზე მეექვსე წელს და მოიყვანს მოსავალს სამი წლისთვის. დათესავთ მერვე წელს, მაგრამ მეცხრე წლამდე ძველ მოსავალს შეჭამთ, ძველი უნდა ჭამოთ, ვიდრე მისი მოსავალი შემოვიდოდეს“ (ლევ. 25,20-22). როგორც ვხედავთ, გარდა ზემოაღნიშნული ბუნებრივი შესაძლებლობებისა, ყოვლისშემძლე ღმერთი თავისი უშუალო განგებულებითაც უზრუნველყოფს ადამიანებს საქმარისი სურსათით.

ბიბლიაში საწყისშივე მარტივად და სიღრმისეულად არის მოცემული მიწათმოქმედების განმარტება. მიწათმოქმედება ნიშნავს იმ მიწის დამუშავებას, რომლისგანაც შეიქმნა ადამი: „გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული“ (დაბ. 3,23). ხოლო, მიწის დამუშავებაში დაკავებულ ადამიანებს მიწათმოქმედი, მოქმედი ან მუშაკი ეწოდებათ: „მერე შვა მისი ძმა აბელი. აბელი მეცხვარე იყო, კაუნი – მიწის მუშაკი“ (დაბ. 4,2); „და ააგო კოშკები უდაბნოშიც და უამრავი ჭა ამოიყვანა, რადგან ბევრი ხარ-ძროხა ჰყავდა დაბლობში და ვაკეზე. მიწისმუშაკი და მევენახენი კი მთებში და ქარმელში ჰყავდა, რადგან მიწის მოყვარული იყო“ (2 ნეშტ. 26,10); მაშ ეველრეთ

სამკლის უფალს, რათა მომკალნი მოავლინოს თავის სამკალში“, „ვინაიდან მსგავსია ცათა სასუფეევლი ოჯახის პატრონისა, რომელიც გამოვიდა დილაუთენია, რათა თავის ვენახში სამუშაოდ დაექირავებინა მუშები“ (მათ. 9,38; 20,1).

მიწათმოქმედება იყო ადამიანის პირველი საქმიანობა ცოდვით დაცემამდე, ხოლო ცოდვით დაცემის შემდეგ მიწათმოქმედება გართულდა მიწის დაწყევლის გამო – „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2,15); და ადამს უთხრა: „რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაწყევლის შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეტი და ეკალი ამოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროვლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“ (დაბ. 3,17-19).

ცოდვით დაცემის გამო ადამიანს მიწაზე ოფლის ღვრა მიესავა – „გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული“ (დაბ. 3,23). ადამიანი იძულებული იყო ეშრომა მიწაზე, თუნდაც იმიტომ, რომ – „თავისი მიწის მუშაკი პურით დანაყრდება“ (იგავ. 28,19). მიწათმოქმედების ნაყოფი ღმრთის მოცემულია, რაც ნათლად ჩანს შემდეგი სიტყვებიდანაც: „არ თქვეს გულში: გვეშინოდესო უფლის, ჩვენი ღვთისა, რომელიც ღროულად გვაძლევს წვიმას – შემოღვიმისა და გაზაფხულის წვიმას, თავ-თავის ღროზე, და გვინახავს სამკალად დადგენილ შვიდეულებს“ (იერ. 5,24); „ამიტომ, აპა, ეკალ-ბარდებით გადავუღობავ გზას და კედელს აღვეულოთავ წინ, რომ ვერ გაიგნოს ბილიკები“ (ოს. 2,8).

მიწათმოქმედებაში წარმატებისათვის ადამიანმა უნდა გამოიჩინოს შემდეგი თვისებები:

სიბრძნე – „განა სულმუდამ ხნავს მხენველი დასათესად? განა სულმუდამ აბრუნებს და ფარცხავს თავის მიწას? განა არ ასწორებს მის ზედაპირს? მიმოფანტავს სიიჯას და თესავს კვლიავს, ჩადებს ხორბალს ხნულში და ქერს თავის ადგილზე და ასლს ყანის

კიდეებზე? ესა აქვს წესად დადებული, მისმა ღმერთმა დამოძღვრა იგი. რადგან კევრით არ ლეწავენ სოინჯს და ურმის ბორბალს არ ატარებენ კვლიავზე, რადგან სოინჯი კეტით იცესვება და ჯოხით – კვლიავი. პური ილეწება, მაგრამ ბოლომდე არ ინაყება; ტრიალებს ურმის ბორბალი და ცხენები, მაგრამ არ ნაყავენ მას. ესეც ცაბაოთ უფლისგან მოდის; საკვირველია მისი რჩევა და სიბრძნე მისი – დიდებული“ (ეს. 28, 24-29);

**გულმოღვინება** – „კარგად უნდა იცოდე შენი ფარის ამბავი და ყურს უგდებდე შენს ნახირს. რადგან სამუდამო არ არის სიმდიდრე და არც გვირგვინი გადაეცემა თაობიდან თაობას. გაითიბება ბალახი და ამოდის ჯეჯილი და იკრიფება მთის ბალახები. ცხვარი შენი ტანსაცმლისათვისაა, თხები კი ყანის ფასია. უხვად გექნება თხის რძე შენს საზრდოდ, შენი სახლის საზრდოდ და შენი მხევლების სარჩენად“ (იგავ. 27,23-27), „დილით თესე შენი თესლი და მწუხრისას ნუ დაისვენებს შენი ხელი; რადგან არ იცი, რომელი უფრო სასიკეთოა; იქნებ ორივე ერთნაირად კარგი გამოღვეს. ტკბილია სინათლე და სამურია თვალისათვის მზის ჭვრეტა“ (ეკლ. 11,6-7);

**შრომა** – „მიწის მუშაკმა პირველმა უნდა იგემოს ნაყოფი“ (2 ტიბ. 2,6);

**მომზინება მოლოდინის დროს** – „მაშ, მრავლისმთმენი იყავით, უფლის მოსვლამდე, აპა, გლეხსაცი ელის მიწის სანუკვარ ნაყოფს, და ელის მომზინებით, სანამ არ ელირსება წვიმას, ნაადრევს თუ ნაგვიანევს“ (იაკ. 5,7). **გულმოღვინება მიწათმოქმედებაში სიუხვეს იძლევა:** „თავისი მიწის მუშაკი პურით გაძლება, ჭკუათხელი კი ამაოთა მდევნელია. ...თავისი მიწის მუშაკი პურით დანაყრდება, ხოლო ვინც ამაოდ ირჯება, სიღარიბით დანაყრდება“ (იგავ. 12,11; 28,19).

**მიწათმოქმედებისთვის აუცილებელი პირობაა შშვილობა, რადგან იმი შლის მიწათმოქმედებას** – „სამართალს განიკითხავს იგი ერებს შორის და ამხილებს უთვალავ ხალხს; მახვილებისგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისაგან – ნამგლებს, ერთ ერზე

აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს“ (ეს. 2,4), „რადგან სულს მოვათქმევინებ დაღლილ-დაქანცულს და ყოველ ღონებისდილს“ (იერ. 31,24); „ამოკვეთეთ მთესველი ბაბილონიდან და ნამგლის დამჭერი მკათათვები. შემმუსვრელის მახვილისგან ყველამ თავის ხალხს შეაფაროს თავი და ყველა თავისი ქვეყნისკენ გაიცეს. ...შენით ვფანტავ მწყემსა და მის ჯოგს, შენის ვფანტავ გუთნისდედას და მის გუთნეულს, შენით ვფანტავ განმგბელთ და მთავართ“ (იერ. 50,16; 51,23).

**მიწათმოქმედებას თავად პატრიარქებიც ეწეოდნენ** – „მერე შვა მისი ძმა აბელი. აბელი მეცხვარე იყო, კაენი – მიწის მუშაკი. ...დაიწყო ნოემ მიწის მუშაკობა და გააშენა ვენახი“ (დაბ. 4,2; 9,20). **საერთოდ, ისრაელთ უფვარდათ მიწათმოქმედება** – „მოვიდა უფლის ანგელოზი და დაჯდა აბიყეზრელი იოაშის ბელეკონქვეშ, ყოფრაში. მისი ვაჟი გედეონი საწნახელში ცეხვავდა ხორბალს, მიდიანისგან ფარულად“ (მსაჯ. 6,11); „წავიდა იქიდან და მოძებნა ელისე შაფატის ძე, რომელიც მიწას ხნავდა. თორმეტი უღელი ეყენა წინ, თავად მეთორმეტეს უდგა. ჩაუარა ელიამ და გადაუგდო თავისი მოსასხამი“ (3 მევ. 19,19); „ააგო კოშკები უდაბნოშიც და უამრავი ჭა ამოიყანა, რადგან ბევრი ხარ-ძროხა ჰყავდა დაბლობში და ვაკეზე. მიწისმუშაკინი და მუვენახენი კი მთებში და ქარმელში ჰყავდა, რადგან მიწის მოყვარული იყო“ (2 ნეშტ. 26,10).

**ქანანის ნიადაგი და პავა ხელსაყრელი იყო მიწათმოქმედებისათვის** – „გაიხედა ლოტმა და დაინახა, რომ ოორდანეს მთელი მშარე ცოლარამდე ირწყვებოდა, ასე იყო, ვიდრე უფალი არ გაანადგურებდა სოდომისა და გომორს, როგორც ბალი უფლისა, როგორც ეგვიპტელთა ქვეყანა“ (დაბ. 13,10); „რადგან უფალს, შენს დმერთს, მიჰყავხარ მადლიან ქვეყანაში, ნაკადულთა და წყაროთა ქვეყანაში, სადაც ნიაღვრები მოედინებიან მთად და ბარად, ხორბლისა და ქერის, ყურძნისა და ლელვის, და ბროწეულის ქვეყანაში, ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც არ მოგაქლდება საჭმელი პური და არაფერი გაგიჭირდება, ქვეყანაში, რომელსაც რკინა აქვს ქვებად და რომლის მთებიდანაც რვალს გამოკვეთავ“ (რჯლ. 8,7-

9); „რადგან ქვეყანა, სადაც თქვენ მიღიხარო დასამკვიდრებლად, არა პეტა ეგვიპტის ქვეყანას, საიდანაც გამოხვედი, სადაც თესავდი თესლს, და რწყავდი შენი ფეხით, როგორც ბოსტანს. ის ქვეყანა კი, რომლის დასამკვიდრებლადაც გაღმა გადადიხარო, მთავორიანი და ველებიანი ქვეყანაა და ციდან ნაწვიმები წყლით ირწყვება“ (რჯლ. 11,10-11).

მიწათმოქმედების მძიმე პირობები ნოეს დროიდან შემსუბუქებულია – „უწოდა მას სახელად ნოე. ასე თქვა: „ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა“ (დაბ. 5,29).

მიწათმოქმედებას ისრაელი ხელს უწყობდნენ მიწის დაყოფით სამემკვიდრეო ნაკვეთებად და გამოსყიდვის უფლებით – „არ უნდა გადადიოდეს ისრაელიანთა სამკვიდრო შტოდან შტოში, რადგან მამაპაპისეულ შტოს სამკვიდროს უნდა იყოს მიწებებული თითოეული ისრაელიანი. ყოველი ასული, რომელიც იმკვიდრებს წილს ისრაელიანთა რომელიმე შტოში, მამისეული შტოს საგვარეულოდან უნდა მისთხოვდეს ვისმე, რათა თითოეულ ისრაელიანს შეეძლოს მამაპაპისეული წილის დამკვიდრება. არ უნდა გადადიოდეს სამკვიდრო ერთი შტოდან სხვა შტოში, რადგან თითოეული ისრაელიანი თავის სამკვიდროს უნდა იყოს მიწებებული“ (რიცხ. 36,7-9); „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან. მთელს თქვენს სამკვიდრებელ მიწაზე მიეცით მიწის გამოსყიდვის ნება. თუ შენი მოძმე გაღარიბდება და თავის სამკვიდრებელს გაჰყიდის, მივიდეს მისი ახლო ნათესავი და გამოისყიდოს თავისი მომბის გაყიდული. თუ კაცს გამომსყიდველი არა პეტა და თავად ხელი მიუწვდება და იშოვის გამოსასყიდს, რამდენიც საჭიროა, იანგარიშოს გაყიდვიდან გასული წლები, მონარჩენი მყიდველს დაუბრუნოს და თავისი სამკვიდრებელი ჩაიბაროს. თუ გამოსასყიდს, რამდენიც საჭიროა, ვერ იშოვნის, გაყიდული მის მყიდველს დარჩება ზეიმის წლამდე. ზეიმის წელს ჩამორთმევა და პატრიონი თავის სამკვიდრებელს დაუბრუნდება“ (ლევ. 25,23-28).

აგრეთვე, ისრაელი მიწათმოქმედებას სხვა ერთაგან გამოცალკევებით უწყობდნენ ხელს – „როგორ მიხვდი, რომ მაღლი ვპოვეთ თვალში მე და შენმა ერმა? ხომ იმით, რომ ჩვენთან ერთად ივლი და გამორჩეული ვიქებით მე და შენი ერი ყველა ხალხიდან, რაც კი დედამიწის ზურგზეა?“ (გამ. 33,16).

აკრძალული იყო ისრაიტელის ისრაიტელისაგან ვახში აეღო – „თუ ვინმეს, ჩემ ერისაგანს, ღარიბ-ღატაკს, ვერცხლს ასესხებ, მევახშესავით ნუ მოექცევი, სარგებელს ნუ დაუწესებ“ (გამ. 22,25). ხოლო, ნუგეში მიწათმოქმედებაში იყო ღმრთის კურთხევის აღთქმა – „მე მოგცემთ თქვენ წვიმებს დროულად და მიწა გამოიღებს თავის მოსაგალს, და ხე ველისა მოგცემთ თავის ნაყოფს“ (ლევ. 26,4); „შეგიყვარებს, დაგლოცავს, გამრავლებს და გიგურთხებს შენი მუცლის ნაყოფს, შენი მიწის ნაყოფს, პურს, ღვინოს და ზეთს, საქონლის ნამატს და ცხვრის მონაგებს იმ მიწაზე, რომელიც შენთვის მისაცემად აღუთქვა შენს მამა-პაპას. ...დროულად მივცემ წვიმას თქვენს ქვეყანას, გაზაფხულის და შემოდგომის წვიმას, მოიწვე ხორბალს, ღვინოს და ზეთს. გავაჩნ ბალახს შენს მინდვრებზე საქონელისთვის. ჭამე და გაძეხი“ (რჯლ. 7,13; 11,14-15).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანი ცოდვისკენაა მიღრეკილი და ამიტომ სამკალი ხშირად ნაღურდებოდა ცოდვის გამო და ნაყოფთა გაჩანაგება ისრაიტელთათვის დიდ მწუხარებას ოწვევდა – „ნამდვილად, ათ ქცევა ვენახში ერთი ბათიც არ მოვა და ერთი ხომერი თესლიდან ერთი ეფაც არ მოვა! ...იმ დღეს ყოველი ადგილი, სადაც ათასი ვერცხლის სალირალი ათასი ძირი ვაზი იყო ჩაყრილი, ჯაგნარად და ეკალ-ნარად გადაიქცევა“ (ეს. 5,10; 7,23); „დათესეს ხორბალი და ეკალი მოიგეხს. დაშვრნენ და სარგებელი ვერ ნახეს. გრცხვენოდეთ ამ თქვენი მოსავლისა – უფლის რისხვისა“ (იერ. 12,13); „გაჩანაგდა ყანები, გოდებს მიწა, რადგან გაოხრდა ხორბალი, გაშრა ღვინო, გახმა ზეთისხილი. გაწბილდნენ შხვნელები, მოთქვამენ მიწის მუშაკები პურზე და ქერზე, რადგან დაიღუპა სამკალი“ (იოვ. 1,10-11); „რადგან ასე ამბობს უფალი, ცაბაოთ ღმერთი: ყველა ქუჩაზე გლოვა იქნება, და იტყვიან ყველა შუკაში:

ვაი, ვაი! მოუხმობენ მიწათმოქმედს საგოდებლად და საგლოვად – მოტირალებს. ყველა ვენახში გლოვა იქნება; როცა მე გავივლი შენს წიაღში, ამბობს უფალი“ (ამოს. 5,16-17).

როგორც ბიძლია გვასწავლის, არავინ არ უნდა ისურვოს სხვისი ფანა – „არ მოინდომო ახლობლის ცოლი, არ ისურვო ახლობლის სახლი, არც მისი ყანა, არც მისი ყმა, არც მისი ყმაქალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არაფერი მისი საბადებლიდან“ (რჯლ. 5,18).

**არსებობდა მიწათმოქმედების ფუძემდებლური წესები:**

1. **აკრძალული იყო სამეტკვიდრეული ნაკვეთის საზღვრების დარღვევა** – „ნუ გადასწევ წინაპართა მიერ გავლებულ შენი მოყვასის სამანს შენს წილხვედრილში, რომელიც წილად გერგება იმ ქეყნად, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს დასამკიდრებლად“ (რჯლ. 19,14); „შენი მამა-პაპის გავლებულ მიჯნას ნუ შეცვლი“ (იგავ. 22,28);
2. **აკრძალული იყო სხვისი სამკალის მითვისება** – „როცა შეხვალ შენი მოყვასის ვენახში და შენი სურვილისამებრ, გაძლომამდე შეჭამ ყურძენს, ჭურჭელში ადარ ჩაიწყო“ (რჯლ. 23,24);
3. **აკრძალული იყო სხვის ყანაში საქონლის ძოვება** – „თუ ვინმე მიუშვებს თავის პირუტყვს და სხვის ყანას ან ვენახს გადააძოვინებს, საკუთარი ყანიდან და საკუთარი ვენახიდან საუკეთესო ნაყოფით უნდა ზღოს“ (გამ. 22,4);
4. **აკრძალული იყო ყანის დაწვა** – „თუ ცეცხლი გაჩნდება, ძებვს მოედება, ზეზინსა ან პურის ყანას ან მინდორს გადაწვავს, ხანძრის გამჩნევლმა უნდა ზღოს“ (გამ. 22,5).

**სშირად ყანის სამუშაოებს დაქირავებულნი ასრულებდნენ** – „მინდვრის სამუშაოების შემსრულებლებზე, მიწას რომ ამუშავებდნენ – ყეზერ ქელუბის ძე“ (1 ნეშტ. 27,26); „ააგო კოშკები უდაბნოშიც და უამრავი ჭა ამოიყვანა, რადგან ბევრი ხარ-ძროხა ჰყავდა დაბლობში და ვაკეზე. მიწისმუშაკნი და მევენახენი კი

მთებში და ქარმელში ჰყავდა, რადგან მიწის მოყვარული იყო“ (2 ნეშტ. 26,10); „რომ მოსაღამოვდა, ვენახის პატრონმა თავის მოურავს უთხრა: დაუძახე მუშებს და მიეცი მათ საზღაური, უკანასენელთაგან მოყოლებული პირველებამდე“ (მათ. 20,8); „მონა რომ გყვდეთ ვინმეს, მსვნელი თუ მწყემსი, რომელი თქვენგანი ეტყვის მინდვრიდან დაბრუნებულს: მიდი, სუფრას მიუჯექიო?“ (ლუკ. 17,7).

**მიწა სშირად იჯარით გაიცემოდა** – „სხვა იგავიც მოისმინეთ: იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც ჩაყარა ვაზი, ღობე შემოავლო, შიგ საწნახელი ამოკვეთა, ააგო კოშკი, და იჯარით მისცა მევენახებს, თვითონ კი გაემგზავრა. და როცა რთვლობამ მოაწია, გაგზავნა თავისი მონები მევენახებთან, რათა მოსავალი ჩაებარებინათ მათგან“ (მათ. 21,33-34).

**ებრაელებს მიწათმოქმედების ნაყოფი სხვა ქვეყნებშიც გაპქონდათ** – „ხოლო სოლომონი უგზავნიდა ხირამს ოცი ათას ქორ ხორბალს მის სახლის სარჩოდ და ოც ქორ გაწმენდილ ზეთს. ამას უგზავნიდა სოლომონი ხირამს წლიდან წლამდე“ (3 მეფ. 5,11); „იუდა და ისრაელის ქვეყანა შენი გამსაღებლები იყვნენ: მინითის ხორბალს, ნამცხვარს, თაფლსა და ზეთს, და ბალზამს გაძლევდნენ შენს საქონელში“ (ეზეპ. 27,17).

**ბიძლია გვამცნობს, რომ არსებობდა სხვადასხვა სამიწათმოქმედო სამუშაოები, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი:**

1. **ზღუდის აღება** – „დაბარა, ქვები მოაცილა, ჩაყარა წითელი ვაზი, ჩადგა კოშკი მის შეუგულში, საწნახელიც ამოკვეთა იქ და დაელოდა, ვიდრე სავსე მტევნებს გამოიღებდა. მაგრამ ხენეში ნაყოფი გამოიღო. ახლა განგვსაჯეთ, იერუსალიმის მცხოვრებნო და იუდას ხალხო, მე და ჩემი ვენახი. კიდევ რა უნდა გამეკათებინა ჩემი ვენახისთვის და რა დაგაკელი? რატომ გამოიღო ხენეში ნაყოფი, როცა სავსე მტევნებს ველოდი? ახლა გაგიცხადებთ, რას დავმართებ ჩემს ვენახს: ღობეს მოვურდვევ, რომ გაპარტახდეს; ზღუდეს მოვუნგრევ, რომ გაითელოს“ (ეს. 5,2-5);

- ხენა** – „მივიდა მაცნე იობთან და უთხრა: „ხარები ხნავდნენ, სახედრები კი ძოვდნენ მის გვერდით“ (იობ. 1,14); „ვერც-ერთ მთაზე, რომელიც თოხით ითოხნებოდა, ვერ მიხვალ ჯაგ-ნარისა და ეკალ-ნარის შიშით; ხარების გასარეკი და ცხვრების გასათელი გახდება იგი“ (ეს. 7,25).
- თოხვნა და ბარვა** – „...ხოლო მან მიუგო და უთხრა: ბატონო, წლეულსაც აცალე, ძირს შემოვუბარავ და ნაკელს დავუყრი, – იქნება ივარგოს; თუ არა და, გაისად მოჭერი“ (ლუკ. 13,8-9).
- ლეწვა** – „რადგან დაადგრება უფლის ხელი ამ მთას და გაითელება მოაბი თავის ადგილზე, როგორც ჩალა ითელება სანეხვეზე“ (ეს. 25,10); „რადგან, ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: ბაბილონის ასული გასალეწად გამზადებული კალოა; ცოტაც და, დადგება მისი მომკის უამი“ (იერ. 51,33); „ნუ აუკრავ პირს ხარს ლეწვის დროს“ (რჯლ. 25,4); „მივიდა უფლის ანგელოზი და დაჯდა აბიუზრელი იოაშის ბელეკონქვეშ, ყოფრაში. მისი ვაჟი გედეონი საწნახელში ცეხვავდა ხორბალს, მიდიანისგან ფარულად“ (მსაჯ. 6,11).
- დარგვა** – „იგი ყანაზე ფიქრობს და ყიდულობს კიდეც; საკუთარი ხელების ნაყოფით ვენახსა ჰყორის...“ (იგავ. 31, 16); „კედრებს გაჩეხავს, შეარჩევს ძელქვას ან მუხას და მოიმარაგებს ტყის ხეთა შორის; დარგავს კედარს და წვიმა გაზრდის“ (ეს. 44, 14); „კვლავ გააშენებ ვენახებს სამარიის მთებზე; ვინც გააშენებს, ის მოისთვლის“ (იერ. 31, 4).
- მორწყვა** – „რადგან ქვეყანა, სადაც თქვენ მიდიხართ დასამკვიდრებლად, არა ჰგავს ეგვიპტის ქვეყანას, საიდანაც გამოხვედი, სადაც თესავდი თესლს და რწყავდი შენი ფეხით, როგორც ბოსტანს“ (2 რჯ. 11, 10); „მე დავრგე, აპოლოსმა მორწყა, მაგრამ გაზარდა ღმერთმა. ასე რომ, არც დამრგველია რამე, და არც მომრწყველი, არამედ გამზრდელი ღმერთი. ხოლო დამრგველი და მომრწყველი ერთი არიან; მაგრამ თვითეული თავისი შრომისამებრ მიიღებს საზღაურს თვისას“ (1 კორ. 3, 6-8);

- დგარძლის ამოძირეკა (მარგვლა)** – „მოვიდნენ მონები ყანის პატრონთან და უთხრეს: ბატონო, შენ ხომ კეთილი თესლი დათესე ყანაში; საიდანა აქვს ღვარძლი? ხოლო მან უთხრა მათ: მტერმა ქნა ეს. მონებმა კი უთხრეს: თუ გნებავს, მივალთ და გავმარგვლავთ ყანას. ხოლო მან თქვა: არა, რათა მარგვლისას ღვარძლს ჯეჯილიც არ მიაყოლოთ. აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას ვუბრძავებ მომკალთ: თავდაპირველად შეკრიბეთ ღვარძლი, მნებად შეკარით და ცეცხლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახეთ ჩემს ბელელში. ...როგორც შეკრებენ ღვარძლს და ცეცხლს მისცემნ, ასევე იქნება ქვეყნის დასასრულს“ (მათ. 13, 27-30, 40);
- დამგნა** – „მაგრამ თუ რტოთაგან ზოგი მოტყდა, და შენ, ველური ზეთისხილი, მათ ადგილას დაემყენ, და ფესვებისა და ზეთისხილის წვენის თანაზიარად იქეც, ნუ იქადი რტოთა წინაშე; ხოლო თუ იქადი, გახსოვდეს, რომ შენ კი არ გიტვირთავს ფესვი, არმედ ფესვმა გიტვირთა შენ. იტყვი: რტონი გადატყდნენ, რათა მე დაგმენილიყავი. ...რადგანაც, თუ შენ მოიკვეთე ბუნებით ველური ზეთისხილისგან და არაბუნებრივად დამყნე შინაურ ზეთისხილს, მით უმეტეს ბუნებრივი რტონი დამყნობიან თავის ზეთისხილს“ (რომ. 11, 17-19, 24);
- სხვლა** – „ექვს წელიწადს თესავდე შენს ყანას, ექვს წელიწადს სხლავდე შენს ვენახს და იღებდე მოსავალს“ (ლევიტ. 25,3); „გავაველურებ, არ გაისხლება და არ დაიბარება, და ამოვა იქ ნარი და ეკალი, ღრუბლებს ვუბრძანებ, წვიმა არ აწვიმოს მათზე,, (ეს. 5, 6);
- მნები და მჭელეულები** – „აპა, მნებს ვკონავთ შუაგულ ყანაში. აპა, წმოდგა ჩემი მნა და ზე აღიმართა, გარსშემოადგნენ თქვენი მნები და თაყვანისცეს ჩემს ძნას,, (დაბ. 37,7); „იქნებიან, როგორც ერდოს ბალახი, რომელიც მოწვეტამდე გახმება. რომლითაც ვერ აივსებს პეშვს მომკელი და იღლიას – ძნის შემკვრელი,, (ფს. 128, 6-7); „აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას ვუბრძავებ მომკალთ: თავდაპირველად

- შეკრიბეთ დგარძლი, მნებად შეკარით და ცეცხლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახეთ ჩემს ბეღელში,, (მათ. 13, 30);
11. **მკა** – „როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას; სამკალში დაცვენილს ნუ აკრეფ,, (ლევ. 19,9); „წავიდა და შეუდგა აკრეფას ყანაში მომკელთა კვალზე. ბოლოს იმ ბოყაზის ყანაში მოხვდა, რომელიც ელიმელექის საგვარეულოდან იყო“ (რუთ. 2,3); „შეხედეთ ცის ფრინველთ: არც თესავენ, არც მყიან, არც ბეღლებს ავსებენ, და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ. ნუთუ თქვენ არა სჯობისართ ფრინველთ?“ (მათ. 6,26);
  12. **განიავება** – „აი, ბოყაზი, ჩვენი ნათესავი, რომლის შსახურ ქალებთანაც ნამყოფი ხარ, აი, ამ დამით ქერს ანიავებს კალოზე“ (რუთ. 3,2); „მას ხელთ უპყრია თვისი არნადი და გაწმენდს თავის კალოს, და შეინახავს ხორბალს ბეღლელში, ხოლო ბზეს მისცემს უშრეტ ცეცხლს“ (მათ. 3, 12);
  13. **ფარცხვა („ქვეყანის მოქმედი“)** – „განა სულმუდამ ხნავს მხვნელი დასათესად? განა სულმუდამ აბრუნებს და ფარცხავს თავის მიწას?, (ეს. 28, 24);
  14. **გძრაელები მიწათმოქმედებაში ხარს, ვირსა და ცხენს იყენებდნენ** – „ნუ აუკრავ პირს ხარს ლეწვის დროს“ (რჯლ 25,4); „ნუ მოხნავ ხარითა და სახედრით ერთად“ (რჯლ. 22, 10); „მიჰყავდათ იოსებთან საქონელი და აძლევდა მათ იოსები პურს ცხენების, ცხვრის ფარის, ნახირის და სახედრების საფასურში; ამარავებდა მათ იმ წელიწადს პურით მთელი მათი საქონლის საფასურად“ (დაბ. 47, 17); „თოვორმას სახლიდან ცხენებს, საბრძოლო რაშებს და ჯორებს გიგზავნიდნენ სანაცვლოდ“ (ეზეპ. 27, 14).
  15. **თქვენ** – „ბედნიერები ხართ, ვინც ყველგან თესავთ, სადაც წყალია, და ნებაზე უშვებთ ხარს და სახედარს!“ (ეს. 32, 20); „ბევრ რასმე ასწავლიდა მათ იგავებით და ამბობდა: აპა, გამოვიდა მთესავი თესვად...“ (მათ. 13, 3);

**ბიბლია გვასწავლის, რომ ხვნა არის მიწის დამუშავება – „რადგან ასე უთხრა უფალმა იუდას ხალხს და იერუსალიმს: „გატეხე ყამირი და ეკალბარდებში ნუ დათესავ!“ (იერ. 4,3). ებრაელები გუთნით ხნავდნენ – „მაგრამ იესომ უთხრა მას: არც ერთი კაცი, ვისაც ხელი უდევს სახისზე და უკან კი იყურება, არ ივარებს ღმრთის სასუფლელისთვის“ (ლუკ. 9,62).**

**ხვნისას ხარებს იყენებდნენ – „მოვიდა მაცნე იობთან და უთხრა: „ხარები, ხნავდნენ, სახედრები კი ძოვდნენ მის გვერდით“ (იობ. 1,14).**

**ხნავდნენ ზამთარში, ზოგს ეს ეზარებოდა და ამიტომ შედეგიც შესაბამისი იყო – „ზარმაცს სიცივეში ხვნა ეზარება, სთვლობას კი მოიკითხავს, მაგრამ არაფერი ექნება“ (იგავ. 20,4). ამასთან, ხვნა ქვიან ნიადაგზე გამნელებულია – „თუ ურბენიათ ცხენებს კლდებზე, ან თუ უხნავთ ის ხარებით? თქვენ კი შხამად აქციეთ სამართალი და აბზინდად – სიმართლის ნაყოფი“ (ამოს. 6,12).**

**ძირითადად შსახური ხნავდნენ, თუმცა თვით მიწის მესაკუთრეც არ თაკილობდა შრომას – „დადგებიან უცხონი და დამწყებსავენ თქვენს ცხვარს, უცხოთა შვილები იქნებიან თქვენი მიწათმოქმედი და მევენახენი“ (ეს. 61,5); „მონა რომ გყავდეთ ვინმეს, მზვნელი თუ მწყემსი, რომელი თქვენგანი ეტყვის მინდვრიდან დაბრუნებულს: მიდი, სუფრას მიუკეციო?“ (ლუკ. 17,7); „წავიდა იქიდან და მოძებნა ელისე შაფატის ძე, რომელიც მიწას ხნავდა. თორმეტი უღელი ეყნა წინ, თავად მეთორმეტეს უდგა“ (3 მეფ. 19,19).**

**ხვნის შემდეგ იწყებოდა თესვა – „განა სულმუდამ ხნავს მხვნელი დასათესად? განა სულმუდამ აბრუნებს და ფარცხავს თავის მიწას?“ (ეს. 28,24).**

**ისრაიტელთა სასოფლო-სამურნეო და მასთან დაკავშირებული ხელობები ფრიად მრავალფეროვანი იყო. ისინი მათ მეტყვიდრეობით გადაცემოდათ და თაობიდან თაობაში უფრო იხვეწებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ისეთი ხელოსნები, როგორებიც იყვნენ:**

- **მცხობელი** – „ამ ამბების შემდეგ იყო, რომ ეგვიპტის მეფის მწიდემ და მეპურემ შესცოდეს თავიანთ ბატონს, ეგვიპტის მეფე“ (დაბ. 40,1); „აიყვანს თქვენს ასულებს მენელსაცხებლეებად, მზარეულებად და პურისმცხობლებად“ (1 მეფ. 8,13);
- **მწერებელი** – „იმ ხანად შევნიშნე, რომ იუდაში შაბათობით საწნახლებში ღვინოს წურავენ, ძნებს ზიდავენ, სახედრებს ჰკიდებენ ღვინოს, ყურძენს, ლელვს, ყველანაირ საპალნეს, და შაბათ დღეს იერუსალიმში მიაქვთ. მე გავაფრთხილე ისინი იმ დღეს, როცა საჭმელ-სასმელს ყიდდნენ“ (ნეემ. 13,15).

ებრაელები აქტიურად სარგებლობდნენ წყალსაცავებითა და ტბებით. ბიბლია გვასწავლის, რომ წყალსაცავი ღვთის ქმნილებაა, მაგრამ არის ადამიანების ხელით გაკეთებული – ხელოვნური წყალსაცავებიც. წყალსაცავის დანაშნულება იყო ქალაქის წყლით მომარაგება – „ნიზ-კიას დანარჩენი საქმენი, ყველა მისი გმირობა, წყალსატევი რომ გააკეთა და ქალაქში წყალი გაიყვანა, იუდას მეფეთა მატიანე-შია ჩაწერილი“ (4 მეფ. 20,20). ასევე, მათი მეშვეობით რწყავდნენ ბაღებს – „წყალსატევები მოვაწყვე, რომ მოერწყათ ნორჩი ტე-ვრები“ (ეკლ. 2,6).

წყალსაცავები წვიმის წყლით ივსებოდა და წყალი ქალაქში არხებით ან წყლისადენით მოდიოდა – „გლოვის ველზე გამვლელნი წყაროს აღმოაჩენენ და კურთხევით დაფარავს მათ წვიმა შემოდგომისა“ (ფს. 83,7); „მოაწყვეთ წყალსატევი ორ კედელს შორის ძველი ტბორის წყლისათვის, მაგრამ არად აგდებთ მის შემქმნელს, არ უყურებთ მას, ვინც დასახა იგი დიდი ხნის წინათ“ (ეს. 22,11). ბევრ წყალ-სადენს სათავე ლიბანში ჰქონდა – „ბაღების წყარო, ჭა ცხოველი წყლისა და ნაკადული, ლიბანიდან მომდინარენი“ (ქებ. 4,15).

#### წმინდა წერილში დასახელებულია შემდეგი წყალსაცავები:

ბეთეზდა (იოან. 5,2); გაბაონი (2 მეფ. 2,13); ქებრონი (2 მეფ. 4,12); სამარიისა (3 მეფ. 22,38); სილოამი (ეს. 8,6); (იოან. 9,7); ქვენა საბანელი (ეს. 22,9); სამეფო საბანელი (ნეემ. 2,14); ძველი საბანელი (ეს. 22,11) და სხვ.

**ბიბლიაში ფართოდ არის ასახული მეცხოველეობა.** ისრაელში ცხვარი წმინდა ცხოველად ითვლებოდა და მისი ხორცი იჭმებოდა – „ეს ცხოველებია, რომელთა ჭამა შეგიძლია: ხარი, ცხვარი და თხა“ (რჯლ. 14,4).

ცხვარს დიდი სარგებლობა მოაქვს და იგი ოდითგან ემსახურება ადამიანს. ამასთან, ცხვარი პატრიარქების სიმდიდრე იყო – „აბელმაც მიართვა თავისი ფარის ნათავარი და რჩეული პირუტყვი. მოპხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს“ (დაბ. 4,4); „ლოტსაც, რომელიც აბრამთან ერთად მგზავრობდა, ჰყავდა ცხვარ-ძროხა და ჰქონდა კარვები. ვერ იტევდა მათ ის ქვეყანა ერთად საცხოვრებლად, რადგან დიდმალი ქონება ჰქონდათ და არ შეეძლოთ ერთად ცხოვრება.

დიდად აკურთხა უფალმა ჩემი პატრონი და განდიდდა იგი, მისცა მას ცხვარ-ძროხა, ოქრო-ვერცხლი, ყმბი და მხევლები, აქლემები და სახელრები; ჰყავდა ცხვრის ფარა, ნახირი და ჰქონდა უამრავი სახნავ-სათხესი, და შეშურდათ მისი ფილისტიმელებს“ (დაბ. 13,5-6; 24,35; 26,14).

**შინაური პირუტყვი ბევრი იყო კედარსა და ნაბეოთში** – „არაბები და კედარის ყველა მთაგარი შენთან ვაჭრობდნენ; სანაცვლოდ ბატკნებს, ცხვრებსა და თხებს გიგზავნიდნენ“ (ეზეპ. 27,21); **მისი ხორცი და რჩე საკვებად გამოიყენებოდა** – „მაგრამ, აპა, ლზინი და სიხარულია, ხარების ულეტა და ცხვრების ხოცვა, ხორცის ჭამა და ღვინის სმა. ვჭამოთ და ვსვათო, ხვალ მაინც დავიხოცებითო“ (ეს. 22,13); „არ დააყოვნა აბიგაილმა, აიღო ორასი პური, ორი ტიკი ღვინო, ხუთი გამზადებული ცხვარი, ხუთი სეა ქუმელი, ასი მტევანი ჩამიჩი, ორასი ტყლაპი და აპიკიდა ვირებს“ (1 მეფ. 25,18). **მისი ტყვავისაგან დამზადდა კარვის სახურავი** – „გაუტეთა გადასაფარებელს გადასახურავი დათრიმლული ტყავებისგან და ზემოდან გადასახურავი თახაშის ტყავებისგან“ (გამ. 36,19). **მატყლისაგან ამზადებდნენ ქსოვილს** – „ქონს ჭამთ, მატყლით იმოსებით, ნასუქალს ხოცავთ, ცხვარს კი არ მწყემსავთ!“ (ეზეპ. 34,3).

ცხვარს პატრონის ოჯახის წევრები და მსახურები მწყემსავდნენ. მცველებად კი ძაღლები ჰყავდათ. მათ ბაკებში კვებავდნენ, ასევე

აძლევდნენ ნოუიერ საძლვრებზე მთებსა და მინდვრებში. ფარა ხშირ შემთხვევაში მთელ საძლვარს ავსებდა. შუადღეზე ცხვარს ასვენებდნენ. – „უთხრა: ხომ მშვიდობითაა? მიუგეს: მშვიდობითაა. აგერ, რახელიც, მისი ასული, ცხვარს მოჰყვება. უთხრა: ჯერ ხომ არ გასულა დღე, ადრეა საქონლის თავმოყრა; დაარწყულეთ ცხვარი, წაასხით და აძლვეთ. უთხრეს: ვერ წავალთ, ვიდრე მთლიანად არ შეიყრება ფარა და ამ ლოდს არ გადმოაგორებენ ჭის პირიდან. მხოლოდ მაშინ დავარწყულებთ ცხვარს“ (დაბ. 29, 6-8). პირველნაშობს არ კრეჭდნენ. პირველნაშობთა მეათედი ნაწილი ლევიტელთათვის უნდა მიეცათ, ხოლო პირველი ნაპარსი – მღვდელთათვის.

იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ მაცხოვარი გვასწავლის: „ცათა სასუფეველი მსგავსია კაცისა, რომელმაც დათესა კეთილი თესლი თავის ყანაში. ხოლო როდესაც ეძინა ხალხს, მოვიდა მისი მტერი, ღვარძლი ჩათესა ყანაში და წავიდა. და როდესაც აღმოცენდა ჯეჯილი და თავთავი დაისხა, მაშინ გამოჩნდა ღვარძლიც. მივიდნენ მონები ყნის პატრონთან და უთხრეს: ბატონ, შენ ხომ კეთილი თესლი დათესე ყანაში; საიდანა აქვს ღვარძლი? ხოლო მან უთხრა მათ: მტერმა ქნა ეს. მონებმა კი უთხრეს: თუ გნებავს, მივალთ და გავმარგლავთ ყანას. ხოლო მან თქვა: არა, რათა მარგვლისას ღვარძლს ჯეჯილიც არ მიაყოლოთ. აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას ვუბრძანებ მომკალთ: თავდაპირველად შეკრიბეთ ღვარძლი, მნებად შეკარით და ცეცხლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახეთ ჩემს ბეღელში“ (მათ. 13, 24-30). ამ იგავში გადმოცემულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სრული პროცესი; აღწერილია ხორბლის დათესვა, გარე ფაქტორების მავნე ზეგავლენა ყანის მდგომარეობაზე (სუბიექტური და ობიექტური ეკონომიკურ-ეკოლოგიური ფაქტორები), ჯეჯილის მოვლა-გაფრთხილება, მოსავლის აღება-დაბინავება, ხელმძღვანელისა და ხელქვეითების ურთიერთობა.

მთლიანობაში, ბიბლიური ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო მოძღვრება წარმოგვიდგება როგორც მთელი სამეურნეო-მმართველობი-

თი საქმიანობისა და, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური წარმართვის კონცეპტუალური საფუძველი და პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური გზა, რომელთა გამოყენებას შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოების პარმონიული დეთივსულიერი განვითარება.

ეს გარემოება ნებისმიერმა ხალხმა და ქვეყნამ, მათ შორის, საქართველომაც უნდა გაითვალისწინოს თავისი განვითარების პროცესში. მხოლოდ თანამედროვეობასთან პარმონიულად შეხამბული ბიბლიური სიბრძნის გამოყენებით შეძლებს ქართული სახელმწიფო ჰემიარიტი სულიერ-მატერიალური პროგრესის მიღწევას.

## 2.2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ

სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში და, აქედან გამომდინარე, კათოლიკოს-პატრიარქის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში.

მართლმადიდებელი ეკლესია მოუწოდებს ყოველ ადამიანს, მთელ საზოგადოებას, სრულიად კაცობრიობას საღვთო ზნეობრივი კანონის დაცვა-განხორციელებისაკენ საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროში (ეკონომიკა, ბიზნესი, მართვა, სამართალი, ეკოლოგია, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ოჯახი, ჯანდაცვა, მასებებია და სხვ.).

ეკლესია იღვწის იმისათვის, რომ ყოველ ინდივიდს, ერს, სახელმწიფოსა და კაცობრიობას დაანახოს კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რეალური მიზეზები და დაუსახოს ღვთივსულიერი, პარმონიული განვითარების გზები.

ერთიანი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში საქართველოს ავტოკეფალურ, სამოციქულო ეკლესიას ისტორიულად თვალსაჩინო მისია აკისრია. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ცხოვრების სინერგიული მოწესრიგების საღვთო სა-

ქმეში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

დღიდან აღსაყდრებისა (1977 წლის 25 დეკემბერი) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღლა II დიდი რულუნებით იღვწის ეკლესიის მისის განხორციელებისათვის, საზოგადოების ზნეობრივი განწმენდისა და ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკლესიის უმთავრეს იარაღს იიტყვა წარმოადგენს. ჩვენი პატრიარქიც ლოცვით, ეპისტოლებით, ქადაგებით, შეგონებებით, პირადი მოღვაწეობით აღასრულებს მისთვის ღვთივბიძებულ მისიას.

ეკლესია და მისი საჭითმბყრობელი დღენიდადაც იღვწიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გააზრება-მოგვარებისათვის, როგორიცაა:

- ცალკეული ადამიანის, ოჯახის, ერის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, სახელმწიფოსა და მთელი კაცობრიობის ღვთივდადგენილი დანიშნულება, მიზანი და პარმონიული განვითარების გზები;
- ეკლესიის მისია, ადგილი და როლი კომპლექსურ საზოგადოებრივ განვითარებაში; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური დოქტრინა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკეფცია;
- მეცნიერ-ეკონომისტების როლი საქართველოს პარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოწესრიგების საქმეში;
- ეკონომიკა, შრომა, წარმოება, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია, ბიზნესი, მართვა, ეკონომიკური და ბიზნეს-განათლება.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უკვე მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური დოქტრინის (კონცეფციის) შექმნისათვის. ამ სფეროში საქმიანობის ეფექტური წარმართვის წარმატებია ბიბლიის სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრება; ეკლესიის სწავლება ამ სფეროში; სამცლევი სამართლის დოკუმენტები; წმიდანების, პატრიარქების, თანამედროვე ღვთისმეტყველების და მეცნიერების შემოქმედება;

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის; ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების გამოცდილება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია 2002 წლის 14 ოქტომბერს მიღებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომლის პირებ მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფომ და ეკლესიამ უნდა ითანამშრომლონ ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ასეთი მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ეკონომიკის განვითარება და ეკონომიკური განათლების სრულყოფა, რასაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღლა II ხშირად ხაზვასმით აღნიშნავს. ამის შესახებ იგი საუბრობდა სწავლულ ეკონომისტებთან შეხვედრაზე საქართველოს საპატრიარქოში 2004 წლის 30 იანვარს, სადაც მან აღნიშნა, რომ ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებითა და დიდი შრომით უნდა გადავწყვიტოთ. საჭიროა ეკონომიკური საქმიანობისა და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან, ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასულობებს.<sup>88</sup>

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იღლა II-ს ლოცვა-კურთხევით თბილისის სახულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტთან 2007 წლის მაისიდან მოქმედება დაიწყო სპეციალისტების სახელწოდებით: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“, ხოლო 2008 წლის 12 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, სადაც მომზადდებიან თეოლოგიური ორიენტაციის მქონე მაღალკვალიფიციური ეკონომისტები და ბიზნესმეტები.

88 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღლა II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბ., „გეოკერია“, 2004, გვ. 294.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღდა II დღდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და მისთვის სათანადო სამართლებრივი გარემოს შექმნას.

1999 წლის საშობაო ეპისტოლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღდა II აღნიშნავდა: „ჩვენი ყოფა დადებითისკენ რომ შეიცვალოს, აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა. ყველა კარგად ხედავს, რომ დღეს ქვეყანა ძირითადად ორი ნაწილისაგან – უკიდურესად დარიბთა და მდიდართა ფენისაგან შედგება, რომელთა შორის უფსკრული სულ უფრო ღრმავდება. საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტია.

მე ვთხოვ ჩვენს ხელისუფლებას, ყველას, ვასზეც არის დამოკიდებული ამ მიმართულების განვითარება, იქნებ როგორმე გამოიძებნოს საშუალება, რომ დამწყები მეწარმენი დროებით მაინც განთავისუფლდნენ გადასახადისაგან. ეს მოუხსნის მათ წარუმატებლობის კომპლექსს და გაუღვივებს საქმის ინტერესს. სახელმწიფომ უნდა დაარსოს მცირე ბიზნესის შემსწავლელი სკოლებიც და თუ იქ უცხოეთიდნ მოწვეული გამოცდილი სპეციალისტები წაიკითხავნ ლექციებს, ეს მაღლე დღდ შედეგს მოგვცემს“.<sup>89</sup>

2003 წლის 27 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საზოგადოების განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ეკონომიკაზე. დღეისათვის ჩვენში ორი სოციალური ფენაა – მდიდრები და დარიბები. საშუალო ფენა არ არის. ერთი მილიონი ადამიანი გასულია ქვეყნის გარეთ საშორისზე. როგორც კი გაჩნდება სამუშაო აღგილები, ისინი დაბრუნდებიან. ეს მე მითქვამს ქვეყნის პრეზიდენტისათვის. აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. კომუნისტები გრანდომანით იყვნენ შეპყრობილი, რაც

დღესაც შემოგვრჩა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან სათანადო მფარველობა, რაც, პირველ რიგში, ხელშემწყობ საგადასახადო პოლიტიკაში უნდა გამოიხატოს“.<sup>90</sup>

იმავე საკითხზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღდა II ხელისუფლების ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომაზე 1999 წლის 27 აპრილს: „...ძალიან ხშირად ჩემთან მოდიან საქმიანი ადამიანები, მეწარმეები, რომელნიც ამბობენ, რომ თუ არ განვითარდება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი, არაფერი არ ეშველება უმუშევარ ხალხს. არადა ამის საშუალება არის.

ბ-ნო თავმჯდომარევ, მე მინდა თქვენი და პარლამენტარების ყურადღება მივაქციო იმას, რომ თუ ეს დამწყები წარმოებები არ განთავისუფლდებან მძიმე გადასახადებისაგან, ვერაფერი ვერ გაიხარებს, ვერაფერი ვერ მოიკიდებს ფეხს. ჩვენ ვერ შევძლებთ უმუშევართა არმის დასაქმებას...

...მრავალი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს მცირე და საშუალო წარმოებები, თუ ისინი პირველ საწყის ეტაპზე განთავისუფლდებან მძიმე გადასახადებისაგან“.<sup>91</sup>

1992 წლის 1 ნოემბერს, სიონის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას, პატრიარქმა თქვა: „ხშირად გაიგონებთ, რომ ჩვენ შიმშილი და კატასტროფა გველის, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ არ არსებობს მდგომარეობა, რომლიდანაც გამოსვლა არ შეიძლება. მთავარია, ადამიანმა იმედი არ დაკარგოს, რადგან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნას შედეგად დაღუპვა მოსდევს.

განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს დღეს, პირველ რიგში, ეკლესია უნდა დაუდგეს გვერდით, ეკლესიამ უნდა იზრუნოს მისთვის. მე ვფიქრობ, რომ კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიიქნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც. პირველ რიგ-

90 იქვე, გვ. 265.

91 იქვე, გვ. 167-168.

ში საჭიროა, ყველა ტაბარმა აღრიცხოს თავისი მრევლი, როგორც ეს მიღებულია საერთოდ ყველა ცივილიზებულსა და დემოკრატიულ ქვეყანაში. შემდევ უნდა შეიქმნეს ჯგუფები, რომელშიც შესაძლებელია 7, 9 ან 12 მორწმუნე გაერთიანდეს. ამ ჯგუფებმა უნდა გადაწყვიტონ კერძოდ რომელ საქმეს მოპკიდებენ ხელს. ზოგი შეიძლება ფარდაგების ქსოვას შეუდგეს, ზოგმაც ხატწერა აირჩიოს, ზოგმაც კიდევ ხეზე ჭრა, მაგალითად ჯვრებისა. როგორც ცნობილია, დღეს დიდი მოთხოვნილებაა ხის, განსაკუთრებით კი ბზისგან გამოჭრილ ჯვრებზე. რამდენიმე ჯგუფმა შეიძლება კერამიკის წარმოებასაც კი ჩაუყაროს საფუძველი. ამ ჯგუფებს აუცილებლად უნდა ჰყავდეთ მოძღვრები.

თქვენ იცით, რომ ეკლესიას დიდი მამულები პქნდა, ნაწილი მას დაუბრუნდა, ნაწილსაც, ალბათ, მალე გადმოგვცემენ. მრევლის შეუძლია იგი დამუშაოს და კარგი მოსავალიც მოიწიოს, რომელსაც შემდეგ ყველა თანაბრად გაანაწილებს. საპატრიარქოს პირუტყვიც ჰყავს, მათ შორის ასზე მეტი თხა, რომელთაგან ზოგი ძალიან ძვირფასი ჯიშისაა, მაგალითად, თივთიკისა. ახლო მომავალში შვეიცარიიდან ასოციაცია „საქართველოს მეგობრები“ იმგვარი ჯიშის თხების გამოგზავნას გვპირდებიან, რომელიც დღეში 6–7 ლიტრა რძეს იწველებიან. თუ ეს მეურნეობანი ჩამოყალიბდება, შეიძლება ეს თხები თქვენ გადმოგცეთ და შემთხვევის მშევნეორი წყორო გაეიჩნდებათ. შრომა და განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრევლში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია“.<sup>92</sup>

ამავე საკითხთან დაკავშირებით, 1994 წლის სააღდგომო ეპისტოლებში, პატრიარქი წერს: „მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბოთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, ქარხნები, ფაბრიკები, აყვავდეს მეურნეობები“.<sup>93</sup>

იმავე წლის საშობაო ეპისტოლებში პატრიარქი აღნიშნავს, რომ სამეურნეო საქმიანობა არასოდეს არ არის ინდივიდუალური.

ცალკეული ადამიანი, როგორც გენეტიკური არსება, მემკვიდრეა მასზე წინ არსებულ თაობათა სამეურნეო გამოცდილებისა და, ამავე დროს, მუშაობისას თანამედროვე კაცობრიობის გავლენასაც განიცდის, აქედან გამომდინარე, „ჩვენც გვმართებს გამოვიმოთ, რას საქმიანობინ ჩვენი წინაპრები. დღეს, როცა წედლეულისა და მანქანა-დანადგარების ნაკლებობა ასე მწვავედ იგრძნობა, ფაბრიკა-ქარხნები ერთ დღეში ვერ ამუშავდება. კრიზისიდან გამოსვლისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს მიწა, ჩვენი მარჩენალი. ხალხი ჯერ შიმშილისგან უნდა გიხსნათ, შემდეგ კი შეგვეძლება წარმოების თანდათანობით აღდგენასა და განვითარებაზეც ვიფიქროთ. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია“.<sup>94</sup>

1999 წლის 15 მარტს, პოლანდიელ ბიზნესმენ ბ-ნ იანსენ-თან შეხვედრისას, პატრიარქმა განაცხადა: „ქართველმა კაცმა იცის მიწაზე მუშაობა, მაგრამ პოლანდის გამოცდილება ხელს შეუწყობს მეურნეობებისა და ფერმების მაღალ ღონიშე მოწყობას“.<sup>95</sup>

1999 წლის 25 მაისს, მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენლებთან პატრიარქმა აღნიშნა: „მწვანეთა მოძრაობა ის ძალაა, რომელიც იბრძვის ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს გადარჩენისათვის და ეკლესიისგან ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს. . . მწვანეთა მოძრაობაში ჩაბმული უნდა იყოს მთელი საზოგადოება – ერთ და ბერი – ყველამ ერთად უნდა იზრუნოს ჩვენი ბუნების გადარჩენისა და ჩვენი ერის ჯანმრთელი მომავლისთვის. ...საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მზადა ყველა იმ საკითხში, რომელიც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება, მჭიდროდ ითანამშრომლოს მწვანეებთან“.<sup>96</sup>

იმავე წლის 2 ივნისს, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ ჯ. ვულფენსონთან საუბრისას, პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა ქართველი ხალხის პოტენციალზე და აღნიშნა: „საქართველო საუკუნეების მანძილზე იცავდა თავის ენას, თავის კულტურას და მძიმე

94 იქვე, გვ. 131.

95 იქვე, გვ. 164.

96 იქვე, გვ. 169-170.

მდგომარეობიდან ყოველთვის თავისი ძალებით გამოდიოდა. მე არ მინდა, რომ ჩვენი ხალხი შეეჩვიოს დახმარებებს. ხალხმა უნდა იშრომოს... სასურველია, მსოფლიო ბანკმა დახმარება გაუწიოს საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების შემუშავებაში, რომელიც არა მარტო ფინანსურ, არამედ ტექნიკით დახმარებას და გამოცდილებათა გაზიარებას უნდა გულისხმობდეს. მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნა ძალიან გაგვიადვილებს სოციალური პრობლემების მოგვარებას, ნაკლები იქნება უმშევრობაც”.<sup>97</sup>

2000 წლის 6 თებერვალს, სიონის საკათედრო ჭაბარში ქადაგებისას, ებრაული სასოფლო-სამეურნეო ამსანაგობების – კბილების მნიშვნელობის შესახებ პატრიარქმა თქვა: „ამ საუკუნეში მოხდა ერთი დიდი და საოცარი მოვლენა – შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო. დადგა საკითხი, რომ ებრაელები დაბრუნებულიყვნენ ისრაელში. ხშირ შემთხვევაში ეს ადამიანები უსახლარონი იყვნენ და არავითარი ქონება არ გააჩნდათ. სახელმწიფო მოვალე იყო, რომ ხელი შეეწყო და პირობები შექმნა მათვის. შეიქმნა მონასტრის მსგავსი სოფლები: რამდენიმე ოჯახი ერთად იკრიბება, მუშაობენ, აგროგებენ თავის ხელფასს და თანაბრად იყოფენ მას. მათ აქვთ თავიანთი სკოლები, სხვადასხვა პატარა საწარმოები, ქარხნები, საქონლისა და ფრინველის ფერმები და საკმაოდ კარგად ცხოვრობენ. ერთმა ზოოტექნიკოსმა ებრაელმა, რომელიც ბელორუსიდან იყო ჩასული, მიამო, რომ მათ სოფლში 250-მდე ოჯახია. მათ აქვთ აღებული გარკვეული ტერიტორია, მიწა, სადაც სახლები აქვთ აგებული. მარტო ინდურების ფერმიდან ყოველ წელიწადს ისინი მაღაზიებს 2000 ტ. ხორცს აბარებენ და ყოველ წელიწადს 300000 დოლარი აქვთ შემოსავალი. ...იქ არ არსებობს პრობლემა იმისა, რომ ახალგაზრდას ცოლის მოყვანა უნდა და სად მიიყვანოს არ იცის. მათ ბინაც აქვთ და ყველანაირი პირობებიც. ...დღეს ეს საკითხი დგას ჩვენთან: ძალიან მძიმეა დემოგრაფიული პრობლემა. ცხოვრების ეს წესი კი ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ 10 კი არა, თუნდაც 20 შვილი ჰყავდეს. ასეთი

სოფელი, ეს მონასტრული წყობისაა, და მასში ჩვეულებრივი ოჯახებია ერთად შეერთებული. მათ ბავშვებისათვის ბაგა-ბაღები, სკოლები აქვთ, მერე კი მათ უმაღლესი სასწავლებლისათვის ამზადებენ. ჩვენთან დიდი რეგიონებია დაცარიელებული. შეიძლებოდა, რომ აქ ასეთი სოფლები შექმნილიყო, რომლებიც გაერთიანდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ჰემბარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოებითა და ეროვნული თვითშეგნებით. ახალგაზრდები დასახლდებოდნენ ჩვენს მიწა-წყალზე და აღორძინდებოდა ბერიერი ცხოვრება. ჩვენ უკვე ვფიქრობთ ამის შესახებ. ჩვენი სურვილია, ისეთი სოფლები შეიქმნას, სადაც რწმენითა და სიყვარულით გაერთიანდება ხალხი და აღდგება ძველი ნასოფლარები. როცა ჩვენ ამს გავაკეთებთ, ესეც იქნება აღსრულება პავლე მოციქულის სიტყვებისა: „ურთიერთის სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“.<sup>98</sup>

2000 წლის 21 მაისს, სიონის საკათედრო ჭაბარში ქადაგებისას, მეფეუტკრეობის მნიშვნელობის შესახებ პატრიარქმა აღნიშნა: „ოქენ იცით, რომ დღეს მრავალ ადამიანს უჭირს, მათ შორის უმეტესობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, უსაქმიდ არიან – ვერ უმოვიათ სამსახური, ცხოვრებაში გზა ვერ გაუკვლევიათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეკლესიამ რაღაც უნდა იღონოს მათვის და პირველი ნაბიჯი, რაც ამ მიზნით გვინდა გადავდგათ, ის არის, რომ მათ მეფეუტკრეობა შევასწავლოთ. ფუტკრის მოშენება ძალიან სასარგებლო საქმეა. ვისაც ფუტკარი ჰყავს, არასდროს არის გაჭირვებული, მუდამ ბარაქით სავსეა. აქვს სანთელი, თაფლი, დინდგელი და სხვა. ფუტკრის მოვლას ცოდნა სჭირდება. ამ საქმიანობის შესწავლის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოსთან იხსნება მეფეუტკრეობის კურსები. . . არავითარი სხვა შემოსავალი რომ არ ჰქონდეს ოჯახს და მას მხოლოდ ფუტკარი ჰყავდეს, ის უკვე უზრუნველყოფილი იქნება ცხოვრების მანძილზე. ჩვენ ასევე გადავწყვიტეთ, ვინც ყველაზე კარგად შეისწავლის ფუტკრის მოვლას და მოისურვებს ფუტკრის გჩენას, მას პირველ სკას ჩვენ ვაჩუქებთ... ღმერთმა ინებოს, რომ მთელს საქართველოში განვითარ-

დეს მეფუტკრება, გვერდეს ბევრი თაფლი და სანთელი“.<sup>99</sup>

2000 წლის 5 აგვისტოს, კვლავ კიბუცების შესახებ საუბრი-სას, პატრიარქი გადმოგვცემს სწავლებას შრომის, ეკოლოგიისა და სოფლის მეურნეობის შესახებ: „ადამიანისათვის აუცილებელია შრომა... შრომით უნდა მოიპოვოს ადამიანმა პური არსობისა. დავაკირდეთ თუნდაც წინასწარმეტყველების ან წმიდა მოციქულების მოღვაწეობას, ისინი ძალიან ბევრს შრომობდნენ... დღეს ახალგაზრდობა რატომღაც გაურბის შრომას და ეტებს იოლ გზას: ან ვაჭრობს, ან რაღაც სხვა გზებით ცდილობს მოიპოვოს ლუკმა-პური... ნებისმიერი ადამიანისათვის, პატრიარქი იქნება ეს, პრეზიდენტი, მეცნიერი, მუშაოუ გლეხი – აუცილებელია ბუნებასთან, მიწასთან სახლოვე. ბუნება, მიწა, მცენარე კურნავს ადამიანის სულს და აი, ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიგაქციოთ ყველამ სოფლის მეურნეობას. ჩვენ უნდა გვქონდეს პატარა ნაკვეთი, სადაც თუნდაც მწვანილს მოვიყვანო; თითქმის ყველა თქვენგანს აქვს რაღაც კაგშირი სოფელთან, მაგრამ იქ მხოლოდ იმისათვის კი არ უნდა ჩავიდეთ, რომ დავისვენოთ და სუფთა ჰერზე ვიყოთ, არამედ აუცილებლად რაღაც უნდა მოვიყვანოთ და ვისარგებლოთ ჩვენი შრომის ნაყოფით. ასე რომ, თუ ჩვენ სწორი გზით წავედით, არ დავკარგეთ ჩვენი სარწმუნოება, თუ ჩვენ ვიშრომეთ, კეთილი მომავალი გვექნება.

...როცა სამობაოდ ისრაელში ვიყავით, ჩვენ მოვხვდით ერთ-ერთ ფერმაში, იქ ფერმებს კიბუცები ეწოდება. კიბუცი პატარა სოფელია, ერთად 100-200 ოჯახია შეკრებილი, მათ ჰყავთ საქონელი, ასევე დიდი ფართობის მიწები, სადაც მოსავალი მოჰყავთ. იქ ძალიან ნაკლებია წყალი, წვიმა და ამიტომ მოსავალი ძალიან დიდი გაჭირვებით მოჰყავთ. აშენებენ ინდაურებს. როცა ჩვენ ვთხოვთ, შევეყვანეთ ფერმაში, გვითხრეს, რომ იქ შესვლა არ შეიძლება, რადგან შეიძლება ინფექცია შეიტანოთ. აი, ასე უფრთხილდებიან თავიანთ ფერმას. მათ წელიწადში სუფთა შემოსვალი, გარდა წარჯებისა, 350 ათასი დოლარი აქვთ. საქართველოშიც ხომ შეიძლება მსგავსი რამის გაკეთება. ჩვენში

უმრავი მდინარეა. რამდენი თევზის საშენი შეიძლება გაკეთდეს აქ?“<sup>100</sup>

2008 წლის სააღდგომო ეპისტოლებში, შეეხო რა გენეტიკური ინჟინერიის სიავგარებეს, პატრიარქმა აღნიშნა, რომ საოცარი შედეგი მივიღეთ დავაგადებათა პრევენციასა და დიაგნოსტიკაში, მაგრამ გზების მანიპულირებით და გენ-მოდიფიცირებული პროდუქტების შექმნით, — მეტად საშიში ნაბიჯი გადაიდგა.

ამ მიმართულების მომსრუები ხშირად ამტკიცებენ, რომ ისინი იგივე საქმიანობას ეწევიან, რასაც, მაგალითად, სელექციონურები, რომელთაც უკეთესი ჯიშები გამოჰყავთ.

მართალია, გენების გადაცემა სელექციის დროსაც ხდება, მაგრამ მხოლოდ ერთი სახეობის ან მონათესავე სახეობის ინდიკიდებს შორის. სელექციის დროს ბრინჯი შეიძლება შეჯვარდეს მხოლოდ ბრინჯის სხვა ჯიშებთან, მაგრამ არა, მაგ., ვაშლთან.

გენური ინჟინერიის შემთხვევაში კი ეს ბარიერი მოხსნილია; გენი გადააქვთ მცენარიდან მცენარეში, მცენარიდან ცხოველში, მცენარიდან, ცხოველიდან ან ბაქტერიიდან – ადამიანში და ა.შ.

ამ დამახინჯებულ გენებს კი აქვთ გამრავლების უნარი, რაც ღვთის მიერ ათასწლეულების განმავლობაში დაწესებული სახეობათშირისი საზღვრებისა და წესრიგის დარღვევას იწვევს, ეს კი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს გარემოს და ჩვენს სულიერ სამყაროსაც დააზიანებს.

აქედან გამომდინარე, „გამოსავალი ერთია, მიუხედავად ასეთი პროდუქტების სიიაფისა და ჩვენი გაჭირვებისა, უარი უნდა ვთქვათ მათ გამოყენებაზე. ამასთან, ვიმედოვნებთ, ხელისუფლება ამ საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევს და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს, რათა ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით განვითარდეს, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტადაც იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება.

თუ ეს განხორციელდა, იგი დიდ სტიმულს მისცემს როგორც სოფლის მეურნეობის წინსვლას, ისე ამ სფეროში გადამუშავებელი

99 იქვე, გვ. 184-185.

100 იქვე, გვ. 187-188.

ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზეც ქართულ პროდუქტის თავის აღიღის დაუმკიდრებს.

„განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი საქმიანობა, რომელიც ბუნებასთან კავშირშია; მიწასთან, მცენარეებთან, ცხოველებთან მიმართებაში სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა ადამიანს აკეთილშობილებს და კურნავს, რადგან ღმერთმა ამ სამყაროს გვირგვინად შეგვექნა და მასზე პასუხისმგებლობაც დაგვაკისრა.

ადამიანი მოვალეა გაუფრთხილდეს და ყოველდღიური საქმიანობისას დაღლცოს მიწაც, მოსავალიც, პირუტყვიც... ეკლესიაში კი ამისთვის სპეციალური ლოცვებია დადგენილი.

ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და ამიტომაც ბუნებასთონ ერთობაში იყვნენ.

თანამედროვე ადამიანმა ეს დამოკიდებულება უხეში მომხმარებლური მიღვომით შეცვალა, რაც, თუ არ გამოსწორდა, დაღუპავს კაცობრიობას“<sup>101</sup>.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პერსაუქტივების შესახებ ფუნდამენტური მოსაზრებები გადმოცემულია პატრიარქის 2008/2009 წლის საშოაო ეპისტოლეში, რომელშიც ნათევამია შემდეგი: „სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფო ეფექტური მართვის საკუთარი მექანიზმის ძიებას დაიწყებს. ჩვენც უნდა გამოვნაზოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლელი გზება. როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამბობენ, უცილესელია, საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება.

ის, რომ ჩვენი ხელისუფლება სოფლის მეურნეობისა და

მრეწველობის წინსვლისთვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მისასალმებელია, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია... საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინ და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება პქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს.

დღეს კი მავანი კახელ გლეხს სოლიდურ თანხას სთავაზობენ, რომ მან შეილივით ნაზარდი ვაზი აჩეხოს და სანაცვლოდ საზამთრო ან სხვა კულტურა დარგოს; ამასთან, ყურმის მოყვანის ინტერესს იმითაც უკლავენ, რომ მოსვლის ჩაბარებისას, მინიმალურ ფასსაც არ აძლევენ. ასე არ უნდა გაგრძელდეს. იქნება გამოსავლად იქცეს გლეხურ მეურნეობებში დამზადებული სუფთა ღვინის ექსპორტი სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება ხორბალს, მისი ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად არის შეცირებული და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მხოლოდ 9%-ს აკმაყოფილებს; სამწუხაროდ, ამ 9%-შიც არ შედის ჩვენი ტრადიციული ადგილობრივი ჯიშები.

მეტად საგადალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი სრული გაქრობის პირასაა. არადა, ჩვენგან წარდებულ თესლს სხვა ქვეყნები თავისად წარმოაჩენენ და ამით ამაყობენ; ხოლო საქართველოში ექსპორტირებული ხორბალი და პურის ფეხილი, რომელიც მოხმარებული პროდუქციის 91% შეადგენს, იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. საქმე შემდეგშია: მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ ხელოვნური მეთოდებით (გენური ინჟინერია, შხამქიმიკატები, მცენარის ზრდის სტიმულატორები და ასე შემდეგ) მიღებული საკუთარი ჭარბი პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები გააფართოონ და სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის წარმოება შეაფერხონ, საქართველოც

101 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“. 2008, 30 აპრილი, სპეციალური გამოშვება, გვ. 6-7.

სურთ, თავისი გავლენის სფეროდ და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქციონ; მით უმეტეს, რომ აქ, ხალხის დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო, იაფიასიანი, უხარისხო ნაწარმის გასაღება პრობლემას არ წარმოადგენს.

ამ ტენდენციას ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დაგუპირისპიროთ. სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკა, მართალია, მნიშვნელოვანია (ვგულისხმობ სახელმწიფო დოტაციებს, სარწყავი წყლითა და სამოვრებით უზრუნველყოფას, რაიონებში უფასო საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედებას), მაგრამ თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, – მან უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოება.

ყველამ იცის, რომ, ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ, დღეს უკვე სერიოზული ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. ვფიქრობ, ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც. ამიტომაც, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამურნეო ჯიშები (არა მარტო ყურძნისა და ხორბლის, არამედ ლობიოს, კარტოფილის, საერთოდ ბოსტნეულის, ხილისა და საქონლის), თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენ ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ“.<sup>102</sup>

2009 წლის სააღვიშომო ეპისტოლეში ჰატრიარქი მოგვიწოდებს, რომ ყველანი უნდა ვეცადოთ გავაკეთოთ მაქსიმუმი იმისა, რისი პასუხისმგებლობაც გვაკისრია. ესაა ჩვენი მსახურება ქვეყნისადმი. „ყველაზე მეტი უფლებები და პასუხისმგებლობა კი, რა თქმა

უნდა, ხელისუფალთ აქვთ. მათ ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება. შემდეგ კი – ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგარებას, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფას, განათლების ხელშეწყობას და სხვა.

ქვეყნის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეც. ჩვენ მათთან აუცილებლად უნდა გავაღრმავოთ კავშირი, რის წინაპირობადაც უნდა იქცეს კულტურათა შორის დიალოგი; ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის არსებული სხვა საკითხების გადაწყვეტასაც.

საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განშსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასშედია. იგივე თემის ჩვენს თითოეულ მოქალაქეზეც.

ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განზორციელებისათვის ბრძანად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებში ეროვნული მიმართულების გამლიერებისათვის კი საჭიროა ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფერის შექმნა.

სამწუხაროდ კი, ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საარსებო მინიმუმზე და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს; არადა საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მით უმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აღრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავებით მიღებული პეტი ბის პროდუქტები სერიოზულ შემთხვევას მოუტანს ქვეყნას, ოღონდ

102 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილა II-ის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებაზე“. 2009, №1, გვ. 5-6.

აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიების და გრძელვადანი კრედიტების სახით.

გვინდა ხელისუფლებას ერთი წინადაღებაც შევთავაზოთ: მოგეხსენებათ, მსოფლიო გლობალური კრიზისი საკმაოდ მწვავედ შეეხო ქართულ ბიზნესს და საერთოდ მოსახლეობას. ბუნებრივია, აუცილებელია, ქმედითი ჩარევა, რათა თავიდან ავიცილოთ სამუშაო ადგილების შემდგომი შემცირება. 2009 წლიდან სახელმწიფოს მიერ გადასახადების კლებისკენ გადადგმული ნაბიჯი კარგი ფაქტი იყო, მაგრამ, აღმას, უფრო შედეგიანი იქნება საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება, რომელიც საქართველოში მოქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს გაათავისუფლებს სანქცია-საურავებისაგან.

რა თქმა უნდა, თუ ეს ნაბიჯი განხორციელდა, იგი სერიოზულად შეამსუბუქებს როგორც მეწარმეების, ასევე მოქალაქეების საგადასახადო ტვირთს და წაახალისებს მათ ეკონომიკურ აქტივობას.

საერთოდ კი, რაც არ უნდა მმიმე იყოს ჩვენი მდგომარეობა, სულით არ უნდა დავეცეთ და სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდეთ, რადგან ცალკეულ პიროვნებებისაც და ერსაც განსაცდელი ან რწმენაში განსამტკიცებლად ეძლევა, ან მცდარი გზიდან მოქცევისათვის“.<sup>103</sup>

მთლიანობაში, რელიგიურ-სალვათისმეტყველო და სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II შემოქმედება და პირადი მოღვაწეობა წარმოგვიდგება როგორც საქართველოს ეკლესიის სოციალური დოქტრინის და ქართული სახელმწიფოს ღვთისულიერი, პარმინიული სოციალურ-ეკონომიკური (მათ შორის, სასოფლო სამეურნეო წარმოების) განვითარების ეროვნული კონცეფციისა და რეალური პრაქტიკული საქმიანობის საფუძველი. ასეთი გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა კომპეტენტური და დაინტერესებული მხარის მიერ, რათა გაიშალოს სათადო მუშაობა დასახული მიზნების გახორციელებისათვის.

103 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2009 წლის სააღგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“. 2009, #14, გვ. 4-5.

### თავ III. საეპლოსი ეპონომიკის განვითარების თეოლოგიურ-ლიტერატურული შესაძლებლობები საქართველოში

#### 3.1. ეპლოსის ადგილი და როლი საზოგადოებაში: თეოლოგიური გააზრება

ბიბლიური მოძღვრება ეკლესის შესახებ გვასწავლის:

- „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა. მასში იყო სიცოცხლე, და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა. ნათელი ბნელში ნათობს და ბნელმა იგი ვერ მოიცვა. ...ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად“ (იოან. 1, 1-5, 9);
- „ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგანაც პირველი ცა და პირველი მიწა გადაევო, და ზღვა აღარ არის. ვიხილე წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, ღვთისაგნ ჩამომავალი ზეცით. და მომესმა მერგვინავი ხმა ტახტით, რომელმაც თქვა: აპა, კარავი ღვთისა კაცთა შორის, რომელიც დაემკვიდრება მათში, და თვით ღმერთი იქნება მათობან. შეაშრობს ღმერთი მათ თვალზე ცრემლს, და აღარ იქნება სიკვდილი: აღარც გლოვა, აღარც ტირილი და ტანჯვა იქნება, რადგანაც გადაევო ყოველივე უწინდელი. ...მისი ტაძრი ყოვლისმპრობელი ღმერთია და კრავი. ქალაქს არც მზე სჭირდება მანათობლად და არც მთვარე, რადგანაც ღვთის ღიღებამ გაანათა იგი, ხოლო მისი სანთელი არის კრავი. ხალხები ივლიან მის ნათელში და მიწიერი მეფენი თავიანთ ღიღებასა და პატივს შეიტანენ მასში. მისი ბჭენი არ დაიხშვიან ღღისით, ღმერთი ვერ შევა მასში ვერავითარი უწმინდეური, ვერცერთი ცრუ და ბილწი, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც ჩაწერილია კრავის სიცოცხლის წიგნში“ (გამოცხ. 21, 1-4, 22-27);

3. „მიადექით სიონის მთას და ცოცხალი ღმერთის ქალაქს – ზეციურ იერუსალიმს და ანგელოზთა ურიცხვ სიმრავლეს, მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას, ყოვლისგამკითხავ ღმერთს და სრულქმნილებას ზიარებულ მართალთა სულებს, ახალი აღთქმის შეამდგომელ იქსოს და სხურების სისხლს, აბელის სისხლზე უკეთ რომ მეტყველებს“ (ებრ. 12, 22-24);
4. „ნეტარი ხარ შენ, სიმონ, იონას ძეო, რადგან ხორცმა და სისხლმა კი არ გაგიცხადა ეს, არამედ ჩემმა ზეციერმა მამამ. და მე გეუბნები: შენა ხარ კლდე, და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას, და ჯოველქეთის ბჟენი ვერ სძლევენ მას. მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს, და რასაც შეკრავ მიწაზე, შეკრული იქნება ცაშიც, ხოლო რასაც დახსნი მიწაზე, დახსნილი იქნება ცაშიც“ (მათ. 16,17-19);
5. „ეკლესიის მეშვეობით უეწყოს ზეციურ მთავრობათა და ხელმწიფებათ ღვთის მრავალფეროვანი სიბრძნე, თანახმად საუკუნო წინასწარგანჩინებისა, რომელიც აღასრულა მან ჩვენი უფლის ქრისტე იქსოს მიერ“ (ეფეს. 3,10-11);
6. „იმ მეფეთა დღებში ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა და მისი ხელმწიფება სხვა ხალხში არ გადავა. იგი შემუსრავს და დააქცევს ყველა სამეფოს, თავად კი უცნისამდე იდგება“ (დან. 2,44);
7. „დაგიყენებთ ჩემი გულით ამორჩეულ მწყემსს და ის დაგმწყემსავთ გონივრულად და ბრძნულად“ (იერ. 3,15);
8. „გაუფრთხილდით თქვენს თავსაც და თქვენს სამწყსოსაც, რომლის მცველებადაც დაგადგინათ სულმა წმიდამ, რათა მწყემსავდეთ ღვთის ეკლესიას, რომელიც მან შეიძინა თავისი სისხლით“ (საქმე 20,28);
9. „იცოდე, როგორ უნდა მოიქცე ღვთის სახლში, რომელიც არის ეკლესია ცოცხალი ღვთისა, ჭეშმარიტების სვეტი და საფუძველი“ (I ტიბ. 3,15);

10. „როცა ილოცეს, შეიძრა ის ადგილი, სადაც შეკრებილიყვნენ, და ყველანი აღივსნენ სულით წმიდათ და იტყოდნენ ღვთის სიტყვას დაუფარავად. ხოლო მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული ჰქონდა და ერთი სული, და არავინ იტყოდა საკუთარ ქონებას თავისად, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ. მოციქულები დიადი ძალით მოწმობდნენ უფალ იქსო ქრისტეს აღდგომას, და იყო დიდი მადლი ყველა მათგანზე. არავინ იყო გაჭირვებული მათ შორის, ვინაიდან მიწა-წყლისა თუ სახლების მფლობელნი ყიდიდნენ მათ და გაყიდულის საფასური მიჰქონდათ, მოციქულების ფერხთით დებდნენ მას, და ეძლეოდა თვითეულს, ვისაც რა სჭირდებოდა“ (საქმე 4,31-35).

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანები საკითხი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მრავალსაუკუნოვანი, ქრისტიანული ტრადიციებით განპირობებული ურთიერთობის აღდგენა.

ეკლესიისათვის, დღევანდელ პირობებში, ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს სექტორთან ერთად, ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება საზოგადოების ისეთ ინსტიტუციებთან, როგორიცაა ბაზნესისა და არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციების სექტორები.

ასეთი მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია თეოლოგიურად გავიაზროთ ეკლესიის ადგილი და როლი თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.<sup>104</sup>

ეკლესიას, როგორც რელიგიურ გაერთიანებას, მრავალ ქვეყანაში აქვს არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციის<sup>105</sup> სტატუსი, ხოლო საქართველოში იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ცნობილია, რომ ეკონომიკაში მესამე სექტორის (აკო სისტემის) წარმოშობა და განვითარება განპირობებულია საწარმოო-საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილებითა და

104 დამატებით იხ.: შიხაშვილი გ, სვამი ვასილი ახვლედიანი. Церковь и проблемы устойчивого эколого-экономического развития общества. В книге: Экономическая эффективность развития России /Под ред. проф. К. В. Папеннова. \_ М.: Экономический ф-т МГУ, ТЕИС, 2007, с. 877-890.

105 შემდგენი — აკო.

არაეფექტურობით და სახელმწიფოს შეზღუდულობით – სრულად დაკმაყოფილონ უაღრესად მრავალფეროვანი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოთხოვნილებები.

არასამთავრობო, არაკომერციული სექტორი არის ის ფუნდამენტური სფერო, რომელიც სახელმწიფოსთან და ბიზნეს-სექტორთან ერთად წარმოადგენს თანამედროვე ცივილიზაციული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. მესამე სექტორის ცნების თანახმად, საზოგადოება მოიაზრება, როგორც სამ სექტორად დაყოფილი წრე:

1) სახელმწიფო; 2) ბიზნეს-სფერო და 3) აკო-ს საქმიანობის სფერო.

სწორედ საზოგადოების სამსექტორიანობასთან მიმართებაში, თეოლოგიური პოზიციებიდან უნდა განვსაზღვროთ ეკლესიის ადგილი და როლი თანამედროვე საზოგადოებაში, რაც მნიშვნელოვან თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხს წარმოადგენს.

ეკლესიის სამეურნეო საქმიანობის გამასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მისი არასამეწარმეო, არაკომერციული და საქველმოქმედო ხასიათი. მხედველობაშია ის, რომ სამეურნეო საქმიანობის შედეგების (პროდუქცია, შემოსავლები) გამოყენება ხდება ეკლესიის მიზნების შესრულებაზე, ქველმოქმედებაზე, ხოლო მიღებული მოგება არ ნაწილდება მონაწილეებს (დამფუძნებლებს). შორის.

ეკლესიისა და მთელი საზოგადოების სოციალური პასუხისმგებლობითა და სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი მომენტები ჩამოყალიბებულია რუსული მართმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლებში. მასში საუბარია, რომ „ლოთის მცნება ავალდებულებს მშრომელებს – იზრუნონ იმ ადამიანებზე, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით არ შეუძლიათ თვითონ მიპოვონ საარსებო საშუალებები: უძლიურებზე, ავალმყოფებზე, სხვა მხრიდან მოსულებზე (ლტოლვილებზე), ობლებსა და ქვრივებზე და გაუყონ მათ შრომის ნაყოფი, რათა შენმა უფალმა ღმერთმა გაკურთხოს შენს ხელთქმილ საქმეებში (რჯლ. 24, 19-22). აგრძელებს რა დედამიწაზე ქრისტეს მსახურებას, რომელმაც საკუთარი თავი გააიგივა სწორედ დაჩაგრულებთან, ეკლესია ყოველთვის იცავს უძლურებს. ამიტომ ის მოუწოდებს საზოგადოებას შრომის პროდუქტების სა-

მართლიანი განაწილებისაკენ, რომლის დროსაც მდიდარი ეხმარება ღარიბს, ჯანმრთელი – ავალმყოფს, შრომისუნარიანი – მოზუცებულს. სულიერი კეთილდღეობა და საზოგადოების თვითშენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყველა მოქალაქის ცხოვრების, ჯანმრთელობისა და მინიმალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა ითვლება უპირობო პრიორიტეტად მატერიალური სახსრების განაწილების დროს“<sup>106</sup>.

ბიბლიური ზნეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრების თანახმად, რასაც ეფუძნება წმინდანთა სამეურნეო-მმართველობითი სწავლება და მათი პიროვნული პრაქტიკული მოღვაწეობა, ყოველმა ადამიანმა და ცალკეულმა ორგანიზაციამ შეძლებისამებრ შემდეგი მოვალეობები და საქმეები უნდა აღასრულოს:

1. პატივი მიაგოს ღმერთს და სახსარი შესწიროს ეკლესიის განვითარებას;
2. გასწიოს ქველმოქმდება, დაეხმაროს გაჭირვებულებს;
3. მოიხადოს მოგალეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე;
4. იზრუნოს ღმერთის ქმნილების – ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის;
5. დაიგმაყოფილოს პირადი და საოჯახო მოთხოვნილებები;
6. გამონახოს, შეინარჩუნოს და განავითაროს შემოსავლის წყარო;
7. იზრუნოს განსენებულთა სულების საოხად.

ეს ღვთაებრივი სიბრძნე უნდა დაედოს საფუძვლად ყოველი ადამიანის, საზოგადოებისა და ერის საქმიანობას ცხოველქმედების ყველა სფეროში, მათ შორის, უპირველესად, სამეურნეო-მმართველობით პრაქტიკაში.

აღნიშნული მოვალეობები უფლისმიერად აკისრია ყველას – ცალკეულ ადამიანს, ოჯახს, სამთავრობო, სამეწარმეო თუ არასა-

106 Основы социальной концепции Российской православной Церкви. М., 2001, с.51-52.

მთავრობი, არასამეწარმეო ორგანიზაციებს, პარლამენტს, სასამართლოს, მასმედიას, მთლიანად სახელმწიფოს, მის ლიდერებს, მეფეებს, პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს და თვით ეკლესიასაც.

ეკლესია – ეს საღმრთო დაწესებულებაა, სადაც სულიწმინდა ადამიანებს გარდამოუკლენს მადლიან ძალებს პიროვნების, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთელი კაცობრიობის სულიერი აღორძინებისა და ზნეობრივი განვითარებისთვის საუკუნო ნეტარებისა („განღმრთობის“) და კათა სასუფევლის მიღწევის მიზნით. ასეთი საღმრთო-ადამიანური მისიის შესასრულებლად ეკლესია იყენებს მთელ თავის უძინდრეს სულიერ და მატერიალურ პოტენციალს.

თანამედროვე აკო-ების შემცნელოვანი ნაწილის არსებობის ძირითადი მიზნებია საქველმოქმედო საქმიანობა და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისთვის ხელშეწყობა. თანამედროვე აკო-ებისა და მკვლევრების უმრავლესობა არასამრთლანად მაიწერს ქრონოლოგიურ პირველობას ქველმოქმედებაში არა ეკლესიას, არამედ სამოქალაქო არაკომუნიულ ორგანიზაციებს XVI-XVII საუკუნეებიდან დაწყებული.

ამასთან დაკავშირებით ბიბლიური მოძღვრება გვამცნობს, რომ:

– ქველმოქმედება მცნებადაა დადგბული – „მრავალი განზრახვაა კაცის გულში, მაგრამ მხოლოდ უფლის ჩანაფიქრი აღსრულდება. კაცის ნეტარება მის სიკეთებია“ (იგავ. 19, 21-22);

– „ხომ გეუწყა შენ, ადამიანო, რა არის სიკეთე და რას ითხოვს შენგან უფალი? მხოლოდ სიმართლის ქნას და წყალობის სიყვარულს, მოწიწებით სიარულს უფლის წინაშე“ (მიქ. 6,8);

– თვით ქრისტე იყო კეთილი საქმეების ნიმუში – „...დადიოდა იგი, ქვემოქმედებდა და კურნავდა ყველას...“ (საქმე 10,38);

– წმინდა წერილი მოწოდებულია ქველმოქმედებაში დამოძღვრისათვის – „რათა სრულქმნილი იყოს ღმერთის კაცი, ყოველი კეთილი საქმის აღმასრულებლად გამზადებული“ (2 ტიმ. 3,17);

– უცილებელია შეგამონოთ მდიდრები, „...ნუ ქედმაღლობენ, ფუჭი სიმდიდრის იმედი ნუკი ექნებათ, არამედ ცოცხალი ღმერთისა, რომელიც უხვად გვაძლევს ყველაფერს სამშიარულოდ; რათა ყველანი ქველმოქმედებდნენ, კეთილი საქმით მდიდრებოდნენ,

გულუხვი იყვნენ და გულდიანი, და იუნჯებდნენ კეთილ საფუძველს სამერმისოდ, რათა მიაღწიონ საუკუნო სიცოცხლეს“ (1 ტიმ. მიმ. 6,17-19);

– მღვდელმშახურები სანიშვნონი უნდა იყვნენ კეთილ საქმეებში (ტიმტ. 2,7);

– ჰეშმარიტი რელიგია მუდავნდება კეთილი საქმეებით – „წმინდა და უმწიკლო ღმთისმსახურება ღმერთისა და მამის წინაშე ისაა, რომ გაჭირვებაში მიხედო ქვრივ-ობლებს, და ამ ქვეყნისაგან შეუგინებლად დაიცვა თავი“ (იაკ. 1,27).

ამავდროულად წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ყველა კეთილი საქმის, მოწყვლებისა და ყოველგვარი ქველმოქმედების შემოქმედი და უზენაესი განმჭვრტი არის თვით უფალი ღმერთი – „მამა მოწყალებათა და ღმერთი ყოველგვარი ნუგეშის ცემის, რომელიც გვანუგეშებს ყოველგვარ გასაჭირში, რათა ჩვენც შეგვეძლოს ვანუგეშმო ყოველი გაჭირვებული იმ ნუგეშით, რომლითაც გვანუგეშებს ღმერთი“ (2 კორ. 1,3-4).

ღვთის მოწყვალება უნდა იყოს კაცობრიობისთვის მაგალითი – „მაშ, იყავით გულმოწყალენი, ისევე როგორც გულმოწყალეა მამა თევენი“ (ლუკ. 6,36), რისთვისაც ადამიანი მიიღებს უმაღლეს ჯილდოს – „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან“ (მათ. 5,7).

ბიბლიური მოძღვრება მოწყვალების შესახებს ვრცელდება ღვთის ქმნილებებზეც – ბუნებაზე, ცხოველებსა და მცენარეებზე.

აუცილებელია ვიყოთ ღმობიერნი ცხოველების მიმართ – „ნუ აუკრავ პირს ხარს ღეწვის დროს“ (რჯალ. 25,4); „მართალი ზრუნავს თავისი პირუტყვის სიცოცხლეზე, ბოროტეულთა გული კი სასტიკია“ (იგავ. 12,10).

ასევე აუცილებელია ტყისა და სასოფლო-სამურნო ფლორის დაცვა გაჩერება-განაღვეურებისაგან ომის ღროსაც კი: „თუ დიდხანს გექნება შემორტყმული ალყა ქალაქისათვის მის დასამარცხებლად და ასაღებად, ნუ გაანადგურებ ხეებს, ცულს ნუ აღმართავ მათზე, რადგან თუკი ჭამ მათ ნაყოფს, არც უნდა მოჭრა. რადგან მინდ-

ორში მდგარი ხე კაცი ხომ არ არის, რომ გაგეცალოს და ციხე-სიმაგრეში შეაფაროს თავი?“ (2 რჯული 20,19).

აღსანიშნავია, რომ ამ ბიბლიური მოძღვრების საფუძველზე, ქრისტიანულ ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში, ყოველთვის შესაბამისად, გონივრულად ხდებოდა ტყისა და სასოფლო-სამურნეო ფლორის გამოყენება, ხოლო ფართო გაებით – ბუნებათსარებლობის მთელი პროცესის წარმართვაც. ეს აისახა ძველ ქართულ ხალხურ სიბრძნეში: „ტყე შეუნახე შეიღებსა, მამა ხარ შენი ვალია“. მასზე დაფუძნებული და მისი თანაუღერადია თანამედროვე, გაეროს მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც გვაუწიებს, რომ ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გარემოს დაცვისა და საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.<sup>107</sup>

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქველმოქმედება, გულმოწყალება და ყოველგვარი ქმნილებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება დადგენილი და კურთხულია თვით შემოქმედის – ღმერთის მიერ და არის წმინდა ვალდებულება ეკლესიისა და ყოველი ადამიანისათვის. ამიტომ უფლის ეკლესია მთელი თავისი ხანგრძლივი, რამდენიმე ათასწლოვანი ისტორიის (როგორც ძველი აღქმის, ისე ახალი აღთქმის პერიოდებში) განმავლობაში ძალზე ინტენსიურ და მრავალფეროვან მუშაობას აწარმოებდა ამ კურთხული მიზნის განსახორციელებლად.

ქრისტეს ეკლესია ყოველთვის და ყველას აძლევდა „შესანიშნავ მაგალითს თავისი საქედამოქმედო საქმიანობით, საეკლესიო ქონების ცნება დარიბთა ქონების ცნების ტოლმნიშვნელოვანი იყო. ეკლესია მორწმუნებს სთავაზობდა მოწყალების გაღებაში საკუთარ შუამავლობას იმისათვის, რომ ადვილი ყოფილიყო უღირსებისა და იმათი მხრიდან ბოროტგამოყენებისათვის წინააღმდეგობის გაწევა,

რომლებსაც ის არ სჭირდებოდათ. ოფიციალურ საეკლესიო ქველმოქმედებასთან ერთად, რომელიც მოქცეული იყო ეპისკოპოსისა და მისი თანაშემწების ხელში, აგრეთვე, ყვაოდა კერძო ქველმოქმედება: ეკლესია ხელს არ უშლიდა მას, პირიქით, არაერთხელ მოუწოდებდა მორწმუნებს მის განსახორციელებლად“.<sup>108</sup>

აცნობიერებს რა თავის ვალდებულებებს უფლის ყოველგვარი ქმნილებისადმი და მხარს უჭერს რა გაეროს ცნობილ გადაწყვეტილებებს საზოგადოების მდგრადი განვითარების შესახებ, ეკლესია ყველანაირად ცდილობს შეიტანოს საკუთარი წვლილი თანამდეროვე ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში.

ეკლესიური სწავლება ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემატიკის შესახებ გვაუწიებს შემდეგს:

– ჩვენი გარემომცველი ბუნება პრაქტიკულად სრულადაა ჩართული ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფაში. ადამიანი აღარ კმაყოფილდება ბუნების ძღვენთა მრავალფეროვნებით და ახდენს მთელი ეკოსისტემების შეუკავებელ ექსპლუატირებას;

– ეს ხდება მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საზოგადოებრივი მოხმარების გაუგონარი და გაუმართლებელი ზრდის ფონზე, სადაც სიუხვისა და სიძდიდრისადმი სწრაფვა იქცა ცხოვრების ნორმად. ამიტომ არასამართლიანად ნაწილდება ბუნებრივი რესურსები – ზოგადსაკაცობრიო სიმდიდრე;

– ადამიანსა და ბუნებას შორის პარმონიული ურთიერთდამოკიდებულება დარღვეულ იქნა ადამიანის პირველი ცოდვით დაცემისა და ღვთისაგან მისი გაუცხოების მიზეზით;

– მართმადიდებელი ეკლესია მოგვიწოდებს აქტიური თანამშრომლობისკენ საზოგადოებრივ აქციებში, რომლებიც მიმართულია ღვთის ქმნილების დაცვაზე. ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ ეს ძალისხმევა იქნება უფრო ნაყოფიერი, თუ ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობათა პრინციპებს ექნება არა მხოლოდ ჰუმანისტური, არამედ ქრისტიანული ხასიათიც;

107 იხ.: შიხაშვილი გ. თეოლოგическое осмысление эколого-экономической деятельности – основа устойчивого развития. Известия АН Грузии, серия экономическая, т. 9, 2001, №1-2, с. 36.

108 ზეიპელ ი. Хозяйственно-этические взгляды Отцов Церкви. Пер. с немецкого с предисловием С. Н. Булгакова. М., 1913, с. 270

— ეკოლოგიური პრობლემები, არსებითად, ანთროპოლოგიური ხასიათისაა, ვინაიდან წარმოშობილია ადამიანის მიერ. ამიტომ გარემოს კრიზისით დაყენებულ მრავალ კითხვაზე პასუხები უნდა ვეძიოთ ადამიანის სულში, კაცობრიობის ცოდვიანობაში და არა ეკონომიკის, ბიზნესის, ბიოლოგიის, ტექნოლოგიისა და პოლიტიკის სფეროებში;

— ეკოლოგიური კრიზისის სრული დაძლევა წარმოუდგენელია სულიერი კრიზისის პირობებში, რომელშიც ამჟამად იმყოფება კაცობრიობა;

— ადამიანი ცვლის გარე სამყაროს საკუთარი შიდა სამყაროს შესაბამისად, მაშასადამე, ბუნების გარდაქმნა უნდა დაიწყოს სულის ფერისცვალებით; ადამიანს შეუძლია სამოთხედ აქციოს დედამიწა მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარ თავში შემქნის სამოთხეს.<sup>109</sup>

ეს დებულებები ასახავს მოცემული საკითხის ბიბლიურ გააზრებას და ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ ეკლესიის პოზიცია ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრასთან მიმართებაში ჭეშმარიტად მეცნიერულ ხასიათს ატარებს, რადგან ეკლესია ავლენს ეკოლოგიური კრიზისის რეალურ მიზეზს (კაცობრიობის სულიერი კრიზისი, ცოდვიანობა) და მოუთითებს პრობლემის გადაჭრის ქმედით გზას (ცოდვების დატევება და სულიერი აღორმინება).

საქართველოს მართვადიდებელი ეკლესია მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იყო ბუნებრივი რესურსების (მიწის, წიაღისეულის, ტყეების, წყლის ობიექტების) უმსხვილესი მფლობელი და მათ იყენებდა ყველაზე რაციონალური სახით როგორც ეკონომიკურ, ისე ეკოლოგიურ ურთიერთობებშიც მდგრადი განვითარების, ზემოთ აღნიშნული მცელქართული პრინციპის საფუძველზე — „ტყე (ანუ მთელი ბუნება, ადამიანთა გარემომცველი სამყარო) შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია“. თეოლოგიური თვალსაზრისით, „მამობრივი ვალის“ ცნების არსი გამომდინარეობს

ჩვენი ზეციერი მამის მთელი თავისი ქმნილებისა და კონკრეტულად საკუთარი შვილების — ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობაზე ღვთიური საზრუნვიდან.

საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია, თავი დააღწია რა ათეისტური უღლის შედეგებს, აქტიურ მოღვაწეობას შეუდგა საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის სფეროში.

ეკლესიის საზოგადოებრივ საქმიანობაში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალისა და ბიზნესის განვითარების ისეთ სტრატეგიულ უბნებს, როგორიცაა სატყეო და წყლის რესურსების ჩართვა საწარმოო პროცესში და მათი რაციონალური გამოყენება.

2003 წლის აპრილში, ბზობის დღესასწაულის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ ხელი მოაწერეს ერთობლივ მიმართვას საქართველოს მოსახლეობისადმი განადგურებისაგან ბზის დაცვის შესახებ.

ასეთი მიმართვის აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოში ბზობის რელიგიური დღესასწაულისთვის ხდება კომერციული მიზნით ძვირფასი კოლხური ჯიშის ბზის მასობრივი გაჩეხვა. მიმართვაში ნათევამია, რომ იჩეხება მნიშვნელოვნად უფრო მეტი ხე, ვიდრე ეს საჭიროა რელიგიური წესჩერებების აღსასრულებლად. ასეთმა გარემოებამ მიგვიყვანა ბზის ტყეების კატასტროფულ შემცირებამდე და მათი სრული გაქრობის რეალურ საფრთხემდე. პატრიარქი და მინისტრი შეახსენებენ ადამიანებს, რომ ჭეშმარიტი მორწმუნისთვის საკმარისია რწმენით მიღებული ბზის ერთი ტოტი უფალ იქსო ქრისტესადმი პატივისცემისა და სიყვარულის გამოსახატავად. ისინი მოუწოდებენ მთელ მოსახლეობასა და მართლმადიდებელ ქრისტიანებს, დაიცვან ბზა გადაშენებისაგან.

ამ მიმართვის გამოქვეყნებისთანავე საპატრიარქომ განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები. ბზობის დღესასწაულისათვის ზოგიერთ ტაძრში გაიყიდა 1 ლარად ქოთნები ბზის ნერგებით.

109 Основы социальной концепции Русской православной Церкви. М., 2001, с. 104-107.

ასეთი დონისძიებები დღესაც გრძელდება. ანალოგიური მიმართვები და ქმედებები საქართველოში უკვე ტრადიციად იქცა.

**უფლები, საკითხის ამგვარი გადაჭრისაგან, მდგომარეობს შემდეგში:**

- ადამიანები ეჩვევიან ბზის მომჭირნედ გამოყენებას;
- შესაძლებელი ხდება ქოთხებიდან ნერგების სათანადო ადგილას გადარგვა და მათი მოვლა-პატრონობა;
- კაი-ბიზნესმენებს ჩამოერთვათ შესაძლებლობა გამდიდრდენ ხეების ძვირფასი ჯიშების მოსპობით.

2000 წლის ოქტომბერში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიმართა ხელისუფლებასა და მოსახლეობას მოწოდებით – შეწყვიტონ საქართველოში ტყეების ინტენსიური გაჩერება საექსპორტოდ.

ამ საკითხის მნიშვნელობის გამო და ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის, საჭიროა მოვიყენოთ ციტატა მიმართვიდან: „მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რომელიც ხე-ტყის მოჭრასა და მის საზღვარგარეთ გატანასთან არის დაკავშირებული, უკვე ბოროტებად და დანაშაულად იქცა საქართველოს მთელი მოსახლეობის მიმართ. თუ ეს პროცესი არ აღიკვეთა, ჩვენ მოწმენი გაეხდებით დიდი ეკოლოგიური კატასტროფისა. არავის აქვს უფლება დაუნდობლად გაანადგუროს ბუნება. არავის აქვს უფლება გაანადგუროს ერის სიმდიდრე და ეჭვევეშ დააყენოს ჩვენი ქვეყნის მომავალი. ტყეების გაჩერება უნდა შეჩერდეს!“

იმედი მაქვს, რომ საერთო ძალისხმევით, ჩვენი ხელისუფლებისა და სათანადო სტრუქტურების აქტიური ჩარევით მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება“<sup>110</sup>.

2003 წლის 14 აპრილს საქართველოს საპატრიარქო აკეთებს იფიციალურ განცხადებას, რომელშიც ნათქვამია: „თბილწყალკანალის კერძო სექტორში მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით სა-

პატრიარქო ყოველთვის აფიქსირებდა უარყოფით დამოკიდებულებას, მაგრამ ამას შედეგი, სამწუხაროდ, არ მოჰყვა. ვინაიდან პროცესები განვითარდა და 11 აპრილს ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა (მოხდა პრეზენტაცია გამარჯვებული კომპანიის პროექტის ფინანსური ნაწილისა), საქართველოს საპატრიარქო ამჟამად უკვე ოფიციალურად აცხადებს, რომ ყოვლად მიუღებელია მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ასეთი ობიექტის კერძო სექტორზე გადაცემა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით მისი მართვა.

აღნიშნული საკითხი არის ზოგადსახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის და, ამდენად, მისი ბედი ეკლესისთვისაც სისხლხორცეულია.

ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას ძირითადად სამი უმთავრესი მიზეზი განაპირობებს:

1. მოსახლეობის უმრავლესობა გადახდისუუნაროა, რაც მათ წყლით უზრუნველყოფას ფაქტობრივად გამორიცხავს, რადგან ან კომპანია ვერ ამოიღებს გადასახადს და ეს პრობლემებს შეუქმნის მას და წყლით მომარაგებას, ან ის ხალხი, რომელიც ვერ გადაიხდის სათანადო საფასურს, დარჩება წყლის გარეშე.
2. წყალზე ტარიფის მომატება ბუნებრივად გამოიწვევს თითქმის ყველა პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასის გაზრდას, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს მოსახლეობის მდგომარეობას.
3. წყალი დღესაც არის მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიული რესურსი, რომელზე მოთხოვნილებაც ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს უდიდესი ეროვნული სიმდიდრე მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებასა და მმართველობაში უნდა იყოს.

ჩვენ თხოვთ მიგმართავთ ხელისუფლებასა და ყველა სათანა-

<sup>110</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (1977-2004). შემდგენელ-გამომცემი გ. შიხაშვილი, თბ., „გეოგრაფია“, 2004, გვ. 189-190.

დო ინსტანციას, გაითვალისწინონ პრობლემის სერიოზულობა და არ დაუშვან თბილწყალკანალის მართვის უფლების კერძო სექტორისათვის გადაცემა“.<sup>111</sup>

ამის შემდეგ ქ. თბილისის საკრებულო კვლავ ინტენსიურად იხილავდა თბილწყალკანალის კერძო კომპანიისათვის მართვაში გადაცემის საკითხს. ამასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქი 2004 წლის 4 ივნისს წერილობით მიმართავს ქალაქის ხელმძღვანელობას, რომელშიც აფართოებს ზემოაღნიშნულ არგუმენტაციას და კვლავ მოუწოდებს სათანადო ინსტანციებს, გაითვალისწინონ პრობლემის სერიოზულობა და არ დაუშვან თბილწყალკანალის მართვის უფლების ბიზნესის სფეროსათვის გადაცემა.<sup>112</sup>

მიუხედავად ყოველივე ამისა, 2007 წლის შემოდგომაზე საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ არცთუ გამჭვირვალე პროცესების შედეგად „თბილისის წყალი“ (ყოფილი „თბილწყალკანალი“) მართვის უფლებით გადაეცა ბოლომდე გაურკვეველი რეპუტაციის მქონე უცხოურ კომპანიას.

გავააღმინოთ მოტანილი ორი დოკუმენტის შინაარსი და შექმნილი სიტუაცია ეკლესიის როლის გააზრების თვალისაზრისით საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში:

– საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე, სახელმწიფო, შეცდომით (ან ტენდენციურად) ხედავს რა ყველა უბედურებისაგან ხსნას მხოლოდ ბაზარში, დარწმუნებულია, რომ მოშლილი მურნეობის (მათ შორის, მოსახლეობის წყალმომარაგებისაც) აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ბიზნეს-სექტორზე (როგორც წესი, უცხოურზე) დაყრდნობით;

– ბაზარი (ბიზნეს-სექტორი), რომელიც მოხიბლულია ტენდენციურად მისთვის მიკუთვნებული განსაკუთრებული მნიშვნელობის შარავანდედით თანამედროვე საზოგადოებაში (საქართველოში ეს შარავანდედი იქცევა სუპერიდეოლოგიურ „ღვთიურ გვირგვინად“), მიისწრაფვის რა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისკენ,

უგულებელყოფს სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესებს (საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება სიღარიბის ზღვარს მიღმა);

– საქართველოში არსებობენ ადამიანები (მათ შორის, სახელმწიფო ჩინოსნები) და ორგანიზაციები, რომლებიც დანტერეუსებული არიან ტყეების გაჩეხვითა და „თბილისის წყალის“ ფუნქციონირებით ადგილობრივი და უცხოური ბიზნესის „სახურავის“ ქვეშ;

– საზღვარგარეთ, მეგობრებთან ერთად, აგრეთვე, არსებობენ ანგარებიანი ქვეყნები და ორგანიზაციები, რომლებსაც საქართველოში საკუთარი ეგოსტური პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები ამოძრავებთ. იმყოფებიან რა ასეთი ორგანიზაციების ზეგავლენის ქვეშ, საქართველოს ბიზნეს-სექტორი და სახელმწიფო ხშირად უგულებელყოფენ ზოგადსახელმწიფოებრივ და სამოქალაქო ინტერესებს;

– მთლიანობაში, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, სახელმწიფოსა და ბიზნესს არ შეუძლიათ (ხშირად – არც სურთ) იზრუნონ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მნიშვნელოვან სფეროზე. ასეთ სფეროებში შლიან თავიანთ საქმიანობას ეკლესია და აკო;

– ჩვენ მერ გაანალიზებულ კონკრეტულ შემთხვევებში, ეკლესია ოფიციალურად აფიქსირებს თავის არგუმენტირებულ პოზიციას და გვაფრთხილებს რეალური ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური გართულებების შესახებ, ცდილობს რა საკუთარი წვლილის შეტანას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში. ამ თვალსაზრისით ეკლესია ასრულებს მესამე სექტორის ანალიგოურ ფუნქციებს;

– იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო და ბიზნესი, ზნეობრივი ხარვეზების გამო, ვერ ასრულებენ თავისთ ობიექტურ ფუნქციებს, ეკლესია გვევლინება საზოგადოების ზოგადსახელმწიფოებრივ, ეროვნულ და ეკონომიკურ ინტერესებზე მზრუნველობად;

– ეკლესია წარმოადგენს ღვთივადგენილ დაწესებულებას (სამი-

111 იქვე, გვ. 258-259.

112 გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, # 21, 2004, გვ. 5-6.

ვე სექტორის ყველა ორგანიზაციისაგან განსხვავებით). მისი მიზანია ზრუნვა საზოგადოების ზნეობრივ კეთილდღეობაზე, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნება ცალკეული ადამიანებისა და მთელი კაცობრიობის გამარჯვება სიკვდილზე და მარადიული ნეტარება ზეციურ სასუფეველში. ამიტომ ასეთი მისია არ შეიძლება პქონდეს სამივე სექტორის არც ერთ ორგანიზაციას;

— კაცობრიობის მიწიერი პრობლემები (მათ შორის, ეკოლოგიურიც) ღვთის დაშვებით წარმოიქმნება ადამიანთა ცოდვიანობის გამო. ამდენად, ასეთი საკითხების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების რელიგიური (ზნეობრივი) გაწმენდის გზით და სელეწიფება მხოლოდ და მხოლოდ უფალ ღმერთს. ამიტომ, მისწრაფვის რა საზოგადოების ზნეობრივი განწმენდისკენ, ეკლესია, იმავდროულად, თავის ლოცვებში ევედრება ყოვლისშემძლე უფალ-ღმერთს „კეთილ შეზავებისათვის ჰაერთასა, კეთილ გამოღებისათვის ნაყოფთა ქვეყანისათა, და უამთა მშვიდობისათვის“. ადგილი შესამჩნევია, რომ ამ ლოცვაში ასახულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის კომპლექსური ეკოლოგიური (კეთილ შეზავებული, სუფთა ჰაერი), ეკონომიკურ-აგრარული (წარმოების პროდუქტები — მიწის ნაყოფი) და პოლიტიკური (მშვიდობიანი დროება) შემადგენლები, რომელთა ერთობლივი გააზრება და განსორციელება გვიხსნის მდგრადი განვითარების თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის დედაარსეს.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით გააზრებასა და მოქმედებას შეძლებს საზოგადოების სამი სექტორიდან ნებისმიერის რომელიმე ორგანიზაცია. ეს კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც განასხვავებს ეკლესიას ნებისმიერი სხვა ორგანიზაციისაგან. ასრულებს რა ასეთ ფუნქციას თავისი საქმიანობის პროცესში, ეკლესია შლის ზღვარს სამივე სექტორს შორის.

იმავდროულად, ეკლესია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის (მათ შორის, ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასურსათო პრობლემების გადაჭრის) საქმეში დახმარებისათვის მიმართავს უფალ ღმერთს, რომელიც ბიძლიური სწავლების მიხედვით არის: შემოქმედი, მარადიული, ყველგან მყოფი, ყოვლის მცოდნე, უბრძენების, ყოვლისშემძლე,

სამართლიანი, ყოვლად კეთილი, ყოვლად წმინდა, მართალი, დამთმენი, სიყვარული, ნათელი, გულმოწყალე, გულუხვი, ჭეშმარიტი, უკვდავი, სრულყოფილი, უხრწნელი, ყოვლისამპყრობელი, უზენაესი მღვდელმთავარი, მეფეთ-მეფე, უმდიდრესი, კაცობრიობის მხსნელი, პირველი და უკანასკნელი, ალფა და ომეგა, საუკუნო სიცოცხლე, კელთილი მწყემსი, ნუგაშისმცემელი.

ასეთი ყოვლისშემძლე და მრავალმხრივი მზრუნველი ჰყავს ეკლესიას თავისი მისის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, ადვილია ფუძემდებლური დასკვნის კონსტატაცია, რომ სამივე სექტორის არც ერთ ორგანიზაციას მსოფლიოში არ შეუძლია იპოვოს თავისი საქმიანობის მსარდასჭერად ისეთი ყოვლადძლიერი განმგებელი, როგორიცაა ღმერთი, არც ერთ ორგანიზაციას (ფონდს, აკო-ს, კორპორაციას, სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ბლოკს, მსოფლიო გაერთიანებას) დედამიწის ზურგზე არ შეუძლია იყოს ისეთი ყოვლადგეთილი მზრუნველი, როგორიცაა ღმერთი.

ეკლესია დაფუძნებულია ღმერთის მიერ როგორც უზენაესი დაწესებულება ყველა სხვა ორგანიზაციას შორის მათი მიზნებით, სტატუსით, ზომებითა და შესაძლებლობებით.

ღმერთი ეხმანება თავისი დაწესებულების (ეკლესიის) ლოცვებს და საჭირო დროს რეალურ დახმარებას უწევს. მაგალითად, მრავალ მეცნიერსა და სპეციალისტს აკვირებს ის ფაქტი, რომ ბუნებრივი რესურსების ზედაბინძურებისა და გამოღვევის მიუხედავად, კაცობრიობა კი არ იღუპება, არამედ აგრძელებს არსებობას. აქ თეოლოგიური მეცნიერება იძლევა შეძლევ პასუხს: უფალი ღმერთი ჯერ არ იმეტებს კაცობრიობას დასაღუპად (მოთმინებით ელის მის ზნეობრივ აღორძინებას) და თვითონაა დაკავებული უაღრესად დაზიანებულ-დაბინძურებული ეკოსისტემების აღდგენითა და განწმენდით (აკურთხებს წყალს, წმენდს ჰაერს, ამრავლებს მიწის ნაყოფს).

მოვიყვანთ მაგალითს. ყოველწლიური დიდი აიაზმის დროს 18 და 19 იანვარს იკურთხება (იწმინდება, ხდება უკნებელი, უხრწნელი) არა მარტო წყლის ის მოცულობა, ობიექტები და წყაროები, რომლებიც სასულიერო პირის მღვდელმოქმედების ქვეშ იმყოფე-

ება, არამედ ისინიც, რომლებიც ტერიტორიულად დაშორებულია ამ ადგილიდან. ერთნიცა და მეორენიც ინარჩუნებენ უხრწნელობას წლების განმავლობაში. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ წა-მოვიღებთ ნაკურთხ წყალს ტაძრიდან ან კურთხევის მომენტში ავიღებთ წყალს წყალსადენის ონკანიდანაც კი და შევამოწმებთ მის მდგომარეობას მითითებული ვადის გასვლის შემდეგ.

ზემოთ აღწერილი დებულებები და ღვთაებრივი მოვლენები თვალსაჩინოდ მთუთითებენ ეკლესიის როლსა და შესაძლებლობებზე ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასურსათო პრობლემების გადაჭრის საქმეში. როლი გამოიხატება იმაში, რომ გაიაზრებს რა თეოლოგიური მეცნიერების პოზიციებიდან გლობალური ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის ძირითად მიზეზს – კაცობრიობის ზნეობრივ კრიზისს, ის გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ჭეშმარიტ გზას – ზნეობრივ გაწმენდასა და აღორძინებას.

არ კმაყოფილდებიან რა გზის მითითებით, ეკლესია და მისი ორგანიზაციები (მრევლი, სამმოები, მონასტრები, სამეურნეო სუბიექტები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ფონდები, აკა და სხვა) აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ღონისძიებებში.

ეკლესიის შესაძლებლობები კი გამოიჩატება იმაში, რომ მისი მთავარი მფარველი და მზრუნველია უფალი ღმერთი, რომლის ძლევამოსილების შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

ეკლესია არ შემოიფარგლება მხოლოდ წმინდა ეკოლოგიური პრობლემების გააზრებითა და გადაჭრით, ის დაინტრესებულია მთლიანობაში საზოგადოების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფით.

ამასთან, ეკლესიას მიაჩნია, რომ მდგრადი განვითარების თეორია ათეისტური მიღებობის გამო არ მოიცავს საზოგადოებრივი განვითარების გველა მსარესა და პერსპექტივას. ამ თეორიის მთავარი ნაკლოვნება მდგომარეობს იმაში, რომ მასში არ არის გათვალისწინებული თეოლოგიური ფაქტორი კაცობრიობის განვითარებაში და, მაშასადამე, უარყოფილია ღვთაებრივი დაწესებულების – ეკლესიის როლი

თანამედროვეობის გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

ეკლესია ითვალისწინებს მიწიერი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა მსარეს, მიუთითებს რა გზას, რომლის საშუალებითაც კაცობრიობა შეძლებს შეიცნოს ჭეშმარიტება, რითაც უზრუნველყოფილ იქნება სანუკარი გამარჯვება სიკვიდობზე და მარადიული სიცოცხლე ზეციურ სასუფეველში. უფალი იესო ქრისტე გვეუბნება: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (ინ. 14,6). სწორედ ასეთ ღვთაებრივ გზაზე დაფუძნებული განვითარება შეიძლება იყოს უკრიზისო და რეალურად მდგრადი. უფრო ზუსტად, ასეთ განვითარებას უნდა ვუწოდოთ საზოგადოების (კაცობრიობის) ღვთივსულიერი, ჰარმონიული განვითარება.

ასეთი მიდგომისა და შესაბამისი ღეფინიციების არსი გამომდინარეობს საეკლესიო ლოცვებიდან, რომელიც მიმართულია ყოვლისშემძლე ღმერთისადმი.

**დიდ კვერცხებში მღვდელმსახურები და მრევლი ევედრებიან უფალს:**

– ზე გარდამო მშვიდობისა, და ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა;

– მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა, კეთილად დგომისათვის წმიდათა ღვთისა ეკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის;

– წმიდისა ამის სახლისათვის, სარწმუნოებითა, სასოებითა და შიშითა ღვთისათა შემავალთა ამას შინა;

– უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა, დიდისა მეუფისა ჩვენისა იღიასათვის, მიტროპოლიტთა, მთავარეპისკოპოსთა, ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღვდელთა, ქრისტეს მიერ დიაკონთა და ყოვლისა სამღვდელოისა დასისა და ერისა მათისათვის;

– ღვთივდაცულისა ერისა ჩვენისა, მთავრობისა და მხედრობისა მისისათვის;

– თანა მბრძოლებისათვის, და დამორჩილებისა ქვეშე ფერთა მათთა ყოველთა მტერთა და მბრძოლთა;

- სამეუფოსა ქალაქისა ამის ჩვენისა (უკეთუ იყოს მონასტერი და წმიდისა ამის მონასტრისა), და ყოვლისა ქალაქებისა და სოფლებისათვის, და სარწმუნოებით მკვიდრთა მათ შინა;
- კეთილ შეზავებისათვის პაროთასა, კეთილ გამოღებისათვის ნაყოფთა ქვეყნისათა, და უბმთა შშვიდობისათვის;
- მენავეთა, მოგზაურთა, სწორობისა, მშრომელთა, ტყვეთა ხსნისა და ცხოვრებისა მათისათვის;
- სწორი ჩვენდა ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა;
- შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცევ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

**თხოვნით კვერცხსში უფალს ვთხოვთ, რათა მოგვანიჭოს:**

- ანგელოზი შშვიდობისა, სარწმუნო წინამძღვარი, მცველი სულთა და ხორცთა ჩვენთა;
- შენდობა და მოტევება ცოდვათა და უსჯულოებათა ჩვენთა;
- კეთილნი და უმჯობესნი სულთა ჩვენთანი და შშვიდობაი სოფლისა;
- შემდგომნი უამნი ცხოვრებისა ჩვენისანი, მშვიდობით და სინანულით აღსრულებად;
- ქრისტეანობითი აღსასრული ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი, ურცხვენელნი, მშვიდობითი, და კეთილი სიტყვისგებაი წინაშე საშინელისა სამსჯავროსა ქრისტესსა.

**მიცვალებულთა კვერცხსში ლოცულობენ განსვენებულთა სულების საოხად, რათა „უფალმან ღმერთმან ჩვენმან დააწესოს სულნი მათნი, სადაცა მართალნი განისვენებენ“.**

ეკონომიკური ზასიათის ლოცვებიდან აღსანიშნავია შემდეგი, რომ-

- ლებითაც მივმართავთ წმინდანებს:<sup>113</sup>
- ოჯახის ეკონომიკური გაძლიერებისათვის – წმ. სპირიდონ ტრიმიტუნტელს;

113 იხ.: ვის ვევედროთ აფადმყოფობისა და გაჭირვების დროს. რუსთავი, „გორგასალი“, 2002.

- ყოველგვარი წარმოებისა და საზოგადოებრივი საქმის დაწყებისა და მისი წარმატებისათვის – წმ. ბასილი დიდს;
- ვაჭრობის კეთილად წარმართვისათვის – წმ. დიდმოწამე იოანე ახალს, სოჩაველს;
- პურის თესვისა და მეტის დროს; მოსავლის მფარველობისა და ნაყოფის სიუხვისათვის – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ბარაჟის“ ხატს („ნაყოფთამომნიჭებელი“), წმ. მოციქულ ფილიპეს და წმ. მღვდელმთავარ ტიხონს, ამათუნტელ ეპისკოპოსს;
- შიმშილობისა და მოუსავლიანობის დროს – წმ. ელია წინასწარმეტყველს, ღირს ექვთიმე დიდს;
- უწვიობის ან გვალვის დროს, წვიმის მოსვლისათვის და როდესაც ჭექა-ჭუხილია ან სეტყვაა – წმ. ელია წინასწარმეტყველს, წმ. დიდმოწამე პარასკევას;
- ბალების, მინდვრებისა და ბოსტნების მავნებლებისაგან დასაცავად – წმ. მოწამე ტრიფონს;
- მეუღლების კეთილად წარმართვისათვის – წმ. იოანე ნათლისმცემელს;
- მეთევზების მფარველობისათვის – წმ პეტრე მოციქულს და წმ. მოციქულს იაკობ ზებედეს ძეს;
- ხელოსნებისა და მჭედლების მფარველობისათვის – წმ. მოწამეებს, უვერცხლოდ მკურნალო კოზმა და დამიანე ასიელებს;
- მესაქონლეების მფარველობისათვის – წმ. მღვდელმოწამე ვლასს, სებასტიელ ეპისკოპოსს და წმ. დიდმოწამე ნიკიტას, კონსტანტინეპოლელ მხედარს.

**განსაკუთრებით მადლიანია ლოცვა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისადმი, რომელიც არა მარტო სულიერ სწავლას მიპადლებს, არამედ**

ქვეყნიერ დგაწლშიც ეხმარება ადამიანებს. ღმრთისმშობელი არის მიწათმოქმედთა მფარველი, ამიტომაც მიმართავს მას ლოცვა-ველრებით მუშაონები ადამიანი:<sup>114</sup>

- „ყოვლადმოწყალო დედუფალო ღმრთისმშობელო, შეიწირე გულსმოდგინე ლოცვაი ჩვენი, დაგვიფარე ჩვენ სიყმილისა და სრვისაგან, მოპმადლე ნაყოფიერებაი მიწასა ჩვენსა; მასაზრდოებელო ჩვენო და ჩვენთა პურთა და ყანათათვის ბარაქის მომცემელო, მარადის სიხარულით გილადადებთ შენ“ (კონდაკი 1);
- „შენ ხარ ჭირვეულთა სწრაფუშემწევნელი, ქალაქთა და საცხოვრისთა ჩვენთა, სოფელთა და ყანათა და ყოვლისა ქუეყნიერებისა საფარველი. შენ გულმოწყალესა და ღმრთისმოყვარესა დედასა ჩვენსა, მომწყობელსა და ხნისაკენ წარმმართველსა ჩვენისა მიწიერი ცხოვრებისასა, დამდაბლებული გულით გილადადებთ“ (იკოსი 3);
- „ვითარცა ვარსკვლავი ღმრთაებრივისა მადლისაი, ხატი შენი, ღმრთისმშობელო, ერსა შენსა, არსობის პურის მთხოვნელსა ჩაუქრობელად უნათებს და იცავს შენისა საფარველისა ქვეშე მინდორთა და ყანათა და ნაყოფიერებას ანიჭებს მათ, აღძრავს რა ერთგულთა დაღადებად ქრისტე ღმერთის მიმართ: ალილუია“ (კონდაკი 5);
- „მკვიდრნი ქუეყანისანი გვედრით შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, გამოაჩინე ძალი შენი ჩვენთა ყანათა და მინდორთა მკისას, როს მოიწევა უამი მათი, დაე ყოველმა მარცვლეულმა იხვარიელოს ჩვენდა, ღმრთისადმი მგალობელთა სანუგეშოდ, ალილუია.“ (კონდაკი 7);
- „მჭერმეტყველთა მრავალდონენი ვერ შემძლებელ არიან შენთა სასწაულთა ქებისა, რამეთუ ყოველთა კიდეთა ქვეყნისათა განუწვდი ხელსა შეწევნისასა და მიანიჭებ ერთგულთა ნაყოფიერებასა

114 იხ.: ღვთისმობლის „ბარაქის“ ხატის დაუჯდომელი. თბ., 2002.

მიწისასა, კეთილშეზავებასა ჰაერთასა და ნაყოფთა უხვებასა და ყოველთა კეთილთა ქვეყნიერთა, ჩუენ კი მორჩილებით აღმსარებელნი უდიდესისა შენისა მფარველობისა ჩუენ ცოდვილთადმი და ჭირთა შინა ჩუენთა მიწყივშემწეობისა, გილადადებთ შენ“ (იკოსი 9);

- „მადლმოსილი შეწევნა შენი გარდმოგვივლინე ჩუენ, დედაო ღმრთისავ, და როდესაც მოვა მთესვარი თესვად, დაე წუ დაეცემიან თესლნი გზასა ზედა, ანდა ეკალთა შორის, ანდა კლდოვანისა ზედა, არამედ ქვეყანასა კეთილსა. აღორძინე ისინი, დაე მოსცემდეს ქუეყანასა ნაყოფსა ასმაგს და ჩუენ ყოველთა მხარულითა გულითა და მადლიერითა ბაგითა შევლადადოთ უფალსა: ალილუია.“ (კონდაკი 12).

წმ. დავით მეგისალმუნეც, თავის მხრივ, ამგარად მიმართავს უფალ ღმერთს: „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეულობას ადამიანის სამსახურებლად, რათა გამოიღოს პური მიწისაგან“ (ფსალმ. 103, 14).

უფალი აძლევს ადამიანს ნაყოფიერ ბუნებრივ გარემოს, ნიჭისა და უნარს, მას კი ცხოვრებისეულ მოვალეობად შრომასა და რედუნდას უწესებს: „გავა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის უმამდე“ (ფსალმ. 103, 23) და რათა „ჩვენი ბეღლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე“ (ფსალმ. 143, 13).

პურის კურთხევის ლოცვაში მღვდელი იესო ქრისტეს მიმართავს: „რომელმან აკურთხენ ხეთნი პურნი და ხუთ ათასნი განაძლენ, ეგრეთვე აკურთხე პურნი ესე, ხვარბალი, ღვინოი და ზეთი, და განამრავლე ესენი წმიდასა ამას ეკლესიასა (მონასტერსა), და ქალაქებისა ამას შინა და ყოველსა ქვეყანასა და ერსა შენსა ზედა, და რომელთა მიიღონ ამათვან სარწმუნოებით, მიეც მათ განწმედა“.

აღსარების წინა ლოცვაში (ლოცვა წმ. ტიმოთესი) მივმართავთ უფალ ღმერთს: „დაიცვენ სიმტკიცით ერი ჩვენი, და მტერთა მიმართ მძლეობა სამარადისო მიანიჭე მას, გულისხმისყოფა და შშვიდობა შენი მიმადლე სოფელსა და მიანიჭე ქვეყანასა ნაყოფთა უხვება

და ერსა საზრდელთა იუფობა, რათა განვძლეთ გლახაკნი პურითა შენითა, და მარადის მაღლობისა გალობასა შევსწირვიდეთ შენდა, კაცომოვარისა ღვთისა ჩვენისა, თანა მამით და სულით წმიდი-თურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

ლოცვა-ველრება წარმოადგენს ეკლესიისა და ყველა ქრისტიანის სასიცოხლო საჭიროება-ვალდებულებას, რომელსაც ისინი უნდა ახორ-ციელებდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე, რათა ყველამ ერთობით დავიძევიდროთ ზეციური სასუფეველი. ასეთი ამაღლებული მოტივაცია არ შეიძლება ჰქონდეს არც ერთ სხვა ორგანიზაციას და მის წევრებს მსოფლიოში.

უფალი ღმერთისა და მისი წმინდანებისადმი თხოვნა-ველრების ასეთი გრცელი სპექტრი გვიჩვენებს შემდეგს: 1) ეკლესიის მისია მოიცავს ზრუნვას კაცობრიობის არსებობის აბსოლუტურად ყველა სფერო-ზე; 2) ლოცვები მიმართულია შემოქმედისადმი, ყოვლისშემძლე ღმერთისადმი, რომელიც ყოველთვის ზრუნვას თავის ქმნილებაზე; 3) ეკლესიას არ შეუძლია უფლის გარეშე განახორციელოს თავისი მიზნები, ამიტომ იგი დახმარებისა და თანამშრომლობისათვის მი-მართავს თავის დამარსებელს, განმგებელსა და ადამიანთა მოდგ-მაზე მუდმივად მზრუნველს – ღმერთს. ღვთის ნებისა და ადამია-ნის მოღვაწეობის სინერგიული შერწყმით მიიღწევა კაცობრიობის ჭეშმარიტი, ღვთივსულიერი, ჰარმონიული და რეალურად მდგრა-დი, უკრიზისო განვითარება; 4) მსოფლიოში არც ერთ სხვა ორ-განიზაციას, გარდა ეკლესიისა, არ შეუძლია მოიცავს მიზანთა და ვალდებულებათა ასეთი კომპლექსი; 5) ეკლესიის წევრთა მიზანსა და ვალდებულებას წარმოადგენს ზრუნვა საკუთარი ცოდვების დატევებაზე და სხვათა ცოდვების მიტევებაზე. არც ასეთი მისია შეიძლება ჰქონდეს რომელიმე სხვა ორგანიზაციას, თუნდაც იმიტომ, რომ ათეისტური სამყაროსათვის სრულიად უცხო და მიუღებელია ცოდვის ცნება-შეგრძნება და, მთ უმეტეს, მისი დატევება-მიტევების ვალდებულება; 6) ეკლესიის წევრები ევედრებიან ღმერთს ქრი-სტიანული, ურცხვენელი, მშვიდობითი, მონაწული აღსასრულისა და ქრისტეს სამსჯავროზე გამართლების შესახებ. ეკლესია ამ-

ზადებს საზოგადოებას საშინელი სამჯავროსათვის, რომელზეც წარსდგება მთელი კაცობრიობა – ცოცხლები და ღმერთის მიერ მკვდრეთით აღდგომილები. სამსჯავროს შემდეგ ღმერთი უბოძებს მორწმუნებებს მარადიულ სიცოცხლეს ზეციურ სასუფეველში, ხოლო ურწმუნოებს განამწერებს ჯოჯოხეთში. მონაწილეობს რა ამ პროცესში, ეკლესია ასრულებს სიკვდილის დამრთვუნველის მისიას. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ასეთი სწრაფვა შეიძლება ჰქონდეს ნები-შიერ სხვა ორგანიზაციას; 7) მრევლისა და მოსაქცევ ადამიანთა სახით, საზოგადოების სამიცე სექტორში, ეკლესიას ჰყავს თავისი ზრუნვის ობიექტები, ავრცელებს რა მათზე თავის ღვთივდადგენილ მისიას; 8) ჰყავს რა დამფუძნებლად და მზრუნველად უზენაესი და ისახავს რა უმაღლეს მისიას – უზრუნველყოს ადამიანები-სთვის ხსნა, შესვლა ზეციურ სასუფეველში და „განღმრთობა“, ეკლესია მოიცავს სამიცე ცივილურ სექტორს და იმავდროულად ზე-ამაღლებულია მათზე. საზოგადოების ყველა სხვა ორგანიზაცია-ზე, ინსტიტუტსა და სექტორზე ზეამაღლებული მდგომარეობა ეკლესიისა ჩანს „სარწმუნოების სიმბოლოში“, სადაც ნათევამია, რომ ყოვლადწმინდა სამების შემდეგ ადამიანებს სწამო ღმერთის მიერ დაარსებული, „ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“; 9) ბიბლიის თანახმად ღმერთი (იესო ქრისტე) განკაც-და იმისათვის, რომ ეკლესიის საშუალებით იხსნას კაცობრიობა მარადიული სიკვდილისაგან და განაღმრთოს ადამიანები. აქ გა-მოიხატება ძარითადი ღმერთკაცური ურთიერთკაცშირი, სინერგიული ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის: 1) ღმერთი – ეკლესია – ადამიანი (საზოგადოება); 2) ადამიანი (საზოგადოება) – ეკლესია – ღმერთი. ასეთი სქემის არსი მდგომარეობს შემდეგში. ეკლესიის საშუალებით ღმერთი მოუწოდებს ადამიანებს ხსნისადმი, მარადიული სიცოცხლისადმი, განღმრთობისადმი; საზოგადოების ყველა სფეროდან ნებაყოფლობით მოდიან ეკლესიაში, რომელიც ასწავლის მათ მიწიერი ცხოვრების ისეთ წესს, რომელიც იმარჯვებს სიკვდილზე და ყველა მორწმუნისათვის უზრუნველყოფს მარადიულ სიცოცხლეს. ეკლესიის ასეთი დანიშნულების შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვასწავლის: „რაც სულია სხეულისათვის, ეკლესია ისა ერი-

სათვის. ოოცა სული სხეულს შორდება, სხეული კვლება. ასევეა ერიც ეკლესიის გარეშე.<sup>115</sup>

ვაჯამებთ რა ზემოთ განხილულს, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

ეკლესია წარმოადგინს ღმერთის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას. ეკლესიის მისია მდგომარეობს იმაში, რომ ღმერთთან სინერგიული თანამშრომლობით უზრუნველყოს კაცობრიობისათვის მარადიული სიცოცხლე ზეციურ სასუფელში.

თავისი დანიშნულებითა და მნიშვნელობით ეკლესია დგას ყველა პიროვნებაზე, ორგანიზაციაზე, ინსტიტუტზე, საზოგადოების სექტორზე მაღლა. თავისი მისიძან გამომდინარე, ეკლესია განავრცობს თავის მზრუნველობასა და პრაქტიკულ საქმიანობას საზოგადოების სამივე სექტორზე, სულიერ, თეოლოგიურ საფუძველზე მათი გაერთიანების მიზნით. ეკლესია ამით აჩვენებს, რომ მიწიერ საზრუნოვანობას ერთად, პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ ზეციურ საქმეებზეც.

სხვადასხვა ქვეყანაში ეკლესიას გააჩნია განსხვავებული იურიდიული სტატუსი, მაგრამ მისი ბუნებიდან და მისიძან გამომდინარე, ის ფაქტობრივად სახელმწიფოსაგან განცალკევებულია და ზოგ ქვეყანაში არასამთავრობო, არასამწერმეო, არაკომერციულ სექტორს მიეკუთვნება.

ეკლესია ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, მაგრამ ის არაფრთო არ შეიძლება მივაკუთნოთ ბაზნეს-სექტორს.

სხვადასხვა თვისებითა და საქმიანობის მიმართულებებით (შესვლის ნებაყოფლობითობა, ქველმოქმედება, საეკლესიო-სამონა-სტრო მეურნეობრიობის არაკომერციული მიზანი და სხვა) ეკლესია პგავს მესამე სექტორის ორგანიზაციებს. თუმცა, ის არ შეიძლება მივაკუთნოთ მესამე სექტორს შემდეგი ობიექტური საფუძვლებით:

– ეკლესია დაარსებულია უშუალოდ ღმერთის მიერ და არ

ემორჩილება არავითარ სხვა დამფუძნებელს, დირექტორთა საბჭოს, მენეჯერებს და ა.შ.;

– ეკლესის აქვს ღვთაებრივი, სულიერი მისია – იხსნას კაცობრიობა დაღუპვისაგან, გაიმარჯვოს სიკვდილზე და მიაღწიოს მარადიულ ნეტარებას ზეციურ სასუფელში. ასეთი მისია არ შეიძლება ჰქონდეს რომელიმე საერთო ორგანიზაციას, მათ შორის აკოს;

– ეკლესის გააჩნია თავისი სპეციფიკური სამართლებრივი, იურიდიული, ორგანიზაციული, ეკონომიკური, მმართველობითი და სხვა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები (მაგალითად: საეკლესიო სამართლის წყაროები, ეკლესის შემადგენლობა და მოწყობა; საეკლესიო საიდუმლოებები; ეკლესის მსახურთა უფლება-მოვალეობები; ბერობა; საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობრიობა; ეკლესის უმაღლესი ხელისუფლება; პატრიარქები; წმ. სინოდები; ავტოკეფალური და ავტონომიური ეკლესიები; ეპარქიული მართვა; სამრევლო მართვა; მოძღვრების ძალაუფლება; მღვდელმოქმედების ძალაუფლება; საეკლესიო კანონმდებლობა; საეკლესიო სასამართლო და სასჯელი; ქრისტიანული სიკვდილი და წმინდანთა თავიანისცემა; ეკლესის საქორწინო სამართლი; საეკლესიო ქონება და სასულიერო პირთა მატერიალური უზრუნველყოფა; ეკლესისა და სახელმწიფოს ურთიერთობები; ეკლესის საერთაშორისო და კონფესიათაშორისი ურთიერთობები და სხვა), რომლებიც შეუძლებელია მივაკუთნოთ აკოს თავისებურებებს.


ამრიგად, ეკლესის სრულიად განსკუთრებული, ღვთითდადგენილი ბუნებიდან და მისიძან გამომდინარე, შეუძლებელი, უმართებული და არასამართლიანია იგი შევუთანაბროთ ეროვნული მეურნეობის სამი სექტორიდან რომელიმეს. როგორც უკვე აღნიშნა, ეკლესია ზეამაღლებულია ყველა მიწიერ, საერთო ორგანიზაციაზე. თუმცა, ვინაიდან ის აქტიურად მონაწილეობს მიწიერ ცხოვრებაში, ამიტომ, თუნდაც პირობითად უნდა განვსაზღვროთ მისი ადგილი საზოგადოების სხვა სექტორებთან მიმართებაში. ჩვენი აზრით, ეს უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:

– ეკლესია, თავისი ღვთაებრივი ბუნებითა და მისიით, წარმოადგენს უზენაეს დაწესებულებას დედამიწაზე;

115 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი — გიორგი შიხაშვილი. თბ., „გეოგრაფია“, 2004, გვ. 26.

— თავისი მიწიერი საქმიანობის თავისებურებების გამო, ეკლესია არ შეიძლება გავუტოლოთ ეროვნული მეურნეობის სამი სექტორიდან რომელიმეს. ეკლესის მისიას მიეკუთვნება საზოგა-დოებრივი ცხოვრების ის სფერო, რომელზეც არ შეუძლიათ და არც სურთ ზრუნვა არც სახელმწიფოს, არც ბიზნესს, არც აკო-ს. ასეთ სფეროს წარმოქმნას შემდეგი უმნიშვნელოვანესი მომენტები:

- ღვთის ნებისა და ადამიანის საქმიანობის სინერგიზმის პარა-დიგმა;
- ღვთივდადგენილი მიზანი — გამარჯვება სიკვდილზე და მარა-დიული სიცოცხლის მიღწევა ზეციურ სასუფეველში;
- ცოდვიანობის აღიარება კაცობრიობის მომაკვდინებელ სენად და სწრაფვა საყოველთაო ზნეობრივი აღორძინებისაკენ;
- საერო მეცნიერებასა და პრაქტიკულ საქმიანობასთან (სოციო-ლოგია, ეკონომიკა, სამართალი, პოლიტიკა, ბიზნესი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ხელოვნება და სხვა) თეოლოგიური მეცნიერებისა და ზნეობრიობის პარმონიული ურთიერთშესამ-ების აუცილებლობა;
- ჭეშმარიტი, ღვთაებრივი, უანგარო, ყოვლისმომცველი ქველ-მოქმედება.




სქემა 2.11. ეკლესის ადგილი საზოგადოებაში

ცხადია, რომ ეკლესიის საქმიანობის ეს სფერო პრაქტიკულდ უცხო, მიუწვდომელი და არასაჭიროა ეროვნული მეურნეობის ამჟამად არსებული სამი სექტორისათვის. ეკლესია დგას განცალევებულად და ჰყავს თავისი ყოვლისშემძლე და ყოვლადგეთილი მზრუნველი — უფალი ღმერთი. მაშასადმე, შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში

არსებობს სპეციფიური, საერო სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ შეუმჩნეველი, არაღიარებული მეოთხე (ოღონდ, არა თავისი მნიშვნელობით და რიგითობით) ღვთაებრივი სექტორი. ჩვენ ვუწოდებთ ასეთ სექტორს მთავარს (ან უზენაესს), დავუტოვებდით რა არსებულ სამ სექტორს მათ ამჟამნდელ ნუმერაციას. სქემატურად ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად (იხ. სქემა 2.1.1.).

ამასთან, ეკლესიის ღმერთებური ბუნებისა და დანიშნულების გათვალისწინებით, მისი მოღვაწეობის სფერო, ჩვენი აზრით, უნდა წარმოვადგინოთ წრის სახით, რომელიც სრულად მოიცავს სახელმწიფოს, ბიზნესისა და მესამე სექტორის მთელ საქმიანობას და იმავდროულად ზეამაღლებულია მათზე, ეწოდება რა უზენაესი, ნეტარი, ღვთაებრივი, ღმერთის მიერ მართვადი სფერო კაცობრიობის სიცოცხლისა და განვითარებისა (იხ. სქემა 2.1.2.).

თანამდებობის უფალი მიმართავს ფილადელფიის ეკლესიას: „ვიცი შენი საქმენი: აპა, მოგეცი შენს წინაშე გახსნილი კარი და ვერავინ შესძლებს მის დახშვას. მცირე გაქეს ძალა, მაგრამ დაიცავი ჩემი სიტყვა და არ უარყავ ჩემი სახელი. ...რაკიდა დაიცავი



სქემა 2.12. ეკლესიის ადგილი ღმერთებურ სფეროში

სიტყვა ჩემი მოთმინებისა, მეც დაგიცავ განსაცდელის უამს, რომელიც მოიწევა მთელს ქვეყანაზე მიწის მკვიდრთა გამოსაცდელად. აპა, მოვალ მალე. მტკიცედ გეპყრას, რაც გაგაჩნია, რათა არავინ წარგტაცოს შენი გვირგვინი. მძღვველს სვეტად აღვმართავ ჩემი ღვთის ჭაძარში, და აღარ გავა გარეთ; და დავაწერ მას სახელს ჩემი ღვთისას, სახელს ჩემი ღვთის ქალაქის – ახალი იერუსალიმისას, ზეცით რომ ჩამოდის ჩემი ღვთისაგან, და ჩემს ახალ სახელს“ (გამოცხ. 3, 8, 10-12).

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შემდეგნაირად გვმოძღვრავს: „ყველა თქვენგანს და მთელ საქართველოს ვაძლევ ლოცვა-კურთხევას, რომ ფილადელფიის ეკლესიის შესახებ გადაიწეროთ გამოცხადებიდან და ხშირად იკითხოთ. მე მინდა გითხრათ, რომ მთავარია ღირსი ვიყოთ გვეწოდებოდეს ფილადელფიის ეკლესია, ამინ!“<sup>116</sup>

ნაშრომის ამ ნაწილში გადმოცემული მოსაზრებები და დასკვნები, ჩვენი აზრით, შესაძლებლობას ქმნის თეოლოგიური პოზიციიდან მივუდგეთ თანამედროვე საზოგადოებაში ეკლესიის ჭეშმარიტი აღვილის, როლისა და შესაძლებლობების გააზრებას. სწორედ ასეთ ღვთითდადგენილ საფუძველზე მართმადიდებელ ქვეყნებში (საქართველო, რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, საბერძნეთი, რუმინეთი და სხვ.) უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო ეროვნული პარადიგმები, კონცეფციები, მოდელები და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამები.

<sup>116</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემული გ.შიხშვილი. თბილისი. „გეოკერია“, 2004, გვ. 223.

### 3.2. ვუძღვებოდ ური როგანიზაციულ-სამართლებრივი დოკუმენტები სახელმწიფო მართლმადიდებელი ეკლესიას და მართვის სფეროში

#### 3.2.1. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო აგტოგეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

კონსტიტუციური შეთანხმება წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის კვლევის საგანს. ჩვენი კვლევა მხოლოდ და მხოლოდ პირველი ნაბიჯია სახელმწიფოს სულიერი ბარომეტრის მაჩვენებლის მდგომარეობის შესწავლისა თანამედროვე სინამდვილეში. ამჟამად წარმოდგენილია ამ დიდი და ამოუწურავი კვლევისადმი მიღვნილი პრეამბულა, რითაც შევეცდებით წარმოვაჩინოთ მთელი კვლევის დედაარსი. კვლევის პროცესში ვითანამზრომლებთ ნებისმიერ ადამიანთან, რომელიც აღნიშნული კვლევის გაღრმავების სურვილს გამოხატავს.

სად არის სახელმწიფოს სულიერი ბარომეტრი? როგორ გავიგოთ ქვეყნის სულიერი მდგომარეობა? როგორ დავინახოთ ბარომეტრის მაჩვენებელი? ეს არის სახელმწიფოში მოქმედი ნორმატიული აქტები: სახელმწიფოს უზენაესი კანონი – კონსტიტუცია, სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები. იმის მიხედვით, თუ რა შინაარსისაა ეს დოკუმენტები, შეიძლება ბევრი დასკვნის გაკეთება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში სახელმწიფო აღიარებს, ერთი მხრივ, საქართველოს სამოციქულო აგტოგეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ, მეორე მხრივ, მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2001 წლის 30 მარტს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება. განვითარდა კონსტიტუციის მეცხრე მუხლი და მას დაემატა მეორე პუნქტი სიტყვებით: „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო აგტოგეფალური მართლმადიდე-

ბელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით“.

2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში საზეიმოდ მოეწერა ხელი კონსტიტუციურ შეთანხმებას სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ყველაზე მისაღებ ფორმად შერჩეულ იქნა კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი რანგის სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. ამით სახელმწიფომ აღიარა, რომ ეკლესია ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიულად არსებული განსაკუთრებული ფუნქციისა და მნიშვნელობის მქონე სამართლსუბიექტია. ამვე დროს, ეს არის შხოლოდ ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი ხელშეკრულება, რომლის განხორციელება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებით. ამაში მონაწილეობა ყოველმა ქართველმა ადამიანმა უნდა მიიღოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ეს ისეთი მნიშვნელოვანი და სამაგალითო დოკუმენტია, რომელ-საც, ალბათ, მთელი მართლმადიდებელი მსოფლიო შეისწავლის და შეიძლება სხვა მრავალ სახელმწიფოშიც შეიქმნას მსგავსი სამართლებრივი აქტები.

თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ამ ხელშეკრულებაში უმთავრესია მუხლი 1.1, რომელშიც ნათქვამია; „სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ“.<sup>117</sup>

ხელშეკრულებაში ასახულია, აგრეთვე, ისეთი მნიშვნელოვანი მოქნეული, როგორიცაა:

- ეკლესიის იურიდიული სტატუსი (მუხლი 1.3);
- საეკლესიო ჯვრისწერისა და სამოქალაქო ქორწინების სტატუსი (მუხლი 3);

117 კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. გამ. „საპატირიარქოს უწყებანი“, 2002, №42, გვ. 6.

– მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამების განხორციელების საკითხი (მუხლი 4.3);

– განათლების საკითხები (მუხლი 5);

– საკუთრებითი, ქონებრივი, სამეწარმეო, საფინანსო, საქველმოქმედო, საინვესტიციო, საგრანტო, საშემოსავლო და საგადასახადო ურთიერთობები (მუხლები 6.1-6.6);

– საეკლესიო ნაგებობების და საეკლესიო საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საკითხები (მუხლები 7.1-7.2; 8.1-8.2; 9.1-9.2);

– XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხი (მუხლები 11.1-11.2).

მთლიანობაში, დოკუმენტის შინაარსი გვიდასტურებს საზოგადოებრივი ცხოვრების თეოლოგიურ-საერო (სინერგიული) გააზრების აუცილებლობას, შესაძლებლობას და წარმოგვიდგება ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ ქაკუთხედად. იგი ქმნის საუკეთესო წანამბდვარს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავებისათვის, რომლის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ილიასეული, ბიბლიური სწავლებიდან გამომდინარე სამერთიანი პარადიგმები: – „მათული, ენა, სარწმუნოება“ და „წარსული, აწყო, მომავალი“.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შინაარსობრივად მიმოვინილოთ შეთანხმების ის პუნქტები, რომლებიც ეხება სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ, ქონებრივ, მმართველობით და საგანმანათლებლო, საკითხებს.

## გული 1

სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფერში, რომელთა

## განხორციელების მიზნითაც შხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებით საჯარო სამართლის ოურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით), ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუკალია.

როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

## გული 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

## გული 4

სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებითაგან.

სახელმწიფო ეკლესიასთან შეთნებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.

სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან განათლების მოსახლეობის წარმოადგენს: სახელმწიფო კრონგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

## გული 5

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლა ნებაყოფილობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

## გული 6

ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფილობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას

ან ლიცენზის ექლესის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

#### გული 7

სახელმწიფო ექლესის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

#### გული 8

სახელმწიფო ექლესის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვა-ში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანმურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანმური, როგორც საერთო-ეროვნული საგანმურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიგიების გარდა).

#### გული 9

სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-გულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანმურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანმურის სარგებლობის შესახებ,

ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

#### გული 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართველი მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

#### გული 11

სახელმწიფო აღასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-1990 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.

აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროცესტებს.

ჩვენი აზრით, კონსტიტუციური შეთანხმება მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რაც ევალებათ ქართველი ერის, მთელი საქართველოს მოსახლეობის წინაშე სახელმწიფოსა და ეკლესიას. იგი წარმოადგენს ერთგვარ პროგრამას, რომელზედაც უნდა დაეფუძნოს მათი საქმიანობა.

კონსტიტუციური შეთანხმება უმაღლესი რანგის იურიდიული დოკუმენტია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, მას უნდა შეესაბამებოდეს როგორც სახელმწიფოს ყველა კანონი, ასევე საქართველოს უმაღლესი ორგანოების მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. მასზედ მაღლა

მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია დგას. შეთანხმებაში მოცემულია მხოლოდ ზოგადი დებულებები, რომელთა კონკრეტული მოწესრიგებისათვის სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მიიღოს შესაბამისი კანონები.

სათანადო კვლევა და საქმიანობა ამ სფეროში უნდა გაიშალოს შემდეგი მიმართულებით: 1) საკონსტიტუციო შეთანხმების სრულად ამუშავების მიზნით, დროულად უნდა შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და პარალელურად, 2) ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, გამოსაკვლევია ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რომელსაც სახელმწიფო შეიმუშავებს და აამუშავებს. შესწავლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩაუტარდეს ექსპერტიზა, თუ რამდენად ახლოსაა ღვთისმშობლის წილხველრ ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული ბაზა რჯულის კანონთან, ზნეობასთან, ქართულ ტრადიციულ ფასეულობებთან.

მთლიანობაში, საკონსტიტუციო შეთანხმება არის ფუძემდებლური დოკუმენტი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მთელი სპექტრის შესახებ (მათ შორის, საკელესიო ეკონომიკისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში), რომლის გარეშეც, დღეს, წარმოუდგენელია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება და ამიტომ ის დროულად უნდა ამუშავდეს სრულად. ამისთვის აუცილებელია სახელმწიფო მოხელეებისა და ქართველი მეცნიერების დაუდალავი შრომა, რათა ერთობლივად მოვიპოვთ ბეჭნიერი მომავალი.

### 3.2.2. სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა დიდი სჯულის კანონის მიხედვით

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი განვითარება როგორც საერო, ასევე საეკლესიო სფეროებში. ეკლესის და სახელმწიფოს მატერიალური და ფინანსური სიძლიერე უზრუნველყოფს ერთს სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური და მმართველობითი ღონისძიებების შედეგად საქართველოს შეუძლია მიაღწიოს ასეთ მიზანს.

აუცილებელია საზოგადოებრივი განვითარების სულიერ-ხორციელი და სამეურნეო-სამართლებრივი საწყისების ჰარმონიზაცია, რაზეც ბევრს ფიქრობდა და წერდა წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე). მას მიაჩნდა, რომ საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი კანონმდებლობისა და მეურნეობის მეშვეობით, რომელიც ისტორიისა და ცხოვრების ღვიძლია და მთლიანად ადგილობრივი ცხოვრებიდან გამომდინარეობს.<sup>118</sup>

ბიბლიური მოძღვრებით ნასაზრდოები და საეკლესიო სამართლებრივი დაფუძნებული სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ის სფეროა, რომელიც ისტორიულად აწესრიგებდა და მომავალშიც უზრუნველყოფს ქართული სახელმწიფოს ჰარმონიულ განვითარებას.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა, ერთს მთელ აზროვნებაზე დიდი გავლენა ჰქონდა და განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. ამდენად, საეკლესიო სამართლის ცოდნა ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მკვლევრისათვის აუცილებლად საჭიროა. ქართული სამართლის უძველესი მეგლებიც საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებია და წყაროების განხილვა მათგანვე უნდა იწყე-

118 ჭავჭავაძე ი. სალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 192-194.

ბოდეს. ქართული საეკლესიო სამართლის შეცულობა და მოქმედების არყავნი წმინდა საეკლესიო მოწესრიგების სფეროს სცილდებოდა და საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენდა.<sup>119</sup>

საეკლესიო სამართლის წყაროებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია დიდი სჯულის კანონს, რომელიც დადგენილა როგორც სავალ-დებულო კოდექსის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მისი მთავარი ღირსება არის ის, რომ იგი შინაარსით და ქრისტიანობის მისტიკური არის მოყვანილი, შეიცავს სამოქალაქო კანონმდებლობასაც და სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლების ნაკვეთებსაც.

დიდი სჯულის კანონში ფართოდ არის ასახული სამურნეო და მმართველობითი ხასიათის მრავალფეროვან თემატიკა, რომელიც ფრიად აქტუალურია როგორც სერო, ასევე საეკლესიო საზოგადოებისათვის.

დიდი სჯულის კანონი არის წმინდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი დამატებებისა და მოკლების გარეშე. მათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ პყრობა მართებს ქრისტიანული მადიდებლობის ყველა ადმიანს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას.<sup>120</sup> დიდი სჯულის კანონი სულიერ მომენტებთან ერთად არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მმართველობით, კულტურულ, გაოლოგიურ, ზნეობრივ და სხვა სფეროებს. ცნობილია, რომ კანონი არეგულირებს არსებულ ან/და პოტენციურ პრობლემებს. სადაც პრობლემა არ იქმნება, იქ არც კანონის საჭიროებაა. ჩვენი ცოდვით დაცემული ბუნება საჭიროებს გარკვეულ რეგულირებას და კონტროლს. მაგრამ ეს რეგულირება მხოლოდ კანონთა არსებობით როდი გადაწყდება. ყოვლადბრძნენმა, სახიერმა და კაცომოვარე ღმერთმა, რომელმაც ისე შეიყვარა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდ შობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე (ითა. 3.16), სჯულიც დაგვიდგინა და კეთილ-

119 ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი). ზოგადი ცნობები. თხ. ტ. 6, თბ., 1982, გვ. 23.

120 დიდი სჯულის კანონი: რუს-ურბნისის საეკლესიო კრების მეცნიერება. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 466.

გონივრულად მართვის მიზნით, იერარქიაც დააწესა. მხოლოდ ისეთ ქეყანაში იქნება უზრუნველყოფილი ცალკეული ინდივიდისა და მთელი საზოგადოების სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა, სადაც ღვთისმოყვარე და კეთილგონიერი ადამიანების მიერ არის შესებულ-დელებირებული მმართველობითი იერარქია და მართვის ფუნქციები.

დიდი სჯულის კანონში დასმული პრობლემების გადაჭრის სიბრძნე, დადგენილი კანონების იერარქიული სუბორდინაციის უპრობო დაცვით აღსრულებაში მდგომარეობს. იერარქია არის ღვთიღდადგენილი ის მძლავრი იარაღი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ორგანიზაციული მართვა, მართვის ორგანოების კომპეტენტურად დაკომპლექტება და საქმიანობის უფექტური წარმართვა. იერარქიის გამოყენება შეუძლია საზოგადოების როგორც ჯანსაღ, ასევე, სამწუხაროდ, არაჯანსაღ ელემენტებსაც და სწორედ ამ უკანასკნელთა მიერ განხორციელებული იერარქიული მართვა უდევს საფუძვლად ომებისა თუ სხვა ნეგატიური მოვლენების ორგანიზებასაც.

ეკლესიური მართვის უმთავრესი პარადიგმა გადმოცემულია სარდიგის კრების კანონებში (მუხლი 14): „ეპისკოპოს ევალება, რომ გულწრფელად უყვარდეს და გულითადად სწყალობდეს თავის მსახურებს, ასევე მსახურნიც ერთგულად უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ეპისკოპოსის წინაშე“.<sup>121</sup>

მართვის იერარქიულ მეთოდთან ერთად დიდი სჯულის კანონში დარეგულირებულია სამურნეო-მსართველობითი თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებიც, როგორიცაა: შრომა; სიმდიდრე; ქონების მართვა; შემოსავლის მართვა; იერარქია და სუბორდინაცია; კადრების მართვა; ეკონომოსი; სოფლის მეურნეობა; მექანიზმება; ვახში; მომხეჭელობა; უზნეო ბიზნესი; სიწმინდეთა ხელყოფა; ქრისტეს უარყოფა ყოფითი პრობლემების მიზნებით; საერო და სასულიერო საქმეთა შეთავსება; ბრალდების წაყვნება; სასამართლო; მოწყვალება; მოკრძალებულად ცხოვრება და სხვა.

ადამიანის ნებისმიერი მოქმედება, იქნება ეს ინტელექტუა-

121 დიდი სჯულის კანონი. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 230-231.

ლური თუ ფიზიკური, შრომაა. შრომის ხარისხზეა დამოკიდებული ყოველგვარი საქმის წარმატება.

თავისუფალი ნება, შემოქმედებითი უნარის საშუალებით, ადამიანმა უნდა გამოხატოს შრომაში, ხოლო შედეგად მიიღოს თავისი შრომის კეთილი ნაყოფი, რაც ცათა სასუფეველში დამკვიდრების წინაპირობაა. ამასთან, თავად შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების საჭიროებათა და ქმაყოფილებისათვის. პავლე მოციქულის თქმით, „ვისაც შრომა არ სურს, ის ნულარც ჭამს“ (2 თეს. 3,10) და კიდევ: „ზარმაცის სულს სწადია და არა აქვს, ბეჯითთა სული კი გამსუყდება“ (იგავ. 13,4).

ფიზიკური შრომისაგან დასვენება არა მხოლოდ ზეციურ სა-სუფეველში მოხდება, არამედ გარკვეული ღვთივდადგენილი მცნებები (კანონები) მიწიერ ცხოვრებაშიც მოქმედებს. უფალმა ადამიანებს დაუწესა, რათა იქმოდნენ ექვს დღეს და მეშვიდე დღეს დაისვენონ თავიანთი საქმეებისგან და ღვთის საღიძეებელი საქმეები აკეთონ. ამისათვის თავად უფალმა მოგვცა მაგალითი, როდესაც მან გაასრულა მეექსე დღეს თავისი საქმე და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისგან. აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაპატი იგი (დაბ. 2, 2-3). მეშვიდე დღეს დასვენება ჩვენს საქმეთაგან ასახულია ღვთის მიერ სინას მთაზე მოსესთვის მიცემულ ათ მცნებაში (გამ. 20,10).

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს განწესებები სწორედ ამ მცნების, თავიანთი მხრიდან – განმტკიცებით იწყება: „ჩვენ, პეტრე და პავლე, ერს განვუწესებთ, რომ ისაქმონ ხუთი დღე, ხოლო შაბათსა და კვირას მოიცალონ კეთილმსახურებითი საეკლესიო მოძღვრებისათვის, რადგან ვთქვით, რომ შაბათს დაბადების სახე აქვს, ხოლო კვირას – აღდგომისა“ (მოც. განწ. 1).<sup>122</sup> შემდეგ გრძელდება უქმე დღეთა ჩამონათვალი, რომელთაც ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს – უქმობა ამაო საზრუნავთაგან და მხოლოდ სიკეთის ქმნაზე ზრუნვა, ანუ – ღვთის დიდება. რჯულის კანონში

უქმობის შესახებ ღაოდიკის კრება (ლაოდიკ. 29)<sup>123</sup> და სხვა კანონებიც გვიდასტურებს.

კაცომოყვარე უფალმა ადამიანის შრომა აკურთხა და წახალისა. როგორც დავით მეფის ფსალმუნში კვითხულობთ: „ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ“ (ფს. 127,1-2); ასევე: „აი, სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმის: ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა; რადგან ესაა მისი ხვედრი“ (ეკლ. 5,17). და: „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; – ეს ყველაფური ღვთის წყალობაა“ (ეკლ. 5,18).

ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ პატიოსანი შრომით მოპოვებული სიმდიდრე ღვთის წყალობაა, რაც ღანგრაში შეკრებილ წმიდა მამათა კანონებშიც დასტურდება, რომ არ უნდა შეურაცხვყოთ სიმდიდრე, რომელიც სიმართლით არის შეძენილი და სიკეთისათვის იხარჯება (ღანგრ. 21).<sup>124</sup> ეს უკანასკნელი ძალაან მარტივად და ამავდროულად სიღრმისეულად არის ჩამოყალიბებული. სიმდიდრის პატიოსანი გზით მოპოვება როდი კმარა, რათა ღვთის კურთხევა მოიპოვო. ადამიანმა მისი სიკეთისათვის გამოყენება უნდა ისწავლოს, რაც სიმდიდრის მოპოვებაზე არანაკლებ როჟულია.

დიდი სჯულის კანონი საეკლესიო ქონების მართვა-განკარგვას ეპისკოპოსს მნიშვნელოვნმ მოვალეობად და ორარქიულ უფლებამოსილებად უწესებს: – ყოველი ეპისკოპოსი „იმას უნდა აკეთებდეს, რაც სასარგებლოა მისი ეპლესისთვის და მისთვის დაქვემდებარებული სოფლებისათვის“ (მოც. კან. 34); ეპისკოპოსი „უნდა ზრუნავდეს ყოველგვარ საეკლესიო ნივთებზე და განაგებდეს მათ, როგორც ღვთის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთ. მაგრამ მას არა აქვს ნება, რომ მიიხვეჭოს რამე მათგან, ან თავის ნათესავებს აჩუქოს ღვთის საუნჯე“ (მოც. კან. 38); ამასთან, „მღვდლები და დიაკვნები

123 იქვე, გვ. 206.

124 იქვე, გვ. 194.

ნურაფერს ნუ გააკეთებენ ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, რადგან იგია, ვისაც აბარია ერი ღვთისა და ვისაც მოეკითხება პასუხი მათი სულებისათვის“ (მოც. კან. 39) და „ვბრძანებთ, რომ ეპისკოპოსს უნდა ჰქონდეს ძალაუფლება საეკლესიო ნივთებზე, რადგანაც თუ მას ჩაბარებული აქვს ადამიანების პატიოსანი სულები, რამდენად უფრო ნივთებზე შეიძლება ამისი დაშვება, რათა თავისი ძალაუფლებით განაგოს მან ყველაფერი და მღვდლებისა და დიაკონების მიერ ღვთის შიშითა და სრული მოწიწებით უნაწილდებოდეს მთხოვნელებს“ (მოც. კან. 41).<sup>125</sup>

იერარქიული მორჩილების გზით ქონების განკარგვის ღვთივ-დადგენილი წესი გადმოცემულ-განმტკიცებულია სხვა კანონებშიც: წმ. მოციქულთა პეტრესა და პავლეს განწესებანი (მუხლი 14),<sup>126</sup> ანკირიაში შეკრებილ წმ. მამათა კანონები (მუხლი 15),<sup>127</sup> ანტიოქიაში შეკრებილ წმ. მამათა კანონები (მუხლები 24, 25),<sup>128</sup> IV მსოფლიო კრების კანონები (მუხლები 22, 24, 25, 26),<sup>129</sup> კონსტანტინოპოლის წმინდა მოციქულთა ტაძარში შეკრებილი ორგზისი წმინდა დიდი კრების დადგენილი კანონები (მუხლები 1, 6, 7)<sup>130</sup> და სხვა კანონები.

ეკონომისი ეპარქიის აუცილებელი საკადრო ერთეულია. ეკონომოსი უნდა ჰყავდეს ყველა ეპისკოპოსს, მონასტერსა და ეკლესიას.

ქალკედონის IV მსოფლიო კრების კანონებით დადგენილია: „როგორც გავიგეთ, ზოგ ეკლესიაში ეპისკოპოსები მართავენ საეკლესიო ქონებასა და საქმეს ეკონომოსის გარეშე. მივიჩნევთ, რომ ყველა ეკლესიას, რომელსაც ეპისკოპოსი ჰყავს, უნდა ჰყავდეს ეკონომოსიც, არჩეული სასულიერო პირთაგან, რომელიც უნდა განაგებდეს საეკლესიო საქმეებს ეპისკოპოსთან შეთანხმებით, რათა საეკლესიო

ქონება მოწმის გარეშე არ იყოს დახარჯული და განაწილებული. ეს აღკვეთს საეკლესიო ქონების გაბნევას, რაც გამოიწვევდა სამდღვდელოების გაკიცხვა-დაგმობას. ვინც ასე არ მოიქცევა, იგი საღვთო კანონთა მიერ დაისჯება“ (მუხლი 26).<sup>131</sup>

ნიკეის VII მსოფლიო კრება ადგენს: „საეპისკოპოსოებსა და მონასტრებში აუცილებლად უნდა იყოს ეკონომოსი. ვინაიდან ვალად გვაწევს ყველა საღვთო კანონის შესრულება, უცვლელედ უნდა დავიცვათ აგრეთვე კანონიც, რომელიც ამბობს, რომ ეკონომოსის ყოფნა ყოველ ეკლესიაში არის საჭირო“ (მუხლი 11).<sup>132</sup>

დიდი სჯულის კანონი მკაცრად კიცხავს ადამიანებს, რომლებიც მექრთამეობა-მოშვეველობის საქმეში, ვახშის აღებასა და სიწმინდეთა ხელყოფაში არიან შემჩნეული და მხილებულინი. ლაოდიკის კრების კანონებში წერია: „სამღვდელო პირმა არ უნდა გაასესხოს სარგებლით ფული და არ უნდა აიღოს ვახში და აღნადგინები“ (მუხლი 4);<sup>133</sup> ასევე, კართაგენის აღგილობრივი კრების კანონებიც ადასტურებენ: „მიგვაჩნია, რომ თუ სასულიერო პირი ვინმეს ასესხებს ფულს, თუ ახსოვს, რამდენი მისცა, იმდენივე უნდა მიიღოს უცნ. იგივე ითქმის ნივთზეც“ (მუხლი 16).<sup>134</sup> ეს საკითხი სხვა კანონებშიც არაერთხელაა დადასტურებული.

საერთოდ, წმინდა წერილის მიერ „უარყოფილია ქონების სიყვარული, ვახში, აღნადგინები, ძალადობით თავის ქონებაზე სხვისის დამატება, თუნდაც ამას ვაჭრობის, შეთანხმების სახე ჰქონდეს“ (გრიგოლ ნოსელი ეპისკოპოსის კანონიკური ეპისტოლე მელიტინელი ეპისკოპოსის წმინდა ლიტოსადმი, მუხლი 6).<sup>135</sup> მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქონება სჭირდება ეკლესიას, რათა სააქაოში იარსებოს ადამიანთა საიქოსითვის მოშადების მიზნით. უფრო მეტიც, საეკლესიო თუ არასაეკლესიო ქონების ხელყოფა ღვთის რისხვის გამომწვევია, ხოლო ქველმოქმედება და მოწყალება – ნეტარების დამ-

125 იქვე. 166-167.

126 იქვე. გვ. 176.

127 იქვე. გვ. 185.

128 იქვე. გვ. 203-204.

129 იქვე. გვ. 221-222.

130 იქვე. გვ. 368-372.

131 იქვე. გვ. 222.

132 იქვე. გვ. 356.

133 იქვე. გვ. 204.

134 იქვე. გვ. 242-243.

135 იქვე. გვ. 440.

კვიდრების გარანტიაა, რადგან დაწერილია „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებული იქნებიან“ (მათე 5,7).

ამასთან, ქალკედონის IV მსოფლიო კრების კანონებში ვკითხულობთ: „თითოეული ეკლესიის კუთვნილი სახნავ-სათესი ადგილისა და სოფლის შემოსავალი მტკიცედ და უცვლელად უნდა ჰქონდეს ამ ეკლესიის მპყრობელ ეპისკოპოსს. და მით უმეტეს მაშინ, თუ ოცდაათი წლის განმავლობაში დავის გარეშე ფლობდნენ და განაგებდნენ მათ“ (მუხლი 17).<sup>136</sup>

დიდი სჯულის კანონი არაერთხელ ეხება მიწათსარგებლობის საკითხებს და მიწის რაციონალურ მოვლა-პატრონობას უმკაცრე-სად გვიდგენს.

საქართველო მიწათმოქმედების უძველესი კერაა. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა ქარ-ცეცხლი გამოიარა საქართველომ და წარმოუდგენელი სირთულეების გადალაზვის – ჩვენი სახელოვანი მეფეებისა და თავდადებული მამულიშვილების მიერ წმინდა წერილისა და დიდ რჯულის კანონში დადგენილი ნორმების უპირობო დაცვის შედეგად მოაღწია დღემდე.

დიდი სჯულის კანონი და მასში ასახული სამეურნეო-მმართველობითი სწავლება საეკლესიო და საერო ხელისუფალთა მისწრაფებების პარმონიული ურთიერთშესაბამების ისტორიულ საფუძველს და ნიმუშს წარმოადგენს, რისი აღორმინებაც აუცილებელია თანამედროვე პირობებში, რათა საქართველომ აღიდგინოს დავითისა და თამარის დროინდელი დიდება და კეთილდღეობა.

### 3.2.3 გრიგოლ ბაკურიანისძის პეტრიწონის მონასტრის წესდება

XI საუკუნის ბრწყინვალე იურიდიულ, სამეურნეო-მმართველობით და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება გრიგოლ ბაკურიანისძის „პეტრიწონის წესდება“.<sup>137</sup> იგი დაწერილია 1084 წელს. თვით პეტრიწონის მონასტერიც დაარსებულია XI საუკუნის ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ 1083 წელს, ბიზანტიაში, ახლანდელ ბულგარეთის ტერიტორიაზე, იმ ადგილას, სადაც ამჟამად სოფელი ბაჩკოვოა, ქალაქ ფილიპოპოლის (პლოვდივის) მახლობლად, როდობის მთის კალთებზე.

დაარსებიდან მეორე წელსვე გრიგოლ ბაკურიანისძემ სავანეს ტიპიკონი შეუდგინა. წესდება შედგება 33 თავისაგან, რომლებიც დასათაურებულია, და რამდენიმე დამატებითი თავისაგან, რომლებიც ცალკე თავებად არ არის გამოყოფილი.

**განსაკუთრებულად აღსანიშნავი წესდების პირველი სამი თავი:**

I თავი – გარკვეულია პეტრიწონის სავანის დაარსების მიზანი და ამოცანები; აღნუსხულია, თუ რა მამულები, რა სოფლები და რა განძი ეძლევა ამ სავანეს შესაწირავის სახით მისი პირადი, გრიგოლის, ქონებიდან და მისი მმის, აბაზის, მემკვიდრეობიდან;

II თავი – იმის შესახებაა, თუ რა შესაწირავი შესწირეს ამ წმიდა ეკლესიას გრიგოლმა და მისმა მმამ მათი უძრავი, მოძრავი და თვითმრავი ქონებიდან;

III თავი – ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ეს მამულები გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადებისაგან: „თავი მესამე: იმის შესახებ, რომ ჩვენ მიერ აგებული წმიდა მონასტერი თავისუფალი ყოველგვარი სამსახურისა და გადასახადისაგან, როგორც სამეფო, ისე საპატრიარქო, და რამე გამოსაღებთაგან“.

136 იხ.: გეორგია. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 5. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გმოსცა და განმარტებები დაურთო ს. ფაუსტიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963. გვ. 83-317.

136 იქვე, გვ. 220.

ეს შეღავათები დამტკიცებულია სათანადო ოქრობეჭდებით.

შემდეგ თავებში ჩამოყალიბებულია ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნ-ნო-მმართველობითი საკითხები, როგორიცაა:

#### თავი გაზუთე

შესახებ წინამდღვრისა თუ როგორ უნდა ამოირჩიონ ის მონაზონთა უფროსად და თუ როგორ უნდა დაიყენონ მეორე მის შემდეგ ამ მონასტრის სამსახურში ამავე თანამდებობაზე.

#### თავი გაითი

შესახებ სამი წმინდა მარხვის მარხულობისა, თუ როგორ ამტანად უნდა შევინახოთ ისინი, და ქრისტეს მიერ ძმების მიმართ ქველმოქმედებისა და წყალობის გამოხატვა.

#### თავი გეორგიევთა

შესახებ მონაზონთა ხელთსაქმისა და შრომისა და რომ მუშაობის დროს საჭიროა გულდასმით გალობა.

#### თავი გეორგიულება

იმის შესახებ, რომ ძმები არ უნდა გავიდნენ მონასტრის გარეთ წინამდღვართა ნებართვის გარეშე, და იმათ შესახებ, რომელიც პირმოთნედ ლოცულობენ შუა საკრებულოში.

#### თავი გეორგისამა

მონასტრის მნეთა შესახებ, რომელიც დაყენებული არიან წესის მიხედვით და ასე ეწოდებათ, რომ მართლიად შეასრულონ სულზე ზრუნვა.

#### თავი გეორგიაშვილე

იმის შესახებ, რომ მონასტერი თავისუფალი იყოს ჩემი ნათესავების მხრით რაიმე უფლების გამოცხადებისაგან და ზიანისაგან და ყველა დანარჩენი ყოველგვარი სახის მასში არსებული გამოსალებისაგან.

#### თავი გეორგიაშვილე

იმის შესახებ, თუ წინამდღვარი მონასტრისა ან სხვა ვინმე ან მონასტრის მსახურებაში მონაწილეთაგანი რამეს იცრუებს, ან უწყალოდ გაფლანგავს მის ქონებას, არათუ გადადგნენ ისინი, არამედ დევნილ იქმნენ და საბოლოოდ გაძევებულ იქმნენ.

#### თავი რცდამერთე

ბრძანება ძმების მიმართ, გაცემული ჩემი ხსოვნისათვის და ჩემიანების სახსენებლად და რომ ძმებმა აღაპი შეასრულონ და მათ ფული დაურიგდეს ჩვენი ხსოვნის დღეს, აგრეთვე დარიბთა მიმართ მოხდეს უხვი ქველმოქმედება.

#### თავი რცდამერთე

შესახებ გარდაცვლილი წინამდღვრებისა და დანარჩენი ძმებისა, თუ როგორ უნდა მათი დასაფლავება და მათი ხსოვნისათვის განუწყვეტლივ ლოცვა და ვედრება.

#### თავი რცდამერთე

იმის შესახებ, რომ იკონომოსი და დანარჩენი მსახურნი ანგარიშს აბარებენ წინამდღვარს, ხოლო წინამდღვარი ანგარიშს აბარებს მმათა საზოგადოებას.

### **თავი რცდამოვავე**

იმის შესახებ, რომ მონასტრის შიგნით იყოს მოხუცთა თავშესაფარი და შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა მოასვენონ მონასტერში მყოფი მოხუცები ჯეროვნად და ნუგეშინისცემით.

### **თავი რცდამოვავე**

შესახებ ჩვენ მიერ აშენებულ სამი სასტურმოსი: ერთი სტენიმახისა, მარმარისა და პრილონგისა, და თუ როგორ განიწესნეს ისინი ჩვენ მიერ.

### **თავი რცდამოვავე**

იმის შესახებ, რომ წინამდღვარი არ აძლევს (მონასტრის) ქონებას ვინმეს მმათაგანს ან სხვას ამათ გარდა, არც რომ მონასტრის ქონებათაგან რამე გაიყიდოს.

### **თავი რცდამოვავე**

იმის შესახებ, რომ სიფრთხილით უნდა მოვუაროთ წინამდებარე ტიპიკონის წიგნს, და ურყევად და შეურყვნელად დავიცვათ რაც მასში სწერია.

იმ თავებში, სადაც სავანის მამულების მოვლაზეა ლაპარაკი, მოცემულია მდიდარი ცნობები ეკონომიკური ისტორიისათვის, საეკლესიო ეკონომიკის, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის შესახებ, რაც კვლევის საგანს წარმოადგენს.

მთლიანობაში, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი წარმოადგენს სანიმუშო საეკლესიო-სამართლებლივ აქტს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს არა მხოლოდ საეკლესიო-სამონასტრო, არამედ საერო სამეურნეო-მმართველობით საქმიანობასაც.

### **3.2.4. შიომღვიმის მონასტერი და დავით აღმაშენებლის ანდერძი**

საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ნებელობის გამოხატვა, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და პრაქტიკული ქმედების განხორციელება. ასეთი მიღების ნათელი მაგალითია დავით აღმაშენებლის ეპოქაში შიომღვიმის სამონასტრო ლავრის ეკონომიკური მდგომარეობა.<sup>138</sup>

შიომღვიმის მონასტერი მდებარეობს მცხეთის დასავლეთით დაახლოებით 10 კმ-ზე, მდ. მტკვრის ხეობაში, მის მარცხნანაპირას, სარკინის ხევში, რკინიგზის სადგურ ძეგვის მოპირდაპირედ მტკვრის გადაღმა. მონასტერთან სამანქანო გზა მცხეთიდან მიდის. სამონასტრო კომპლექსი რთული შედგენილობისაა და მრავალრიცხოვანი ნაგებობისგან შედგება. მასში შედის ჩრდილოდასავლეთიდან სამხრეთისაკენ ტერასებად განლაგებული სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობანი: მღვიმე-ეკლესია (წმ. შიოს თავდაპირველი სამყოფელი), წმ. იოვანე ნათლისმცემლის ეკლესია სხვადასხვა დროის მინაშენებით, სამრეკლო, წმ. შიოს სასაფლაო-ეკლესია, ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი კოშკით, სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი მღვიმები – ქვაბები, ბერების საცხოვრებელი ნაგებობანი, წყარო, წყალსადენი, გალავანი, ჯვრის ამაღლების ეკლესია და სხვ.<sup>139</sup>

მონასტერი დაარსებულია VI ს-ში საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის მოსული „ათცამეტი ასურელი მამიდან“ ერთ-ერთის – წმ. შიოს მიერ. მისი დამაარსებელი წმ. შიო განთქმული საეკლესიო მოღვაწეა. იგი დაიბადა ანტიოქიაში. 20 წლისა დაემოწაფა ცნობილ მეუდაბნოეს იოვანეს (შემდეგში წმ. იოვანე ზედაზნელი). წმ. შიო ანტიოქიაშივე ბერად

138 იხ.: სილოგავა ვ. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. თბ., 2003.

139 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 318-325; იხ. აგრეთვე, გ.Н. ჭუბინაშვილი, შიომღვიმისატრო (1924), იხ. მისი, ვопросы истории искусства. Исследования и заметки, том 1, Тб., 1970, с. 51-80.

შედგა და თავისი ქონება გლახაკებსა და მონასტრებს დაურიგა. VI ს-ის შუა ხანებში იგი საქართველოში გამოჰყვა იოვანესა და მის მოწაფეებს. თავდაპირველად ისინი ცხოვრობდნენ მცხეთაში, ხოლო შემდეგ გადავიდნენ იქვე მახლობლად ზედაზნის მთაზე. ოთხი წლის შემდეგ, დაახლოებით VI ს-ის 50-იან წლებში, წმ. შიო გამოეყო მმობას და მცხეთის დასავლეთით სარკინის მთაზე მონასტერი დაარსა. თავდაპირველად იგი ცხოვრობდა მცირე გამოქვაბულში, რომელიც დაახლოებით IX ს-ში ეკლესიად გადააქციეს. წმ. შიო მღვიმელის ინიციატივით აქვე აიგო წმ. იოვანე ნათლისმცემლის სახელობის პირველი ეკლესია.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები წმ. შიომ გაატარა განმარტოებით, 12 მეტრი სიღრმის მღვიმეში (აქედან მისი ზედსახელი „მღვიმელი“) და ანდერძის თანახმად იგი იქვე დაკრძალუს<sup>140</sup>.

ჩვენამდე მოღწეულია ჯერ კიდევ X ს-ში შედგენილი „შიო მღვიმელის ცხოვრება“, რომელშიც დაწვრილებითაა გადმოცემული მონასტრის დაარსებისა და მისი პირველი წლების ისტორია; აგრეთვე, წმ. შიოს პირველი მოწაფისა და მონასტრის მშენებლობაში მისი დამხმარის წმ. ევაგრეს ამბები, წმ. შიოს და მის მიერ დაარსებული მონასტრის ურთიერთობები იმდროინდელი ქართლის უმაღლეს ხელისუფლებასთან და სხვ. არსებობს „ცხოვრების“ ორი რედაქცია – ერთი, მოკლე, შედგენილი X ს-ის II ნახ-ში ქართლის კათალიკოს არსენ საფარელის მიერ და მეორე – ვრცელი, მეტაფრასული, შედგენილი XII ს-ში<sup>141</sup>.

შიომღვიმე ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი მონასტერი იყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მას წერილობით წყაროებში ხშირად ლავრა ეწოდება, რაც დიდ და ვრცელ მონასტერს ნიშნავს. ჯერ კიდევ წმ. შიოს დროს მონახონთა რაოდენობა მონასტერში 25-დან 2000-მდე გაიზარდა. მონასტრის სიმდიდრეზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი ძველი

140 ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, ქსე, 11, თბ., 1987, გვ. 6; მისივე, შიომღვიმე, თბ., 1953.

141 ორვე გამოცამულა ტექსტების პარალელური განლაგებით: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა იღია აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 69-143.

ქართული საბუთები – სიგელ-გუჯრები, რომლებიც ამ მონასტერთან დაკავშირებითაა ცნობილი და მოღწეულია ჩვენს დრომდე<sup>142</sup>. საკმარისია აღინიშნოს, რომ „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ I ტომში გამოქვეყნებულ IX-XIII სს. 46 უძვირფასესი ქართული ისტორიული საბუთიდან 14 შიომღვიმის მონასტრის კუთვნილება იყო. მათ შორისაა საბუთები გიორგი II-ის, დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ის, თამარ მეფის, სავარაუდო, შოთა რუსთაველის, გიორგი-ლაშას და სხვ. ავტოგრაფული ხელრთვა-დამტკიცებებით. ამდენად, თითოეული მათგანი ქართული კულტურის უძვირფასესი რელიგვიაა.

იმთავითვე მაღალი იყო მონასტრის იურიდიული სტატუსი. VI-XII ს-ის დასაწყისამდე იგი ქართლის კათალიკოსის მფარველობაში იმყოფებოდა. 1124 წლისათვის დავით აღმაშენებელმა სამეფო საკუთრებად აქცია, გამოიყვანა ყოველგვარი იურიდიული დაქვემდებარებიდან და მზრუნველად სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობის უმაღლესი პირი – მწიგნობართუხუცესი მიუჩინა. მონასტერმა მიიღო საეპარქიო და სახელმწიფო გადასახადების შეუგალობის პრივილეგიები. მასვე პქონდა სასამართლო (თუმცა, არასრული) შეუგალობა. XIII-XVIII სს. ქვეყნის საერთო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოშლასთან ერთად, შიომღვიმის მდგრამარეობაც დაქვეითდა. მეფე გიორგი VII-მ (1393-1407წწ.) XIV ს-ის შუა ხანებში, ერთგულებისათვის, იგი უბოძა ზევდგინიძე იოთამს (თაყას). ამიერიდან XIX ს-ის პირველ ათეულ წლებამდე მონასტერი ზევდგინიძე-ამილახვართა საკუთრება და მათი საძვალე იყო. ამ დროიდანვე გაუქმდა მონასტრის ყველა პრივილეგია და გადავიდა მისი პატრონის ხელში. ეპარქიულად მონასტერი სამთავისის ეპისკოპოსს დაექვემდებარა. ზოგჯერ სამთავის ეპისკოპოსს შიომღვიმის მონასტრის წინამდღვრის თანამდებობაც ეკავა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801)

142 ჟორდანია თ. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჟაპეტავის ქაბითა. გამოცამული გორის ეპისკოპოსისა და საქართველოს ვიკარის აღექსანდრეს მიერ, თბ., 1896.

შემდეგ, მონასტერი შტატის დაწესებულებად იქცა და 1811-1822 წწ. ქვათახევის მონასტერს, ხოლო 1822-1887 წწ. თბილისის ფერისცვალების მონასტერს შეუერთეს. 1887 წლიდან მიეცა დამოუკიდებელი აღმინისტრაციულ-სასამართლო მმართველობა მონასტრის მაშინდელი წინამძღვრის (შემდეგში მთავარეპისკოპისის) დოსითეოს ფიცხელაურის დიდი მცდელობის შედეგად. მონასტერი მოქმედებდა XX ს-ის დასაწყისშიც<sup>143</sup>. მიუხედავად ზშირი დარბევებისა და თავდასხმებისა, მთლიანად დაცლილი იგი არასოდეს ყოფილა და ამჟამადაც მამათა მოქმედი მონასტერია.

შიომღვიმის მონასტერში, მის კუთვნილ საბუთებს შორის, რომლებშიც წარმოდგენელი და აღრიცხული იყო მისი სამულობელოები, ქონება, სამართლებრივი სტატუსი და სხვ, ინახებოდა საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრისადმი შედგენილი ანდერძი. იგი, როგორც უმნიშვნელოვანესი იურიდიული დოკუმენტი, შიომღვიმის მონასტრის მესვეურებმა საუკუნეებს გამოატარეს, მონასტერზე თავსდატეხილ უამრავ თავდასხმას, ძარცვას, აწიოკებასა და ხანძარს გადაარჩინეს და მას თითქმის ჩვენს დღეებამდე მოაღწევინეს. სამწუხაროდ, საბუთის დედანი 1919 წელს დაიწვა ჩრდ. კავკასიაში მიმდინარე რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, სადაც იგი 1915 წელს გახიზნეს I მსოფლიო ომის პირობებში თურქეთიდან მოსალოდნელი თავდასხმისაგან დაცის მიზნით. საბუთისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტი გადარჩა. 1973 წელს აღმოჩნდა ამ საბუთის ფოტონეგატივი, გადაღებული 1895 წელს. მისგან დამზადდა ფოტოანაბეჭდები დედნის ან დედანთან მიახლოებული ზომისა; ის სავსებით ცვლის დედანს სამეცნიერო მიზნებისათვის (ტექსტის დადგენა და სხვ).

შიომღვიმის მონასტერს „შუელითგან“ პქნია „სიგელი შეუვალობისა ცხუართათვის“, რომელიც დამოწმებულია დავით აღმაშენებლის ანდერძში.

როგორც ანდერძიდან ჩანს, შიომღვიმის კუთვნილი ცხვრების

„უსაბანჯრობა“, ე.ი. მატყლის გადასახადისაგან განთავისუფლება, შიომღვიმის მონასტრის ძეგლი პრივილეგია ყოფილა და ამ უფლების განსახლებლად მას პერიოდულად ახალი საბუთები მიეცემოდა ხელისუფალთაგან.

აღნიშნულ ანდერძში ასახულია საეკლესიო და საერო ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მართვა, საგადასახადო და საფინანსო საქმე, მოწყალება და ქველმოქმედება და სხვა.

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის სამონასტრო ლავრისადმი წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ღვთივსულიერი, სინერგიული ურთიერთობის მარეგულირებელ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ისტორიულ ძეგლს, მოღლას, რომლის არსობრივ შესწავლა-გამოყენებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს კეთილდღეობისათვის.

### **3.2.5. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობრის დებულება**

დღევანდელ პირობებში საქართველოს ეკლესია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობრის დებულების საფუძველზე, რომელიც მიღებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული აღგილობრივი კრების მიერ 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხოვარში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.<sup>144</sup>

მოკლედ შევქოთ დებულებაში ასახულ ძირითად სამეურნეო-მმართველობით საკითხებს.

დებულების მიხედვით საქართველოს საპატრიარქო – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის მრავალეროვანი აღგილობრივი ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) მართლმადიდებელი

143 დაწვრილებით, სათნადო არგუმენტაციითა და წყაროთა მითითებით იხ.: ლომინაძე ბ. ქართული საეკლესიო სენიორის ისტორიიდან (შიომღვიმის მონასტერი), საკანდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1949. იხ., აგრეთვე ქსე, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 6.

144 იხ.: საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობრის დებულება. მცხოვარ, სვეტიცხოვლი, 1995.

ეკლესია, რომლის დიდ უმრავლესობას ქართველი მოსახლეობა შეადგენს. იგი იმყოფება დოგმატურ-სარწმუნოებრივ-ლიტურგიკულ ერთიანობასა და ლოცვით-კანონიკურ ურთიერთობაში ყველა სხვა ადგილობრივ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

საქართველოს ეკლესია იყოფა ეპარქიებად, სამთავარზუცესო-ებად და სამრევლოებად.

საქართველოს ეკლესია თავის მოღვაწეობას ახორციელებს შემდეგ საფუძლებზე:

1. წმიდა წერილი და საღმრთო გადმოცემა;
2. წმიდათა მოციქულთა, წმიდათა მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და წმიდათა მამათა კანონები და წესდებები;
3. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი;
4. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების, საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები.

საქართველოს ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, დამოუკიდებელია და ახორციელებს მასთან ურთიერთობას საეკლესიო კანონების, სახელმწიფო კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

საეკლესიო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი საეკლესიო კრება – საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი, ხოლო კრებებს შორის პერიოდში უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლები და მმართველი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ცნება: „საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი“ არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი საეკლესიო კრების მეორე ოფიციალური დასახელება.

საქართველოს საპატრიარქო, მისი განყოფილებები, დაწესებულებები, ეპარქიები, სამრევლოები, მონასტრები, სასულიერო სასწავლებლები და საზღვარგარეთ არსებული სამრევლოები და დაწესებულებები იურიდიული პირის უფლებით სარგებლობენ.

საქართველოს ეკლესიაში უმაღლესი ხელისუფლება მოძღვრების, საეკლესიო მმართველობისა და საეკლესიო სასამართლოს სფეროებში, ანუ – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კრებას – საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს.

სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი:

- ზრუნავს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივ ურთიერთობაზე, ეკლესიის კანონების, საეკლესიო კრებების დადგენილებების, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების, სახელმწიფოს კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად;
- შესაბამისი საშუალებებით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სახელმწიფოსა და მთელ მსოფლიოში მომხდარი მოვლენებისა და წამოჭრილი პრობლემების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს მმართველი მღვდელმთავრების პენსიაში გასვლის შესახებ;
- ადგენს პროცედურას ყველა საეკლესიო სასამართლოსათვის;
- განაწესებს საეკლესიო ჯილდოებს;
- სხვადასხვა საკითხის შესასწავლად ქმნის სპეციალურ კომისიებს.

#### წმ. სინოდი აგრეთვე ზრუნავს:

- წმ. წერილის ტექსტის დაცვის, თარგმნისა და გამოცემისათვის; საღვთისმსახურო წიგნების ტექსტის დაცვის, გასწორებისა და გამოცემისათვის;
- საეკლესიო კანონების კრებულების, სასულიერო და საერო სასწავლებლების შესაბამისი სახელმძღვანელოების, საღვთისმეტყველო ლიტერატურისა და პერიოდიკის გამოცემისათვის;
- სასულიერო განათლების სრულყოფისათვის;
- სასულიერო პირთა და ეკლესიის საერო თანამშრომელთა პენსიით უზრუნველყოფისათვის;
- საეკლესიო საგანმურის აღრიცხვის, დაცვისა და შევსებისათვის.

## სახელმწიფო ჯინანსები და ქონება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის თავის მატერიალურ მოთხოვნილებებს თვითდაფინანსების საფუძველზე.

მისი ფინანსები იქმნება: მორწმუნეთა ნებაყოფილობითი შემოწირულობით, საკულტურის წესების აღსრულების შემოწირულობით, საკულტურის წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციითა და სხვა საკულტურული სამეურნეო საქმიანობით.

ცენტრალური საკულტურის ბიუჯეტი საპატრიარქოში იქმნება ეპარქიების, სტავროპიგიალური მონასტრებისა და სხვა საკულტურის-სამეურნეო დაწესებულებების მიერ გადარიცხული ფულადი სახსრებით, რომლის პროცენტულ რაოდენობას განსაზღვრავს წმ. სინოდი.

საერთო-საეკლესიო ფინანსების განმკარგავნი არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდი.

საპატრიარქის განყოფილებებისა და დაწესებულებების დაფინანსება ხდება საერთო-საეკლესიო სახსრებიდან, გარდა იმ განყოფილებებისა, რომლებსაც შესწევთ თვითდაფინანსების უნარი.

ეპარქიის ბიუჯეტი იქმნება სამრევლოების, მონასტრებისა და საეპარქიო-სამეურნეო დაწესებულებების შემოსავლიდან წმ. სინოდის მიერ დადგენილი პროცენტის გადარიცხვით.

საერთო-საეპარქიო ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის მმართველი მღვდელმთავარი, რომელიც აწარმოებს საკულტურის დანიშნულებით გაცემული თანხის აღრიცხვას.

სამრევლოების ფულადი სახსრები იქმნება: მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შემოწირულობებისა და საპატრიარქოდან გაცემული სანთლის, საკულტურის ლიტერატურის და სხვა ნივთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისგან.

სამრევლოს ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის სამრევლოს წინამდებარი და სამრევლო საბჭო.

მონასტრების ფულადი სახსრები იქმნება ისევე, როგორც სამრევლოებისა. მათი განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში მონასტრის წინამდებარია.

სასულიერო სასწავლებლების დაფინანსება ხდება იმ ეპარქიის საერთო-საკულტურის ფულადი სახსრებიდან, სადაც მდებარეობს ეს სასწავლებელი, და სასწავლებლის დაქვემდებარებაში მყოფი სამეურნეო დაწესებულებების შემოსავლიდან.

სასულიერო სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს ეპარქიის მღვდელმთავარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით. სასულიერო სასწავლებლის ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის რექტორი და პედსაბჭო.

საკულტურის თანხები ინახება ბანკში შესაბამისი საკულტურის დაწესებულების სახელზე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდი ახდენენ საერთო-საკულტურის და საეპარქიო ფულადი სახსრებისა და ქონების რევიზიას. ასეთი რევიზიის განხორციელებისათვის მათ მიერ იქმნება სპეციალური სინოდალური კომისია.

საქართველოს საპატრიარქოსა და სტავროპიგიალური მონასტრების ფულადი სახსრებისა და ქონების რევიზიას ახდენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დანიშნული კომისია.

ეპარქიის სამრევლოების, მონასტრებისა და დაწესებულებების ფულადი სახსრებისა და ქონების რევიზიას ახდენს კათოლიკოს-პატრიარქის ან ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისია.

საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს, მონასტრებს, სამრევლოებს, საკულტურის დაწესებულებებს, სასულიერო სასწავლებლებს, საეკლესიო-სამეურნეო დაწესებულებებს უფლება აქვთ ფლობინენ უძრავ-მოძრავ ქონებას, მიწის ნაკვეთს, აიღონ არენდით, ააშენონ და შეიძინონ შენობა-ნაგებობები და სხვა. კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით აქვთ უფლება ქადაგებისათვის ისარგებლონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვა.

საეკლესიო ქონების მართვა და განკარგვა ხდება საეკლესიო კანონების, სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის და „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების“ თანახმად.

საქართველოს საპატრიარქოსა და ეპარქიების ბიუჯეტში შემოსავლებიდან გადასარიცხ პროცენტს ადგენს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი.

ეპარქიების, მონასტრების, სამრევლოებისა და სხვა საეკლესიო დაწესებულებების ფულადი სახსრები მღდლელმთავრებისა და წინამდღვრების მიერ მხოლოდ საეკლესიო მიზნებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული.

ეკლესიაში აკრძალულია ისეთი სანთლების ან სხვა საეკლესიო ნივთების გაყიდვა, რომლებიც არ არის დამზადებული საპატრიარქოს სამურნეო დაწესებულებების მიერ.

საქართველოს ეკლესის მთელ კანონიკურ ტერიტორიაზე სანთლების, საეკლესიო ლიტერატურისა თუ სხვა ნივთების რეალიზაცია ხდება საპატრიარქოს მიერ დადგენილი ფასების მიხედვით.

მთლიანობაში, ისევე როგორც საეკლესიო სამართლის სხვა დოკუმენტები, საქართველოს აგტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაც საფუძვლად უდევს საქართველოს ეკლესიის საქმიანობას. ამასთან, დვოივსულიერი წარმომავლობისა და დანიშნულების გამო, მისი ძირითადი დებულებები და პრინციპები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული საერო სამურნეო-მმართველობით საქმიანობაში.

## თავი IV. საეკლესიო ეპონომიკის განვითარების პრისპექტივები საქართველოში

### 4.1. განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაცია საეკლესიო ეპონომიკის სფეროში

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტეველო ინსტიტუტთან 2007 წლის მაისში შეიქმნა სპეცურსები სახელწოდებით: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“<sup>145</sup>

სპეცურსების მიზანია თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს საქართველოს ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური ბაზის აღორძინება-განმტკიცებასა და ქვეყნაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, კურსების მსმენელებს, ეკონომიკურ პრაქტიკაში დანერგვაზე გათვლით, შევასწავლოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ქრისტიანული მოძღვრება და საერო ეკონომიკური მეცნიერება სამურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ;
- ეკლესიის სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები სახელმწიფო ორგანოებთან, სამეწარმეო და არასამთავრობო სექტორებთან;
- საეკლესიო-სამონასტრო და საერო ეკონომიკის სამართლებრივი ბაზა;
- ბიზნეს-გეგმების, სოციალურ-ეკონომიკური და აგროეკოლოგიური პროექტების შემუშავება, პრეზენტაცია და სათანადო ფინანსების მოძიება;
- ეკლესია-მონასტრების სოციალურ-ეკონომიკური ბაზის აღორძინება-განმტკიცების და ქვეყნაში მცირე და საშუალო ბიზნე-

145 შესაბამისი ინფორმაცია იხ.: გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“ 2007 წლის №№16,17,18,26,35,36; გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2008, №6; უკ. „დედაეკლესია“, №8, 2007.

- სის განვითარების ამოცანები და უმთავრესი მიმართულებები;
- ეკლესიის შსახურთა და მრევლის შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება, სოციალური უზრუნველყოფა და დაზღვევა;
- ცალკეულ ეკლესია-მონასტრებთან და სამრევლოებთან სამეურნეო ობიექტების შექმნა-ფუნქციონირება.

**სპეციურსების გავლა შეუძლიათ როგორც თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის, მისი ფაკულტეტების სტუდენტებსა და თანამშრომლებს, ასევე ცალკეული ეკლესია-მონასტრების შსახურებს (მოძღვებს, დიაკვნებს, ბერებს, მნათებს, მორჩილებს, ეკონომოსებს, მწევებს), აგრეთვე წევისმიერ სხვა შსურველს. კურსების ხანგრძლივობა 11 თვეა. სწავლება უფასოა. სასწავლო საგნები და ერთჯერადი ლექციები მიჰყავთ მოძღვრებს, ღვთისმეტყველებს, ცნობილ მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, პრაქტიკოს ეკონომისტებსა და იურისტებს, სპეციალისტებსა და წარმატებულ ბიზნესმენებს. ტარდება პრაქტიკული გასვლითი მეცადინეობები და წევება დაზმარების გაწევა საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობებსა და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, სამეცნიერო, ეკონომიკურ და ბიზნეს-ორგანიზაციებში საქართველოს მასშტაბით. აგრეთვე, ტარდება კურსების ლექტორთა ლექცია-კონსულტაციები სხვადასხვა ეპარქიებსა და რაიონებში.**

2009 წლის ოქტომბერში გაიხსნება ახალი ჯგუფი, ამჯერად ეპარქიებისა და ცალკეული ეკლესია-მონასტრების ეკონომოსების მოსამზადებლად.

განვლილ პერიოდში, კურსების სასწავლო გეგმის შესაბამისად, მეცადინეობები ჩატარდა შემდეგი სასწავლო დისციპლინების მიხედვით:

1. თეოლოგიური ეკონომიკის საფუძლები (ქრისტიანული სწავლება შრომისა და სამეურნეო-მშართველობითი საქმიანობის შესახებ);
2. ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მშართველობითი საქმიანობა;
3. საეკლესიო და ზოგადი სამართლის საფუძლები;
4. საეკლესიო სამართლის სამეურნეო-მშართველობითი ასაექტები;

5. სამეწარმეო სამართლის საფუძლები;
6. ბიზნესის საფუძლები;
7. საბაზრო ინფრასტრუქტურა;
8. აგროეკოლოგიური წარმოება;
9. არასამთავრობო ორგანიზაციები და პროექტების მენეჯმენტი;
10. საბუღალტრო აღრიცხვა.

კურსების მსმენელებისათვის პერიოდულად ეწყობა პრაქტიკული გასვლითი მეცადინეობები და ხდება დაზმარების გაწევა საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობებში და მნიშვნელოვან საერო ეკონომიკურ და ბიზნეს-ობიექტებზე.

ამ მიზნით, გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოს ექვთიმესთან (ლეჯავა) შეთანხმებით კურსების ლექტორთა და მსმენელთა 30-კაციანი ჯგუფი 2007 წლის ივნისში დასახმარებლად ეწვია ვეჯინის ლაგრას, სადაც საჭირო იყო ტყეში მეწყერის შედეგად დაზიანებული წყლის სათავო ნაგებობის გაწმენდა ჩამოწოლილი მიწისაგან, სავალი გზის გაკაფვა და ლავრისათვის სასმელი წყლის მიწოდების მოწესრიგება. ჩვენმა მამაკაცებმა მთელი დღე ამ საქმეზე წარმატებით იმუშავეს, ხოლო დედაკაცები ლავრის დედათა მონასტერს შიდასამეურნეო საქმიანობაში დაუმარნენ.

აგრეთვე, ხდება კურსების ლექტორთა ლექცია-კონსულტაციების ჩატარება სხვადასხვა რეგიონში. ამ მიზნით, ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარებისკოპოს სერფიმესთან (ჯოჯუა) შეთანხმებით კურსების ლექტორთა 5-კაციანი ჯგუფი 2007 წლის ივლისში გასვლითი ლექციისა და კონსულტაციების ჩასატარებლად ეწვია ბორჯომის ეპარქიას, სადაც 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ლექცია და საქმიანი საუბარი იქაურ სამღვდელოებასა და მრევლთან, მოხდა მსმენელთა ჩაწერა კურსებზე და შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის რაიონში საეკლესიო-სამონასტრო და საერო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს. რამდენიმე გასვლითი ლექცია-კონსულტაცია ჩატარდა, აგრეთვე ზევისა და სტეფანწმინდის ეპარქიაში 2007-2008 წლებში.

კურსების საქმიანობის პირველი წარმატებული ნაბიჯებიდან და სამომავლო გეგმებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- ვითარდება შემოქმედებითი და საქმიანი ურთიერთობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან; საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის; ბოლნისის; ხევისა და სტეფანწმინდის; მესტიისა და ზემო სეანეთის ეპარქიებთან;
- 2008 წლის 13 აპრილს ბოლნისში მოეწყო ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“;
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2008 წლის 30 მაისს მოეწყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 30 წლის და დაბადებიდან 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“;
- 2008 წლის 25-30 ივლისს მესტიაში მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“;
- მიმდინარეობს მუშაობა შემოქმედებითი ურთიერთობის დასამყარებლად საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან;
- მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა ეკლესია-მონასტრებისათვის ეკონომოსთა მოზადების სპეციურსების გახსნისათვის;
- მზადდება გამოსაცემად ლექციების კურსების კრებული მსმენელთათვის ჩამოთვლილი საგნების მიხედვით;
- მომავალში განზრახულია შეიქმნას: 1) კურსების საკონსულტაციო და ბიზნეს-ტრეინინგ ცენტრი; 2) კურსების რეგიონული ფილიალები; 3) მიტოვებულ სოფლებში კიბუცების მსგავსი სასოფლო-სამეურნეო დასახლებები (ქრისტიანული ოემები);
- დაგემობლია გამოიცეს პერიოდული ჟურნალი „რწმენა და საქმე“.

მთლიანობაში, განვლილი პერიოდი და სამომავლო გეგმები გვიჩვენებს წამოწყებული საქმის პირველ წარმატებებსა და პერსპექტიულობას.

1997-2006 წლებში თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიაში და 2002-2004 წლებში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ერთ-ერთი ავტორის (გ. შიხაშვილი) მიერ იკითხებოდა კურსი „თეოლოგიური ეკონომიკა“, დღეისათვის, იმავე ფაკულტეტზე ზოგადი მენეჯმენტის სპეციალობისათვის მის მიერვე დანერგილია საგანი „საეკლესიო მეურნეობის მენეჯმენტი“, ვამზადებთ, აგრეთვე, პროგრამას დოქტორანტურისათვის სახელწოდებით: „თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები“.

2007 წლის 26 აპრილს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბრძანების საფუძველზე საქართველოს საატრიარქოსთან დაარსდა წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტი. 2008 წლის 12 ოქტომბერს მოხდა უნივერსიტეტის კურთხვა, რის შემდეგაც საწავლებელმა დაწყო აქტიური საქმიანობა.<sup>146</sup> უნივერსიტეტის უმთავრესი ამოცანაა რწმენისა და ცოდნის შერწყმა. სხვა სპეციალობებთან ერთად დღეისათვის მიღებულია მაგისტრანტთა კონტინგენტი ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით.

აღნიშნული კურსებისა და უნივერსიტეტების ფუნქციონირება უთუოდ შეუწყობს სელს სასულიერო და საერთო განათლების დასლოებას და ქვეყნის დაფინანსერიზებული სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ზემოაღნიშნული კურსების ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა სამეცნიერო საქმიანობა. ამ მხრივ, პირველი წარმატებული ნაბიჯებიდან აღსანიშნავია კონფერენციების ციკლის ჩატარება სახელწოდებით: „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. მომავალში განზრახულია მოეწყოს ანალოგიური კონფერენციები საქართველოს სხვა ეპარქიებსა და რეგიონებში.

146 იხ.: გაზ. „ქართული უნივერსიტეტი“. სპეციალური გამოცემა, 12.10.08.

განვიხილოთ კურსების სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებების გეგმის მიზევით ჩატარებული კონფერენციების მოქლე აწგარიშები.

1) სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“.

სპეცკურსების ინიციატივით, თსუ რექტორის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საქართველოს საპატრიარქოს ბოლნისის ეპარქიისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრაქტიკული მხარდაჭერით, 2008 წლის 13 აპრილს, ბოლნისის კულტურის სახლში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“.

თავდაპირველად კონფერენციის მონაწილეები ბოლნისის წმ. გიორგის სახ. ტაძარში საკვირაო წირვას დაესწრნენ. ღვთისმსახურებას ეპარქიის მღვდელმსახური, მღვდელი ბასილი (ახვლედიანი) ადასრულებდა. მოვაინებით სტუმრებმა ბოლნისის კულტურის სახლის ფოიეში გამართული ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა დაათვალიერეს. ამის შემდეგ კონფერენციის სამეცნიერო ნაწილიც გაიხსნა. მონაწილეები დალოცა და მიესალმა ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). კონფერენციის მნიშვნელობა-სა და მიზნებზე ისაუბრა მამა ბასილი (ახვლედიანი), შემდეგ კი შესავალი სიტყვა – „სახელმწიფო და ეკლესია“ წარმოთქვა ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი დაუშვილმა; საზოგადოებას სიტყვით მიმართა ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა სოფიო ლარცულიანმაც. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ჯამლებ ჯანჯღამ თემაზე: „ქრისტიანობა, უნივერსიტეტი, ეკონომიკა“. თბილისის სასულიერო აკადემიათან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სპეცკურსების შესახებ საზოგადოებას ვრცლად ესაუბრა კურსების ხელმძღვანელი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიონალი გიორგი შიხაშვილი; ხოლო თბილისის სასულიერო აკადემიის ლექტორმა ნუგზარ სამხარაძემ ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ წაიკითხა მოხ-

სენება. საინტერესო იყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიონალი ეთერ ხარაიშვილის მოხსენება – „აგრობიზნესის საფუძვლები“. ამავე ფაკულტეტის პროფესიონალი ინეზა გაგნიძემ ისაუბრა კლასტერების როლზე საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. საეკლესიო სამართლის სამეურნეო-მმართველობით ასპექტებს ეხებოდა თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის, დავით ჩიგვაძის მოხსენება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პრობლემები განიხილა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიონალმა ეკატერინე გულუამ, ხოლო ამავე ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარებ აკაკი მიქაბერიძემ საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის განვითარებაში სტუდენტების როლზე წაიკითხა მოხსენება. დასასრულ საზოგადოებას შემაჯამებელი სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე). სხვა შემსწორებულოვან მომენტებით ერთად მან აღნიშნა, რომ ეპარქიისა და კონფერენციის მონაწილეთა ერთობლივი ინიციატივის საფუძვლზე დაგეგმილია წულრულაშენის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული ქრისტიანული სოფლის (თემის) დაარსება, ეს იქნება საუკეთესო მაგალითი ქრისტიანული თანაცხოვრებისა და ეკონომიკური საქმიანობისა, ამავდროულად სოფლის მოსახლეობა გახდება ამ მონასტრის მრეკლი და მათი ერთობლივი მოღვაწეობა ნიმუში იქნება იმისა, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს საქართველოს სოფლის მეურნეობა. ის იდეები და მოწოდებები, რაც დღევანდელ კონფერენციაზე დაისახა, პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ჩევნს მონასტრებში.<sup>147</sup>

კონფერენციის სამეცნიერო განყოფილების დასრულების შემდეგ პრაქტიკული ნაწილის ჩატარების დროც დადგა. სტუმრებმა და მასპინძლებმა წულრულაშენის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგეს ნერგები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ცნობილი ლოცვა კურთხევისამებრ, მიცვალებულთა

147 ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). შემაჯამებელი სიტყვა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2008, №14, გვ. 10.

და ახლობელთა სახელზე. შემდეგ, იქვე, მიტოვებულ დასახლებაზე შეირჩა ადგილი და დაიგეგმა ღონისძიებები ქრისტიანული სოფლის შესაქმნელად, რაც ასევე გამომდინარეობს პატრიარქის ლოცვა-კურთხევიდან.

## 2) სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“

უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობის ფარგლებში 2008 წლის 30 მაისს თსუ მაღლივ კორპუსში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“.

კონფერენციის ორგანიზატორებად მოგვევლინენ: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სპეციალისტი „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“. კონფერენციის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა, აგრეთვე, მიიღეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის წევრმა სტუდენტებმა.

დალოცვითა და მისაღმებებით დამსწრე საზოგადოებას მიმართეს სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა ივგუდიელმა (ტაბატაძე) და ბოლნისის ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე). მათ ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას და ისაუბრეს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: მეცნიერება, რელიგია, ეკონომიკა, შრომა, მოწყალება, საზოგადოებრივი სიკეთეები, ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის როლი ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანი წარმართვის საქმეში და სხვ.

კონფერენციაზე მოხსენებით – „რელიგია, უნივერსიტეტი, მეცნიერება“ – გამოვიდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი პროფ. ჯ. ჯანჯლავა.

ჯ. ჯანჯლავამ აღნიშნა, რომ საჭიროა ფაკულტეტის პროფესურა

და სტუდენტები ჩაერთონ საქმიან ურთიერთობებში ბოლნისის ეპარქიასთან. ეს თანამშრომლობა უნდა გამოიხატოს: а) ერთობლივი სამეურნეო პროგრამების განხორციელებით; б) სტუდენტებმა ეწ. მესამე სემესტრის ეგიდით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ეპარქიის ბეგლების რესტავრაციისა თუ ახალი სოფლის მშენებლობის საქმეში; გ) მაგისტრატურის საგნების ნუსხაში საჭიროა ჩაერთოს ახალი სასწავლო დისციპლინა: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის საფუძვლები“. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ: а) ზნებრივი ბიზნესის დამკაიდრებას ქვეყანაში; ბ) პრაქტიკულ განხცორციელებას თანამედროვე ბიზნესისათვის აუცილებელი საღვთო მცნებებისა: „არ მოიპარო“ და „არ იცრუო“.<sup>148</sup>

პლენარულ სხდომაზე წაჟითხულ იქნა შემდეგი საინტერესო და აქტუალური მოხსენებები:

1. „წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) ეკონომიკის შესახებ“ – მღვდელმონაზონი იოანე (კალანდია), სწორ წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამდღვარი;
2. „განათლების ორგანიზაცია საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის სფეროში“ – გ. შიხაშვილი, თსუ პროფესორი;
3. „სამეურნეო საქმიანობის განვითარება სტეფანწმინდის და ხევის ეპარქიაში“ – არქიმანდრიტი იაკობი (იაკობიშვილი), აჩხოტის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამდღვარი, ეპარქიის კეთილმოწევე;
4. „საქართველოს ეკლესიის როლი მიგრაციის უსაფრთხოებაში“ – გ. ტუხაშვილი, თსუ პროფესორი;
5. „ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები ბოლნისის ეპარქიაში“ – მღვდელი ბასილ ახვლედიანი, ბოლნისის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მღვდელმსახური, ეპარქიის ეკონომოსი, თსუ დოქტორანტი;

148 ჯანჯლავა ჯ. რელიგია, უნივერსიტეტი, მეცნიერება. წიგნში: ქრისტიანობა და მკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამოცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/Krebuli-Bolo.pdf>, გვ. 8.

6. „ზღვრული არჩევანის პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება“ – ი. გაგნიძე, თსუ პროფესორი;
7. „ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა“ – ნ. სამშარაძე, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარის ლექტორი, თბილისის ქვაშვეთის ტაძრის ეკონომოსი;
8. „ქრისტიანობა და ქველმოქმედება“ – გ. ერქომაიშვილი, თსუ პროფესორი;
9. „რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ – მ. მეტრეველი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისია, წამყვანი სპეციალისტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;
10. „სასულიერო პირები ბუღალტრული აღრიცხვის სათავეებთან“ – ა. ჩეჩელაშვილი, თსუ მაგისტრანტი.

კონფერენციის მეორე ნაწილში მომხსენებლებმა განსახილებლად გამოიტანეს უაღრესად საინტერესო თემები, რომელთაგან აღსანიშნავია: „სასულიერო პირები ბუღალტრული აღრიცხვის სათავეებთან“, „რელიგიის გავლენა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე“, „ქველმოქმედება: სიკეთე თუ უკეთურება“, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების ფორმირებაში“, „ქრისტიანობა და ფიტომრეწველობის განვითარება საქართველოში“, „ეკონომიკის კონცეტრულური საფუძვლები და ქრისტიანობა“, „რელიგიური სისტემები და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია“, „საქართველოს მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურის ცვლილება XX საუკუნეში“, „უულად-საკრედიტო სისტემა სარგებლის გარეშე“, „განათლება, ეკონომიკა, მეცნიერება და მართლმადიდებელი სარწმუნოება“, „ზნეობრივი ეკონომიკა – თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი მიმართულება“, „ქრისტიანობა და მევენაზეობა-მედვინეობის განვითარება საქართველოში“, „ეკონომიკა და ქრისტიანული მსოფლმხედველობა“, „ქრისტიანული მორალი და ბიზნესი“, „ქრისტიანობა და საქმიანი ურთიერთობები თანამედროვე ბიზნეს-

ში“. საკონფერენციო თემების ეს ჩამონათვალი ნათლად მიუთითებს განსახილებლი პრობლემების დიდ აქტუალობაზე თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის.

კონფერენციის მუშაობაში, გარდა, თსუ-ს მეცნიერებისა, მონაწილეობა მიღებს ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, როგორიცაა: საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისია, ჯანდაცვის სამინისტრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი.

### 3) სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის ილარიონის ლოცვა-კურთხევით, 2008 წლის 25-30 ივნისს მესტიაში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია; მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა; თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სპეცკურსები „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“; ივ. ჯავახიშვილის სახელმბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური პროგრესისა და პროექტების ცენტრი.

**5 დღის განმავლობაში ზემო სვანეთში განხორციელდა კონფერენციის შემდეგი პროგრამა:** ენგურჰესისა და ხუდონჰესის ტერიტორიის დათვალიერება; სოფ. ლატალის წმიდა ადგილების მოლოცვა და მესტიის მუზეუმების დათვალიერება; წირვა-ლოცვაზე დასწრება მესტიაში, საკათედრო ტაძარში; კონფერენციის სამეცნიერო სხდომა მესტიის კულტურის სახლში და საზეიმო კონცერტი; წირვაზე დასწრება კალაში და კვირიკობის დღესასწაულში მონაწილეობა; იფარის წმიდა ადგილების მოლოცვა; პრაქტიკული სამეურნეო

სამუშაოები ეპარქიის რეზიდენციაში და წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის მშენებლობაზე.

კონფერენციის გახსნისას მონაწილეებს მიესალმა და დალოცა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა იღარიონმა. შესაგაღი სიტყვით საზოგადოებას მიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნინო ჯაფარიძემ.

განსახილველად წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები:

1. „ქრისტიანობა და ეკონომიკა: უნივერსიტეტისა და ეკლესიის თანამშრომლობა“ – ჯამლეტ ჯავახლავა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2. „სამეურნეო საქმიანობის განვითარება მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში“ – ილუმენი ეგნატე, სოფ. ლატალი;
3. „ერგურპესი, ხუდონპესი და სხვები: ეროვნულ-ქრისტიანული და ეკოლოგიურ-ჰუმანისტური მიდგომები“ – გიორგი შიხაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარის სალვოთის-მეტყველო ინსტიტუტის სპეციურსების – „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკას“ ხელმძღვანელი;
4. „ქრისტიანობის მნიშვნელობა სვანეთის ეკონომიკისათვის“ – ერეკლე საღლიანი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე;
5. „აღტერნატიული დირექტორების პრინციპი ეკონომიკში და მართლმადიდებლური სწავლება“ – ინეზა გაგნიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის ხელმძღვანელი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციურსების ლექტორი;
6. „განათლება საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის სფეროში და „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ კონფერენციების მნიშვნელობა“ – ალექსი

ნაკანი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციურსების მეწევერი, ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის PR-მენეჯერი, თბილისის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე;

7. „სვანეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“ – ეთერ ხარაბაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციურსების ლექტორი;
8. „ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია ეპარქიებში“ – ნუგზარ სამხარაძე, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარის ლექტორი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციურსების ლექტორი;
9. „ერვა-მოდელირებისა და ხელსაქმის სწავლების ორგანიზაცია სამრევლო სპეციური“ – ნაზი რეზვაიშვილი, სიონის ტაძრის სამრევლო სკოლის კერვა-მოდელირების ცენტრის ხელმძღვანელი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციურსების ლექტორი;
10. „იურიდიული პირების შექმნისა და მართვის წესები“ – დავით ჩიკვაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციურსების ლექტორი;
11. „პროფესიული და სახელობო განათლება და ეკლესია“ – შორენა მიქაელი, პ. გუგუშვილის სახ. კოლეჯის დირექტორი;
12. „ბიზნესის განვითარების პერსპექტივები მაღალმთან რეგიონებში“ – ეპატერინე გულუა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეციურსების ლექტორი;

13. „საეკლესიო თემის (კიბუცის) როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში“ – გიორგი ამუშაშვილი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების მსმენელი;
14. „ქრისტიანობა და ეკონომიკა: სვანეთის პერსპექტივები“ – თემურ კობახიძე, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების მსმენელი;
15. „მცირე საოჯახო ბიზნესი – ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობა“ – ნინო ტარყაშვილი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების მსმენელი;
16. „სვანეთის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები: სოფლის მეურნეობა და ტურიზმი“ – გიორგი თოლეა, ზურაბ კახნიაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის მუნჯერები, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების მსმენელები;
17. „მართლმადიდებელი მრევლის ოჯახის ეკონომიკური გაძლიერების გზები და საშუალებები.“ – ლია ჩილინდრიშვილი, თსას „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეცკურსების მსმენელი.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა საზეიმო კონცერტი.

მთლიანობაში, კონფერენციებმა ხალხმრავლობისა და საზოგადოების დიდი დაინტერესების ვითარებაში ჩაიარა. მონაწილეებმა მიზნად დაისახეს 2009 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს ძალებით კვლავ ჩაატარონ ანალოგიური კონფერენციები, რითაც კიდევ უფრო გაღრმავედება მეცნიერებისა და რელიგიის, უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშვილი-შვილო საქმეში.

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაახლოების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა თსუ მაღლივ კორპუსში სამლოცველოს გახსნაში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხ-

ევით, თსუ ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციის ინიციატივით, ქველმოქმედი ადმინისტრაციისა და ორგანიზაციების დახმარებით, თსუ მაღლივი კორპუსის I სართულზე 2008 წლის 2 თებერვალს გაიხსნა წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო, რომლის მოძღვრად დადგენილია თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარის დეკანი, დეკანოზი მიქაელ გალდავა.

სამლოცველოს დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვით თსუ რექტორს გ. ხუბუას, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს ჯ. ჯანჯლავას, ამავე ფაკულტეტის პროფესორებს – გ. შიხაშვილსა და ა. გაბრიშვიძეს.

„უნივერსიტეტში წმ. გიორგის სახელობის სამლოცველოს გახსნამ კიდევ ერთხელ ცხადყო საეკლესიო და საუნივერსიტეტო ხედვის მთლიანობა. უნივერსიტეტი ყოველთვის იწოდებოდა ცოდნის ტაძრად და ამგვარი სახელდების მიზეზი იყო მისი არა მხოლოს წმინდა მეცნიერული პროფილი, არამედ, ერთგულება იმ სულიერი ღირებულებებისა, რასაც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა ქრისტიანული კულტურა“,<sup>149</sup> – ამბობს მამა მიქაელი. ანალოგიური მოსაზრებები გამოთქვეს გ. ხუბუამ და ჯ. ჯანჯლავამ, ამასთან, დაამატეს, რომ მიზანშეწონილი იქნება ახლო მომავალში მაღლივ კორპუსთან ეკლესიის აშენება.

აღსანიშნავია, რომ დღესათვის საქართველოს ეკლესიაში სულიერ ღვაწლს აღასრულებენ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების კურსდამთავრებულები: ჰყონდიდის მთავარებისკოპოსი პეტრე ცაავა, მღვდელმსახურები: ტარიელ სიკინზალაშვილი, გიორგი პაპაშვილი, გიორგი სამსონიძე, გიორგი ჭილაშვილი და სხვ. ბათუმის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე).

<sup>149</sup> დეკანოზი მიქაელ გალდავა. სიტყვა სამლოცველოს კურთხევისას. სტატიაში: მაღლივ კორპუსში წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო ამოქმედდა. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2008, №3, მარტი, გვ. 15.

## 4.2. საეპლესიო ეპონომიკის განვითარების პრისტიტუტი საქართველოსა და ცალკეულ ეპარქიებში

### 4.2.1. საქართველოს საპატიონერქოს კრწანისის ტყე-პარკის სულიერი და სამეურნეო განვითარება

შველა ქვეყნა ქმნის თავის ისტორიას, ტრადიციას, კულტურას, რომელთა შექმნისას ადამიანი ცდილობს, რომ მას არ მოაკლოს სულიერი და ეროვნული მშევნიერება, რომლის ხარისხიც პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე როგორც სულიერად და ტრადიციულ-კულტურულად, ასევე ეკონომიკურად.

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც თავისი ბუნების სიმშევნიერით, ასევე ხელოვნური ბალებითა და ტყე-პარკებით.

ბადი, როგორც ადამიანის საცხოვრებლის კეთილმოწყობილი გარემო, თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის.

თავდაპირველად ადამიანის მიერ მცენარეთა მოშენებას საფუძვლად ედო უპირატესად წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც გამოიხატებოდა მისთვის სასარგებლო ველური ხეხილისა და სამკურნალო მცენარეების შერჩევა-დანერგვაში. უფრო მოგვიანებით კი იგი იწყებს თავის საცხოვრებელ ადგილზე ლამაზი მცენარეების ბუნებიდან გადმოტნას და გარკვეული დანიშნულებით მათ გამოყენებას.

პრაქტიკულად აქედან ეძღვა დასაბამი მხატვრული ბალების მშენებლობას, რომელთა შექმნის ძირითადი მიზანი თავიდანვე იყო ღია ცის ქვეშ, კეთილმოწყობილ და ჯანსაღ გარემოცვაში დასვენება და გართობა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჟამთა მსვლელობამ და განსაკუთრებით, მტერთა აურაცხელმა შემოსევებმა შეიწირა ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი. ჩვენში რომ არ შემორჩენილა სრული სახით სასახლის ტიპის თითქმის არც ერთი უძველესი ნაგებობა, ნათელი დასტურია იმისა, რომ მხატვრული

ბალები, რომლებიც მეტწილად სასახლეებთან შენდებოდა, მათთან ერთად განადგურებას. სადღეისოდ შემორჩენილ სარწმუნო წყაროებს ძველ საქართველოში მხატვრული ბალებისა და ტყე-პარკების არსებობის თაობაზე უპირატესად სხვადასხვა დროის წერილობით წყაროებში ვპოულობთ.

ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ძველი ბერძნული თქმულება არგონავტებზე.

როგორც ცნობილია, არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლის ამბავი ისტორიული რეალობაა და ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის სხვადასხვა დროის არაერთი ბერძენი და რომაელი მწერალი თუ ისტორიკოსი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაშენდა აგრეთვე მრავალი ბალი და პარკი, რომლებიც მდებარეობდნენ ქალაქებიდან მოშორებით. მათგან თავდაპირველი სახით შედარებით ნაკლებად შემორჩა გორდის, კოჯირის, დიდი ჯიხაიშის, გორა-ბერეულის, სალხინოს, გულრიფშისა და სხვა პარკები.

ძველი პარკებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა წინანდლის, ლიკანის, ზუგდიდის, ქუთაისის (ჭომის), სოხუმისა (სინოპის) და გაგრის პარკები, ასევე თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკური ბალები, როგორც საქართველოს მხატვრული მებალების ღირშესანიშნავი ისტორიული ძეგლები.

1990 წლიდან WWF-ის დახმარებით საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემაში პროგრესული მენეჯმენტის განხორციელების თანმიმდევრული ტენდენცია გამოიკვეთა. 1997 წელს ამ მოძრაობას განსაკუთრებული იმპულსი მიანიჭა საქართველოს იმ დროინდელმა პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველო მზადაა „საჩუქრად მიუძღვნას“ დედამიწას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე დაკანონებული სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები.

ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემას ძირითადად შეადგენს 15 ნაკრძალი (დაცვის რეჟიმი შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის – IUCN-ის I კატეგორია).

ეგორიას), 2 ეროვნული პარკი (IUCN-ის II კატეგორია) და 6 აღკვეთილი (IUCN-ის IV კატეგორია).

მაგალითის სახით განვიხილოთ კრწანისის ტყე-პარკი, რომელიც წარმოადგენს ამ დარგის საუკეთესო ნიმუშს და რომლის შესწავლასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოში მსატვრული მებაღების, ტყე-პარკების, ქრისტიანული თემების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, აგროეკოლოგიზმისა და რელიგიური ტურიზმის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, ყურადღებას შევაჩერებთ პარკში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითად საკითხებზე.

კრწანისის ტყე-პარკი ამ ტიპის პირველი დაცული ტერიტორიაა საქართველოში, რომლის მენეჯმენტი საერთაშორისო კრიტერიუმების შესაბამისად ხორციელდება და IUCN-ის IV კატეგორიას შეესაბამება. ამასთან, იგი საქართველოში მეორე დაცული ტერიტორიაა (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შემდგომ), რომელსაც მენეჯმენტის გეგმა გააჩნია.<sup>150</sup>

კრწანისის ტყე-პარკი გამოირჩევა მცენარეთა 170-ზე მეტი სახეობის იშვიათი და ბუნებრივი ტყეებით, რომლებიც დღეისათვის ძლიერ დეგრადირებას განიცდიან. თუმცა, სწორი მენეჯმენტის წარმართვის შემთხვევაში, ჭალის ტყეების მონაკვეთებმა, რომლებსაც თვითადლენის თანდაყოლილი უნარი აქვთ, საკმაოდ სწრაფად შეიძლება აღიდგინოს ბუნებრივი სტრუქტურა. ამასთან, ტყე-პარკის ბუნებრივ კომპლექსს მრავალფეროვან კომპონენტებთან ერთად სხვადასხვა სახეობის ცხოველი და ფრინველი აცოცხლებს.

დღეისათვის კრწანისის ტყე-პარკის მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 დეკემბრის №873 დადგენილება, რომლის საფუძველზე ტყე-პარკი სამართავად გადაეცა სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს.

150 იხ.: კრწანისის ტყე-პარკის მენეჯმენტის გეგმა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სააგრიარქო. მომზადებულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) საქართველოს წარმომადგენლობის ხელშეწყობით. თბ., 2000.

მენეჯმენტის სწორად წარმართვის შემთხვევაში (რაც, პირველ რიგში, სათვეზე, საფერმერო მეურნეობების განვითარებას გულისხმობს, რომელიც, თავის მხრივ, პარკის საოპერაციო ხარჯების დაფარვას და ბუნების კონსერვაციისა თუ რეკრეაციის ინფრასტრუქტურის განვითარებას მოემსახურება) საქართველოს ეკლესიას განვითარებული ტყე-პარკის სახით მნიშვნელოვანი საშემოსავლო წყარო გაუჩნდება, რაც ერთი სულიერი ამაღლების საქმეში ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს.

მენეჯმენტის გეგმის მიხედვით ტყე-პარკი დაყოფილია სხვადასხვა ზონად, რაც სამენეჯმენტო საქმიანობის დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. ზონირების სქემა ასახავს მის ძირითად ფუნქციებსა და დამხმარე საჭიროებებს თუ საშუალებებს, რითაც გარანტირებულ იქნება ამ ფუნქციების წარმატებული შესრულება. დღეისათვის კრწანისის ტყე-პარკი შემდეგ ზონებად იყოფა: ველური ბუნების ზონა; რეკრეაციის ზონა; ადმინისტრაციის ზონა; მენეჯმენტის სპეციალური ზონები; სატყეო-სამეურნეო ზონა; ფაუნის აღწარმოების ზონა; აგროკულტურული ზონა; ბიოფერმერული ზონა; თევზაშენი მეურნეობის ზონა.

კრწანისის ტყე-პარკის მენეჯმენტის გეგმაში გამოყენებულია მენეჯმენტის 5 ურთიერთდაკავშირებული პროგრამა, რაც პარკის მდგრადი დაცვის, ინფრასტრუქტურის ჩამოსაყალიბებელი ღონისძიებების დადგენისა და დანერგვის საფუძველს წარმოადგენს. ესენია: დაცვის პროგრამა; ვიზიტორთა პროგრამა; კვლევა-მონიტორინგის პროგრამა; ტრეინინგისა და ეკოლოგიური განათლების პროგრამა; ადმინისტრაციის პროგრამა.

ამჟამად იღენტიფიცირებულია პარკის მენეჯმენტის შემდეგი სპეციალური (დამხმარე) პროგრამები, რომლებიც შესაბამისი მეურნეობების განვითარებას ისახავს მიზნად: თევზაშენი, ბიოფერმერული, აგროკულტურული და ფაუნის აღწარმოების. პარკის ტერიტორიაზე საჭიროა, აგრეთვე, მელიორაციული ღონისძიებების ჩატარება.

ეკლესიის აშენების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კვალიბზე პარკში წარმატებით

შეიძლება განვითარდეს რელიგური და აგროეკოტურიზმი, რის თაობაზეც ჩვენ შევიმუშავეთ და პოტენციურ ინვესტორს ვთავაზობთ საპროექტო წინადაღებას.<sup>151</sup>

პარკის მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული სპეციალური პროგრამები ბიზნესის სფეროს განეკუთვნება. ამიტომ ისინი უნდა განვითარდეს გარე ინვესტორების მოზიდვის შედეგად, შესაბამისი ზონების მიწების და წყლების მოკლე და სამუალოვადიანი არ-ენდირების მექანიზმის გამოყენებით, საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ტყე-პარკის მიწებისა და წყლების გასხვისება, რამაც მფლობელობის ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს, დაუშვებელია.

ამასთან, კრწანისის ტყე-პარკი საქართველოს დედაქალაქ თბილისთან ყველაზე ახლოს (თბილისის ცენტრიდან პარკის შესასვლელამდე 10-12 კმ.) მდებარე დაცული ტერიტორია და თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთიდან მას საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრი ქ. რუსთავი ესაზღვრება, ამასთან, თუ მხედველობაში გვექნება ისიც, რომ ბუნებრივ-ეკოლოგიურად ამ ტიპის ჭალის ტყეები მშრალი თუ არიდული ლადშაფტის სტეპების ნახევრადუდაბნოთა და უდაბნოთა გარემოცვაში ყალიბდება, მაშინ გამოიკვეთება ამ მწვანე მასივის დამატებითი ფუნქციებიც – დიდი ქალაქების უანგბადით მომარაგება და რეკრეაცია.

პარკის ეკოლოგიურ-ფუნქციონალურ მდგრადრეობაზე მეტად უარყოფითად აისახა საქართველოში უკანასკნელ დროს არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგები.

ფაქტობრივად სრულიად მომლილია პარკის დაცვის ინფრასტრუქტურა და მართვის სისტემა: მორღვეულია დაცვითი ნაგებობები, არ არსებობს დაცვის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, მომსახურე პერსონალს არ გაუვლია ტრენინგის შესაბამისი კურსი და სხვა. შედეგად პარკის ტერიტორია მეტად დაზარალდა

ტყის უნებარვო ჭრის, პარკის ტერიტორიაზე გარეშეთა საქონლის ძოვების და ბრაკონიერობის გამო. გარდა ამისა, აღინიშნებოდა მიწების არამიზნობრივი გამოყენება, იჯარით არარაციონალური გადაცემა, სხვადასხვა შეუსაბამო მშენებლობები და სხვა. პარკის ტერიტორია უკიდურესად დანაგვიანებულია სხვადასხვა და ტექნიკური წარმოშობის ნარჩენებით.

გარდა ამისა, მოშლილია იქ არსებული რეკრეაციული, აგრეთვე ჰიდრომელიორაციული ინფრასტრუქტურა, რის გამოც საფრთხე შეექმნა მრავალუროვან ნარგაობას, რასაც ჭალის მიმდებარე ტერასა უჭირავს. დაზიანებულია შიგა გზები, დეგრადირებულია დამზმარე მეურნეობის (სათევზე მცუხველეობის და სხვა) ინფრასტრუქტურა და ა.შ.

პარკის ბუნებრივი მონაკვეთების დაცვა, ისევე როგორც პარკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სხვა ობიექტების აღდგენა და გამართული ფუნქციონირება მხოლოდ კრწანისის ტყე-პარკის მენეჯმენტის თვისებრივი გაუმჯობესებით მიიღწევა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს.

ბუნებრივია, პარკის დაცვა-აღდგენის პარალელურად აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიეცეს მენეჯმენტის სპეციალურ პროგრამებს (როგორიცაა სათევზე, საფერმო მეურნეობის განვითარება და მისთ.), რაც პარკის საოპერაციო ხარჯების დაფარვას და ბუნების კონსერვაციის თუ რეკრეაციის ინფრასტრუქტურის განვითარებას მოემსახურება.

ჩვენი აზრით, კრწანისის ტყე-პარკი საჭიროა შეიქმნას ებრაული კიბუცების ანალოგიური ქართული ქრისტიანული თემი, რომლის ტერიტორიაზე უნდა ამჟღვეს ეკლესია და დაფუძნდეს მონასტერი. თემი საწყის ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს პარკის აღდგენაში, ხოლო მომავალში, გახდება რა მომენტით მეურნეობა, პარკის სხვა შემოსავლებთან ერთად დაკმაყოფილებს არა მარტო საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საპატრიარქოს ბიუჯეტის ფორმირებაშიც.<sup>152</sup>

151 ჩვენს მიერ შემუშავებული საპროექტო წინადაღება – „რელიგური და აგროეკოლოგიური ტურიზმი“ იხილეთ 4.2.7.-ში.

152 ჩვენ მიერ შემუშავებული საპროექტო წინადაღება ქართული ქრისტიანული თემის შესახებ იხილეთ 4.2.8.-ში.

უნდა შეიქმნას აგროეკოლოგიური და რელიგიური დანიშნულების ტურისტული მარშრუტი, რომელიც მოიცავს ვიზიტს ქრიტიანული თემის სამეურნეო საქმიანობის გასაცნობად და იქ არსებულ ეკლესიაში წირვა-ლოცვებზე დასწრებას.

საქართველოს საპატრიარქოს კრწანისის ტყე-პარკის WWF-ის მიერ შემუშავებულ მენეჯმენტის გეგმაში ფინანსური სახრები გათვლილია 2000 წლის მდგომარეობის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია ჩვენ მიერ წამოყენებული საპროექტო წინადაღებების განხორციელებისათვის საჭირო თანხების გათვლაც. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ დაწყებულია მუშაობა პროექტის ახალი ვერსიისა და სათანადო ბიუჯეტის შესადგენად, რომელიც გადაუცემა პოტენციურ ინვესტორს.

#### 4.2.2. მეაბრეშუმეთბის განვითარების პერსპექტივები

მეაბრეშუმეობა მრავალი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც მეტწილად დამხმარე ხასიათი აქვს და შეპირობებულია გეოგრაფიული გარემოთი.

მეაბრეშუმეობა საქართველოში ოდიგანვე სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო, რომლის არსებობა-შენარჩუნება დღეს საფრთხის წინაშე დგას. როგორც ყოველთვის, ეკლესია და, კერძოდ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იღია II გრძნობს თავისი ქვეყნის ეროვნულ-სტრატეგიული მნიშვნელობის დარგის გადამენების საფრთხეს. იგი წინადადგებით გამოვიდა, რათა აღნიშნული დარგი საპატრიონოდ გადაუცეს საქართველოს ეკლესიას. იმედია, მისი თხოვნა შესმენილ და დაკაყოფილებულ იქნება. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა მიზეზი იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომში მეტ-ნაკლებად საფუძვლიანად წარმოჩენილიყო საქართველოს მეაბრეშუმეობის დღევანდელი სინამდვილე.<sup>153</sup>

153 საკითხის შესწავლისას ვთანაშრომლობდით მეაბრეშუმეობის ჯერ კიდევ შენარჩუნებულ წამყვან სპეციალისტებთან (მაგ., ა. ანთიძე) სააქციო საზოგადოება

მეაბრეშუმეობის ყველაზე მეტად გავრცელების ქვეყნებს შორის ისტორიულად პირველი ადგილი ჩინეთს მიეკუთვნება, როგორც თუთის აბრეშუმის წარმოების უძველეს ქვეყანას, საიდანაც ის გავრცელდა ჯერ მეზობელ ქვეყნებში და შემდეგ დასავლეთის მიმართულებით. ზოგიერთი ცნობით, აბრეშუმის ჭიდის მოშენებისა და აბრეშუმის ამოხვევის შესაძლებლობა ჩინეთში აღმოუჩენიათ 2697 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე.<sup>154</sup>

მცირე აზიის ხალხებს შორის იბერიულ-კავკასიურ ჯგუფის ტომებს, სახელდობრ, იბერიელებს, კოლხებს, ლაზებს, ჭანებს მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნებოდათ აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობის თვალსაზრისით. აღნიშნული ქართველური ტომები უძველესი დროიდან ცნობილი იყვნენ როგორც აბრეშუმით, ასევე ძვირფასი თვალმარგალიტით ვაჭრობით და ამიტომ, ბუნებრივია, რომ მეაბრეშუმეობას საქართველოში საინტერესო და დიდი ხნის ისტორია აქვს. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსნოთ საყოველთაოდ ცნობილი ის გარემოება, რომ გარკვეულ პერიოდში საქართველოს მართველი უცხოელ დამპყრობით აბრეშუმით უხდიდნენ ხარჯს და რომ შაპ-აბასი ვენახების განადგურებასთან ერთად თუთის ნარგავებს სპობდა საქართველოში აბრეშუმის ჭიდის საკვები ბაზის მოსაპობის მიზნით. სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელ კანონმდებლობაში გაპარული ლაფსუსების გამო, ასეთი საფრთხე დღესაც არის მოსალოდნელი, რაც უთუოდ გამოსასწორებელია კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით. ძირითადად ეს ეხება 2005 წლის 8 ივლისს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“. ეს ცალკე კვლევა-მსჯელობის საგანია, ამიტომ ჩვენ ამ თემას აქარ შევეხებით.

ცალკეულ ქვეყნებს შორის, რომლებიც შედიოდნენ რევოლუცი-

„საქართველოში“, რის საფუძველზეც არის დაწერილი ნაშრომის წინამდებარენაში (4.2.2).

154 Полный энциклопедический с/х словарь. 1907, т. X, с. 929.

ამდელ რუსეთში, საქართველო ყოველთვის განსხვავდებოდა მეაბრე-შუმეობის სპეციური ხასიათით, როგორც ბუნებრივი პირობებით, ისე წარმოების ამ დარგის ისტორიული წარსულითაც.<sup>155</sup>

საქართველოში აბრეშუმის წარმოება ოდითგანვე ისე იყო განვი-თარებული, რომ იგი მოსახლეობის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა და უცხოეთშიც გაპქონდათ.<sup>156</sup>

ნატურალური აბრეშუმის წარმოება როგორც სტრუქტურუ-ლად, ისე ტექნილოგიურად, როგორც მრავალსაფეხურიანი პროცე-სია. აბრეშუმს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანა აწარმოებს. მისგან დამზადებული პროდუქცია ძვირად ღირებული და უმთავრესად ელიტარული დანიშნულებისაა.

ნატურალური აბრეშუმის წარმოება მსოფლიოში 97 ათას ტონას შეადგენს, რაც ნატურალური ბოჭკოების მსოფლიო წარმოების ერთ პროცენტზე ნაკლებია. აბრეშუმის ქსოვილის მსოფლიო წარმოება ორი მილიონ 200 ათასი კვადრატული მეტრია, საიდანაც ჩინეთის წილად მოდის მილიონ 800 ათასი კვადრატული მეტრი. ჩინეთი, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია აბრეშუმის წარმოებაში, ყოველწლიურად ამზადებს 600 ათას ტონა ნედლი აბრეშუმის პარკს (მათ შორის 200 ათას ტონა მუხის აბრეშუმის პარკს). აბრეშუმის პარკის დამზადების მხრივ მოწინავე პოზიციები უკავიათ ინდოეთს, ვიეტ-ნამს, ინდონეზიასა და სხვა ქვეყნებს. მნიშვნელოვანი რაოდენობის პარკს ამზადებენ ირანსა და თურქეთში.

ყოფილ საბჭოთა კავშირში აბრეშუმის პარკს აწარმოებდა 11 რესპუბლიკა. მათ შორის ყველაზე მეტი რაოდენობის აბრეშუმის პარკს ამზადებდა უზბეკეთი (32 ათასი ტონა). საქართველოს მე-ორე ადგილი ეჭირა აბრეშუმის პარკის დამზადების მხრივ, ხოლო ხარისხით კი – პირველი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგია. ნატუ-

რალური აბრეშუმი ეროვნული სიმდიდრეა. ქართულ აბრეშუმზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდია, რადგან იგი ელეგანტურობის, პლასტიკურობისა და ფერადოვნების თვალსაზრისით მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ქვეყნის ეკონომიკური ფორმაციის ცვლილების შესაბამისად მეაბრეშუმეობასაც ბევრჯერ პქნდა აყვავებისა და დაცემის პერიოდები, მაგრამ ყოველთვის უძლებდა დროის ქარტეხილებს. ქართველმა გლეხმა ოდითგანვე შეიყვარა აბრეშუმზევი – ეს უწყინარი მწერი, მოაშინაურა, ჩააყენა თავის სამსახურში და მას შემდეგ აღარ უღალატია. იგი ქრისტიანობასავით ძველია საქართველოში და V საუკუნიდან იღებს სათავეს.

მეაბრეშუმეობას შეუძლია დროის ხანმოკლე პერიოდში, უმცირესი მატერიალური დანახარჯებით, შექმნას დიდი ეროვნული შემოსავალი. ამიტომ, ისეთ აგრარულ ქვეყნაში, როგორც საქართველოა, იგი ყოველთვის განიხილებოდა ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებისა და საგალუტო შემოსავლების გადიდების წყაროდ.

სამწუხაროდ, საქართველოში ბოლო პერიოდში მიმდინარე დესტაბილიზაციის პროცესებმა დარგზე დამღუპველად იმოქმედა. 1991 წელს დამზადდა 1590 ტონა აბრეშუმის ნედლი პარკი, 1992 წელს – 1125 ტონა, 1993 წელს – 506 ტონა, 1994 წელს – 260 ტონა, ხოლო 1995 წელს – მხოლოდ 50 ტონა, 2000 წელს – 12 ტონა, 2005 წელს კი – 7 ტონა.

შესაბამისად შემცირდა საფეიქრო მრეწველობის მიერ გამოშვებული აბრეშუმის პროდუქციის რაოდენობა. ხამი აბრეშუმის ძაფის ამოღება 320 ტონიდან 10 ტონამდე დავიდა, ხოლო ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების კი 0,1 მლნ. მეტრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ დარგი ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე იმყოფება.

ბუნებრივია ისმის კითხვა: აზალი ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში აქვს თუ არა საქართველოში მეაბრეშუმეობას მომავალი?! და თუ აქვს, მაშინ რა რაოდენობის პარკის დამზადება იქნება მიზანშეწონილი და შესაძლებელი უსტლოეს ათწლეულში?

155 ააშვილი ნ., ბახტაძე გ. მეაბრეშუმეობის განვითარება საქართველოში. 1949, გვ. 28.

156 ფხაძე გ. მასალები საქართველოს მეაბრეშუმეობის ძველი ისტორიისათვის. თბ., 1957, გვ. 43.

**კითხვაზე ცალსახად უნდა ვუპასუხოთ: საქართველოში აბრეშუმის წარმოებას მომავალი აქვს!**

ამის მთავარი პირობა არის ის, რომ მეაბრეშუმეობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის არა მარტო უნიკალური და ტრადიციული დარგია, არამედ ის, ამავე დროს, ქართველი ხალხის საუკუნო-ვანი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენაძენია.

როდესაც ლაპარაკია ქვეყნის სულიერ და ეკონომიკურ აღორძინებაზე, არ შეიძლება მეაბრეშუმეობის გვერდის ავლა და მისი პრობლემებისათვის მარტო სადღეისო ეკონომიკური თვალთახედვით მიღომა.

გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე სერიოზული ფაქტორი, რომლებიც ხელსაყრელია საქართველოს მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. ესენია: მაღალკალიფიციური სპეციალისტები, საოჯახო შრომის გამოყენების შესაძლებლობა (ჩვეულებრივ თვეენახევარიორი თვე წელიწადში), საოჯახო შრომის დაბალი ღირებულება, ნაწარმის ხარისხის საკმაოდ მაღალი დონე, თუთის ნარგაობის ინტენსიური გამტენება, წარმოების დაბალი ხარჯები, თუთის პლანტაციაში სხვა ბოსტნეული კულტურის დათესვის შესაძლებლობა (ეს ზრდის საჰექტარო მოგებიანობას).

რაც მთავარია, ქართულ სოფელში სხვა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურიდან (ჩაი, ვაზი, ხეხილი) შემოსავლის შემცირების პირობებში 100 ათასი კომლი დასაქმდება, მიიღებს შემოსავალს და ნაწილობრივ აინაზღაურებს დანაკლისს.

დღეისათვის მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება ნატურალური აბრეშუმის ნედლეულზე და შესაბამისად – პროდუქციაზე მოთხოვნილებისა და მათზე ფასების მატება, რაც საერთაშორისო ექსპერტების ვარაუდით უახლოეს 2-3 წელიწადში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში დარგის რეაბილიტაციას.

საქართველოსათვის აბრეშუმის პროდუქციის ტრადიციული საექსპორტო ბაზარი იყო რუსეთი და ბალტიისპირეთის რესპუბ-

ლიკები. ქართული აბრეშუმით მთლიანად კმაყოფილდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებაც. დღეისათვის როგორც შიდა, ისე აღნიშნული ქვეყნის ბაზარი დაკავებული აქვს საკმაოდ ძვირად ღირებულ, სხვა ქვეყანაში წარმოებულ, ნაწილობრივ აბრეშუმთან შერეულ ხელოვნური ბოჭკოებით ნაწარმოებ პროდუქციას. ადგილობრივი ნატურალური აბრეშუმის პროდუქციას თავისუფლად შეუძლია ბაზრებიდან ხელოვნურის განდევნა, მით უმეტეს, თუ ფასები შედარებით მისაღები იქნება. ჩვენს ქვეყანაში ამის შესაძლებლობა ჯერჯერობით არსებობს, თუმცა წარმოებული პროდუქციის სიმცირის გამო, მას ბაზარზე ზემოქმედების მოხდენა ნამდვილად არ შეუძლია. მაგრამ საქართველოში წარმოებულ ნატურალურ აბრეშუმს, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ინტელექტუალური, მხატვრული ღირებულება ექნება და მის დამფასებელ (შემფასებელ) კლიენტურაზე იქნება ორიენტირებული.

უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს დროში მოხდება ამ ისტორიული დარგის რეაბილიტაცია და მოიქსოვება კონკურენტუნარიანი ჟორუეტი, შიფრი და ნოხი, რითაც განთქმული იყო ქართული აბრეშუმი.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოში ჯერ კიდევ 30 რაიონში შენარჩუნებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, თავისი გამოცდილი მებრეშუმე სპეციალისტებით. შენარჩუნებულია 3 მლნ-ზე მეტი თუთის ნარგაობა, 2 საგრენაჟო ქარხანა (სადაც შესაძლებელია გრენის წარმოება), 1 სასექციო სადგური, 1 მეთუთეობის მეურნეობა (სადაც შესაძლებელია წლიურად 100 ათასი ნამყენი ნერგის წარმოება), მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა.

დარგის ამოქმედების შემთხვევაში პირველ წლებში შეიძლება დასაქმდეს, საშუალოდ 4-5 ათასი ადამიანი და მიღებულ იქნეს 10-20 ტონა აბრეშუმის პარკი, 20 ათასი პირობითი მეტრი აბრეშუმის თექისა და აბრეშუმის ნაწარმის წარმოება. მოიქსოვება აბრეშუმის ხალიჩები.

**შეაბრეშუმეობის შენარჩუნებაში დღი წელილი მუშადვით ერთგულ**

სპეციალისტებს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს, რომელიც ყველაფერს აკეთებს ამ მნიშვნელოვანი დაწესის აღორძინება-განვითარებისათვის.

#### 4.2.3. ეგზონომიკის განვითარების პერსპექტივები სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ყაზბეგის რაიონი გამოცხადდა ცალკე საეპისკოპოსოდ და მას სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია ეწოდა. იმავე წლის 20 ოქტომბერს ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისადმი მიმართვაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავდა: „სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა სამღვდელოებასა და მთელ მოსახლეობასთან ერთად ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ კვლავაც საიმედოდ იყოს დაცული ჩვენი საზღვრები და მიწა-წყალი, ჩვენი კულტურა, ჩვენი ენა, ეკლესია, ჩვენი სულიერი და მატერიალური ფასეულობანი. სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა უნდა იზრუნოს არა მარტი იმისათვის, რომ ყოველ სოფელში აღესრულოს წირვა-ლოცვა და ამაღლდეს განათლების დონე, არამედ იმისთვისაც, რომ ამჟავადეს წარმოებები, მოსახლეობას ჰქონდეს სამუშაო ადგილები, ხელი შეეწყოს მათი სოციალური და ეკონომიკური მდგრამარების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მრავალშვილიანი ოჯახებისა, რომ მოსახლეობა მტკიცებ დამკვიდრდეს ხევში. გამოვთქვამ იმედს, რომ ხევის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი მკვიდრნი მხარში ამოუდგებან სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსს, რათა ეს რაიონი იქცეს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და ძლიერ კუთხედ“.<sup>157</sup>

აქედან მოყოლებული, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის მმართველების პეტრესა (ცავა) და იეგუდიელის (ტაბატაძე) მიერ

პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გულმოდგინე შესრულების შედეგად რეგიონში საგრძნობლად გამოსწორდა ეკონომიკური სიტუაცია.

მეცნოველეობა (მესაქონლეობა და მეცხვარეობა) მთაში უმნიშვნელოვანესი ტრადიციული დარგია, რომელსაც აქვს მთის მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შენარჩუნება-გაუმჯობესების დანიშნულება.

ხევში ძირითადად განვითარებული იყო მეცხვარეობა, რომელსაც მოხევეთა 70%-სათვის მნიშვნელოვანი შემოსავალი მოჰქონდა. ყველა ოჯახს ჰყავდა სამუალოდ 2 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 30-50 სული ცხვარი. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მთაში შეაღწია მესაბორეობამ, რომელმაც შეასუსტა მეცხვრეობისა და მესაქონლეობის პოზიციები.<sup>158</sup>

ამასთან, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მეცხვარეობამ დაკარგა განვითარების ძირითადი წყარო – რუსეთის ტერიტორიის, დაღესტნის (ყიზლარის) ზამთრის საძოვრები, სადაც ყაზბეგის რაიონის ჰქონდა 103,0 ათასი ჰა. ყიზლარში გამოსაზამთრებლად ყოველწლიურად გადადიოდა ყაზბეგის რაიონის 200-250 ათასი სული ცხვარი. სულ საქართველოდან ყიზლარში იზამთრებდა 600-700 ათასი სული ცხვარი.

1992 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის შიდა საძოვრებზე ზამთრის საძოვარი ყაზბეგის რაიონის მიეცა მხოლოდ 19,0 ათასი ჰა, ანუ მანამდე მის მფლობელობაში არსებული საძოვრის 19%. ამავე წელს გამოსაზამთრებლად კახეთისა და იალლუჯის ზამთრის საზოვრებზე ხევიდან წამოვიდა 125,0 ათასამდე სული ცხვარი. ყიზლარის საზოვრებზე თუ 1 ჰა-ზე ზამთრობდა 2-2,5 სული ცხვარი, ქვეყანაში გამოყოფილ საძოვრებზე 1 ჰა-ზე უნდა გამოეზამთრებინა 6-7 სულ ცხვარს.

მეცხვარეობისადმი ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის გულგრილმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ამ მნიშვნელოვანი დაწესის

157 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მმართვა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისადმი. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“. 2002, №44, გვ. 2-3.

158 ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ მიერ გამოყენებულია სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტისა და სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის შესაბამისი მასალები. ამასთან, ერთ-ერთი აკტორი (გ. შიხაშვილი) მონაწილეობდა აქ წარმოდგენილი პროექტების შემუშავების პროცესში.

განადგურება და ყაზბეგის რაიონში მეცნვარეობა თითქმის მოისპო.

ბოლო პერიოდში ბუნებრივ აირზე შეღავათების გაუქმების კვალობაზე ხევში მოისპო სათბურები. მოხევეებმა დაიწყეს ცხვრისა და საქონლის მოშენება. მთავრობა შეპპირდა ხევის მოსახლეობას მეცნველობის განვითარებისათვის დამატებითი ზამთრის საძოვრების გადაცემას კახეთისა და იალლუჯის მასივებზე, რაც არ განხორციელებულა. პირიქით, შეიქმნა დღეისათვის არსებული საძოვრების (3,0 ათასი ჰა) დაკარგვის საშიშროებაც.

ზამთრის საძოვრების ასეთი შემცირების უმთავრესი მიზეზი არის ის კორუფციული და განუკითხობის ფონი, რომელიც არსებობდა ქვეყანაში. ადგილობრივ რეგიონებში ზამთრის საძოვრების უკანონოდ მთხოვნელთა ასევე უკანონო დამაყოფილება ხდებოდა ყაზბეგის რაიონისათვის გადაცემული საძოვრების ხარჯზე. საძოვრებს ართმევდენ ყაზბეგის რაიონს მისთვის მეცნვარეობისათვის გამოყოფილი ფართობებიდან და სხვადასხვა თანამდებობის პირს გადასცემდნენ.

ამჟამად სტეფანწმიდის (ყაზბეგის) მუნიციპალიტეტს აქვს მთავრობის მიერ გამოყოფილი ზამთრის საძოვრები 3,0 ათასამდე ჰა. ამ საძოვრების დანიშნულება იყო, არის და უნდა დარჩეს ხევში მეცნვარეობის განვითარება და არა მათი უკანონო გამოყენება.

ამჟამად არსებულ ზამთრის საძოვარზე იზამთრებს სტეფანწმინდის (ყაზბეგის) მუნიციპალიტეტის მხოლოდ 10,0 ათასამდე სული ცხვარი.

მთავრობის მიერ ხევისათვის გამოყოფილი ზამთრის საძოვრები უნდა ემსახურებოდეს ამ რეგიონში სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას. დღეისათვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქვენის ხელისუფლებისათვის უნდა იყოს მეცნველეობის ტრადიციული დარგის, მეცნვარეობის აღდგენა-განვითარების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, რეგიონის კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას დაუდებს საფუძვლი.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძვლებზე სახელმწიფო და

ეკლესია თანამშრომლობენ ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ და ახორციელებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივ პროგრამებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, რომ ხელისუფლების მიერ ხევის რეგიონისათვის უკვე გამოყოფილი, აგრეთვე უახლოეს მომავალში საჭირო, დამატებითი გამოძებნილი ზამთრის საძოვრები (სულ 20 ათასი ჰა) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს (სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიისათვის), რითაც, ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობის საფუძველზე, ხელი შეეწყობა მეცნვარეობის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას.

საქართველოში ზამთრის საძოვრები საკმარისადაა, საჭიროა მხოლოდ მათი დადგენა-გამოვლენა, რისთვისაც აუცილებელია სათანადო ინვენტრიზაციის ჩატარება, რაც გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში არ მომხდარა.

ინვენტრიზაციის ჩატარების სურვილი არ აქვთ ადგილობრივი მმართველობის მესვეურებს, ვინაიდან მათ იციან, რომ გამოვლინდება უამრავი მიწის ფართობი, რომელსაც პირადი ინტერესებისთვის იყენებენ. ამიტომ საჭიროა მთავრობის მკაცრი მოთხოვნა საინვენტრიზაციო ღონისძიებების ჩატარებისათვის.

**დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი:**

- საქართველოს საპატრიარქოს შეიძლება გადაეცეს ზამთრის საძოვრების რეზერვები მარნეულის რაიონში – ეწ. „ბაბაქარის“ ზამთრის საძოვარი, რომელიც 1992 წელს მთავრობის დადგენილებით გადაცემული პქონდა ყაზბეგის რაიონს 7,0 ათასი ჰა-დან 5,0 ათასი ჰა. ეს ადგილი შემდეგში სომხეთ-აზერბაიჯანის ომის პერიოდში დაინაღმა და გამოუყენებელი დარჩა;
- გასულ წლებში საქართველოს ზოოვეტინსტიტუტს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის ჰყავდა ცხვარი, რომელსაც აზამთრებდა იალლუჯაზე. ამჟამად სამეცნიერო მუშაობისათვის გამოყოფილი 1,5 ათასი ჰა ზამთრის საძოვარი დარჩა სახელმ

- წითოს საქუთრებაში, რომელიც შეიძლება გადაუცეს საქართველოს საპატრიარქოს. 1992 წელს ამ საძოვრების ნაწილი გადაცემული ჰქონდა ყაზბეგის რაიონს, მაგრამ შემდგომში „გადაძალვის“ პრინციპით კერძო პირებმა მითითესეს;
- **შესაძლებელია საქართველოს საპატრიარქოს გადაუცეს 1993 წელს** მთავრობის დადგენილებით იაღლუჯაზე ყაზბეგის რაიონის კუთვნილი მიწებიდან რუსთავის მოსახლეობისათვის გადაცემული **0, 83 ათასი ჰა მიწის ფართობი**, რომელსაც ამჟამად არავინ არ ფლობს და მას სარგებლობაში გასცემს რუსთავის მერია სხვადასხვა პირებზე;
  - ზამთრის საძოვრების რეზერვი არის დედოფლისწყაროს რაიონში, სადაც მთავრობის დადგენილებით **3,2 ათასი ჰა ჰქონდა გადაცემული ყაზბეგის რაიონს**, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებმა გამოიწვია მათი დაგარგვა. ეს ფართობიც შეიძლება გადაუცეს საქართველოს საპატრიარქოს;

მთლიანად ეს ფართობები აჭარბებს **10 ათას ჰექტარს**, რაზეც შეიძლება გამოზამთრებულ იქნეს **40-45 ათასი სული ცხვარი**.

ხევის რეგიონში მეცხვარეობის განვითარების რეალური მოთხოვნილება დღეისათვის არის **20,0 ათასი მტკ** ჰა ზამთრის საძოვრები, ეს კი შესაძლებელი გახდება ზემოაღნიშნულთან დამატებით **10,0 ათასი ჰა ზამთრის საძოვრების გამოძებნა-გამოვლენის შედეგად**.

უახლოეს მომავალში რეალურად შესაძლებელია საქართველოს საპატრიარქოს სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიისათვის გადაუცეს ზამთრის საძოვარი **სულ 20,0 ათასი ჰა, რაზეც ნორმალურად გამოზამთრებს 60-70 ათასი სული ცხვარი, რაც საშუალებას მისცემს მოხევეთა თითოეულ ოჯახს იყოლიოს 30-50 სული ცხვარი**. ეს კი ხელს შეუწყობს მეცხველეობის განვითარების კვალობაზე შექმნილ და მომიჯნავე დარგების საწარმოებში მოსახლეობის დასაქმებას და ხევის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას.

მთაში მეცხველეობის განვითარებას და ამით მოსახლეობის

დასაქმება-შენარჩუნებას მიზანმიმართულად უნდა შეუწყოს ხელი ქვეყნის ხელისუფლებამ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ და საქართველოს ეკლესიამ.

**ხევში მეცხველეობის განვითარების ერთობლივ პროგრამას საფუძვლად უნდა დაედოს:**

- ხევის რეგიონის კუთვნილი ზამთრის საძოვრებისა და დამატებითი ფართობების გადაცემა საქართველოს საპატრიარქოსათვის;
- სახელმწიფოს დახმარების საფუძველზე პირუტყვის გამოსაკვებად საკვები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განმტკიცება როგორც ადგილობრივად ხევში, ისე ზამთრის საძოვრებზე;
- მეცხველეობაში მთავრობის სუბსიდიებისა და მიზნობრივი, უპროცენტო ან შეღავათიანი საბანკო სესხების გამოყოფა ხევის მოსახლეობისა და მეწარმეებისათვის;
- მოსახლეობის დასაქმება მეცხველეობის განვითარების კვალობაზე შექმნილ და მომიჯნავე დარგების საწარმოებში;
- ერთობლივი მუშაობა ხევის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის შემუშავება-განხორციელებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს საპატრიარქომ მიმართა ხელისუფლებას თხოვნით სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიისათვის ზამთრის საძოვრების გადაცემის შესახებ, რის საფუძველზეც ახლო მომავალში მთავრობას განზრაპული აქვს **10 ათასი ჰა ზამთრის საძოვრის გამოყოფა**.

ეპარქიისათვის გადაცემული ზამთრის საძოვრებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლეობა, რითაც ხელი შეუწყობა მეცხვარეობის განვითარებას, მცირე უერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებას, შესაბამისი და მომიჯნავე დარგების საწარმოების შექმნას, მოსახლეობის დასაქმება-შენარჩუნებასა და, მთლიანობაში, ხევის სოციალურ-ეკონომიკურ მდგრმარეობის ძირეულ გაუმჯობესებას.

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში სოფლის მეურნეობას 2002 წლიდან ეწევიან. მეურნეობის განვითარებაში მონაწილეობას ღებულობენ ეპარქიაში მოქმედი სხვადასხვა მონასტრის მამები, დედები და მორჩილები. მეურნეობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე).

ამჟამად ეპარქიის მფლობელობაშია: თრუსოს ხეობაში მდებარე 250 ჰა საძოვარი, ასევე დედოფლისწყაროს რაიონში შირაქის ველზე მდებარე 6000 ჰა საძოვარი; სახნავ-სათესი მიწები, საიდანაც ღებულობენ საქონლისათვის საკვებს, რომელიც წარმოადგენს ზამთრის პერიოდში საქონლის საკვებ დანამატს.

მოქმედებს მესაქონლეობის ფერმა, სადაც ჰყავთ 450 სული ცხვარი, 12 მაკე ფური, 2 ხარი-ბუდა მწარმოებელი და 8 ბბო. პირველ ეტაპზე შესყიდულ იქნა 100 სული ცხვარი, 2 წლის ნამატმა შეადგინა 350 სული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ცხვრის სულადობის გაზრდა გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან არ იყო სტაბილური საძოვრები და უწევდათ ცხვრის სხვადასხვა ადგილზე გადაყვანა და შესაბამისად სხვადასხვა მწყემსებთან ჩაბარება. ამ ეტაპზე დაარსდა მეტოქიონი მონასტერი, რომელიც მეტ კონტროლს გაუწევს როგორც საზაფხულო, ასევე ზამთრის საძოვრებზე მყოფ პირუტებს. აღსანიშნავია, რომ საძოვრების პრობლემა გადაჭრილია, ვინაიდან მონასტერს უკვე გააჩნია საკუთარი საძოვრები ზემოთ აღნიშნული რაოდენობით, რომელიც საკმარისია საქონლის გაზრდილი რაოდენობის გამოსაკვებად.

მოწვეულ იქნა მეცხოველობის სპეციალისტი, რომლის რჩევებით შემუშავებულ იქნა გეგმა, თუ როგორ გამოიყვნონ ადაპტირებული ჯიშის საქონელი, რომელიც ერთნაირად შეეგუება მთისა და ბარის პირობებს. კერძოდ, დაგეგმილია 140 სული 1-წლიანი ხბოს შესყიდვა. მოხდება 1 წლის განმავლობაში მათი გამოზრდა. გამოზრდილი საქონლის რეალიზაცია ძირითადად მოხდება მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლებში. პროექტი ინდიდენტის ეგიდით წარდგენილია კონკურსზე სათანადო გრანტის მოსაპოვებლად.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში გაიზრდება საწარმოს შემოსავლები. მას მიეცემა საშუალება როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა, ასევე წარმოების განვითარების ინტენსიური ზრდის მეთოდით მსხვილფეხა რქოსანი პირუტების სულადობის გაზრდისა. გამოყვნილი ჯიშები იქნება მთის კლიმატურ და რელიეფურ პირობებთან ადაპტაციის კარგი უნარის მქონე, ეკოლოგიურად სუფთა და მაღალპროდუქტული. შემოსავლების ზრდასთან ერთად გაიზრდება ასევე დასაქმებულთა რიცხვი – ფერმაში, ნაცვლად დღევანდელი 3 კაცისა, სულ იმუშავებს 11 ადამიანი.

ეპარქიაში არსებული აჩხოტის მამათა მონასტერი 2006 წლიდან ეწევა საკალმახე მეურნეობას, რომელსაც უძღვება მღვდელ-მონაზონი ანდრია. მონასტრის საკუთრებაშია 171 ჰა, სადაც მოწყობილია საკალმახე. ტერიტორიაზე განლაგებულია 20 ავზი, მათ შორის 14 ბეტონის სალიფესიტე ავზი და 6 კალმახის გამოსაზრდელი გრუნტის ავზი. თევზსაშენი ტბორი 50 ჰა, რომელსაც ჯერჯერობით არ იყენებენ წარმოების მცირე მოცულობის გამო. საკალმახეს მუდმივად მიეწოდება გამდინარე წყალი. წყლის სინჯები და ტემპერატურა შეესაბამება კალმახის გამოსაზრდელად მიღებულ ნორმებს. წყლიწადში იწარმოება და რეალიზდება 3 ტონა კალმახი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული საგემოვნო თვისებებითა და ეკოლოგიური სისუფთავით. 2009 წელს დაგეგმილი წარმოების მოცულობა შეადგენს 13 ტონა კალმახს, ხოლო 2010 წელს – 40 ტონას. ეს პროექტიც ინდიდენტის ეგიდით წარდგენილია კონკურსზე სათანადო გრანტის მოსაპოვებლად.

დღეისათვის საკალმახე მეურნეობაში მუდმივად დასაქმებულია 3 ადამიანი და 3 სეზონური მუშა. პროექტის განხორციელების შედეგად მეურნეობაში შეიქმნება 6 მუდმივი და 1 სეზონური ახალი სამუშაო აღვილი. სულ მეურნეობაში დასაქმებულ იქნება 9 მუდმივი და 5 სეზონური თანამშრომელი, სულ 13 თანამშრომელი.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოების მოცულობას. შექმნილია ახალი „ლოგო“, რომელიც ცნობადს

გახდის ჩვენს პროდუქტს. მიმდინარეობს მუშაობა საკაჭრო ნიშნის შექმნაზე. თევზეული გაიყიდება სახელით, რაც კიდევ უფრო გაზრდის ნდობის ფაქტორს.

უწმინდესის ილია II-ის ლოკვა-კურთხევით საპატრიარქო გეგმავს საფირმო მაღაზის გახსნას ქალაქ თბილისში, სადაც გაიყიდება მონასტრებში წარმოებული პროდუქტი. აღნიშნული მაღაზი კალაბთი მომარაგდება ჩვენი მონასტრის მიერ.

წლების მანძილზე აჩხოტის მმათა მონასტერი მხარში უდგას ადგილობრივ მოსახლეობას და ეხმარება სხვადასხვა საშუალებით. მონასტერი მომავალშიც მაქსიმალურად დაეხმარება მოსახლეობას საკალმახების მოწყობაში. მეურნეობაში მთლარად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა.

მიღებული მოგებიდან გარკვეული თანხები მოხმარდება ეკლესია-მონასტრების რებაილიტაციას.

საქართველოს ეკლესისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და ეპარქის სამღვდელოების დიდი დამსახურებაა, რომ მოხერხდა ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორება და რეგიონიდან მოსახლეობის გადინების შემცირება.

#### **4.2.4. ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები ბოლნისის ეპარქიაში**

ბოლნისის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. იგი საქართველოს უძველეს ქალაქს ბოლნისსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს. ტერიტორია შეადგენს 804.2 კვ.კმ-ს. ბოლნისის რაიონში არსებობს ადგილობრივი დაქვემდებარების 2 ქალაქის ტიპის დასახლება და 45 სოფელი. რაიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ტყეებით, მდინარეებითა და სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულით, საიდანაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპილენძი, ბარიტის, ოქროს შემცველი კვარციტების, ტუფისა და ბაზალტის საბადოები.

ბოლნისის ეპარქია ოდითგანვე ქვეყნის ძლიერების მტკიცედასაყრდენად მოიაზრებოდა პოლიტიკურ, სამეურნეო და საგანმანათლებლო სფეროში, ამიტომაც მას ქართველი მეფეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. გამონაკლისი არც საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტია, რასაც მოწმობს ბატონი მიხეილ საკაშვილის ხშირი ვიზიტი ბოლნისის ეპარქიაში.

ეს მხარე ძალიან მდიდარია V-XVIII საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ხუროტომოძვრების ძეგლებით. სულ დაფიქსირებულია 250-მდე ეკლესია-ნატაძრალი. ცალკე უნდა გამოვყოთ ბოლნისის სიონი Vს., აკაურთის სიონი IV-VI სს., წულრუდაშვი XIIIს. და სხვ.

ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ოდითგანვე ხელს უწყობდა ეკლესის მონაწილეობა ამ სფეროში. XII საუკუნეში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყნის ძირითადი ექსპორტიორიც ყოფილა. ტენდენცია, რაც საქართველოში დღეს შეინიშნება, მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ეკლესია ქვეყნის მშენებლობის მცელ, უკვე არაერთხელ აპრობირებულ და გამართლებულ ფუნქციას უბრუნდება.

ეპარქია არა მხოლოდ ეკონომიკის პრაქტიკულ განვითარებაზე ფიქრობს, არამედ ის სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სოციალურ ღონისძიებებსაც არ უვლის გვერდს. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება თუნდაც ისაა, რომ 2008 წლის 13 აპრილს ეპარქიამ ბოლნისში მოაწყო საქართველოში პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, სადაც მიწვეულ იქნება ქვეყნის როგორც სამთავრობო, არასამთავრობო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლები, ასევე სასულიერო პირთა მაღალი იერარქები. იგეგმება, რომ ღვთის შეწევნით, მეორე კონფერენცია საერთაშორისო მასშტაბს მიღებს.

რაიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა, ტერიტორიის თავისებურებამ, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებულმა მოსახლეობის ტრადიციულმა საქმიანო-

ბამ განაპირობა მისი, როგორც აგრარულ-სამრეწველო რაიონის ჩამოყალიბება.

ბოლნისის რაიონის სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგული შეადგენს 28622 ჰა-ს. მათ შორის კერძო საკუთრებაშია 5220 ჰა. იჯარით გაცემულია 11832 ჰა. სახელმწიფო საკუთრებაშია 8573 ჰა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ფასების მატებამ, კერძოდ: საწვავზე, შხამქიმიკატებზე, სასუქზე, სათესლე მასალაზე, კომბინირებულ საკვებზე და ა.შ., გავლენა იქნია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე. ამ მიზეზით ოთხი ათასი ჰექტარი სახნავი მიწა არ იქნა დამუშავებული და ასევე არარენტაბელური გახდა მესაქონლეობა, მეფრინველეობა.

პრობლემას წარმოადგენს სარწყავ-საირიგაციო სისტემების მოშლა – არ ირწყვება სარწყავი კატეგორიის მიწების 40 %-ზე მეტი.

რაიონის ფერმერების მიერ წარმოებული ხარისხიანი პროდუქციის რეალიზაციას ხელს უშლის უხარისხო, დაბალფასიანი იმპორტი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა რეფორმებმა სოფლის მეურნეობის დარგში გასულ წლებთან შედარებით გაზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა ბოლნისის რეგიონში. გაიზარდა ადრეული კარტოფილის, ბოსტნეულის, ლობიოს, მარცვლეულის, მესაქონლეობის, მეფრინველეობის წარმოება დაახლოებით 30-40 %-ით. მოსავლიანობის ზრდა განპირობებულია ფერმერების მიერ პროდუქტიული ჯიშების შეძენით, წარმოების ტექნოლოგიების დაცვით.

რაიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა დიდად არის დამკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად იქნება გამოყენებული ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები. დღეისათვის, რაიონის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით, ძირითადად, გათვალისწინებულია: 1) აბრეშუმის პარკისა და თექის წარმოება; 2) საკონსერვო ქარხნის მშენებლობა.

დღეისათვის მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება ნატურალური აბრეშუმის ნედლეულზე, შესაბამის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდა და ფასების მატება, რაც საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზით უახლოეს 2-3 წლიწადში მოსალოდნელია მასზე ფასების კიდევ უფრო მკვეთრი ზრდა. აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დარგის რეაბილიტაციის მიზნით შექმნილია შავი და კასპიის ზღვის, შუა აზიის რეგიონის აბრეშუმის საერთაშორისო ასოციაცია (BACSA), რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოა.

აღნიშნული დარგის განვითარება ხელს შეუწყობს რაიონის საერთაშორისო ინტეგრაციას და ასოციაციის ეგიდით მომზადებულ პროექტებში მის მონაცილეობას (პროექტის რვაწლიანი ბიუჯეტი განსაზღვრულია 24,251 მლნ. აშშ დოლარით). შემუშავებულია და უახლოეს პერიოდში განხორციელებას დაიწყებს ფაო-ს პროგრამა.

„მეაბრეშუმების რეაბილიტაცია საქართველოში“, რომელშიდაც ბოლნისის რაიონი ერთ-ერთ მთავარ შემსრულებელ რეგიონად არის წარმოდგენილი (პროგრამის საერთო დაფინანსება განისაზღვრება 300 ათასი აშშ დოლარით). აღნიშნული წარმოების ასალორბინებლად რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 158 ათასი ლარი, რაზედაც წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა მოწონებულ იქნა რაიონის გამგეობისა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ.

აღნიშნული გეგმის მიხედვით 2006 წელს ნავარაუდევი იყო 5 ტონა აბრეშუმის პარკის დამზადება და 6 ათასი პირობითი ერეული თექისა და აბრეშუმის ნაწარმის წარმოება, რომელიც 2007 წელს უნდა გაორმაგებულიყო.

აღნიშნული ბიზნეს-პროექტი იქნება პირველი პილოტპროგრამა ქვეყნის მასშტაბით, რომელიც საფუძველი გახდება ნატურალური აბრეშუმის წარმოების ტრადიციული დარგის ასალორბინებლად.

ქვეყანაში სამომხმარებლო ბაზრის შესწავლამ წარმოაჩინა ადგილობრივი სიფლის მეურნეობის ბაზაზე რაიონში საკონსერ-

ვო-გადამამუშავებელი ქარხნის ფუნქციონირების აუცილებლობა. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონის გამგეობის მიერ გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი. კერძოდ: დაფუძნდა შ.პ.ს. „გურმანი“ (სახელმწიფოს წილი 100%) და ქარხნისათვის შერჩეულ და გადაცემულ იქნა მის ბალანსზე შესაბამისი შენობა-ნაგებობა. მომზადდა ბიზნეს-გეგმა, რომელიც მოწოდებულ იქნა ბოლნისის რაიონის გამგეობისა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ.

ბიზნეს-გეგმის მიხედვით ქარხანამ უნდა აწარმოოს ტომატ-პასტა, ხილი, წვენები და მურაბები. აღნიშნული ქარხნის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს როგორც რაიონის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ფერმერებს, ასევე მის მოსაზღვრე და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონსაც.

დღეს ბოლნისის ეპარქიაზე ჯეროვნად ზრუნავს სახელმწიფო. ეპარქიას გააჩნია სამეურნეო თუ სხვა დანიშნულების მიწები და სულ ახლო მომავალში კიდევ დამატებით ელოდება 100 ჰა-მდე მიწის გამოყოფას. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ დღეისათვის ეპარქიას არანაირი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკური საშუალება არ გააჩნია, თუმცა გარკვეული იმედები ამ მხრივ არსებობს.

მიგვაჩნია, რომ საჭიროა ეპარქიაში შეიქმნას ორგანიზაციული თვალსაზრისით ებრაული კიბუცების ანალოგიური ქართული სასოფლო-სამეურნეო ამსანაგობა – ქრისტიანული თემი, რის შესახებაც მსჯელობა მოცემულია ქვემოთ (4.2.8).

ეპარქის დღევანდელი მდგომარეობა, და ასევე უურადღება, რომელსაც ის იწვევს მის ფარგლებს გარეთ, ნამდვილად იძლევა ეპარქიის საუკეთესო პერსპექტივების იმედს. ჩვენთან ერთ-ერთი პირადი საუბრისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბრძანა: – „მე მჯერა, რომ ბოლნისის ეპარქია ძალიან მალე საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და სულიერ ეპარქიად მოგვევლინება“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლნისის ეპარქიაში სხვადასხვა

სფეროს გამოცოცხლება-აღორძინება დაიწყო ბოლო იმ პერიოდში, როდესაც მმართველად დაინიშნა ახალი ეპარქი – ყოვლადუსამღვდელოესი ბოლნელი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე), რომელიც თავისი გულისხმიერებითა და სიბრძნით ქმნის ეპარქიაში პერსპექტიულ გარემოს.

#### 4.2.5. ბოლნისის ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობა

2008 წლის ნოემბერში, ჩვენი ინიციატივით, ბოლნისის ეპარქიასთან შეიქმნა ახალგაზრდული ცენტრი, რომლის მუშაობა ეფუძნება დემოკრატიზმისა და ნებაყოფლობითობის პრინციპს.

ცენტრი აერთიანებს ახალგაზრდა მეცნიერებსა და სპეციალისტებს, დოქტორანტებს, ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებს, ეკონომიკის პრობლემით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

**ახალგაზრდული ცენტრის მიზნები:**

1. ახალგაზრდებისათვის კოლეგიალური ურთიერთობების გაღრმავებისა და პროფესიული უნიარ-ჩვევების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
2. ახალი ცოდნის მიღების, ინოვაციური იდეების წარმოჩნდების, მათი რეალიზაციისა და პიროვნების თვითგამოხატვისათვის საჭირო პირობებისა და საშუალებების შექმნა;
3. ახალგაზრდა სპეციალისტებში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის ზრუნვა, რაც საფუძველია შემდგომი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის;
4. საქართველოს საფინანსო პოლიტიკისა და სისტემის სრულყოფის მიმართულებით დასაბუთებული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება-ჩამოყალიბება და მათი პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება.

## **ახალგაზრდული ცენტრის ამოცანებია:**

1. მეთოდური და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება ეკონომიკური ცოდნის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატების მიმართებით;
2. ახალგაზრდებში (მათ შორის სკოლის მოსწავლეების) თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის მიღწევების გავრცელება ზეპირი და ბეჭდვითი ინფორმაციის საშუალებით;
3. დისკუსიების, სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების, შეხვედრების, ინტელექტუალური თამაშების, ტრეინინგებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზაცია;
4. სოციოლოგიური გამოკითხვების გზით თანამედროვე აქტუალურ საფინანსო გადაწყვეტილებებსა და პრობლემებზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;
5. სახელმწიფო, კომერციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ცალკეულ ორგანიზაციების და ფიზიკურ პირებთან (მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ) საქმიანი კავშირების დამყარება, ხელშეკრულებების დადება და თანამშრომლობა კლუბის მიზნებიდან გამომდინარე;
6. სამეცნიერო ორგანიზაციებთან, ქვეყნის გამოჩენილ ეკონომისტებთან და მეცნიერებთან, სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზაცია;
7. ფართო სპექტრის სპეციალიზებული (ეკონომიკური) ბიბლიოთეკის დაარსება;
8. ახალგაზრდა სპეციალისტების სახელმძღვანელოებითა და ინფორმაციული მასალებით უზრუნველყოფაში ხელის შეწყობა;
9. საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად კონკრეტული წინადაღებების მომზადება და წარდგენა ფინანსთა სამინისტროსათვის;
10. ქვეყნის შიგნით და უცხოეთში ახალგაზრდების სტაჟირებისადმი ხელის შეწყობა;

11. ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმებაში ხელის შეწყობა;
12. სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის სტიპენდიების დანიშვნა;
13. ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებების პრაქტიკაში რეალიზებისათვის (ან დაწერგვისათვის) ხელშეწყობა და პროპაგანდა;
14. ეკონომიკური სამსახურების სპეციალისტების (კადრების) კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
15. საკუთარი საინფორმაციო საშუალებების დაფუძნება;
16. საგამომცემლო, მთარგმნელობითი და სხვა საქმიანობის წარმართვა;
17. ქვეყნის ეკონომიკურ და ბიზნეს-სისტემაში არსებული პრობლემების ირგვლივ პრესკონფერენციების მოწყობა (მასშედიასთან ურთიერთობა);
18. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის წარმართვა.

ბოლნისის ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრი თანამშრომლობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან.

2008 წლის 23 ნოემბერს, ახალგაზრდული ცენტრის, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასტერებლების, ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრისა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ერთობლივი ძალისხმევით ბოლნისის კულტურის სახლში მოხდა ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრის პრეზენტაცია.

აღინიშნა, რომ სულიერი და სამეურნეო-საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავება აუცილებელია, ვინაიდან, ეს ხელს შეუწყობს საქართველოში ზნეობრივი ბიზნესის განვითარებასა და საღვთო მცნებების: „არ მოიპარო“, „არ იცრუო“, პრაქტიკულ ეკონომიკურ საქმიანობაში განხორციელებას. ზნეობრივი ბიზნე-

სის ნაწილია კონკურენცია, კონკურენტის პატივისცემა და სიყვარული. ჩვენი მიზანია, მომავალ ბიზნესმენებს ტრადიციების პატივისცემა ჩავუნერგოთ და ეკონომიკის ტრადიციული დარგები განვაითაროთ.

სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, სწორედ ეკონომიკის ტრადიციული დარგების შესწავლა-განვითარების მოგვარებას ემსახურება ბოლნისის ეპარქიასთან არსებული ახალგაზრდული ცენტრი. აქ ახალგაზრდები ღვთისა და ერთმანეთის სიყვარულის პარალელურად ქარგვას, ქსოვას, თექასა და თიხაზე მუშაობასაც შეისწავლიან.

მომავალი თანამშრომლობის ფარგლებში ორივე შეარე შეიძლოვან პროექტებს გვეძავს: 1) განხორციელდება ერთობლივი სამეურნეო პროგრამები; 2) ე.წ. მესამე სემესტრის ეგიდით ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან ეპარქიის ბეგლების რესტავრირებასა და მშენებლობაში; 3) ბოლნისის ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრის წევრები რეგულარულად მიიღებენ მონაწილეობას საბავშვო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე; 4) ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი დაიწყებს ტრეინინგებს პროექტების მენეჯმენტში ბოლნისის ახალგაზრდებისათვის.

#### 4.2.6. საქართველოში საექლესით ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი საქედაგო მოქმედო ფონდი „ივერია“

საქართველო მიწათმოქმედების უზველესი კერაა. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა ქარცეცხლი გამოიარა საქართველომ და წარმოუდგენელი სირთულეების გადალახვის – ჩვენი სახელოვანი მეფეებისა და თავდაღებული მამულიშვილების მიერ წმინდა წერილის, დიდი სჯულის კანონში დადგენილი ნორმებისა და წინაპართა გამოცდილებაზე შექმნილი ტრადიციის უპირობო დაცვისა და დაუღალავი შრომის შედეგად დღემდე მოაღწია.

ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც ის დაუცხრომლად მუშაობდა და ამ პროცესში თვითონაც სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა მეურნეობრიობას. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს – ქართველ ერის არა მარტო მეზობელთა, არამედ „მოწინააღმდეგე ქვეყნებითვანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობებში თავისი წვლილი შეუტანადა“<sup>159</sup>.

საქართველო ერთ-ერთი უნიკალური ქვეყნაა თავისი შემადგენელი რეგიონების აგრორესურსების მრავალფეროვნებით. ამიტომ მას შეიძლება „მიკროკლიმატების ქვეყანაც“ კი ვუწოდოთ. დასავლეთ თუ აღმოსავლეთ, სამხრეთ თუ ჩრდილოეთის მიმართულებით რამდენიმე ათეულ კილომეტრს თუ გავილით, სულ სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მოვცვდებით. ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამით ხსნის ვაზის ჯიშთა საოცარ მრავალგვარობას, თვით ტერიტორიით უდიდეს ქვეყნებსაც რომ შეშურდებათ. ეს ითქმის არა მარტო ვაზზე, არამედ მარცვლეულსაც და სხვა ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს განაპირობებს მთლიანად ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკის განვითარებას.

აქედან გამომდინარე, უნდა დავსკვნათ, რომ ასეთი მრავალფეროვნების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონულ ეკონომიკათა სამეურნეო პოლიტიკის სწორი ორიენტირის განსაზღვრა და, რაც მთავარია, მათი ცხოვრებაში გატარება კახეთით დაწყებული და აფხაზეთით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობთ მთისა და საზღვრისპირა რეგიონების სპეციფიკაზე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს პირობებში, სადაც საგანგაშო დემოგრაფიული და შიდამიგრაციული ტენდენციები შეინიშნება.

159 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია (წიგნი მეორე). თხ. ტ. 5, თბ., 1986, გვ. 12

ჩვენი აზრით, მთავარი პრობლემა აქ მაინც შემდეგია: ვინ და როგორ უნდა განსაზღვროს რომელიმე რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები და მათთან დაკავშირებული კონკრეტული სოციალური, კულტურული, თუ სამეურნეო ამოცანები. ასეთმა მიზანმიზნი წარმოქმნა იდგა, რათა შექმნილიყო საქართველოში საექლესიო საოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ხელშეწყობი საქართველოში ფონდი „ივერია“, რომლის ძირითადი სამოქმედო არეალი შემდეგია:

1. აგროსამრეწველო წარმოების განვითარება საპატრიარქოს მეურნეობებში, ეპარქიებში, ცალკეულ ეკლესია-მონასტრებში თუ მათთან ახლომდებარე დასახლებებსა და ფერმერულ მეურნეობებში;
2. საქართველოს ეკლესის ურთიერთობებზე ზრუნვა სხვადასხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან (საბერძნეთი, კვიპროსი, რუსეთი, ამერიკა, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვ.) და მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილების შესწავლა-გამოყენებისთვის ხელშეწყობა;
3. საქართველოს ეკლესის სახელმწიფოსთან, სამეწარმეო და არასამთავრობო სექტორებთან სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობებისთვის ხელშეწყობა;
4. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და შიდამიგრაციული მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით ქმედითი საქველმოქმედო ღონისძიებების გატარება;
5. ემიგრანტთა – უცხოეთში საშოგარზე წასული საქართველოს ასიათასობით მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნებაზე ზრუნვა მათთვის აგროსამრეწველო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნის გზით;
6. საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მაქსიმალურად ამოქმედებაზე ზრუნვა;

7. სხვადასხვა სახის საქელმოქმედო საქმიანობის განხორციელება საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენებისათვის, მიუხედავად ეროვნებისა, რასისა და რელიგიური აღმსარებლობისა.

ფონდი „ივერიის“ შექმნის იდეის ირგვლივ შემოიკრიბა სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო თუ სამეცნიერო დაწესებულებათა მრავალი მეცნიერ თანამშრომელი, თეორიტიკოსი თუ პრაქტიკოსი, რომელთაც მხოლოდ ერთი უანგარო სურვილი ამოძრავებთ – საქართველოში შედგეს ქართული ტრადიციული ეკონომიკა. მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფით საინიციატივო მუშა ჯგუფის წევრებს, რომლებმაც უკვე სერიოზული სამუშაოები შეასრულეს ენთუზიაზმით და მზად არიან მომავალშიც ქმედითად ითანამშრომლონ.

იდეის ეფუძნების გამოვლენის მიზნით, როგორც წინასწარი აპრობირება, საინიციატივო მუშა ჯგუფის მიერ ჩატარდა რიგი ღონისძიებები. კერძოდ:

მუშა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა სამთავისისა და გორის ეპარქიის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორი დიდი მეურნეობა (შედგა მუშა ჯგუფის შეხვედრა მეუფე ანდრიასთან), მარტყოფის მამათა მონასტრის მეურნეობა და მიმდებარე მიწები, კრწანისის ტყებარების მეურნეობები, ბოლნისის ეპარქიის სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობები და სხვ. აგრეთვე შედგა სხვა ცალკეულ პირებთან (ეკლესიის შიგნით თუ გარეთ) შეხვედრები და გამოცდილება-პერსპექტივების შესახებ აზრთა გაცვლა. გაანალიზდა (ლაბორატორიულ დონეზე) ზონების სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის, აგროტურიზმისათვის თუ სხვა დანიშნულებებისთვის მიზანშეწონილობა.

ამ მიზნით, სამთავისისა და გორის ეპარქიის ერთ-ერთ მეურნეობაში ჯგუფმა შეისწავლა ზონების ნიადაგურ-გეოკლიმატური პირობების მაჩვენებლები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნის პირობები და დასახა მეურნეობის პერსპექტიველი განვითარების გზები.

ფონდის მიერ ჩატარებული ყველა სამუშაო (რომელიც დაეფუძნება საქართველოს ტრადიციულ ეკონომიკას, რაც ქვეყნის განვითარების უაღმერნატივო გარანტის წარმოადგენს) სათანადო საფუძველს შეუქმნის დაინტერესებულ ინკუსტორს, რათა მოახდინოს ინკუსტირება შესაბამისი მეურნეობის განვითარებისთვის.

სამომავლოდ ფონდი ითვალისწინებს მსგავსი სამუშაოების ჩატარებას და შედეგების განზოგადებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში, რაც პერსპექტივაში ხელს შეუწყობს საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, აგრობიზნესში მუშახელის დასაქმებასა და მაღალმომიანი რაიონებისა და საზღვრისპირა სოფლების აღორძინებას.

ფონდი იურიდიულად დაფუძნდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხველის საფუძველზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ფონდი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საეკლესიო სამართლის შესაბამისად. ფონდი თავისი მიზნებიდან გამომდინარე, იმოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ფონდის ძირითადი მიზნები და ამოცანები შემდეგნაირად შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული:

1. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის (შემდგომში – საქართველოს ეკლესია) ეპარქიათა შორის და მსოფლიოს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან კოლეგიალური ურთიერთობების გაღრმავებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
2. ახალი ცოდნის მიღების, ინოვაციური იდეების წარმოჩნდის, მათი რეალიზაციისა და პიროვნების თვითგამოხატვისათვის საჭირო პირობებისა და საშუალებების შექმნა;
3. ახალგაზრდა სპეციალისტებში საზოგადოებრივი ცნობიერების

ამაღლებისათვის ზრუნვა, რაც საფუძველია შემდგომი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის;

4. საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკისა და სისტემის სრულყოფის მიმართულებით დასაბუთებული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება-ჩამოყალიბება და მათი პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება;
5. რეკიონების სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და შიდამიგრაციული მდგომარეობის გაჯანსაღება;
6. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან (საბერძნეთი, გვიპროსი, რუსეთი, ამერიკა, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვ.) ურთიერთობებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილების შესწავლა-გამოყენებისთვის ხელშეწყობა;
7. საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მაქსიმალურად ამოქმედებისთვის ზრუნვა;
8. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური ბაზის განტკიცებისთვის ხელშეწყობა;
9. საქართველოს ეკლესიის სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობებისთვის ხელშეწყობა სახელმწიფოსთან, სამეწარმეო და არასამთავრობო სექტორებთან;
10. აგროსამრეწველო წარმოების განვითარება საპატრიარქოს მეურნეობებში, ეპარქიებში, ცალკეულ ეკლესია-მონასტრებში, კიბუცების ტიპის სამეურნეო დასახლებებში, ეკლესიაზე მიწერილ სოფლებსა და ფერმერულ მეურნეობებში;
11. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ხელშეწყობა;
12. ჰუმანიტარული დახმარების განვითარების პროექტების განხორციელება;

13. კავშირის გაღრმავება სახელმწიფოს, ეკლესიას, მეცნიერებასა და ბიზნესმენებს შორის;
14. პიროვნების მიერ საქმიანობის თავისუფალი შერჩევის უფლების რეალიზაციის გაფართოება, ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა და მაღალეფექტური წარმოებაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმება;
15. საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება საზოგადოების სოციალურად დაუცელი ფენებისათვის, მიუხედავად ეროვნებისა, რასისა და რელიგიური აღმსარებლობისა;
16. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცება და შრომის კონსტიტუციური უფლების საყოველთაო რეალიზაცია;
17. უცხოეთში საშოგარეზე წასული საქართველოს ასიათასობით მოქალაქის სამშობლოში დაბრუნებისთვის ხელშეწყობა;
18. საზოგადოებაში მომავლის იმედის ჩანერგვა და სულიერ-მატერიალური პარმონიის მიღწევის რწმენის დამკვიდრება;
19. ოჯახური ბიზნესის განვითარების კვალობაზე ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცება.
20. მეთოდური და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება ეკონომიკური ცოდნის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატებისათვის;
21. ახალგაზრდებში (მათ შორის, სკოლის მოსწავლეებში) თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის მიღწევების გავრცელება ზეპირი და ბეჭდვითი ინფორმაციის საშუალებით;
22. დისკუსიების, სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების, შეხვედრების, ინტელექტუალური თამაშების, ტრეინინგებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზაცია;
23. სოციოლოგიური გამოკითხვების გზით თანამედროვე აქტუალურ საფინანსო გადაწყვეტილებებსა და პრობლემებზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;

24. სახელმწიფო, კომერციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ცალკეულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან (მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ) საქმიანი კავშირების დამყარება, ხელშეკრულებების დადება და თანამშრომლობა ფონდის მიზნებიდან გამომდინარე;
25. სამეცნიერო ორგანიზაციებთან, ქვეყნის გამოჩენილ ეკონომისტებთან და მეცნიერებთან, სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზაცია;
26. ფართო სპექტრის სპეციალიზებული (ეკონომიკური) ბიბლიოთეკის დაარსება;
27. ახალგაზრდა სპეციალისტების სახელმძღვანელოებითა და ინფორმაციული მასალებით უზრუნველყოფაში ხელის შეწყობა;
28. ქვეყნის შიგნით და უცხოეთში ახალგაზრდების სტაჟირებისადმი ხელის შეწყობა;
29. ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმებაში ხელის შეწყობა;
30. სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის სტიპენდიების დანიშვნა;
31. საკუთარი საინფორმაციო საშუალებების დაფუძნება;
32. კანონით დადგენილი წესით საგამომცემლო, მთარგმნელობითი და სხვა საქმიანობის წარმართვა;
33. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის წარმართვა.

#### **4.2.7. საპროექტო წინადაღება — „აგროეკოლოგიური ტერიტორია“**

დღეისათვის აგროეკოლოგიური ტურიზმი მსოფლიოს მასშტაბით უაღრესად საინტერესო და სწრაფად მზარდ დარცის წარმოადგენს. ეს არის ეკოტურიზმის ნაირსახეობა, მისი შემადგენელი ნაწილი, ფერმერულ (აგროეკოლოგიურ) ობიექტებზე დამყარებული ტურიზმი.

ფერმერული მეურნეობა, რომელიც ღებულობს ტურისტებს, უნდა მდებარეობდეს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ლამაზ ბუნებაში; მიმდებარე ტერიტორიაზე კონცენტრირებული უნდა იყოს ისტორიული და კულტურული ძეგლები, ხოლო ფერმის ტერიტორიაზე იწარმოებოდეს ტურისტისათვის საჭირო კვების პროდუქტების 40%. ასეთი სახის ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ფერმის ტერიტორიაზე შენარჩუნებული იყოს მეურნეობის, ხალხური რეწვისა და ხელსაქმის ტრადიციული ტექნოლოგიები.

ჩვენი ქვეყნისათვის აგროეკოლოგიური ტურის საპროგრამო თემაში შეიძლება შედიოდეს მთლიანად საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების აგროეკოლოგია, მეურნეობა, გეოგრაფია, ისტორია, რელიგია, კულტურა, ეთნოლოგია და სხვ.

საქართველოში მთის პრობლემა ყოველთვის მწვავედ იდგა. მმიერ ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მეწყვერსაშიშროება, მწირი მიწა, უგზონისა და მრავალი სხვა ფაქტორი იქაური მოსახლეობის ყოფას გაუსაძლისს ხდიდა. ასეა დღესაც. საბჭოთა პერიოდში ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მთის ზონებიდან მოსახლეობის ბარში ჩამოსასწლებაში დაინახეს. ასე ჩამოასასწლეს სვანები თეთრიწყაროსა და მარნეულში, აჭარლები — ნინოწმინდაში, ხევსურები — სოფელ გამარჯვებაში და სხვაგან. ამ ღონისძიებაში ქვეყანას არავითარი ეფექტი არ მოუტანა არც ეკონომიკურად და არც დემოგრაფიულად, გარდა იმისა, რომ ჩამოსახლებული მოსახლეობა ვერ შეეგუა ადგილობრივ კლიმატს და დაავადმყოფდა. შედეგად დაიცალა ხევსურეთი, იცლება სვანეთი, ხევი და აჭარის მთის ზონა.

საქართველოს საზღვარი მთებზე გადის — ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით — კავკასიონი, სამხრეთით — სამხრეთ საქართველოს მთიანეთი. მთის მოსახლეობა ყოველთვის იყო საქართველოს საზღვრის მცველი და თუ საბჭოთა პერიოდში ამას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და ჩვენი საზღვრები ჩვენვე უნდა დავიცვათ. ამას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ საქართველოს საზღვრების გადმოწევა მის სხვადასხვა ნაწილში პერიოდულად მიმდინარეობს (აზერბაიჯანთან, სომხეთთან ისე, რომ ამას ჩვენ ვერც ვიგებთ). ვერ ვიგებთ იმიტომ, რომ ის ადგილები ცარიელი და დაუსახლებელი გვაქვს. ყოველივე ეს საქართველოს მთის მიმართ ჩვენი არასწორი პოლიტიკის შედეგია.

მთლიანად საქართველოსათვის, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ისეთი პოლიტიკის შემუშავება-გატარება, რომელიც მთის მოსახლეობას მთაში დაამაგრებს, იქ უპოვის მათ საარსებო საშუალებას. ამისათვის არ კიარა ერთი რაღაც ტიპიური პროგრამის მიღება და მთის ყველა რეგიონში მისი გავრცელება. საჭიროა მთის ყველა რაიონს, ყოველ სოფელს ინდივიდუალურად მივუდგეთ და მათი განვითარების მოდელები ადგილობრივ რესურსულ პოტენციალზე დაგაფუძნოთ.

საქართველოს მთის ზოგიერთ რაიონს წიაღისეული საბადოები აქვს (სვანეთი, რაჭა, აჭარა), ზოგს — სასოფლო-სამურნეო სავარგულები (წალკა, დაბანისი, თეთრიწყარო), ზოგს — რეკრეაციული რესურსები (რაჭა, ბორჯომი, ხევი, მესტია და სხვა), ზოგს ერთიც, მეორეც და მესამეც (სვანეთი, რაჭა). ამსთან, ყველა რეგიონში დიდი პოტენციალია აგროეკოლოგიური და რელიგიურ-სამოძლოცველო ტურიზმის განსავითარებლად.

ასეთ რაიონებს კომპლექსური განვითარების მოდელი უნდა შევუდგინოთ. ამისი კარგი მაგალითია ბორჯომის რაიონი, სადაც მინერალური წყლის ჩამოსხმაც ხდება, სატყეო მეურნეობაც არის განვითარებული, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიც მუშაობს (ტურისტებს დებულობს), სოფლის მეურნეობაც სათანადო

დონეზეა განვითარებული და რელიგიური ტურიზმიც ვითარდება. ასეთი კომბინირებული მეურნეობები შეიძლება მოეწყოს ხევში, სვანეთში, რაჭაში, ახმეტაში, თეთრიწყაროში და სხვაგან.

საქართველოს მთან რაიონებში წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ ტურიზმი. ეს დარგი მთავრობის მიერ პრიორიტეტულადაა მიჩნეული, მაგრამ იგი უნდა განვითარდეს გეგმაზომიერად და არა ისე ქაოტურად, როგორც ეს ახლა ხდება. კერძოდ, საქართველოს მთელი მთანეთი უნდა დაიქსელოს ტურისტული მარშრუტებით, რომლებიც უნდა დაიტოტოს ისე, რომ მთის ყველა სოფელში შედიოდეს. ეს ძალზე რთული, მაგრამ აუცილებლად გასაკეთებელი და შესაძლებელი საქმეა. ამისი კარგი მაგალითია კარპატები – გუცულების მხარე, რომლის მოსახლეობა, ძირითადად, ტურისტების მომსახურებით არის დაკავებული, ვინ მეგზურებად დაჰყვება მათ, ვინ მცველებად, ვინ ღამეს ათენებინებს, ვინ ასადილებს და ასაუზმებს, ვინ ტრადიციულ გასართობ საღამოებს უწყობს და ა.შ. კარპატებში ეს ყველაფერი ჩარჩო-მოდელის ფარგლებში და მის შესაბამისად ხდება. შედეგად, სტუმარიც კმაყოფილია და მასპინძელიც.<sup>160</sup>

ოპონენტები შესაძლოა შემოგვედავონ იმაში, რომ საბაზრო ეკონომიკის დროს არ შეიძლება ამ საქმეში სახელმწიფოს ჩარევა, ვინაიდან ბიზნესი „უწილავმა ხელმა“ უნდა მოაწესრიგოს. ოპონენტთა ასეთი მოსაზრება, ზოგადად, სწორია, მაგრამ აქტიური სახელმწიფო რეგულირების გარეშე ტურიზმის განვითარებას დიდი დრო დასჭირდება და ამასობაში შეიძლება საქართველოს მთანეთი სულ დაცარიელდეს მოსახლეობისგან.

გამომდინარე აქედან, მივვაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „საქართველოს მთანეთი“, გამოიყოს სათანადო დაფინანსება, შეიქმნას პროგრამის ტოპ-მენეჯმენტი და შემსრულებელ სპეციალისტთა გუნდები. ტოპ-მენეჯმენტი იმუშავებს ქ. თბილისში, სპეციალისტთა გუნდები

160 დამატებით იხ.: ბაქაშვილი ნ., მესხიშვილი დ. საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება მთანეთიდან უნდა დაწყოს. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამცნოებო კონფერენციის მოსხენებათა კრებული. თსუ გამომცემლობა, თბ., 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.

კი – მთის რაიონებში. ყველა რაიონს თავისი გუნდი ეყოლება.

სპეციალისტთა გუნდებმა მართვის ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით უნდა შეისწავლონ მათზე გაპიროვნებული რაიონის რესურსები შესაძლებლობები, ეკონომიკის დღევანდელი მდგრამარეობა, სატრანსპორტო კავშირები და სხვა. მათ უნდა შეადგინონ რაიონის მომავალი განვითარების მოდელები, რომლებშიც ცალკეული სოფლების განვითარების მინიმდელები უნდა იყოს ჩადებული. ამ მოდელების შედეგენის დროს ადგილობრივი მოსახლეობის აზრიც უნდა იქნეს აუცილებლად გათვალისწინებული. მეტიც, ამ პროგრამის ტოპ-მენეჯმენტმა არათუ თითოეული სოფლის, არამედ სოფელში თითოეული ოჯახის კეთილდღეობასა და მთაში მის დამაკრებაზე უნდა იფიქროს. ამისათვის მოდელში სოფლის თითოეული ოჯახზე ისეთი საქმის შესრულება უნდა გაიწეროს, რომელიც ოჯახის წევრებს ყველაზე უკეთ ხელეწიფებათ. საქმის წარმართვაზე პასუხისმგებლობა ოჯახის უფროსმა უნდა აიღოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტურისტული მომსახურების ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი კარპატებშია გამოყენებული. იქ ჩასული ტურისტული ჯგუფი ყველა სოფელში შედის და კარდაკარ, ეზო-ეზო ეცნობა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფას. უცხოელებს ეს ძალიან აინტერესებთ. ასეთ დღეებში სოფელი ჩევეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, იმ განსხვავებით, რომ ამ დროისათვის ადგილობრივი მოსახლეები იმოსებიან ეროვნული გუცულური ტანსაცმლით, აწესრიგებენ საოჯახო მეურნეობას და გასაყიდად გამოჰყენენ ხალხური რეწვის ნაკეთობებს.

ტურისტების მომსახურე ღონისძიებები ყველა სოფელში წინასწარ არის დაგეგმილი. ერთ სოფელში რომ ჯგუფი საუზმობს, მეორე სოფელში სადილობს, მესამეში ისვენებს, მეოთხეში ესწრება ადგილობრივ გასართობს, მეხუთეში ვახშმობს, მეექვსეში იძინებს, დამეს ათევს და შემდეგ ეს ჯაჭვი იწყება და მთავრდება სხვა სოფლებში. საუზმე, სადილი თუ ვახშამი იმართება იმ სახლში, სადაც 20-30 კაცის ტევადობის საოჯახო რესტორანია მოწყობილი, რომელშიც როგორც მოცემული ოჯახის წევრები,

ასევე სოფლის სხვა მცხოვრებნიც არიან დასაქმებული. მოსახლეობის ნაწილი კი ასეთ რესტორანს ამარაგებს საკუთარი წარმოების პროდუქტებით – ხორცით, ყველით, რძით, კარტოფილით, ხახვით და ა.შ. ეს ყველაფერი წინასწარ იგეგმება და სათანადო ხელშეკრულებებიც ფორმდება.

კარპატებში მოგზაურობისას პირადად დავრწმუნდით იმაში, რომ ასეთნაირად აწყობილი „სტუმარმასპინძლობა“ დიდ სიამოვნებას ანიჭებს სტუმრებს და საკმაოდ მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს მასპინძელს. ტურიზმის ასეთი მოდელის დროს მასპინძელი მთელი სოფელია. შემდეგ ეს გადადის შვილებსა და შვილიშვილებზე, რომელიც ბავშვობიდან ეჩვევიან ამ საქმეს, უყვარდებათ იგი და მომავალშიც სიამოვნებით აგრძელებენ მას.

ხშირად საქმე ისე ვითარდება, რომ სტუმრები, რომელთაც ძალზე მოეწონებათ რომელიმე სოფელი, მათი ხელსაქმე და ხელნაკეთობები, ხშირად სტუმრობენ მას და ეს ნაწარმი პარტიობით გაქვთ საზღვარგარეთ. ამ გზით სოფლის ოჯახები კარგ შემოსავალს ღებულობენ.

სწორედ ასეთ ტურისტულ მოდელს ვთავაზობთ საზოგადოებას საქართველოში დასანერგად, რაც, დარწმუნებული ვართ, სწრაფად ვანავითარებს ქვეყნის მთიან რეგიონებს, აღვილზე დაამაგრებს მოსახლეობას და გააუმჯობესებს მის ყოფას.

საქმის ასეთი მოგვარებისათვის არ არის საკმარისი, რომ შეიქმნას სამთავრობო პროგრამა „საქართველოს მთიანეთი“, დაკომპლექტდეს მისი ტოპ-მენეჯმენტი და სპეციალსტთა რაონული ჯგუფები. ამის პარალელურად უნდა გამოიყოს დაფინანსება თითოეული სოფლის ოჯახისთვის მათზე გაწერილი საქმის შესასრულებლად. ეს დაფინანსება უნდა იყოს გრძელვადიანი (10-15 წელი) და იაფფასიანი (არა უმეტეს წლიური 6%) კრედიტი.

კრედიტის დაფარვა უნდა დაიწყოს ოჯახის გაძლიერების შემდეგ და არა კრედიტის მიღებისთანავე. ასეთი ფინანსური თანადგომის გარეშე არ უნდა დარჩეს მთის ზონის არც ერთი ოჯახი.

ცხადია, ასეთ იაფფასიან კრედიტს კომერციული ბანკები არ

გასცემენ. ეს უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, იმ გრანტით ან იმ კრედიტებით, რომლებიც საქართველოში შემოდის.

აუცილებელია ორიენტირის შეცვლა – ჩვენი სამშობლოსკენ, ჩვენი მამულისკენ შემობრუნება. უნდა გავაკეთოთ არა სხვისი მოსაწონი და სხვისთვის სასარგებლო, არამედ ჩვენი მოსახლეობისათვის საჭირო საქმე. ეს კი ძნელად საორგანიზაციო არ არის, რადგან გვაქვს რესურსები მთაშიც და ბარშიც, გვაქვს საწარმოო რესურსების გადარჩენილი ნაწილი, შრომითი რესურსებიც არ გაფანტულა მთლიანად. საჭიროა მხოლოდ მამულიშვილური მოწაფინება, რომ ავამუშავოთ ეს სიმძლავრეები და ხალხი დავასაქმოთ.

ნუ დავდონდებით, თუ პირველ ეტაპზე ჩვენი პროდუქცია ექსპორტზე ვერ გავა, ჯერჯერობით მას შეიდა ბაზარიც ეყოფა, რომელიც ამჟამად გადაჯერებულია თურქეთიდან, საბერძნეთიდან, ირანიდან, ბულგარეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი არაკეთილსაიმედო პროდუქციით.<sup>161</sup>

საქართველოსკენ შემობრუნება მთავარი უნდა დავიწყოთ, ვინაიდან საქართველოს საზღვრები მთებზე გადის, საზღვარს კი მესაზღვრებთან ერთად საზღვრისპირა მოსახლეობა უნდა იცავდეს.

განხილული საკითხის აქტუალობაზე საქართველოს საპატრიარქოც ამავილებს სათანადო ყურადღებას. 2005 წლის 27 ივნისს საქართველოს კაოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სინოდის წევრებს შესთავაზა საკითხი სოფლის მეურნეობისა და მომლოცველობითი სამსახურის განვითარების შესახებ.

მოსახლეობის დასაქმებისა და მცირე ბიზნესის განვითარების ინტერესებულან გამომდინარე, წმ. სინოდმა მიზანშეწონილად მიიჩნია საჩვენებელი მეურნეობებისა და ფერმების შექმნა და ამ მიზნით სოფლის მეურნეობის მუშაკთა და ბიზნესმენების მონაწილეობით საქმიანი შეხვედრების მოწყობა, ხოლო მომლოცველობითი საქმი-

161 იხ.: აგრეთვე: საქართველოს კაოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008/2009 წლის სამობაო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“. 2009, №1, გვ. 5-6.

ანობის განვითარებისთვის – მონასტრებთან მომლოცველთათვის სასტუმროების აშენება.<sup>162</sup>

მთლიანობაში, საქართველოში სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მათი მომიჯნავე დარგების განვითარება ხელს შეუწყობს ეროვნულ-ქრისტიანული, კულტურული და სამეურნეო ტრადიციების აღორძინებას და ქვეყნის პროგრესულ წინსვლას თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე.

ქვემოთ გვინდა გადმოვცეთ ჩვენ მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადება – „აგროეკოლოგიური ტურიზმი“ პოტენციური ინვესტორებისათვის. პროექტს განახორციელებს ტურისტული კომპანია „ქართული სახლი“, რომელიც უნდა შეიქმნას საპროექტო წინადადების მიზნებიდან გამომდინარე.

### შპს ტურისტული კომპანია „ქართული სახლი“

სათავო (ქ. თბილისი) და რეგიონული ოფისები კახეთში (ქ. სიღნაღი), ქვემო ქართლში (ქ. ბოლნისი), ხევში (ქ. სტეფანწმინდა) და სვანეთში (ქ. მესტია)

საქართველოში და, კერძოდ, კახეთის, ქვემო ქართლის, ხევისა და სვანეთის რეგიონებში, აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარება, სათანადო ტუროპერატორული კომპანიის და მისი რეგიონული ოფისების შექმნის აუცილებლობა, სამეწარმეო-კომერციული მიზანშეწონილობა და რეალობა განპირობებულია შემდეგი ძირითადი გარემოებებით:

- საქართველო მდიდარია ტურისტული რესურსებით;
- კახეთის, ქვემო ქართლის, ხევისა და სვანეთის რეგიონებში, ისევე როგორც მთელ საქართველოში არსებული ტურისტული

162 იხილეთ: <http://www.patriarchate.ge/?action=sinodi>.

რესურსები და შესაბამისი ეკონომიკურ-ბიზნეს პოტენციალი არ არის სათანადოდ ათვისებულ-გამოყენებული;

- კახეთის, ქვემო ქართლის, ხევისა და სვანეთის რეგიონები უნიკალურია ულამაზესი ბუნებითა და საცეიფიკური ეკოლოგიური სისტემებით, დაცული ტერიტორიებით, სასოფლო-სამეურნეო და აგროსამრეწველო წარმოების მრავალსახეობით, და ფერმერული პროდუქციის მრავალფეროვნებით, საწარმოო მეთოდებითა და ტექნოლოგიებით, აგრეთვე, უმდიდრესი ეკონომიკურ-ეთნოლოგიურ-კულტურული ტრადიციებითა და ძეგლებით;
- აგროეკოლოგიურ ტურიზმს სათანადო ყურადღება არ ექცევა საქართველოში მოქმედი ტურისტული კომპანიების მიერ. მათ მიერ წარმოდგენილი მომსახურების პაკეტი, უმეტეს შემთხვევაში, არ შეესაბამება სათანადო კრიტერიუმებს ან არ მოიცავს აგროეკოლოგიური ტურიზმის კომპონენტებს;
- ახლო მომავალში მოსალოდნელია საქართველოში ტურისტული მეურნეობის და, კერძოდ, აგროეკოლოგიური ტურიზმის სწრაფი განვითარება და ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა;
- საქართველოს ტურისტული ბაზარი არ არის გაჯერებული. მასში შესვლა და ადგილის დამკვიდრება ადვილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება მომსახურების პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფილ იქნება სათანადო ინფრასტრუქტურით, შესაბამისი მომსახურე პერსონალითა და სწორი მენეჯმენტით;
- აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან იმპულსს მისცემს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის აღმავლობას, სოფლის მეურნეობის (მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების) და ეკონომიკურ-ეთნოლოგიურ-კულტურული ტრადიციების აღორძინებას და პროგრესულ წინსვლას, ამ და მომიჯნავე სფეროებში მოსახლეობის დასაქმებასა და მათი შემთხველების მნიშვნელოვან ზრდას;

- ყოველივე ზემოაღნიშნული კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სტაბილურ შემოსავლებს ტურისტული კომპანია „ქართული სახლისათვის“.

**ტურისტული კომპანია „ქართული სახლის“ მიზანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.**

კომპანიის მისია, ანუ უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოსა და მის ცალკეულ რეგიონებში აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას, დაასაქმოს მოსახლება და მიიღოს სტაბილური შემოსავლები.

უმთავრესი მიზნიდან გამომდინარე, თავის საქმიანობას კომპანია წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- თანამშრომლობა რეგიონების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან
- ეკოტურების დაგეგმვისა და მოწყობის მიზნით;
- რეგიონში მაქსიმალურად ხელუხლებელი, უნიკალური, ღამიაზი, სანიმუშო, სენსიტიური (მგრძნობიარე), ანთროპოგენურად დატვირთულ-დაზიანებული, დასაცავი და სასწრაფოდ აღსაღენი ბუნებრივი ობიექტების გამოვლენა სათანადო ეკოტურების დაგეგმვა-მოწყობის მიზნით და მათივე (ეკოტურების) საშუალებით. ზოგიერთი ეკოტური უნდა ითვალისწინებდეს ტურისტის შრომით მონაწილეობას დამტკაც და აღსაღენ სამუშაოებში;
- საფირმო-საოჯახო სასტუმროებისა და ფერმერული მეურნეობების შეძენა-მოწყობა და მხარდაჭერა მეურნეობის განვითარებისა და მის ბაზაზე ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზიდვისა და მომსახურების გაწევის მიზნით;
- საფირმო და დამოუკიდებელ ბიომეურნეობებში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია. ასეთი პროდუქციის ბაზაზე საფირმო ეკოკვების ობიექტების (რესტორნები, კაფეები, ძველებური დუქნები) ფუნქციონირება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული, უნიკალური,

ეგზოტიკური და მომგებიანი დარგების, მათ შორის მევენახეობის, მეწილეობის, მეაბრეშუმეობის, მეკაკლეობის (პლანტაციების სახით), მეყვავილეობის, მეცხველეობის (მაგ., მეცხვარეობა, მებოცვრეობა, მეცხნენეობის (მაგ., მეხოსხეობა, მეციცრეობა, მეფარშევნგეობა), მეთევზეობის, მეფუტკრეობის, მეღვინეობის, აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოების (მაგ., ვაშლის ძმრის), მეთუნეობა-მექვევრეობის (მაგ., თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბანში), „ზედაშეს“ კულტურის აღდგენა-განვითარება საფირმო და დამოუკიდებელი აგრომეურნეობების ბაზაზე;

- ბიოლოგიური, ქარისა და მიკრო-პიდროდნადგარებით ენერგიის მიმღები ტექნოლოგიების დანერგვა, წყლის წისქვილების აღდგენა-განვითარება საფირმო და დამოუკიდებელი აგრომეურნეობების ბაზაზე;
- მჰირღო თანამშრომლობა საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიებთან საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობების პოტენციალის სპეციალურ აგროეკოლოგიურ ტურებში ჩართვის მიზნით;<sup>163</sup>
- ხალხური რეწვის, ისტორიული, ეთნოგრაფიულ-კულტურული ფენომენების და ტრადიციების (თექა, აბრეშუმი, ეროვნული სამოსელი და ფეხსაცმელი, საოუკელირო ნაწარმი, სამკაულები, საბრძოლო იარაღები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სამეურნეო ხელსახურები, საოჯახო ნივთები და სხვ.) აღორძინება-განვითარება. ამისათვის სპეციალური საფირმო საწარმო-სარეალიზაციო ობიექტების (სახელოსნოები, მაღაზიები) შექმნა-ფუნქციონირება (თბილისში, სიღნაღმში, ბოლნისში, მესტიაში, შემდეგ – სხვა რეგიონებშიც);
- თემატური საგამომცემლო-პოლიგრაფიული საქმიანობა (სასურველია, საფირმო სტაბის შეძნა), პირველ რიგში – პერიოდული საფირმო საკონსულტაციო-სარეკლამო ჟურნალის „ქართული სახლის“ გამოშვება;

<sup>163</sup> ამ გუთხით ჩვენ მიერ ხორციელდება სამუშაო ბოლნისის ეპარქიის სათანადო პოტენციალის გამოსავლენად და დასადგენად.

- საოჯახო და ფერმერულ მეურნეობათა მუშაკების, ეკონომისტების, ბიოლოგების, პედაგოგების, კულტურული და სხვა სფეროების სპეციალისტებისათვის ახალი სამუშაო ადგილებისა და დამატებითი შემოსავლის წყაროების ამოქმედება ტურისტულ მეურნეობაში მათი ჩაბმის საშუალებით;
- ფასიანი საფირმო საკონსულტაციო-სატრეინინგო ტურისტული ბანაკების მოწყობა;
- საფირმო საკონსულტაციო-სატრეინინგო რესურს-ცენტრების ფუნქციონირება თბილისა და რეგიონებში, სადაც მსურველები საზღაურის ფასად შეისწავლიან ტურისტული და სამეურნეო-სარეწაო საქმიანობის ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა მიმართულებათა საფუძვლებს;
- პერსპექტივაში თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან სასოფლო-სამეურნეო ტურისტული დასახლებების (ებრაული კიბუცების მსგავსი ქრისტიანული თემების) შექმაფუნქციონირების საქმეში.<sup>164</sup>

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა ორი ეტაპი:

I ეტაპი – საქმიანობის გაშლისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

აგროეკოლოგიური ტურისტული საქმიანობის დაწყებისა და გაშლა-განვითარებისათვის აუცილებელია კომპანიასთან შეიქმნას სათავო (თბილისში) და რეგიონული ოფისები (პირველ რიგში – სიღნაღმი, ბოლნისში, სტეფანწმინდასა და მესტიაში, შემდეგ – სხვა რეგიონებში).

I ეტაპზე საჭიროა კომპანიის სათავო (თბილისში) და 4 რეგიონული ოფისის შექმნა (სიღნაღმი, ბოლნისში, სტეფანწმინდასა და მესტიაში) და სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობის

გაშლისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. ამავე ეტაპის გარკვეული პერიოდიდან დაგეგმილა დაიწყოს სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობის ნაწილი (იხ.: ქვემოთ, I ეტაპის უმთავრესი ამოცანების ჩამონათვალში).

**II ეტაპი – სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობის სრული გაშლა და განვითარება.**

I ეტაპის უმთავრესი ამოცანებია (განხორციელების მიახლოებითი ვადები გათვლილია ინვესტორის მიერ დაფინანსების დაწყების 1-ლი დღიდან):

1. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგისტრაცია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტურისტული კომპანია „ქართული სახლი“ – (15-20 დღე).
2. კომპანიის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა და განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება – (15-20 დღე).
3. კომპანიის სათავო და რეგიონული ოფისებისა და სამეურნეო ობიექტებისათვის პერსონალის დაქირავება კონკურსის საფუძველზე – (10-15 დღე).
4. კომპანიის სათავო ოფისისათვის ქ. თბილისში ფართის (დაახლ. – 50-70 კვ. მ.) და სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის შექმნა – (15-20 დღე).
5. კომპანიის სათავო ოფისისათვის 3 ავტომობილის (1 – მსუბუქი, 1 – ჯიპი, 1 – მიკროავტობუსი) შექმნა – (5-15 დღე).
6. კომპანიის ინტერნეტსაიტის შექმნა, სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტებისა და საკონსულტაციო-სარეკლამო ჟურნალ „ქართული სახლის“ გამოცემა და მიზნობრივი გავრცელება. ჟურნალის რეალიზაციით კომპანია I ეტაპზევე მიიღებს შემოსავალს – (1-4 თვე).
7. კავშირურთიერთობის დამყარება დაინტერესებულ პირებთან და

164 ბოლნისის ეპარქიაში ქრისტიანული თემის (კიბუცის) შექმნის საპროექტო წინადაღება იხილეთ 4.2.8.-ში.

- ორგანიზაციებთან საქართველოში და უცხოეთში – (15-30 დღე).
8. რეგიონული ოფისებისათვის (სიღნაღმი, ბოლნისში, სტეფანწმინდასა და მესტიაში) ფართისა (თითოეული დაახლ. – 50 კვ. მ.) და სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა – (15-20 დღე).
  9. სიღნაღმი, ბოლნისში, სტეფანწმინდასა და მესტიაში მოზრდილი ეზოიანი სახლების შეძენა ან აშენება, სადაც განთავსდება: სასტუმრო (20-30 ადგილზე), ეროვნული სამოსელის და ფეხსაცმლის კერვა-მოდელირების და ხალხური რეწვის სხვა სახეობების (მაგალითად, თექის მოთელვის, საიუველირო, ქარგვის, ქსოვის, ხის დამუშავების და სხვ.) სახელოსნოები, საკონსულტაციო-სატრენინგო რესურს-ცენტრი, ორანჟერეა, სახოხბე-საციიცირე-საფარშევანგე, სათევზაო აუზი, მარანი არყის სახდელითურთ, ტრადიციული თონე, ეკოკების ეროვნული რესტორანი (მოშაახურეთა ტრადიციული ტანსაცმელი, გალობა, სიმღერა და სხვ.), საფირმო მაღაზია და სხვ. ამ ობიექტებს I ეტაპზევე შეეძლებათ შეუდგნენ სამეწარმეო-ტურისტულ საქმიანობას და მიღლოს ტურისტები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მომხმარებელი – (1-5 თვე).
  10. თითოეული რეგიონული ოფისისათვის 3-3 ავტომობილის შეძენა (1 – მსუბუქი, 1 – ჯიპი, 1 – მიკროავტობუსი) შეძენა – (5-20 დღე).
  11. კომპანიის რეგიონული ოფისებისათვის ინტერნეტსაიტების შექმნა, სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა და მიზნობრივი გავრცელება – (1-4 თვე).
  12. რეგიონებში საოჯახო სასტუმროებისა და აგრარული მეურნეობების გამოვლენა-რეგისტრაცია, რომლებსაც გააჩნიათ სურვილი და შესაბამისი პირობები უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების განთავსებისა და მომსახურებისათვის.<sup>165</sup> საჭიროების შემთხვევაში ასეთი ობიექტებისათვის სათანადო კონსულ-

<sup>165</sup> ბოლნისის რაიონში ჩვენ მეტ უკვე მიმდინარეობს მუშაობა მრევლში ასეთი ობიექტების შერჩევის მიზნით.

- ტაციების ჩატარება და სესხითი თანხების გაცემა. ეს მეურნეობები სისტემატურად მიაწვდიან კომპანიას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას, რომელიც გაყიდულ-გამოყენებულ იქნება კომპანიის მაღაზიებში და რესტორნებში. ასეთ ობიექტებს I ეტაპზევე შეეძლებათ შეუდგნენ სამეწარმეო-ტურისტულ საქმიანობას და კომპანიას მოუტანონ შემოსავლები – (1-7 თვე).
13. მიწის ფართობის შეძენა სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში, სადაც აშენდება ღვინის მარანი, მოეწყობა მეურნეობა (მაგალითად, თხების საშენი, კაკლის პლანტაცია და სხვ.). ანალოგიური რამ შეიძლება გაკეთდეს კომპანიის სხვა რეგიონებშიც. ასეთ ობიექტებს I ეტაპზევე შეეძლებათ შეუდგნენ სამეწარმეო-ტურისტულ საქმიანობას და კომპანიას მოუტანონ შემოსავლები – (1-7 თვე).
  14. უნდა მომზადდეს 20-25 კვალიფიციური გილი კომპანიის სათავო და რეგიონული ოფისებისათვის – (15-30 დღე).

#### პროექტის I ეტაპის განხორციელებას დასჭირდება 3-7 თვე.

კომპანიას I ეტაპზევე შეეძლება შეუდგეს სამეწარმეო-ტურისტულ საქმიანობას და მიღლოს ტურისტები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მომხმარებელი, რაც მოიტანს შემოსავლებს.

პროექტის I ეტაპის დაფინანსებისათვის საჭირო თანხების ზუსტი გათვლა მიზანშეწონილი და შესაძლებელი იქნება ინვესტორთან მოლაპარაკების, მისი თანხმობისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ.

#### პროექტის II ეტაპი – სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობის სრული გაშვლა და განვითარება.

კომპანიის სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობა ნაწილობრივ დაიწყება I ეტაპის გარკვეული პერიოდიდან (იხ.: ზემოთ I ეტაპის უმთავრესი ამოცანების ჩამონათვალში) და სტრატეგიული გეგმის მიზედვით სრულად გაიშლება I ეტაპის დასრულების შემდეგ.

პოტენციური ინგესტორის მიერ წინამდებარე წინადადების მხარდაჭერის შემთხვევაში მას წარედგინება პროექტის სრული და საბოლოო გარიანტი შესაბამისი ბიუჯეტის ჩვენებით.

#### **4.2.8. საპროექტო წინადადება — „ქართული ქრისტიანული თემის დაარსება წულოულაშენის მონასტერთან (ებრაული კიბუცის ქართული გარიანტი“**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროგრესული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური გამოცდილების შესწავლა-გამოყენებას. სახელმძღვანელო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აზრით, ამ სფეროში, დიდი შედეგების მოტანა შეუძლია ებრაული კიბუცების ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო ამსანაგობების (ქრისტიანული თემის) შექმნას საქართველოს სათანადო რეგიონებში.

ისრაელის სოფლის მეურნეობის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები წარმოადგენენ. ამ ქვეყანაში მოქმედებს კოოპერატივის ძირითად ორი ტიპი: კიბუცები („კომუნალური მეურნეობა“) და მოშავები („მუშათა დასახლებები“). ესაა უნიკალური კოლექტიური ფორმაციები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა და ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (1947 წ.) ინტენსიურად დაიწყო განვითარება.

კიბუცები და მოშავები დომინირებენ ისრაელის სოფლის მეურნეობაში, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები:<sup>166</sup>

- მათ წილად მოდის ქვეყანაში წარმოებული აგრარული პროდუქციის 80%;
- ისინი ამუშავებენ სახნავი მიწების 70%-ს;
- ფლობენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ფონდების 75%-ს.

166 იხ.: შიხაშვილი მ. საქართველოსა და ისრაელის საგარეო-ეკონომიკური კავშირები და მათი განვითარების პერსპექტივები. სამაგისტრო ნამრომი. ზელმდვანელი პროფესორი თ. ლაჭყნებიანი. თბ., 2007, გვ. 33-34.

კიბუცები კოოპერატიულ ფორმას წარმოადგენენ, სადაც წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრება ვრცელდება, ადგილი აქვს ასევე ცენტრალიზებულ განაწილებას. კიბუცის წევრები არ ღებულობენ გასამრჯელოს, მაგრამ უზრუნველყოფილი არიან ყველა საჭირო ნივთით. აქ მოქმედებს ცენტრალიზებული საზოგადოებრივი კვება (საერთო სამზარეულო, საერთო სასადილო), საერთო სამრეცხაო და ა.შ., სადაც სამუშაოს მორიგეობით ასრულდება.

კიბუცებში ცხოვრობს ისრაელის მოსახლეობის 3%. მთლიანად კიბუცების რაოდგნობა სამას აღწევს.

კიბუცები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარდა, ეწევიან ასევე სამრეწველო საქმიანობას და ემსახურებიან ტურისტებს, რაც მათ მოქნილობას ადასტურებს.

ძირითადი დეები, რომლებსაც ეყრდნობა კიბუცის ფენომენი, გამოკვლეული და ჩამოყალიბებულია XX საუკუნის 20-ან წლებში. ლებლის ნაშრომში „კვუცის კანონი“:<sup>167</sup>

1. შრომის საერთო მოვალეობა;
2. კოლექტიური შრომა და თვითმმართველობა სამუშაო დროის განაწილებით;
3. კომუნური ტიპის ცხოვრება კიბუცში ცხოვრების თანაბარ პირობებში;
4. უფლებების თანასწორობა საზოგადოებასა და მეურნეობაში;
5. დამოუკიდებელი არჩევანი სამუშაო ორგანიზაციის დამტკიცებისას;
6. თითოეულის პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ;
7. დისციპლინა მეურნეობის ყველა სფეროში და თემის ცხოვრებაში;
8. თითოეულის თავისუფლება ისეთ საკითხებში, როგორიცაა პოლიტიკა, რელიგია, პარტიები და სხვ.
9. დაქირავებული შრომის უარყოფა კიბუცის მეურნეობაში;

167 იხ.: [www.avtonom.org/lib/theory/israelkibbutz.html](http://www.avtonom.org/lib/theory/israelkibbutz.html). p.2.

- შრომისუნარიანობის ასაკის მიღწევამდე ბაგშვების საზოგადოებრივი აღზრდა და კვება;
- მოხუცებულთა და შრომისუნაროთა უზრუნველყოფა;
- ქალებისათვის ეკონომიკური შრომითი საქმიანობის ახალი სფეროების გამოვლენა;
- კიბუცის ყველა წევრის (ქალების და კაცების) თანაბარი მოვალეობა – იმუშაონ შინამეურნეობაში (სამზარეულო, რეცხვა და სხვ.);
- კიბუცის წევრთა თავისუფალი შეღწევადობა სამეურნეო პრობლების განხილვა-მოგვარებაში (მეურნეობის მოცულობა, დარგები, განათლება და კვალიფიკაცია);
- მუდმივი მისწრაფება წარმოების ზრდისადმი;
- კიბუცის გაფართოება მისი სამეურნეო შესაძლებლობების ფარგლებში;
- კიბუცის წევრების ურთიერთდახმარება, როგორც ზემოაღნიშნული მე-3 იდეის გაგრძელება.

კიბუცების მენეჯმენტის მკვლევარი ნ. გოლომბი თავის ნაშრომში „კიბუცის მენეჯმენტი – პირდაპირი დემოკრატია პრაქტიკაში“, აყალიბებს კიბუცში პირდაპირი მმართველობითი დემოკრატიის ინსტიტუტებს:<sup>168</sup>

#### საერთო კრება

**სოციალური ქვესისტემა**  
აღმასრულებელი კომისია  
**ცენტრალური მმართველობა:**

- მდივანი
- მართვის კოორდინატორი
- ხაზინადარი
- შრომის კოორდინატორი

<sup>168</sup> იქვე.

#### მართვისა და მომსახურების კომისიები:

- სოციალურ საკითხთა კომისია;
- კულტურის საკითხთა კომისია;
- მოხმარების საკითხთა კომისია;
- ჯანდაცვის საკითხთა კომისია;
- „მეორე თაობის“ საკითხთა კომისია;
- თავდაცვის საკითხთა კომისია.

#### ეკონომიკური ქვესისტემა:

- მართვის კომისია;
- შრომის კომისია.

#### ცალკეული სამუშაო და დარგობრივი ჯგუფები

- სარმევე ფერმა;
- საფრინველე ფერმა;
- სურსათ-სანოვაგის მოსავალი (შემოსვლა);
- მიწათმოქმედება;
- მრეწველობა (სხვადასხვა);
- მოვლა და რემონტი;
- სასადილო და სამზარეულო;
- სამოსელი;
- აღზრდა.

მოშავები კიბუცებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ აქ თითოეულ ოჯახს თვითონ მიჰყავს მეურნეობა, ხოლო რელიზაცია კოლექტურ საწყისებზე ხორციელდება. მოშავები სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ნაწილია, სადაც თითქმის 60 ოჯახია გაერთიანებული; თითოეულ მათგანს საკუთარი სახლი და მიწის ნაკვეთი გააჩნია. ებრაელი მოსახლეობის 3,5% მოშავებში ცხოვრობს, რომელთა რიცხვი ქვეყანაში 450-მდეა.

ისრაელის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი. განვითარებულია ასევე მეფრინველეობა, მეცხოველეობა და მეთევზეობა.

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის სინერგიურლი განვითარება საერო და საეკლესიო სფეროებში, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებების შედეგად ჩვენ შევგვიძლია მიგადწით ასეთ მიზანს. ამ საქმეში მონაცილეობის მისაღებად მზად არიან მორწმუნე და პატიოსანი მეცნიერები და სპეციალისტები. სწორედ ასეთ ადამიანებთან თანამშრომლობისა და კონსულტაციების საფუძველზე არის შემუშავებული ჩვენი წინადადება, რომლის მიზანი პროექტთან დაკავშირებული უმთავრესი მოსახრებების ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. ხოლო პოტენციური სპონსორის ან ინვესტორის მიერ ამ წინადადების მოწონების შემთხვევაში იგივე ადამიანები მზად იქნებიან შეადგინონ მუდმივოქმედი სამუშაო-საკონსულტაციო ჯგუფი სათანადო გეგმის, ბიუჯეტის შედგენისა და კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად.

საქართველოში დღეისათვის უკიდურესად არის გამწვავებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების და დემოგრაფიული პრობლემები. ასეთი გარემოება ერის მომავალს კატასტროფით ემუქრება. ტრადიციულად ძლიერ აგრარულ ქვეყანას თავის გამოკვება უჭირს და ჯანმრთელობისათვის მეტად საშიში იმპორტული პროდუქტების თარეშის ასპარეზად არის გადაქცეული.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ქართული სოფლის სიძლიერის აღდგენას. ამ საქმეში უმნიშვნელოვანებია ქართველებით დაუსახლებელ-აუთვისებელ რეგიონებში კიბუცების ტიპის საზოგადოებრივი მეურნეობების მოწყობა-განვითარება. ჩვენი აზრით, ასეთ სოფელის ჯობია ქრისტიანული თემი ვუწოდოთ, სადაც კიბუცებისაგან განსხვავებით, სამეურნეო საქმიანობა ქართულ სარწმუნოებრივ-სამეურნეო ცხოვრებას დაეყრდნობა, ვინაიდან, როგორც წმ. ილია მართალი გვასწავლის – კეთილდღეობა სულიერი და ხორციელი საზრდოს ერთიანობით არის უზრუნველყოფილი და ერთ-ერთი მათგანის დაშრეტა ერის დაღუპვის მომასწავებელია.

წამოწყებულ საქმეს შეიძლება ქართული ქრისტიანული თემის აღორძინების პროექტი ვუწოდოთ. თემები უნდა განლაგდეს სათანადო რეგიონებში არსებული ეკლესია-მონასტრების ირგვლივ, რითაც საფუძლი ჩაეყრება ეკლესისა და ქვეყნის ეკონომიკურ მომძლავრებას.

დაქირავებული მუშახელის პარალელურად შესაძლებელია სასულიერო და საერო სასწავლებელთა სტუდენტების შრომის გამოყენება საზაფხულო არდაღებების პერიოდში. გამოჩნდებიან მეურნეობაში მუდმივად დასახლების მსურველებიც, თუ მათ იქ ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს შევუქმნით.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე აქცენტი უნდა გაკეთდეს მიტოვებულ საზღვრისპირა სოფლებზე, რომლებშიც არის შენობები, სადაც შეიძლება მოზიდული მუშახელის განსახლება. ამ ეტაპზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზანშეწონილია მექანიზებული კულტურების განვითარება, რის გამოც მუშათა რაოდენობა მინიმალური იქნება (100 ჰექტარის მოვლითი ღონისძიებებისათვის საკმარისია 5-კაციანი მექანიზებული ბრიგადა).

ყოველივე ზემოთ თქმულის ფონზე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის ეპარქიაში, წულრუდაშენის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დღეს 30-ზე მეტი სამოსახლო შენობაა, რომელსაც გვერდით ეპარქიის საკუთრებაში არსებული 25 ჰა მიწა აქვს შემოსაზღვრული, დაარსდეს ქრისტიანული თემი, სადაც მართლმადიდებელი ოჯახები მონასტრული წესით იცხოვრებენ, მორჩილებით მეუშავებენ, შექმნიან საერთო დოკუმენტს და მოიხმარენ საჭიროების მიხედვით. შემოსავლის ნაწილი მოხმარდება ეპარქიის განვითარებას და სხვადასხვა საქველმოქმედო თუ სოციალურ პროგრამებს.

ეს საკითხი შეთანხმებულია როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან, ასევე საქართველოს პრეზიდენტთან ბოლნისში მისი ვიზიტის დროს. პრეზიდენტმა, გუბერნატორმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა და კულტურისა და მეცნიერებლის მინისტრმა მხარდაჭერა აღუთქვეს ეპარქიას.

თბილისა და საქართველოს სხვა რეგიონებში არიან მოწმუნე

ოჯახები, რომლებიც მზად არიან გაყიდონ თავიანთი სახლ-კარი და ჩასახლდნენ ზემოთ წსენებულ ქრისტიანულ თემში.

მაგრამ, იმისათვის, რომ იქ ზალხი ჩასახლდეს, საჭიროა ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება: მეურნეობის გამართვა, ბაზის, სკოლის, სხვადასხვა სახელსაქმო სამქროების დაუუძნება, რელიგიური, აგროეკოლოგიური თუ კულტურული ტურიზმის დაარსება-აღორძინებისთვის საფუძვლების ჩაყრა და სხვა სამუშაოების ჩატარება.

საფუძვლიანი განზიღვის შემდეგ ჯერი შევაჩრეთ, რათა, პირველ რიგში, ეკლესიის მიერ მოძიებულ იქნეს ზილისა და პომიდვრის გადამუშავებელი მინისაწარმოს ხაზი (მეორეული), რომელიც დიდად გამოადგება აღნიშნულ თემის მოსახლეობას. ზილის პრობლემა საქართველოში არ არსებობს და ძირითადად გორის ეპარქიიდან ვაშლის შემოტანას ვფიქრობთ, ხოლო შესაბამის სეზონზე – ჩვენსა და მეზობელ ეპარქიებში პომიდვრის შესყიდვასა და მის გადამუშავებას.

სასურველია, თუ ქვეყნის სამთავრობო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას ამ ისტორიულ-საქველმოქმედო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში შეეწევიან პირველი ქრისტიანული თემის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ქრისტიანული თემის პირველი პრეცენდენტის შექმნის შემდეგ, გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში მრავალი ქრისტიანული თემი დაარსდება.

ქრისტიანული თემები უნდა შექმნას, აგრეთვე, სხვა ეპარქიებიც. ისინი რამდენიმე წელიწადში შეიძლება გადაიქცნენ სინერგიულად (სულიერ-მატერიალურად) განვითარებულ ობიექტებად. თავისი შემოსავლებით ისინი დაიკმაყოფილებენ არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ დიდ წვლილსაც შეიტანენ საპატრიარქოს ბიუჯეტის შევსებაშიც.

## თავი V. სამკლასიო ეპონომისა და საერო ბიზნესის თმოლოგიურ-სინერგიული განვითარების საფუძვლები

5.1.საკართველოს ეკლესიის სამეურნეო საქმიანობის აღორძინება-განმატებითის ძირითადი მიმართულებები

ქრისტიანული მოძღვრება სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის სინერგიულობის შესახებ გვასწავლის:

- „ეპუს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შემთხვევაში, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა“ (ეკლ. 5, 18);
- „ჩვენი ბეღლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვებზე“ (ფსალმ. 143, 13);
- „გავა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის ქამამდე“ (ფსალმ. 103, 23);
- „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3, 10);
- „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათ. 22,21);
- „ეს ხელები შველოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსასაც ვინც იყვნენ ჩემთან. ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სნეულთ, და გახსოვდეთ უფლის იესოს სიტყვები, რადგანაც თავად თქვა: უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე 20, 34-35);
- „ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ (ლუგ. 10,7);
- „იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცლედ“ (იოან. 6,27);

9. „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან“ (მათ. 5,7);
  10. სიმართლით შეძენილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ (დიდი სჯულის კანონი: ღანგრ. 21);
  11. ეპისკოპოსი იმას უნდა აკეთებდეს, რაც სასარგებლოა მისი ეკლესიისთვის და მისთვის დაქვემდებარებული სოფლებისათვის (დიდი სჯულის კანონი: წმ. მოციქულთა კანონები, 34);
  12. მღვდლები და დიაკონები ნურაფერს ნუ გააკეთებენ ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, რადგან იგია, ვისაც აბარია ერთ ლვთისა და ვისაც მოეკითხება პასუხი მათი სულებისათვის (მოც. კან. 39);
  13. ეკონომოსი უნდა ჰყავდეს ყველა ეპისკოპოსს, მონასტერს და ეპლესიას (დიდი სჯულის კანონი: VI 26; VII 11);
  14. განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს დღეს, პირველ რიგში, ეკლესია უნდა დაუდგეს გვერდით, ეკლესიამ უნდა იზრუნოს მისთვის (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II);
  15. კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II);
  16. შრომა და განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრევლში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II);
  17. აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II);
  18. საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმების განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტია (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II);
  19. სახელმწიფომ უნდა დააარსოს მცირე ბიზნესის შემსწავლელი სკოლებიც და თუ იქ უცხოეთიდან მოწვეული გამოცდილი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს, ეს მაღლე დიდ შედეგს მოგვცემს (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II);
  20. საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ამ თეოლოგიური მოძღვრებიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი განვითარება როგორც საერო, ასევე საეკლესიო სფეროებში. სახელმწიფოსა და ეკლესიის ეკონომიკური სიძლიერე განაპირობებს ერის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებას.
- წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) გვასწავლის, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობა სულიერი და ხორციელი საზრდოს ერთიანობით არის განპირობებული და ერთ-ერთი მათგანის დაშრეტა ერის დაღუპვის მომასწავებელია.<sup>169</sup>
- ზემოაღნიშნულ სიბრძნეში ასახულია საღვთო განგებულებისა და ადამიანური მისწრაფებების სინერგიული ურთიერთშეხამების თეოლოგიური კონცეფცია, რომელსაც უნდა დაეფუძნოს საზოგადოების ღვთივსულიერი ჰარმონიული განვითარება.
- საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მოგვიწოდებს, რომ საჭიროა ყველა ტაძართან შეიქმნას მეურნეობა: – „ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც. პირველ რიგში საჭიროა, ყველა ტაძარმა აღრიცხოს თავისი მრევლი, როგორც ეს მიღებულია საერთოდ ყველა ცივილიზაციულსა და დემოკრატიულ ქვეყანაში. შემდეგ უნდა შეიქმნეს ჯგუფები, რომელშიც შესაძლებელია 7, 9 ან 12 მორწმუნე გაერთიანდეს. ამ ჯგუფებმა უნდა გადაწყვიტონ კერძოდ რომელ საქმეს მოჰკიდებენ ხელს. შრომა და

<sup>169</sup> ჭავჭავაძე ი. შინაური მმოხილვა 1895 წლისა. თხ. ტ. 5, თბ., 1955, გვ. 342.

განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრევლში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია“.<sup>170</sup>

დღევანდელ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას და, კერძოდ, სურსათის წარმოების მკვეთრ ამაღლებას. ჩვენს ქვეყანას ამ სფეროში მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. ექსპერტთა შეფასებით იგი საქმარისი იქნება 8-10 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად.<sup>171</sup>

სასოფლო-სამეურნეო რესურსები პოტენციალის ეფექტური გამოყენებასა და სასურსათო უშიშროების პრობლემის მოგვარებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია, ზოგადად, საეკლესიო ეკონომიკისა და, კერძოდ, საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

საქართველოს ეკლესია ისტორიულად ყოველთვის ეწეოდა ნაყოფიერ სამეურნეო საქმიანობას და დიდი უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელი იყო, რომელიც მას ჩამოერთვა რესურსთან შეერთებისა და XX საუკუნის ცნობილი (1917 წლის ბურჟუაზიული და სოციალისტური) რევოლუციების შედეგად.<sup>172</sup>

რესურსთან იმპერიის მოხელეთა და „ანაფორიანი პოლიტიკანების“ მიერ საქართველოს ეკლესიის დაჩაგვრა-გაძარცვის თაობაზე ცნობილი რესი მეცნიერი, ისტორიკოსი და ფილოლოგი, საქართველოსა და ქართული ეკლესიის დიდი ქომაგი ნიკოლოზ დურნოვო 1907 წელს წერდა: „ქართველებს არ სჭირდებათ რესულ ეკლესიასთან კინკლაობა, რომელსაც საეკლესიო კანონებით უფლება არა აქვს ჩაერიოს თავის უფროსი დის, ივერიის სამოციქულო ეკლესიის საქმეში, რომელიც თავისი მრავალსაუკუნოვანი

170 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენლ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბ., „გვიგვირია“, 2004, გვ. გვ. 117-118.

171 იხ.: მღვდელი ბასილი (ახვლედანი). საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის დისერტაცია. სელმძღვანელები: გ. შიხაშვილი, ქ. ხარაიშვილი. თბ., 2008, გვ. 92-102.

172 იხ.: ლომინაძე ბ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიწათმფლობელობა ძველი დროიდან XX საუკუნემდე (1917 წ.). ქუთაისი, 1997.

ისტორიის ფურცლებზე წამებულის გვირგვინითაა დამშვენებული და მას თვითმყოფადი არსებობის უფლებას აძლევს. და ეს ხდება იმ დაუპატიჟებელი აპეკუნების ჩარევის გარეშე, რომელთაც სინამდვილეში ივერიის ეკლესია უკანასკნელი ასი წლის მანძილზე სასიცოცხლო და კულტურული ძალების უძრაობამდე შიიყვანეს.

...ქართულ ეკლესიებსა და მონასტრებს ხაზინის სასარგებლოდ ჩამოერთვა შემდეგი ქონება: თბილისში – ირაკლის აბანოები, 13 ბაღი, 11 სახლი, 28 დუქანი, 1 სამღებრო, თევზსაჭერი ადგილი და ქარვასლა, მიწა 437 719 კვადრატული საუენი, მთლიანად 2 8910 000 მანეთის ქონება; თბილისში გუბერნიაში – 2 საგაჯე, 11 საკირე ღუმელი, აგურის ქარხანა, 9 სამღებრო, სამი თევზის ღუქანი და 282 600 ღესეტინა მიწა, სულ 79 570 000 მანეთის ქონება; იმერეთში – 40 475 ღესეტინა მიწა, 29 787 500 მან. ღირებულების; გურიაში – 356 ღესეტინა 328 ათასი მან. ღირებულების, რაც სულ 137 600 000 მანეთს შეადგენს, ხოლო 14 147 სახლითურთ – 140 330 000 მანეთს ვერცხლით. აღსანიშნავია, რომ სომხეურ ეკლესიაზე ჩამორთმეული ქონება 1905 წელს მათ უკანვე დაუძრუნდათ, ხოლო ქართული ეკლესიის შემოსავლით, რომელიც მცოდნეთა ანგარიშით 10 მილიონამდეა, რესული ხაზინა სარგებლობს. ქართულ ეკლესიას ამ შემოსავლიდან მხოლოდ 3,4% ეძლევა“.<sup>173</sup>

ჩვენი საეკლესიო ქონების ძარცვის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ რესი სასულიერო პირები. ამასთან დაკავშირებით ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე) მოგვითხრობს ერთი შემთხვევის შესახებ: „ერთ-ერთ ეგზარქოსს უნდოდა გაეძარცვა წმ. ნინოს საფლავი, რადგან მას დიდმალი სიმდიდრე ეგულებოდა, როდესაც თხრიდნენ საფლავს, იქიდან ღვთაებრივი ცეცხლი გამოვარდა და იქ მყოფნი დაწვა“.<sup>174</sup>

173 დურნოვო 6. ბედი ქართული ეკლესიისა. თარგმანი გ. ტოტოჩავასი. შემოქმედის წმ. ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტერი. 2000, გვ. 2, 11-12.

174 ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). ქადაგება ნინობას – „მოდიოდა ნინო მოუბით“. გაზ. „სიონი“, 2008, №14, თებერვალი, გვ. 3.

გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ დაიწყო ეკლესიისათვის მისი კუთხითი ქონების დაბრუნების პროცესი.

დღეისათვის საქართველოს საპატრიარქოს აქვს მეურნეობები, რომელთა კუთვნილი მიწების ფართობი 2008 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 3509 ჰექტარს (იხ.: ცხრილი 5.1).

**საქართველოს საპატრიარქოს მეურნეობების კუთვნილი მიწები  
2008 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით (ჰა)**

**ცხრილი 5.1.**

№	მეურნეობის დასახელება	სულ (ჰა)	სახნა- ვი	სათი- ბი	საძო- ვარი	სხვა დანარ- ჩები
1	თეთრი წყაროს რაიონი, გარისის მეურნეობა	1246	245	65	903	33
2	მარნეულის რაიონი, გულბალის მეურნეობა	504	242	16	203	43
3	ახალციხის რაიონი, მინაძის მეურნეობა	564	145	39	370	10
4	გორის რაიონი, ფიცესი	305	305	—	—	—
5	ქრწანისის ტყე- პარკი	890	—	—	—	890
	სულ	3509	937	120	1476	976

წყარო: საქართველოს საპატრიარქოს სასოფლო-სამეურნეო  
დეპარტამენტის მონაცემები

აღნიშნულ მეურნეობებში საქმიანობას წარმართავს საქართვე-  
ლოს საპატრიარქოს სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტი, რომე-  
ლიც იმედოვნებს, რომ ორგანიზაციული საკითხების მოგვარების  
შემდეგ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს.

სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ფართობები აქვთ, აგრე-  
თვე, ცალკეულ ეპარქიებს, მონასტრებსა და სამრევლოებს, სადაც  
მიმდინარეობს ნაყოფიერი ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო  
საქმიანობა.

მაგალითად, სტეფანწმინდისა და ზევის ეპარქიაში მეუფე პეტრეს  
(ცაავა) ინიციატივითა და რუდუნებით, რამდენიმე წლის წინ, სერი-  
ოზული ნაბიჯები გადაიდგა მეურნეობის განვითარების მხრივ, რასაც  
წარმატებით განაგრძოს მეუფე ივეუდილი (ტაბატაძე). დღეისათვის  
ეპარქიას გააჩნია 23 ათასამეტ კალმახი, 450 სული ცხვარი, 90-მდე  
ძვირფასბეჭვიანი ცხოველი — შინშილა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყ-  
ვი — 22 სული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვ. საქართველოს  
საპატრიარქოს თხოვნის საფუძვლზე მთავრობას განზრახული აქვს 10  
ათასი ჰა ზამთრის საძოვრის ეტაპობრივი გამოყოფა სტეფანწმინდისა  
და ზევის ეპარქიისათვის.

მთავარებასკოპიტის პეტრე (ცაავა) დღეს უკვე ჰყონდიდის ეპარქიაში  
განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას, მათ შორის ზოგადეკონიმიკური,  
სასოფლო-სამეურნეო და საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროებში.

2008 წლის 6 ნოემბერს ჰყონდიდის ეპარქიის სოფელ სალჩინოში  
მეუფე პეტრეს დიდი ძალისმევის შედეგად გაიხსნა ზოგადსაგანმანთლებ-  
ლო სკოლა-პანსიონი, რომელშიც მოსწავლეები ცოდნის მიღებასთან  
ერთად დიდ სულიერებას ეზიარებიან, მიღებაზე თანმედროვე ტიპის  
განათლებას, შეიძენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც მათ გამოადგებათ  
სკოლის შემდგომ ცხოვრებაში. ასეთი სკოლა-პანსიონის ფუნქცი-  
ონირება ბავშვებისათვის, რომლებიც ძირითადად სოციალურად  
შეჭირვებული ოჯახებიდან იქნებიან, მართლაც რომ კეთილშობი-  
ლური და საქველმოქმედო საქმეა.

მეუფე პეტრე სკოლა-პანსიონის მნიშვნელობის შესახებ აღნიშნავს:  
„ცოდნასთან ერთად ბავშვებს აუცილებლად უნდა მივცეთ რწმენა,

რადგან ორივე ერთად არის ერთმანეთის შემავსებელი, მხოლოდ რწმენის და ცოდნის ერთობა იქნება გარანტი ჩვენი გადარჩენისა, იმისა, რომ ჩვენ სწორი გზით ვიაროთ“.<sup>175</sup>

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ბოლო პერიოდში საქართველოს საპატ-რიარქოს გადაეცა უძრავი ქონება შენობა-ნაგებობების, სასოფლო-სამე-ურნეო მიწებისა და სატყეო-სამეურნეო ფართობების სახით.

საპატრიარქოს ინფორმაციით, 2007-2008 წლებში, ქვეყნის მთა-ვრობის მიერ (უშუალოდ პრეზიდენტის განკარგულებებით) ეპარქიებს გადაეცა სატყეო-სამეურნეო ფართობები, სულ 1400-მდე ჰექტარი.

ეკრინომიკის მინისტრის ლ. უვანიას 2009 წლის 23 მარტის ბრძანებით, საქართველოს საპატრიარქოს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადაეცა უძრავი სახელმწიფო ქონება – ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და დიდალი შენობა-ნაგებობები მცხეთის, ზესტაფონის, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ქ. დედოფლისყაროსა და გარდაბანში. კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვანში მდებარე 127 ათ. კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთები და მასზე მდებარე 23 შენობა-ნაგებობა, სათბურების გაშენების ფართი 4,846 ჰა და საქვაბე გაშენების ფართით 519 კვ.მ.

საქართველოს საპატრიარქოს იმავე ფორმით, აგრეთვე, გა-დაეცა სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარე 22 229 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები.

საპატრიარქოს ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო პოტენცია-ლის ეფუძნებინა ამოქმედება-გამოყენებისათვის საჭიროა შესაბამისი ორ-განიშაციული ღონისძიებების განხორციელება. ამ საქმეს სათანადო ყუ-რადღებას უთმობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი.<sup>176</sup>

2000 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოში შედგა

175 მთავარებისკობოსი პეტრე (ცავა). სიტყვა ეპარქიის პირველი სასწავლებლის გახსნაზე შურალი „ჰყონდიდელი“. 2008, №10-11, ნოქტერ-დეკემბრი, გვ. 14.

176 საქართველოს საპატრიარქოს სინოდის სხდომების შესახებ იხილეთ: <http://www.patriarchate.ge/?action=sinodi>.

წმინდა სინოდის სხდომა, რომელზეც საქართველოს კათოლიკოს-პატ-რიარქმა ილია II-მ ისაუბრა ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკურ მდგრმა-რეობაზე. აღინიშნა, რომ ეკლესიის მხრიდან ყველაფერი უნდა გა-კეთდეს, რათა ხალხის ეკონომიკური მდგრმარეობა გაუმჯობესდეს. ამ მიზნით, სინოდის წევრებს დაეკალათ, მეტი ყურადღება დაუთმონ სოფლის მეურნეობის განვითარებას თავიანთ ეპარქიებში.

წმიდა სინოდმა იმსჯელა სოფლებში სამდგრელოების მეტად მბიმე ეკონომიკური მდგრმარეობის შესახებ (მღვდელმთავრებმა თავიანთი ეპარქიების მაგალითზე ისაუბრეს, თუ რა სახის დახმა-რებაა საჭირო) და განაჩინა:

1. ეპარქიებში, სოფლის სამდგრელოებისათვის დაარსდეს დახ-მარების ფონდი. შემოწირულობის სახით მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ეპარქიის ყველა ეკლესიამ, სამდგრელოებამ და მრევლმა;
2. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლის მეურნეობის განვი-თარებას;
3. ეპარქიებში უნდა შეიქმნას მცირე საწარმოები და მოგების ნაწილი უნდა მიეცეს სამდგრელოების დახმარების ფონდს.

2005 წლის 27 ივნისის სინოდის სხდომაზე საქართველოს კა-თოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდელმთავრებს განსახილებულ შესთავაზა საკითხი სოფლის მეურნეობისა და მომლოცველობითი სამ-სახურის განვითარებისთვის ზრუნვის შესახებ.

მოსახლეობის დასაქმებისა და მცირე ბიზნესის განვითარე-ბის მიზნით წმიდა სინოდმა მიზანშეწონილად მიიჩნია საჩვენებე-ლი მეურნეობებისა და ფერმების შექმნა და ამ მიზნით სოფლის მეურნეობის მუშაკთა და ბიზნესმენების მონაწილეობით საქმია-ნი შეხვედრების მოწყობა, ხოლო მომლოცველობითი საქმიანობის განვითარებისთვის – მონასტრებთან მომლოცველთათვის სასტუმ-როების აშენება.

2008 წლის 27 ივნისს, წმიდა სინოდმა მოისმინა მიტროპოლი-

ტის თეოდორეს (ჭუაბე) მოხსენება სახელმწიფოს მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის ქონების გადმოცემის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

წმიდა სინოდმა მადლიერებით აღნიშნა, რომ, მართალია, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს საპატრიარქოს მფლობელობაში არსებული ძირითადი ტერიტორიები და შენობა-ნაგებობები დაუკანონდა ეკლესიას და გადმოცეა ახალი ობიექტებიც, მაგრამ გასაკეთებელი კვლავაც ბევრია, განსაკუთრებით ეპარქიებთან მიმართებაში.

წმიდა სინოდმა დადგინა: ეპარქიებში შეიქმნას კომისიები, რათა დაწეარდეს საპატრიარქოში სათანადო მასალების დროულად წარმოდგენა და ეკლესიისთვის სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების პროცესის გაგრძელება.

წმიდა სინოდმა მოისმინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოხსენება სოციალურ სფეროში საქართველოს ეკლესიის გააქტიურების შესახებ.

წმიდა სინოდმა განაჩინა:

1. საქართველოს საპატრიარქოსა და ეპარქიებში შეიქმნას დასაქმების ხელშემწყობი საბჭოები, რომლის მუშაობაში აქტიურად უნდა ჩაეხან სასულიერო პირები;
2. დასაქმების საბჭოებს დაეკალის სოციალური პროექტების შედგენა და საჭირო ფინანსურ-მატერიალური საშუალებების მოძიება სათანადო პროექტების განსახორციელებლად.

2009 წლის 30 აპრილს საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმიდა სინოდის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

წმიდა სინოდმა მოისმინა ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზის (ფაჩუაშვილი) და ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაიას (ჭანტურია) მოხსენებები მათ ეპარქიებში არსებული

როული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. გადაწყდა: ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, რომ ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიას გადაცეს ახალქალაქის ისტორიული ციხე-სიმაგრე თავისი ტერიტორიით.

წმიდა სინოდმა მოისმინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინადაღება საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის გაფართოების შესახებ. გადაწყდა: სასწავლო კომიტეტი გარდაიქმნას სასწავლო ცენტრად და დამტკაცდეს სასწავლო ცენტრის საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საბჭოს თავმჯდომარე: ცურტაველი ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი), საბჭოს წევრები: ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი); ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), სამთავრისისა და გორის მთავრების სკოპოსი ანდრია (გვაზავა), დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დეკანოზი მიქაელ გალდავა.

წმიდა სინოდმა განიხილა ქართული ხორბლის, ვაზის და სხვა აღგილობრივი კულტურების აღორძინებასთან დაკავშირებული საკითხები. წმიდა სინოდმა განაჩინა: შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი და მის ხელმძღვანელად დაინიშნოს ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე); ცენტრმა უნდა იზრუნოს სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ჯიშების გამრავლებისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობისათვის.

ქვემოთ გადმოცემა მოისაზრებებს საქართველოს ეკლესიის მატერიალურ-ფინანსური ბაზის აღორძინება-განმტკიცების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ.

ეკლესიის მატერიალური და ფინანსური სიძლიერე უზრუნველყოფს ერთს სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებების გატარების შედეგად ჩვენს ეკლესიას შეუძლია ახლო მომავალში მიაღწიოს ასეთ მიზანს.

ჩვენი აზრით, დასახვეწია საქართველოს ეკლესიის სოციალური და სამეურნეო სისტემის ორგანიზაციულ-მმართველობითი, მეთოდოლოგიური, საფინანსო-ეკონომიკური, სტატისტიკური,

საღრიცხვო და საკადრო მუშაობის პარამეტრები. აუცილებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა და მუშაკთა ანაზღაურების ოპტიმიზაცია შრომის საბოლოო შედეგებზე ორიენტაციით. მკაფიო საფინანსო-ეკონომიკური ცენტრალიზაცია უნდა ემყარებოდეს ადგილობრივი სამონასტრო, სამრევლო და სამეურნეო ერთეულების გარკვეულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას საქართველოს ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების საფუძველზე. აუცილებელია, აგრეთვე, ეკლესიის სოციალური და სამეურნეო სისტემისა და კონკრეტული სამსახურების კვალიფიციური ეკონომოსებით, ეკონომისტებითა და იურისტებით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული ფუნქცია და პოტენციალი გააჩნია საპატ-რიარქოს აგროსამრეწველო დეპარტამენტსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ მეურნეობებს. ჩვენი გამოთვლებით, მათი საქმიანობის მხოლოდ ორგანიზაციული დახვეწის მეშვეობით საგრძნობლად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და შესაბამისი ფულადი შემოსავალი, რაც დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს ეკლესიის საჭიროებების დააკმაყოფილებაში.

აუცილებელია, აგრეთვე, გამწვანებისა და ეკოლოგიური დეპარტამენტის მუშაობის გაძლიერება მომსხმარებელთა ფასიანი მომსახურების გაზრდის მიმართულებით (ნერგების რეალიზაცია, კონსულტაციები, დამოუკიდებელი ეკოლოგიური ექსპერტიზა, ეკოლოგიური აუდიტი, ბავშვთა ეთნოგრაფიულ-ეკოლოგიური ბანაკი და სხვ.).

ჩვენი წინასწარი გათვლებით, მხოლოდ ზემოაღნიშნული ორგანიზაციულ-მმართველობითი სრულყოფის შედეგად, უკვე უახლოეს 2-3 წელიწადში საქართველოს საპატრიარქოს შეუძლია ყოველწლიურად მიიღოს ათიათასობით ლარი მოგება, რაც შემდგომში კიდევ რამდენჯერმე გაიზრდება.

მთლიანობაში, თავისი მატერიალურ-ფინანსური ბაზის გაძლიერების მეშვეობით, საქართველოს ეკლესია სრულად დააკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებს და უზრუნველყოფს მრევლს სამუშაოთი და

შემოსავლებით. ამასთან, შეიტანს დიდ წვლილს საქართველოში მცირე, საშუალო და აგრარული ბიზნესის განვითარებაში და ისეთი უმნიშვნელოვანების სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიღწევაში, როგორიცაა:

- სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცება და შრომის კონსტიტუციური უფლების საყოველთაო რეალიზაცია;
- ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა და წარმოებაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმება;
- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და შიდამიგრაციული მდგომარეობის გაჯანსაღება;
- უცხოეთში საშოგარზე წასული საქართველოს ასიათასობით მოქალაქის სამშობლოში დაბრუნება;
- მოსახლეობის შემოსავლების ზრდის საფუძველზე სიღარიბის დაღლევა და შეძლებული საშუალო ფენის ჩამოყალიბება;
- საზოგადოებაში მომავლის მიედის ჩანარეგვა და სულიერ-მატერიალური პარმონიის მიღწევის რწმენის დამკვიდრება;
- ოჯახური ბიზნესის განვითარების კვალიფიციენტების მისამართის განვითარებაშე რეაბილიტაციის განვითარებაში.

საქართველოს ეკლესიის მატერიალურ-ფინანსური ბაზის აღორძინება-განმტკიცების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ მირითად მიმართულებებს:

1. ქრისტიანული სწავლება შრომისა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ. ბიზნესის ეთიკა;
2. ეკონომიკა და მართვა საეკლესიო სამართლის მეგლებში. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა;
3. მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის საფუძვლები;
4. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური და ფინან-

- სური ბაზის განმტკიცების ამოცანები. ეკლესიის საქველმო-ქმედო საქმიანობა;
5. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობები ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან (საბერძნეთი, კვიპროსი, რუსეთი, აშერიკა, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვ.) და მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილების შესწავლა-გამოყენება;
  6. საქართველოს ეკლესიის სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობები სახელმწიფოსთან, სამეწარმეო და არასამთავრობო სექტორებთან;
  7. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის;
  8. საერთო-საეკლესიო ქონება და ფინანსები;
  9. საქართველოს ეკლესიის სოციალური, სამეურნეო-მმართველობითი და ფინანსური სისტემის ოპტიმალური ორგანიზაციული სქემა;
  10. საქართველოს საპატრიარქოს, ეპარქიების, ეკლესია-მონასტრების სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის უმთავრესი მიმართულებები: დაგენგა, ორგანიზაცია, მოტივაცია, კონტროლი; ფინანსები; აღრიცხვა-აუდიტი; სტატისტიკა; სამეურნეო-მმართველობითი და ბიზნეს-კონსულტაციები; აგროსამრეწველო სფერო; გამწვნება და ეკოლოგია; სამრეწველო-სახელოსნო პროდუქციის წარმოება (საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთები და შესამოსელი, ჯვარ-ხატები, წიგნები, პოლიგრაფიული ნაწარმი, ქრისტიანული ხელოვნების და ხალხური რეწვები ნიმუშები, საოჯახო საგნები); ქართული ეროვნული სამოსელის წარმოება; განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის ორგანიზაცია და სხვ.;
  11. აგროსამრეწველო წარმოების განვითარება საპატრიარქოს მეურნეობებში, ეპარქიებში, ცალკეულ ეკლესია-მონასტრებში, კიბუცებში ტიპის სამეურნეო დასახლებებში (ქრისტიანული

თემი), ეკლესიაზე მიწერილ სოფლებსა და ფერმერულ მეურნეობებში: მემცნარეობა (მემარცვლეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, თხილისა და კაკლის წარმოება, ღვერატიული მემცნარეობა, ეთერზეთების წარმოება და სხვ.); მეცხოველეობა (მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა); მეთევზეობა; მეფეტკრეობა; მეაბრეშუმეობა და სხვ.; 12. რელიგიური და აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარება;

13. სამრევლოების, ეკლესიასთან არსებული სასწავლებლების, სამოების, ქრისტიანული თემების, კიბუცების ტიპის სამეურნეო დასახლებების, ეკლესიაზე მიწერილი სოფლების, მცირე და საშუალო საეკლესიო საწარმოების ეკონომიკა, ფინანსები და მართვა;
14. მღვდელმსახურთა, კლერიკოსთა, ეკლესიის მსახურთა და სამრევლოს შრომის ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფის, საპენსიო-სამედიცინო დაზღვევის ორგანიზაცია.

გადმოცემული მოსაზრებების მოწონების შემთხვევაში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნილ მუშა ჯგუფს შეუძლია 3-4 თვის ვადაში შეიმუშაოს საქართველოს ეკლესიის მატერიალურ-ფინანსური ბაზის აღორძინება-განმტკიცების კონცეფციის და სამოქმედო გეგმის სრული ვარიანტი, რომლის საფუძვლზეც შესაძლებელი გახდება სათანადო საქმიანობის გაშლა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის, წმინდა სინოდის, ცალკეული ეპარქიებისა და ეკლესია-მონასტრების დიდი რუდუნების შედეგად ჩვენი ეკლესია იბრუნებს ტრადიციულად ძლიერ პოზიციებს როგორც სასულიერო მოღვაწეობის, ასევე საერო, სამეურნეო საქმიანობის სფეროში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მთელი ქვეყნის სინერგიულ, ღვთივსულიერ განვითარებას.

## 5.2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში

მცირე და საშუალო ბიზნესი ეროვნული მეურნეობის სპეციფიკური შემადგენელი ნაწილია.

მეურნეობის სხვა ფორმებთან შედარებით, მცირე და საშუალო მეწარმეობა გაცილებით მეტ შესაძლებლობებს ქმნის ცალკეული ადამიანის პიროვნულ და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაქმიანებლობად, ვინაიდან იგი უკეთესად უზრუნველყოფს ისეთი ცხოვრებისეული ფასეულობების რეალიზაციას, როგორიცაა: ღვთივდადგენილი მივალეობა და შრომის კონსტიტუციური უფლება, ინდივიდუალურობა, თავისუფლება, თვითგამოხატვის შესაძლებლობა, მორალური კავშირობილება, საკუთარი ღირსების გრძნობა, მრავალფეროვნება, პიროვნული შესაძლებლობებისა და უნარის გამოვლინება, რისკისთვის მზადყოფნა, გაბედული ქმედებისადმი მისწრაფება და სხვა.

სხვილ წარმოებასთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობანი, რომელთაგან აღსანიშნავია:

- საწარმოებში შრომითი რესურსების ეფექტური დასაქმების ფართო შესაძლებლობები;
- ადგილობრივი და არა იმპორტული რესურსების გამოყენება;
- მოქნილობა და ოპერატორულობა სამეურნეო საქმიანობაში; საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე ოპერატორული რეაგირების უნარი;
- ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის მეტი შესაძლებლობები.

მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები, ძირითადად, ადგილობრივი, შედარებით სტაბილური კლიენტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მუშაობენ და მომხმარებელთა კონტინგენტის შენარჩუნება-გაფართოების მიზნით უფრო მეტად ცდილობენ პროდუქციის ხარისხის, მომსახურების კულტურისა და ბიზნესის ეთიკის ამაღლებას. ამით ისინი შეძლებისდაგვარად ან

შეუცნობლად უახლოვდებიან დიდი სჯულის კანონში (ლანგრ. 21) ჩამოყალიბებულ თეოლოგიური ეკონომიკის ფუნდამენტურ პრინციპის სიმართლით სიმდიდრის მოპოვებისა და სიკეთეში მისი გამოყენების შესახებ.

მცირე და საშუალო მეწარმეობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებული და ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი ნაწილია, რომელიც არსებით როლს ასრულებს ამ ქვეყნების არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. მცირე მეწარმეობაში ჩადებული მნიშვნელოვანი პოტენციალის რეალიზაციის შედეგად, მიღწევა საზოგადოების ფართო ფენების სოციალური დაცულობა და ეკონომიკური სტაბილურობა. მცირე და საშუალო საწარმოების მიერ იქნება მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მზადდება დიდი მოცულობის საწარმოო დანიშნულებისა და ფართო მოხმარების მრავალფეროვანი პროდუქცია.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი სათანადოდ არ ვითარდება მთელი რიგი ობიექტურ-სუბიექტური მიზნების გამო. ამ გარემოებამ გამოიწვია საზოგადოების მქევთრი დაყოფა ძალზე მდიდარ და ძალზე ღარიბ ფენებად და განაპირობა საშუალო, შეძლებული ფენის ჩამოყალიბების საგანგაშო შეფერხება. ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ ეკლესიასთან, მეცნიერებთან და სპეციალისტებთან ერთად 2002 წლის 14 ოქტომბრის კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე შექმნას საეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის არსებულ პრობლემებს და შეიმუშავებს სათანადო სამოქმედო პროგრამას.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია საქმიანობის წარმართვა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის რადიკალური სრულყოფა;
- სათანადო კონცეფციისა და სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

- კავშირის გაღრმავება სახელმწიფოს, ეკლესიასა და მეცნიერებას შორის;
- მცირე და საშუალო ბიზნესის საკითხებზე მომუშავე ყველა ძალების გაერთიანება და კორდინაცია;
- მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელსაყრელი დაფინანსება-დაკრედიტების მოწესრიგება და მნიშვნელოვანი საგადასახა-დო შედაგათების დაწესება, გადასახდებისაგან დროებითი გან-თავისუფლების ჩათვლით; მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი პროდუქციის გარანტირებული სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფა.

**საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ოპტიმალური გან-ვითარება შესაძლებელს გახდის ისეთი უმნიშვნელოვანების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიღწევას, როგორიცაა:**

- სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცება და შრომის კონსტიტუციური უფლების საყოველთაო რეალიზაცია;
- ეკონომიკის ინსტიტუციურ-სტრუქტურული გარდაქმნის დაჩქრება და ფართო სამეურნეო დემოკრატიის დამკვიდრება;
- პიროვნების მიერ საქმიანობის თავისუფალი შერჩევის უფლების რეალიზაციის გაფართოება, დიდი რაოდენობის ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა და მაღალუფექტიან წარმოებაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმება;
- სამომხმარებლო ბაზრის მაქსიმალური უზრუნველყოფა ხარისხ-იანი და იაფი საქონლითა და მომსახურებით;
- ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა სწრაფი დანერგვა, ეროვნული წარმოების საექსპორტო პოტენციალის გაზრდა;
- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და შიდამიგრაციული მდგომარეობის გაჯანსაღება;
- უცხოეთში სამოგარზე წასული საქართველოს ასიათასობით მოქალაქის სამშობლოში დაბრუნება;

- მოსახლეობის შემოსავლების ზრდის საფუძველზე სიღარიბის დაძლევა და შეძლებული საშუალო ფენის ჩამოყალიბება;
- საზოგადოებაში მომავლის იმედის ჩანერგვა და სულიერ-მატერიალური პარმონიის მიღწევის რწმენის დამკვიდრება;
- ოჯახური ბიზნესის განვითარების კვალობაზე ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცება.

**მცირე და საშუალო ბიზნესის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება – სასოფლო-სამეურნეო წარმოება, საქართველოში დღეისათვის უაღრესად დაბალ დონეზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიულ-მიგრაციული პრობლემების გამწვევებას. ასეთი გარემოება კი ერთს მომავალს კატასტროფით უმუქრება. ტრადიციულად ძლიერ აგრარულ ქვეყანას საკუთარი თავის გამოკვება უჭირს და ჯანმრთელობისათვის მეტად საშიში და უხარისხო იმპორტული პროდუქტების თარეშის ასპარეზად არის გადაქცეული. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება საქართველოს აგრარული სისტემის ეკონომიკური სიძლიერის აღორძინება-განვითარებას. საქართველო მიწათმოქმედების უძველესი კერაა. უცხოურ ისტორიულ წყაროებში ქართველების გეორგიანელებად მოხსენიება ამის ნათელი დადასტურება. ქართველები ბრძოლათა შორის ინტერვალებში ღვთის მცნებებზე დაყრდნობით წარმართავდნენ ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობას.**

**ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში პრიორიტეტული როლი უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ დარგებს (მეცნიერება, მეცხოველეობა, მეთევზეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეფულტრება, მეაბრეშუმება; აგრისამრეწველო კომპლექსი; სოფლის ინფრასტრუქტურა; აგროეკოლოგიური ტურიზმი; შესაბამისი განათლება და სხვ.). ამ სფეროში დღემდე განხორციელებულმა რეფორმებმა, გამართული კონცეპტუალური საფუძვლისა და სათანადო ყოვლისმომცველი პროგრამის უქონლობის, არათანმიმდევრულობისა და არაკომპლექსურობის გამო სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. დასახვეწია სამართლებრივი ბაზა, სახელმწიფო აგარული სექტო-**

რი უკვე აღარ მოქმედებს, კერძო სექტორი ჯერ კიდევ სუსტია და არსებით გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკურ სისტემაზე, ძალზე სუსტი და მცირე ზომისაა არსებული ფერმერული მეურნეობები, ჩამოყალიბებელია მესაკუთრეთა ფენა. ყოველივე აღნიშნული ხელს უშლის ეროვნული აგრარული ეკონომიკის ოპტიმალურ განვითარებას.

ასეთ პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და პრაქტიკის დაახლოება, ფუნდამენტური კვლევების განხორციელება აგრარული ეკონომიკის პრობლემებზე. ამისათვის მიზანშეწონილ იქნება შეიქმნას მუდმივმოქმედი სპეციალური კვლევითი კოლექტივი, რომელშიც გაერთიანდებიან სამთავრობო უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებების, უნივერსიტეტების, ბიზნეს-სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საპატრიარქოსა და ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლები. კვლევა მიმართული უნდა იყოს ისეთი საკითხების დამუშავებაზე, რომელთა პრაქტიკული განხორციელება არსებით გავლენას მოახდენს ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით ძირითად მიმართულებებს უნდა წარმოადგენდეს: ყოველმხრივ გააზრებული კონცეფციისა და სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება; აგროეკონომიკური სფეროს განვითარების სამართლებრივი ბაზის რადიკალური სრულყოფა; აგრარული მეურნეობრიბის სისტემის ორგანიზაციული, მმართველობითი, ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის გაძლიერება; საკუთრების ფორმების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა; სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრების განსაზღვრა; აგრარული კომპლექსისათვის საშინაო და საგარეო ბაზრის კონიუნქტურის შეფასება; დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გზების დასახვა; ახალი, ეკოლოგიურად უსაფრთხო აგრობიოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვა; შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა; აგრარულ სფეროში საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობრიბის აღორძინება-განვითარება; ფერმერული მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო თემების (ე.წ. კიბუცების) როლის გაზრდა და სხვა.

ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოება ვალდებულია აღ-

მოფხვრას სიღარიბე და მასთან დაკავშირებული სხვა უმწვავესი პრობლემები, რისთვისაც აუცილებელია ეკონომიკის და, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. მხოლოდ თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამბებული ტრადიციული სამეურნეო სიბრძნისა და გამოცდილების გამოყენებით შეძლებს ქართული სახელმწიფო ჭეშმარიტი სულიერ-მატერიალური პროგრესის მიღწევას და საერთაშორისო არენაზე ღირსეული აღვილის დამკვიდრებას.

### 5.3. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკის უმთავრესი პრინციპები, პარადიგმები და კონცეპციები

ბიბლიაში ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენლი ნაწილის (მათ შორის, ეკონომიკის) საწყისი, ისტორიული წარსული, აწყვი და მომავალი.

ბიბლიის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება უფლისმიერად დაგვინდონდებულია – თეორიულ-მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად უზრუნველყოს საზოგადოების ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

წმინდა წერილის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრებისა და მისგან გამომდინარე თეოლოგიური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ბიბლიური პარადიგმების, კონცეფციებისა და პრინციპების სისტემა.

ბიბლიური სიბრძნე ნათლად გვიჩვენებს, რომ ადამიანის ცხოველქმედების პროცესში გამორჩეული აღვილი სამეურნეო-მმართველობით საქმიანობას უკავია, იგი საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის უმთავრეს შემადგენლი ნაწილს წარმოადგენს.

თეოლოგიური სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრების მიხედვით, კაცობრიობა და საარსებო გარემო, ეკონომიკური პოტენციალის ჩათვლით, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს შემადგენლი ნაწილებია. საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა პროცე-

სი, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, საღვთო ნების, განმგებლობის, ზრუნვის, განჩინებებისა და დაშვების საფუძველზე მიმდინარეობს.

ბიბლიის მიხედვით მთელი სამყაროს, დედამიწის, გლობალური და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, ყოველი ცალკეული სახელმწიფოს, ორგანიზაციის, საწარმოს, ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის შემოქმედი, უზენაესი განმგებელი და მმართველი არის უფალი ღმერთი.

ბიბლიაში გადმოცემულია დევთაებრივი მმართველობის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც უმთავრესი თეოლოგიური სამეურნეო-მმართველობითი პრინციპი არის ის, რომ ეკონომიკურ პროცესებს (გლობალურ, რეგიონულ, მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეებზე) მართავს უზენაესი განმგებელი, უფალი-ყოვლისამპყრობელი.

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ოფიციალურად მიღებულ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი უფალი ღმერთი, ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები.

ასეთ საფუძველს დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება კი სიმდიდრის გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას და საზოგადოების სულიერ დაცემას იწვევს, რაც იმქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანთა საბოლოო წარწყმედას განაპირობებს.

დღის წესრიგში დგება ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთივდადებითი კავშირურთიერთობების შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი წვლილის შეტანა ქრისტიან ეკონომისტებთან ერთად ყველა დაინტერესებულ და კომპეტენტურ ადამიანს შეუძლია.

დღეისათვის, დემოკრატიზაციის პირობებში, უკვე შესაძლებელი და აუცილებელია ტრადიციული, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება, ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღდგენა-განვითარება.

ეკონომიკა ამქვეყნიური ცხოვრების მატერიალური საფუძველი და მისი მთავარი შემადგენელი ნაწილია. სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის უფლისათვის სათხოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩენონთვის მიწიერ სიხარულს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზეციური ნეტარების მოპოვებას.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ყოველი ადამიანისათვის ღმერთს დადგენილი აქვს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები. ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი მიწიერი ცხოვრების მიზანი.

ყოველი ქრისტიანის მიწიერი ცხოვრების უმაღლესი მიზანია საკუთარი ცხოველქმედების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება, რაც მისი სულის ნეტარებას უზრუნველყოფს.

მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა და ემაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი ღოვლათის შექმნა წარმოადგენს ღვთივდადებით იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფევლში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისაკენ შემობრუნება. საჭიროა ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი, მართლმადიდებლური ზნეობით დასაშვები ფორმების, მიმართულებებისა და მასშტაბების განსაზღვრა, ამ სფეროში ცოდვა-დანაშაულთა აღკვეთის გზების დადგენა და ამით ადამიანთა და ერის სულიერი გადარჩენის პერსპექტივების გააზრება.

დღის წესრიგში დგება სხვადასხვა ათეისტური, მამონას კერპსა და ფულზე თრიენტირებული ეკონომიკური თეორიების ღვთივსულიერი, ადამიანის სიყვარულზე ორიენტირებული ქრისტიანული ეკონომიკური თეორიით კანონზომიერი და აუცილებელი შეცვლის აქტუალური საკითხი.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, მდიდარი ადამიანი

თავის ქონებას უნდა უყურებდეს როგორც სხვებისთვის დახმარების გაწევის საშუალებას.

თეოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ქრისტიანული საზოგადოებრივი წარმოების პროცესში სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტექნიკა-ტექნოლოგიის მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერი და არაინივთიერი დოკუმენტი (ქრისტიანული ფსეულობა), რომელიც მოემსახურება სულის ნეტარების უზრუნველყოფი ზნეობრივი კანონის განხორციელებას და არ გამოიწვევს ღმერთის გმობას, მამონას გაკერპებას და მომაკვდინებელ ცოდვათა წარმოშობა-გაბატონებას.

თანამედროვე ათეისტური ეკონომიკა შეოლოდ მიწიერი ცხოვრების გააზრებით შემოიფარგლება და ამიტომაც შეზღუდულია და ცოდვიანი, ქრისტიანული წარმოება კი ზეციური, საუკუნო ნეტარი ცხოვრების პერსპექტივაზეა დამყარებული და ამიტომაც ყოვლისმომცველია და უფლისათვის სათხო.

თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდანების ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების შესწავლას.

თეოლოგიურ-ეკონომიკური მოძღვრება ფრიად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, ამიტომ მართლმადიდებელი სამწესო, მთელი ქართველი ერი უნდა აღიჭურვოს ასეთი წწავლებით, რაც მას ღმერთოთან დაახლოებს და ჰარმონიული, სინერგიული ცხოვრების შესაძლებლობებს გადაუშლის.

მეურნეობრიობის შედეგად მიღებული დოკუმენტის განაწილება-გადააწილებისა და, კერძოდ, საგადასახადო-საფინანსო საქმისათვის ფუძემდებლურს და სავალდებულოს უნდა წარმოადგენდეს იესო ქრისტეს წწავლება: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათ. 22, 21). მასში ასახულია სამეურნეო საქმიანობის უმთავრესი ფუნქცია და ზნეობრივი ნორმაც. კეისრის (ხელისუფლების) მსახურება ხელს არ უნდა უშლიდეს ღმერთის ჭეშმარიტ მსახურებას და ზნეობრიობის აღსრულებას.

თეოლოგიური ეკონომიკა და მეტყველურ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინაა. იგი იკვლევს სამეურნეო-მმართველობით პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოკუმენტის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს და მომდევნობის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს და მომდევნობის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს და მომდევნობის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს.

თეოლოგიური ეკონომიკა არის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის და მომდევნობის სინერგიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის და მომდევნობის სინერგიულ გზებს და მომდევნობის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს.

ბიბლიური ეკონომიკური მოძღვრებიდან და დიდი სჯულის კანონის დებულებებიდან გამომდინარე, ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია ფასეულობათა (მათ შორის – ფულის, ქონების, სიმღიდრის) სიმართლით (და მომდევნობის ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება. სიმართლე, ზნეობა და სიკეთე კი სიყვარულია – სიყვარული ღმერთის, მოყვასის და უფლის ქმნილების მიმართ, ამიტომაც ქრისტიანული ეკონომიკა სიყვარულს ეფუძნება და სიყვარულის კვლავწარმოებას ისახავს უზენაეს მიზნად.

თეოლოგიური ეკონომიკა, როგორც სასწავლო დისციპლინა, ბოლო პერიოდში თანდათან ინერგება უმაღლეს სასწავლებლებში.

ქრისტიანული მეურნეობრიობის უმთავრესი პრინციპია მატერიალური დოკუმენტის და მომდევნობის სიმართლით მოპოვება და სიკეთეში გამოყენება. აქედან გამომდინარე, ბიზნესის დანიშნულება, მიზანი და თავისუფლება ზნეობრივ სიწმინდეშია.

სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მართლმადიდებელი ეკლესიის წწავლებაში და, აქედან გამომდინარე, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურ-

თხევით თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარის საღვთისმეტყველო ფაქულტეტთან 2007 წლის მაისიდან მოქმედება დაიწყო სპეციულსებმა სახელწოდებით: „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“, ხოლო 2008 წლის 12 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, სადაც მოხდება თეოლოგიური ორიენტაციის მქონე მაღალკალიფიციური ეკონომისტებისა და ბიზნესმენების მოზადება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და მისთვის სათანადო სამართლებრივი გარემოს შექმნას.

მთლიანობაში, რელიგიურ-საღვთისმეტყველო და სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს შემოქმედება და პირადი მოღვაწეობა წარმოგვიდგება როგორც საქართველოს ეკლესიის სოციალური დოქტრინისა და ქართული სახელმწიფოს ღვთივსულიერი, პარმონიული სოციალურ-ეკონომიკური (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების) განვითარების ეროვნული კონცეფციისა და რეალური პრაქტიკული საქმიანობის საფუძველი.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია 2002 წლის 14 ოქტომბერს მიღებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეპლესიას შორის.

საქართველოსათვის უნიშვნელოვანესი საკითხი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მრავალსაუკუნოვანი, ქრისტიანული ტრადიციებით განპირობებული ურთიერთობის აღდგენაა.

ეკლესიისათვის, დღევანდელ პირობებში, ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს სექტორთან ერთად, პარმონიული ურთიერთობების დამყარება საზოგადოების ისეთ ინსტიტუციებთან, როგორიცაა ბიზნესისა და არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციების სექტორები.

ასეთი მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია თეოლოგიურად გავიაზროთ ეკლესიის ადგილი და როლი თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.

ეკლესია წარმოადგენს ღმერთის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას. ეკლესიის მისია მდგომარეობს იმაში, რომ ღმერთთან სინერგიული თანამშრომლობით უზრუნველყოს კაცობრიობისათვის მარადიული სიცოცხლე ზეციურ სასუფეველში.

ეკლესიის ღმერთკაცური ბუნებისა და დანიშნულების გათვალისწინებით, მისი მოღვაწეობის სფერო, ჩვენი აზრით, უნდა წარმოვიდგინოთ წრის სახით, რომელიც სრულად მოიცავს სახელმწიფოს, ბიზნესისა და მესამე სექტორის მთელ საქმიანობას და იმავდროულად ზეამაღლებულია მათზე, ეწოდება რა უზენაესი, ნეტარი, ღვთაებრივი, ღმერთის მიერ მართვადი სფერო კაცობრიობის სიცოცხლისა და განვითარებისა.

საეკლესიო სამართლის წყაროებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია დიდი სჯულის კანონს, რომელიც დადგენილია როგორც სავალდებულო კოდექსი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მისი მთავარი ღირსება არის ის, რომ იგი შინაარსით და ქრონოლოგიურად სისტემაში არის მოყვანილი, შეიცავს სამოქალაქო კანონმდებლობასაც და სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლების ნაკვეთებსაც.

დიდი სჯულის კანონში ფართოდ არის ასახული სამეურნეო და მმართველობითი ხასიათის მრავალფეროვანი თემატიკა, რომელიც ფრიად აქტუალურია როგორც საერო, ასევე საეკლესიო საზოგადოებისათვის.

დიდი სჯულის კანონი და მასში ასახული სამეურნეო-მმართველობითი სწავლება საეკლესიო და საერო ხელისუფალთა მისწრაფებების პარმონიული ურთიერთშესამების ისტორიულ საფუძველს და ნიმუშს წარმოადგენს, რისი აღორძინებაც აუცილებელია თანამედროვე პირობებში, რათა საქართველომ აღიდგინოს დავითისა და თამარის დროინდელი დიდება და კეთილდღეობა.

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის სამონასტრო

ლავრისადმი წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ღვთივსულიერი, სინერგიული ურთიერთობის მარეგულირებელ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ისტორიულ ძეგლს, მოდელს, რომლის არსობრივ შესწავლა-გამოყენებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს კეთილდღეობისათვის.

მთლიანობაში, ისევე როგორც საეკლესიო სამართლის სხვა დოკუმენტები, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება საფუძვლად უდევს საქართველოს ეკლესიის საქმიანობას. ამასთან, ღვთივსულიერი წარმომავლობისა და დანიშნულების გამო, მისი ძირითადი დებულებები და პრინციპები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული საერო სამეურნეო-მშართველობით საქმიანობაში.

დღეისათვის აგროეკოლოგიური ტურიზმი მსოფლიოს მასშტაბით უაღრესად საინტერესო და სწრაფად მზარდ დარგს წარმოადგენს. ეს არის ეკოტურიზმის ნაირსახეობა, მისი შემადგენელი ნაწილი, ფერმერულ (აგროეკოლოგიურ) ობიექტებზე დამყარებული ტურიზმი.

ჩვენი ქვეყნისათვის აგროეკოლოგიური ტურის საპროგრამო თემაში შეიძლება შედიოდეს მთლიანად საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების აგროეკოლოგია, მეურნეობა, გეოგრაფია, ისტორია, რელიგია, კულტურა, ეთნოლოგია და სხვ.

მთლიანად საქართველოსათვის სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ისეთი პოლიტიკის შემუშავება-გატარება, რომელიც მთის მოსახლეობას მთაში დაამაგრებს, იქ უპოვის მათ საარსებო საშუალებას.

საქართველოს მთიან რაიონებში წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ ტურიზმი. ეს დარგი მთავრობის მიერაც არის პრიორიტეტულად მიზნული, მაგრამ იგი უნდა განვითარდეს გეგმაზომიერად და არა ისე ქაოტურად, როგორც ეს ახლა წდება.

გადამწყვეტი როლი ენიჭება ქართული სოფლის სიძლიერის აღდგენას. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია ქართველებით დაუსახლებელ-აუთვისებელ რეგიონებში კიბუცების ტიპის საზოგადო-

ებრივი მეურნეობების მოწყობა-განვითარება. ჩვენი აზრით, ასეთ სოფელს, ჯობია, ქრისტიანული თემი ვუწოდოთ, სადაც კიბუცებისაგან განსხვავებით, სამეურნეო საქმიანობა ქართულ სარწმუნოებრივ-სამეურნეო ცხოვრებას დაყრდნობა. წამოწყებულ საქმეს შეიძლება ქართული ქრისტიანული თემის აღორძინების პროექტი ვუწოდოთ. თემები უნდა განლაგდეს სათანადო რეგიონებში არსებული ეკლესია-მონასტრების ირგვლივ, რითაც საფუძლი ჩაეყრება ეკლესისა და ქვეყნის ეკონომიკურ მომბლავრებას.

სასოფლო-სამეურნეო რესურსული პოტენციალის ეფექტიან გამოყენებასა და სასურსათო უშიშროების პრობლემის მოგვარებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია, ზოგადად, საეკლესიო ეკონომიკისა და, კერძოდ, საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ბოლო პერიოდში საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა უძრავი ქონება შენობა-ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სატყეო-სამეურნეო ფართობების სახით.

მთლიანობაში, თავისი მატერიალურ-ფინანსური ბაზის გაძლიერების მეშვეობით, საქართველოს ეკლესია სრულად დაიკავიოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფს მრევლს სამუშაოთი და შემოსავლებით. ამასთან, დიდ წვლილს შეიტანს საქართველოში მცირე, საშუალო და აგრარული ბიზნესის განვითარებაში და სხვა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიღწევაში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილა II-ის, წმინდა სინოდის, ცალკეული ეპრაქტიკებისა და ეკლესია-მონასტრების დიდი რუდუნების შედეგად ჩვენი ეკლესია იძრუნებს ტრადიციულად ძლიერ პოზიციებს როგორც სასულიერო მოღვაწეობის, ასევე საერო, სამეურნეო საქმიანობის სფეროში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მთელი ქვეყნის სინერგიულ, დათვისულიერ განვითარებას.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი სათანადო არ

ვითარდება მთელი რიგი ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების გამო. ამ გარემოებამ გამოიწვია საზოგადოების მკეთრი დაყოფა ძალზე მდიდარ და ძალზე დარიბ ფენებად და განაპირობა საშუალო, შეძლებული ფენის ჩამოყალიბების საგანგაშო შეფერხება. ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა საქართველოს ხელი-სუფლებამ ეკლესიასთან, მეცნიერებთან და სპეციალისტებთან ერთად 2002 წლის 14 ოქტომბრის კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე შექმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველწლივ შეისწავლის არსებულ პრობლემებს და შეიმუშავებს სათანადო სამოქმედო პროგრამას.

საქართველოს სულიერ-მატერიალური სინერგიისა და ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ქრისტიანული აზროვნებისაკენ შემობრუნება, ეკონომიკაში ქრისტიანული საფუძვლებისა და პრინციპების აღორძინება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენა, ერის მატერიალური და სულიერი პროგრესისათვის საჭირო თანამედროვე მაღალეფექტიანი დარგების განვითარება.

საქართველოს მართლმადიდებელი და სხვა დაინტერესებული ეკონომისტების გადაუდებელი ამოცანაა ქრისტიანული ეკონომიკის, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინის წარმოჩენა, ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი და უფლისათვის სათანადო ფორმების, მიმართულებების და მასშტაბების, ამ სფეროში ცოდვიანობის სიღრმისეულობის განსაზღვრა და ცოდვათა მაქსიმალური აღკვეთის გზების დაღენა, საქართველოს ეკონომიკის მართვის მარო და მიკროდონეებზე შესაბამისი გამოკვლევა-ანალიზის ჩატარება და ამის საფუძველზე ქვეყნის ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სათანადო კონცეფციისა და რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის რადიკალური სრულყოფისათვის აუცილებელი და შესაძლებელია მუშაობის გაშლა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ღვთივდადგენილი სიბრძნის, წმინდანთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების შესწავლა;
- ფუძემდებლური ბიბლიური სწავლების, ქრისტიანული ზნეობის, სოციალური და სამეურნეო-მმართველობითი პარადიგმების, კონცეფციების და პრინციპების შეხამებული გამოყენება;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიული ასპექტების სიღრმისეული გააზრება;
- საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობრიობის გამოცდილების შესწავლა-გამოყენება;
- თანამედროვე მსოფლიოს უახლესი სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციების (თეოლოგიური ეკონომიკა, ნეოეკონომიკა, მეტაეკონომიკა, ფინანსომიკა, მდგრადი განვითარება და სხვ.) და პროგრესული სამეურნეო-მმართველობითი პრაქტიკის სათანადო შესწავლა-გამოყენება;
- საქართველოში მთელი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის კომპლექსური თეოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ-ეთიკური ანალიზის ჩატარება;
- აღნიშნულის საფუძველზე საზოგადოების პარმონიული ღვთივსულიერი ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის, სტრატეგიის და შესაბამისი სამთავრობო პროგრამის შემუშავება;
- ეროვნული მეურნეობის ყოველი ცალკეული სფეროსათვის სათანადო სამოქმედო ქვეპროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ასეთი გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა კომპეტენტური და დაინტერესებული მხარის მიერ, რათა გამშალოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნების გახორციელებისათვის.

ამიტომ ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების გადაუდებელი ამოცანა არის ის, რომ სათანადო გამოგვლევებისა და გააზრების

საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძვლები, ზოგადი პრინციპები და დავსახოთ მათი განხორციელების გზები.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციას საფუძვლად უნდა დაედოს მართლმადიდებლურ-თეოლოგიური სიბრძნით ნასაზრდოები, ქართველ წმინდანთა: წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე), წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) და თანამედროვეობის უდიდესი საეკლესიო-საერთო მოღვაწის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კონცეფციებისა და პარადიგმების ერთიანობა.

#### წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე):

- „პაცი ჯერეთ უნდა იყოს ქრისტიანე და მერმეთ ვაჭარი“;
- „სამთა ეგოდენ დიდთა სათნოებათათვის, ვითარცა ღვთის პატივის-ცემა, ეკლესიის შემკობა, ობლების გამოზრდა, არა თუ განხრწნადი ფულის გამოღება არ უნდა გემძიმებოდეს, არამედ თავისა შენისა სიცოცხლე არ უნდა დაზოგო“;
- „მხოლოდ ის სიმდიდრე არის მკვიდრი და მაგარი, რომელიც კაცმა მიიღო ერთითა პატიოსნითა შრომითა“;
- „ბედნიერება ქვეყნისა აშენდება მხოლოდ სწავლითა, შრომითა, პატიოსნებითა“;
- „ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი – შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ეს-ენი თუ გსურს ბედნიერება“;
- „მაცხოვარი იესო ვიდრე სრულ ჰასაკის მოსვლამდე და სახარების ქადაგების დაწყებამდე სცხოვრობდა იოსებ ხუროს სახლში და ეხმარებოდა მას ხურობაში“;
- „ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი, იოანე ოქროპირი, თავისუფალი რომ იქნებოდნენ ეკლესიის მსახურებისაგან, აღიღებდნენ ბარსა და თოხსა და შეუდგებოდნენ მიწის კეთე-

ბასა, ესენი ყოველნი დამამცრომელად არ რაცხდნენ ესრეთსა მუშაობასა“;

- „ბედნიერი არის ქვეყანა, რომელსა შინა ყოველი მცხოვრები, დიდი და მცირენი, არიან შრომის მოვარენი; თავის შრომაზე და მეცადინეობაზე აქვთ იმედი და მათგან ელიან წარმატებასა“;
- „საწყალი და საბრალო არის ის ქვეყანა, სადაცა უმრავლესნი პირი შესჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდვიათ ჩინებზე, ჯამაგირზე, ჯილდოზე, ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხ-ჰყოფენ და უკადრისობენ“;
- „სიმდიდრე თავის თავად ვერც აცხოვნებს, ვერც წარწყმედს კაცსა, არამედ მოხმარება სიმდიდრისა; მზგავსადვე სიღარიბე. სულის ცხოვნება დამოკიდებულია სასოებასა და სარწმუნოებასა ზედა. ვისაც ესენი აქვს გულში ცხოველად, იგი სიმდიდრესაც მოიხმარს ცხოვნებისათვის და სიღარიბესაც“;
- „ღმერთო, განაძე გულისაგან ჩვენისა ყოველი ცრუ ჰაზრი, მოგვეც მხნეობა, დაპატარე ჩვენს შორის სული შრომისა და მოღვაწეობისა! ამინ“.

#### წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე):

- „მამული, ენა, სარწმუნოება“;
- „წარსული, აწმყო, მომავალი“;
- „სულიერი და ხორციელი პური“;
- „სულიერი და ხორციელი ღონის ერთიანობა“;
- „წილებრივ-ქონებრივი თანასწორობა“;
- „საერთო-ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობა“;
- „შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხი“;
- „სწავლა, ცოდნა და მეცნიერება“;
- „ღონე – ღონეს, შრომა – შრომას“;
- „სოფლის მეურნეობის უპირატესობა“;
- „მიწა და გუთანი“,

- „ეპონომიკური სიძლიერე – საადგილმამულო მრეწველობა“;
- „მონარქიის როლი ეპონომიკაში“;
- „პარმონია: მთავრობა, ხალხი, მეურნეობა“;
- „ურთიერთსიყვარული“.

### **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II:**

- „თქვენი ყოველდღიური თანამგზავრი უნდა გახდეს წიგნი და მათ შორის უპირველესი წიგნი – ბიბლია“;
- „რაც სულია სხეულისათვის, ეკლესია ისაა ერისათვის. როცა სული სხეულს შორდება, სხეული კვდება. ასევეა ერიც ეკლესის გარეშე“;
- „მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“;
- „აუცილებელია შრომა... შრომით უნდა მოიპოვოს ადამიანმა პური არსობისა. დავაკვირდეთ თუნდაც წინასწარმეტყველების ან წმიდა მოციქულების მოღვაწეობას, ისინი ძალიან ბევრს შრომობდნენ“;
- „განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს დღეს, პირველ რიგში, ეკლესია უნდა დაუდგეს გვერდით, ეკლესიამ უნდა იზრუნოს მისთვის“;
- „კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც“;
- „შრომა და განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრევლში სულიერობასაც ამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია“;
- „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა“;
- „არავითარი სხვა შემოსავალი რომ არ ჰქონდეს ოჯახს და

- მას მხოლოდ ფუტკარი ჰყავდეს, ის უკვე უზრუნველყოფილი იქნება ცხოვრების მანძილზე“;
- „მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს“;
- „ყველამ ერთად უნდა იზრუნოს ჩვენი ბუნების გადარჩენისა და ჩვენი ერის ჯამრთელი მომავლისათვის“;
- „ქართველმა კაცმა იცის მიწაზე მუშაობა, მაგრამ პოლანდის გამოცდილება ხელს შეუწყობს მეურნეობებისა და ფერმების მაღალ დონეზე მოწყობას“;
- „როცა საშობაოდ ისრაელში ვიყავით, ჩვენ მოვხვდით ერთერთ ფერმაში, იქ ფერმებს კიბუცები ეწოდება. კიბუცი პატარა სოფელია, ერთად 100-200 ოჯახია შეკრებილი, მათ ჰყავთ საქონელი, ასევე დიდი ფართობის მიწები, სადაც მოსავალი მოჰყავთ“;
- „ჩვენი სურვილია, ისეთი სოფლები შეიქმნას, სადაც რწმენითა და სიყარულით გაერთიანდება ხალხი და აღდგება ძველი ნასოფლარები“;
- „ადამიანი მოვალეა გაუფრთხილდეს და ყოველდღიური საქმიანობისას დალოცოს მიწაც, მოსავალიც, პირუტყვიც... ეკლესიაში კი ამისთვის საციალური ლოცვებია დადგენილი“;
- „განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს დღეს, პირველ რიგში, ეკლესია უნდა დაუდგეს გვერდით, ეკლესიამ უნდა იზრუნოს მისთვის“;
- „ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა გადავწყვიტოთ, საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან, ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს“;
- „აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა“;
- „საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც

- „აუცილებელია, საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება“;
- „ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც“;
- „სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს თითოეულ მოქალაქეზეც“.

მთლიანობაში, რელიგიურ-საღვთისმეტყველო და სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისით, აღნიშნული სასიქაღულო ქართველი სასულიერო-საერო მოღვაწეების შემოქმედება და პირადი ცხოვრება წარმოგვიდგება როგორც საქართველოს ეკლესიის სოციალური დოქტრინის და ქართული სახელმწიფოს ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციისა და რეალური პრაქტიკული საქმიანობის საფუძველი.

ბიბლიური სიბრძნით ნასაზრდოები, მართლმადიდებელ წმინდანთა და ღვთისმეტყველთა სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება საფუძველს უყრის მართლმადიდებლურ თეოლოგიურ ეკონომიკას, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკულ და სასწავლო დისკიპლინას, რომლის პრინციპები, მიზანი, ამოცანები და შესაძლებლობები სრულად ესაბამება საქართველოს უძირითადეს საჭიროებებს და გვაძლევს სწორ გეზს ქვეყნის ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარები-

სათვის, გლობალურ სისტემაში მისი ჰეშმარიტი მისის დადგენისა და ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

მთელი კაცობრიობის და ყოველი ერის  
განვითარების ღვთივსულიერი  
გეზი საუფლო გზა:

„მე ვარ გზა და ჰეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მასთან, თუ არა ჩემს მიერ“ (იოან. 14,6).

იოანეს გამოცხადებაში უფალი მიმართავს ფილადელფიის ეკლესიას:

„ვიცი შენი საქმენი: აპა, მოგეცი შენს წინაშე გახსნილი კარი და ვერავინ შესძლებს მის დახშვას. მცირე გაქვს ძალა, მაგრამ დაიცავი ჩემი სიტყვა და არ უარყავ ჩემი სახელი. ...რაკიდა დაიცავი სიტყვა ჩემი მოთმინებისა, მეც დაგიცავ განსაცდელის უამს, რომელიც მოიწევა მთელს ქვეყნაზე მიწის მკვიდრთა გამოსაცდელად. აპა, მოვალ მალე. მტკიცედ გეპყრას, რაც გაგჩნია, რათა არავინ წარგტაცოს შენი გვირგვინი. მძლეველს სვეტად აღმართავ ჩემი ღვთის ტაძარში, და აღარ გავა გარეთ; და დავაწერ მას სახელს ჩემი ღვთისას, სახელს ჩემი ღვთის ქალაქის – ახალი იერუსალიმისას, ზეცით რომ ჩამოდის ჩემი ღვთისაგან, და ჩემს ახალ სახელს“ (გამოცხ. 3, 8, 10-12).

საქართველოს კათოლიკოს-კათოლიკი  
იღია II  
მოძღვრას ყველა ჩვენგანს:

„ყველა თქვენგანს და მთელ საქართველოს ვაძლევ ლოცვა-კურთხევას, რომ ფილადელფიის ეკლესიის შესახებ გადაიწეროთ გამოცხადებიდან და ზშირად იყითხოთ. მე მინდა გითხრათ, რომ მთავარია ღირსი ვიყოთ გვეწოდებოდეს ფილადელფიის ეკლესია, ამინ.“

## ლიტერატურა და ლიტერატურული მუსიკა

1. ახალი აღთქუმაი. დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. შემდგენელ-გამომცემელი მღვდელი გიორგი სამსონიძე. თბ., 2003.
2. ახალი აღთქმა. დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ. მთ. რედ. ლ. ნადარეიშვილი. თბ., 2004.
3. ბიბლია. მცხეთური ხელნაწერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთოთ ე. ღოჩანაშვილმა. რედ. ზ. სარჯველაძე. ტ. 1-5, თბ., „მეცნიერება“, 1981, 1982, 1983, 1985, 1986.
4. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989.
5. ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: ე. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე. რედაქტორი: ზ. სარჯველაძე. წიგნ.: 1 და 2. ჰოლანდია, 2000.
6. ავტორთა პირადი საუბრები და ჩანაწერები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან.
7. არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე). ქრისტიანული დამოკიდებულება ავადმყოფობისადმი. წიგნში: საეკლესიო სამედიცინო კალენდარი 2000. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბ., 2000.
8. არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე). ბიოეთიკის გენეზისის ინტელექტუალური განზომილება. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო უკრნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
9. არქიმანდრიტი იაკობი (იაკობიშვილი). მეცნიერობის განვითარება სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cigenebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
10. არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე). მოძღვრის შეხედულებანი საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე. საქართველოს საპატრიარქოს უკრნალი „ლოგოსი“. 2004, №3.

11. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ბეჭედი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1955.
12. ბაკაშვილი ნ. საბაზრო ინფრასტრუქტურა. თბ., თსუ, 2004.
13. ბაკაშვილი ნ. სულიერი მამა, მოძღვარი და ხიდი მარადიული ყოფისა. საიუბილეო უკრნალი „დეკანოზი ღვთისო (შალიგაშვილი) 70 წლისაა.“ რედაქტორი გ. შიხაშვილი. თბ., 2007.
14. ბაკაშვილი ნ., მესხიშვილი დ. საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება მთანეთიდან უნდა დაიწყოს. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cigenebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
15. ბუაჩიძე კ. მცნარეთა დაცვის ხალხური საშუალებები. თბ., საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2001.
16. ბუაჩიძე კ. წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) მცნარეთა დაცვის შესახებ. თბ., 2004.
17. ბუბულაშვილი ე. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები. რედაქტორები: დეკანოზი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მაქსიმე ჭანტურია და ფილ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე. თბ., „ახალი ივირონი“, 2007.
18. ბუბულაშვილი ე. ქართველ ავტოგეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქებს. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო უკრნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
19. ბუმისი პ. ი. კანონიკური სამართალი. თარგმნა ბერძნულიდან ი. გარაფანიძისა. ათენი, თბ., „მთაწმინდელი“, 2007.
20. გაგნიძე ი. სულიერისა და მატერიალურის მიმართება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასა და ცალკეულ ინდივიდთა აზროვნებაში. უკრნალი „სოციალური ეკონომიკა“. 2000, №4.
21. გაგნიძე ი. სარწმუნოება და შრომითი ურთიერთობები. საქართველოს საპატრიარქოს უკრნალი „ლოგოსი“. 2004, №3.
22. გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა. თბ., „უნივერსალი“, 2007.
23. გაგნიძე ი. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა, მეცნიერება და

- რელიგია. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
24. გაგნიძე ო. ზღვრული არჩევანის პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
  25. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2004 წლის № 21; 2007 წლის №№16,17,18,26,35,36.
  26. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 2008, №6.
  27. გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“. სპეციალური გამოცემა, 12.10.08.
  28. გეორგია. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 5. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963.
  29. გლობალიზაცია – რას გვიქადის ის? სამყაროს აღსასრულისა და ანტირისტეს შესახებ. რედაქტორ-შემდგენელი დეკანზი გიორგი ჯგუშია. პასუხისმგებელი გამოცემაზე დეკანზი მიქაელ ბოტკოველი. თბ., „ხარება“, 2008.
  30. გოგორიშვილი ი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების ფორმირებაში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
  31. გოგოხია რ. როგორ გავხდე ფერმერი. ჟურნალი „ეკონომიკა“ № 7-8, 1996.
  32. გოგოხია რ., კილასონია გ. ფერმერული მუშრობის პორიზონტები. თბ., 1999.
  33. გუგუშვილი გ. მცხეთა-თბილისის ეპარქია. რედაქტორი მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. თბ., 2006.
  34. გულუა ე. ქრისტიანული მორალი და ბიზნესი. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
  35. დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი. წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. 2, თბ., 1987.
  36. დეკანზი ბიძინა გუნია. ასტროლოგიურ ცრუსწავლებათა მხილება. თბ., 2006.
  37. დეკანზი ბიძინა გუნია. ოულიუსის კალენდრის საკითხისათვის. თბ., 2007.
  38. დეკანზი გიორგი ზვიადაძე. წმ. გრიგოლ ნოსელი – „ქალწულებისათვის და საღმრთოსა მოქალაქობისა“. ფილ. მეცნ. კანდიდატის დისერტაციის ავტორულებაზე. თბ., 2004.
  39. დეკანზი გიორგი თევდორაშვილი. ბაპტიზმი და მისი გავრცელება საქართველოში. რედ. კ. ცინცაძე. თბ., 2005.
  40. დეკანზი მიქაელ გალდავა. სიტყვა სამლოცველოს კურთხევისას. სტატიაში: მაღლივ კორპუსში წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო ამოქმედდა. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2008, №3, მარტი.
  41. დიდი სჯულის კანონი. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987.
  42. დურნოვო ნ. ბედი ქართული ეკლესიისა. თარგმანი გ. ტოტოჩავასი. შემოქმედის წმ. ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტერი. 2000.
  43. ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). ქადაგება ნინობას – „მოდიდა ნინო მთებით“. გაზ. „სიონი“, 2008, №14, თებერვალი.
  44. ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). შემაჯამებელი სიტყვა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2008, №14.
  45. ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.

46. ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული). ქრისტიანობა და კულტურა. საერთაშორისო სიმპოზიუმის „„ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“-ის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
47. ეპისკოპოსი ივგუდიელი (ჭაბატაძე). მისალმების სიტყვა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
48. ეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი). ქრისტიანობა და მედიცინა. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
49. ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი). რელიგიურ-ეთიკური აღზრდის თანამედროვე პრობლემების შესახებ. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. №5/2008.
50. ეპისკოპოსი კირიონი. ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში. თარგმნებს მონაზონბა ნისიმებ და ია ღადუამ. შემოქმედის წმ. ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტერი. 2009.
51. ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი). დემოგრაფიული პრობლემები ქრისტიანული თვალსაზრისით. საერთაშორისო სიმპოზიუმის „„ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
52. ერქომაიშვილი გ. ქრისტიანობა და ქველმოქმედება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
53. ვარდოსანიძე ს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ექლესია 1917-1952 წლებში. თბ., „მეცნიერება“, 2001.
54. ვარდოსანიძე ს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. თბ., 2008.
55. ვეშაპიძე შ. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. თბ., 1999.
56. ვის ვევედროთ ავადმყოფობისა და გაჭირვების დროს. რუსთავი, „გორგასალი“, 2002.
57. ვოლობაევი ა. „როგორ იარსებოს მართლმადიდებელმა მეწარმემ თანამედროვე რუსეთის ბიზნესში“. თარგმანი რუსულიდან. მთარგმნელები: დეკნოზი ალექსანდრე ჩახვაშვილი, შიხაშვილი გ. თბ., „კოტნე“, 1998.
58. ზეციური იერარქია. გამოსაცემად მოამზადა დ. ბასილაიამ. თბ., „მერმისი“, 2006.
59. ზნეობრივი ღვთისმეტყველება. პასუხისმგებელი გამოცემაზე მღვდელი სერგი კასრაძე. რუსთავი, 1993.
60. თაკალანძე ლ. ქველმოქმედება: სიკეთე თუ უკეთურება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
61. თოდუა. გ. მართვის მეცნიერული ორგანიზაციის სათავეებთან (ბიბლიური პასახები). ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“. 2003, №2.
62. თოდუა ნ., უროტაძე ე., უროტაძე ე. საეკლესიო ქართული აბრეშუმის ქსოვილების წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
63. თომსენი რ. ბიბლიის სამედიცინო სიბრძნე. ინგლისურიდან თარგმნა გ. ნიკოლაძემ. თბ., „ოვერია“, 1991.
64. იაშვილი ნ., ბახტაძე გ. მეაბრეშუმეობის განვითარება საქართველოში. 1949.
65. ილუმნი დოსითეოზი. საეკლესიო სასამართლო წმ. წერილში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
66. იოანე მონაზონი. მცირე სჯულისკანონი (შეცოდებულთა კანონები). ბერძნულიდან თარგმნა, ძველქართულ, სლავურ და ლათინურ ტექსტებს შეუჯერა და სქოლიობი დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბ., 2003.
67. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეპლესიას შორის. გამ. „საპატრიარქოს უწყებანი“, №42, , 18-24 ოქტომბერი, 2002 წ.
68. კოპლატაძე გ. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. წიგნში: საქართველოს ეპლესის კალენდარი. 2001.
  69. კოლუშვილი პ. სამკვიდროს გულიდამ ამოღება მნელია (ილია ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობის შესახებ). თბ., „უნივერსალი“, 2007.
  70. კოლუშვილი პ. საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. თბ., „ინოვაცია“, 2009.
  71. კრწანისის ტყე-პარკის მენჯმენტის გეგმა. საქართველოს მართლმადიდებელი ეპლესის საპატრიარქო. მომზადებულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) საქართველოს წარმომადგენლობის ხელშეწყობით. თბ., 2000.
  72. ლომინაძე ბ. საქართველოს მართლმადიდებელი ეპლესის მიწათმფლობელობა ძველი დროიდან XX საუკუნემდე (1917 წ.). ქუთაისი, 1997.
  73. ლომინაძე ბ. შიომღვიმე, ქსე, 11, თბ., 1987.
  74. ლომინაძე ბ. შიომღვიმე, თბ., 1953.
  75. ლომინაძე ბ. ქართული საეკლესიო სენიორის ისტორიიდან (შიომღვიმის მონასტერი). საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1949. იხ., აგრეთვე, ქსე, ტ. 11, თბ., 1987.
  76. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. თბ., 2005.
  77. ლორთქიფანიძე რ. მამა ღვთისო – სულიერების ურყევი მსახური. საიტილეო უურნალი „დეკანოზი ღვთისო (შალიკაშვილი) 70 წლისაა.“ რედაქტორი გ. შიხაშვილი. თბ., 2007.
  78. ლოსკი ვ. დოგმატური ღვთისმეტყველება. მთარგმნელი – ზ. ეკლაძე. თბ., 2007.
  79. ლოცვანი ყოველდღიური საჭიროებისათვის. იბეჭდება რუს-ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით. თბ., 2005.
  80. მართმადიდებელი ეპლესის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მი-

- ლაში) განმარტებებით. თარგმნა ვ. ჩხიგვაძემ. რედაქტორი და რეცენზენტი იღუმენი დოსიტები (ბოგვერაძე). თბ., „ალილო“, 2007.
81. მართლმადიდებლური კებგვერდი <http://www.orthodoxy.ge/>.
  82. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის. რედ. დ. კაჭარავა. თბ., თსუ, 1993.
  83. მდიდრები და ღარიბები. შემდგენელი გ. ხარებაშვილი. თბ., „ხარება“, 2006.
  84. მესხია ი. ეკონომიკა და ქრისტიანული მორალი. ჟურნალი „რელიგია“, 2003, №7-8-9.
  85. მესხია ი. ეკონომიკური და რელიგიური უსაფრთხოება თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
  86. მეტრეველი მ. რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
  87. მთავარეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა). ქრისტიანობა და ეროვნება. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
  88. მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა). სიტყვა ეპარქიის პირველი სასწავლებლის გახსნაზე. უურნალი „ჭყონდიდელი“. 2008, №10-11, ნოემბერ-დეკემბერი.
  89. მინდიაშვილი ა. ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია. თბ., 2008.
  90. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). საქართველოს სამოციქულო ეპლესის ისტორია. თბ., „მერანი“, 1999, ტ. 3.
  91. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). საქართველოს საეკლესიო კრებები. თბ., 2003, წიგნები I,II,II.
  92. მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხისათვის. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.

93. მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი). ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
94. მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშვილი). ომი და მშვიდობა. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
95. მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭვაშვილი). ქრისტიანობა და სახელმწიფო. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
96. მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხისათვის. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
97. მიტროპოლიტი ელისე (ჯოხაძე). ეკლესია და მასმედია. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
98. მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). ეკლესია და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
99. მიტროპოლიტი ინოკენტი. გზა ცათა სასუფეველისა. წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბ., 1994.
100. მიტროპოლიტი ომი (აქიაშვილი). ზნეობა და ქრისტიანობა. საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყო, მომავალის“ მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.
101. მიქაშვილი ნ. მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის ადგილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
102. მღებრიშვილი ბ. ქრისტიანობა და მევენაზობა-მეღვინეობის გან-

- ვითარება საქართველოში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
103. მღვდელი ბასილ ახვლედიანი. ბიბლიის სოფლისმეურნეობრივი თემატიკა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №4, 2006.
  104. მღვდელი ბასილ ახვლედიანი. სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა დიდი სჯულის კანონის მიხედვით. ჟურნ. „ეკონომიკა“, №7, 2006.
  105. მღვდელი ბასილ ახვლედიანი. საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის დისერტაცია. ხელმძღვანელები: გ. შიხაშვილი, ე. ხარაიშვილი. თბ., 2008.
  106. მღვდელი კონსტანტინე ჯინჭარაძე. რეფორმატორული სული „მართლმადიდებლურ“ ღვთისმეტყველებაში. 2007.
  107. მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია). სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. ილია მართლის შემოქმედებაში. სადიპლომო ნაშრომი. ხელმძღვანელი გ. შიხაშვილი. თბილისის სასულიერო სემინარია, 2000.
  108. მღვდელ-მონაზონი სერაფიმე როუზი. მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა. თარგმანა რ. ბუაჩიძემ. თბ., 2003.
  109. ოთარაშვილი ნ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის სამლოცველოს ერთი წელი შეუსრულდა. ჟურნალი „ჰელონდიდელი“, №3, მარტი, 2009.
  110. პეტრიწონის წესდება. წიგნში: გეორგიკა. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 5. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. საქართ. მეცნ. აკად. გამომცემლობა. თბ., 1963.
  111. პროტოპრესკიტერი მიხეილ პომაზანსკი. დოგმატური ღვთისმეტყველება. რედაქტორ-რეცენზეტი ილუმენი დოსითეოზი (ბოგვერაძე). თბ., 2006.
  112. ჟორდანია თ. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაპხანის ქვაბთა. გამოცემული გორის ეპისკოპოსის

- და საქართველოს კიკარის ალექსანდრეს მიერ, თბ., 1896.
113. ურნალი „დედაქლესია“. 2007, №8.
114. ურნალი „ჭყონდიდელი“. 2008, №10-11, ნომბერ-დეკემბერი.
115. საეკლესიო სასოფლო-სამურნეო კალენდარი. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბ., 2000.
116. საიუბილეო ურნალი „დეკანოზი ღვთისო (შალიკაშვილი) 70 წლისაა.“ რედაქტორი გ. შიხაშვილი. თბ., 2007.
117. სამხარაძე ნ. ეკლესია-მონასტრების სამურნეო-მმართველობითი საქმიანობა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
118. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგების დებულება. მცხეთა, სვეტიცხოველი, 1995.
119. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს საშობაო ეპისტოლე. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1994.
120. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს საშობაო ეპისტოლე. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1995.
121. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მიმართვა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისადმი. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“. 2002, №44.
122. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბ., „გეოპრია“, 2004.
123. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი. თბ., „გეოპრია“, 2004.
124. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“. 2008, 30 აპრილი, სპეციალური გამოშვება.
125. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“. 2009, №1.
126. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2009 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“. 2009, №14.
127. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990,
128. საქართველოს მიწის კანონმდებლობა, გამოცემული 2008 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2008.
129. საქართველოს საეკლესიო ისტორია. შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ. ტფილისი, 1886.
130. საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდი: წმინდა სინოდის განჩინებები. <http://www.patriarchate.ge/?action=sinodi>.
131. სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989.
132. სახელმწიფოებრივი კატეხიზმო: მართლმადიდებლური სწავლება საღვთო ხელისუფლებაზე. მთარგმნელ-გამომცემელი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი. თბ., 1999.
133. სილოგავა ვ. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. თბ., 2003.
134. სულიერი მდელო. ტექსტი მოამზადეს ნ. თარაშვილმა, ხ. რაქიაშვილმა, თ. ასათიანმა. რედ. თ. გოგოჩაშვილი. საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის გამოცემა. 2005.
135. სქემარქიმანდრიტი იოანე მასლოვი. ლექციები სამოძღვრო ღმრთისმეტყველებაში. თარგმანი გ. რუხაძისა. რედ. გ. კოპლატაძე. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბ., 2007.
136. ფასაკაძე გ. მასალები საქართველოს მეაბრეშუმელის ძველი ისტორიისათვის. თბ., 1957.
137. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913.
138. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II, ქუთაისი, 1913.
139. ქართველ წმიდანთა ცხოვრება. თბ., 2002.
140. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). თბ., „მეცნიერება“, 1970.

141. ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
142. ქურდაინი მ. ცივილიზაციათა დიალოგის რელიგიური საფუძვლები. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. №5/2008.
143. ღამისთვის ლოცვა. ლიტურგია. ფერისცვალების სახ. დედათა მონასტერი თბ., 1999.
144. ღვთივ-შვენიერი სწავლანი, რომელსაც ეწოდება ოქროს წყარო, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირის მიერ. თბ., 1905.
145. ღვთისმშობლის „ბარაქის“ ხატის დაუჯდომელი. თბ., 2002.
146. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია. ეკლესიის მამათა გამონათქმამები. შემდგენელი გ. კალანდაძე. თბ., 2007.
147. ღირსი იუსტინე პოპოვიჩი. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი. წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. ტ. 5, თბ., 1995.
148. ღირსი იუსტინე პოპოვიჩი. ესქატოლოგია. ქრისტეს მეორედ მოსვლა და მომავალი საუკუნო საუფეველი. მთარგმნელი და გამომცემელი ე. ეკალაძე. კონსულტანტები: ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი). თბ., 2006.
149. შავიძე პ. სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის შემოქმედებაში. სადიალომო ნაშრომი. ხელმძღვანელი გ. შიხაშვილი. თბილისის სასულიერო სემინარია, 2002.
150. შიხაშვილი გ. ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის მართლმადიდებლური საფუძვლების გააზრებისათვის. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1994, №9-12.
151. შიხაშვილი გ. ეკონომიკური სამყარო სახარების მიხედვით. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1995, №1-3.
152. შიხაშვილი. გ. ქრისტიანული ეკონომიკის გაგებისათვის. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1995, №4-6.
153. შიხაშვილი გ. მართლმადიდებელი ეკონომისტები ერის სამსახურში. საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური სკოლა-სემინარის მასალები. თბ., 1995.
154. შიხაშვილი გ. ქრისტიანული ეკონომიკა – პარმონიული საფინასო-ეკონომიკური საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ., 1996.
155. შიხაშვილი გ. ეკონომისტების მომზადება ქრისტიანულ საფუძველზე. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბ., 1996.
156. შიხაშვილი გ. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი. თბ., „ზედაშე“, 1996.
157. შიხაშვილი გ. ეშმაკოთან წილადაყრიცხული ვერცხლისმოყვარეობა. გაზ. „ფინანსები“, 1997, №9 (45).
158. შიხაშვილი გ. არა კონკურენციის მოსპობა, არამედ ურთიერთ-წახალისება: პატიოსანი ბიზნესის უმთავრესი პრინციპი. გაზ. „ფინანსები“, 1997, №49 (12).
159. შიხაშვილი გ., დეკანოზი ალექსანდრე (ჩახვაშვილი). სრულიად საქართველოს ერის და ბერის თანადგომის კავშირი „საქართველოს ქრისტეანული კულტურის“ წესდება. გაზ. „საქართველოს ქრისტეანული კულტურა“. თბ., 1998, №1.
160. შიხაშვილი გ. სახვითი ხელოვნების საბავშვო საგვირაო სკოლა. გაზ. „საქართველოს ქრისტეანული კულტურა“. თბ., 1998, №1.
161. შიხაშვილი გ. კავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების სამეცნიერო-სასწავლო და ზნეობრივ-რელიგიური ასპექტები. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ სოხუმის ფილიალი, 1998.
162. შიხაშვილი გ. თანამდებოვე ეკონომიკა და სამონასტრო მეურნეობრიობა. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თსუ, 1998.
163. შიხაშვილი გ. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება, ვერცხლისმოყვარეობის ცოდვა და კორუფციის პრობლემა. ჟურნ. „მაკრომიკრო ეკონომიკა“, №1, 1999.
164. შიხაშვილი გ. პორნოეროტიკული ბიზნესი, ანუ გზა ზნეობრივი დაცემისა. ჟურნ. „მაკრო-მიკროეკონომიკა“, №2, 1999.
165. შიხაშვილი გ. სახარებისეული სწავლების სამეცნიერო-ეთიკური

საფუძვლები. თსუ ნაშრომთა კრებული, თბ., 1999.

166. შიხაშვილი გ. ჯანდაცვის რეფორმა რელიგიურ-ზნეობრივი თვალთახედვით. მასალები სამეცნიერო კონფერენციისა „ქრისტიანობა და მედიცინა“. საქართ. საპატრიარქო, თბილ. სახელმწ. სამედიც. უნ-ტი. თბ., 1999.
167. შიხაშვილი გ., დეკანოზი ალექსანდრე (ჩახვაშვილი). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ტრადიციული, საჭირო ნივთების წარმოების ორგანიზაცია. გაზ. „საქართველოს ქრისტეანული კულტურა“. თბ., 2000, №3.
168. შიხაშვილი გ., დეკანოზი ალექსანდრე (ჩახვაშვილი). სრულიად საქართველოს ერის და ბერის თანადღომის კავშირი „საქართველოს ქრისტეანული კულტურის“ მართვის სქემა. გაზ. „საქართველოს ქრისტეანული კულტურა“. თბ., 2000, №3.
169. შიხაშვილი გ. საეკლესიო სამართალი და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა. სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის მასალები. თსუ, 2000.
170. შიხაშვილი გ. ქრისტიანული ეკონომიკა – პარმონიული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. კონფერენციის მასალები. თსუ, 2000.
171. შიხაშვილი გ. ბიბლია და თანამედროვე საგადასახადო-საფინანსო საქმიანობა. ფინანსების ს/კ ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბ., 2001
172. შიხაშვილი გ. ბიბლიური მოძღვრება მეურნეობის შესახებ და თანამედროვეობა. უურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2001, №4.
173. შიხაშვილი გ. ოეოლოგიური ეკონომიკა. პროგრამა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურისათვის. თსუ-ს გამომცემობა. თბ., 2003.
174. შიხაშვილი გ. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ბიბლიური გააზრება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ეკონომიკის სერია. გ. 11, 2003, №3.
175. შიხაშვილი გ. ახალი აღთქმის სამეურნეო მოძღვრება და თანამედროვეობა. უურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2003, №6.
176. შიხაშვილი გ. მართლმადიდებლური მოძღვრება სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების შესახებ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის მიხედვით). უურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2004, №5.

177. შიხაშვილი გ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის რელიგიური გააზრება. უურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2004, № 10.
178. შიხაშვილი გ. ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის მართლმადიდებლური გააზრება. უურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, № 7, 2005.
179. შიხაშვილი გ., შიხაშვილი მ. ისრაელის მიწათსარგებლობის ბიბლიურ-საკანონმდებლო საფუძვლები. უურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №13-14, 2005.
180. შიხაშვილი გ., მღვდელი ბასილი (გიზო ახვლედიანი). მიწათსარგებლობის ბიბლიური საფუძვლები და თანამედროვე საქართველო. უურნ. „ეკონომიკა“. 2006, №8.
181. შიხაშვილი გ. მამა ღვთისო – მკურნალი მოძღვარი. საიუბილეო უურნალი „დეკანოზი ღვთისო (შალიკაშვილი) 70 წლისაა.“ რედაქტორი გ. შიხაშვილი. თბ., 2007.
182. შიხაშვილი გ. საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის და მართვის საფუძვლები. უურნ. „დედაეკლესია“. 2007, №8.
183. შიხაშვილი გ. სარწმუნოება და ეკონომიკა: მოქმედებას იწყებს სპეც-კურსები. „საეკლესიო-სამონასტრო და საერო ეკონომიკა“. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2007, №26.
184. შიხაშვილი გ. ეკონომიკისა და მართვის ბიბლიური გააზრება. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო უურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
185. შიხაშვილი გ. მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული კონცეფციის ბიბლიური საფუძვლები. უურნ. „ახალი ეკონომისტი“. 2007, №5 და №6.
186. შიხაშვილი გ. შიხაშვილი მ. წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) ეკონომიკური მოძღვრება – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი. საერთაშორისო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“.

თეზისების კრებული. საიუბილეო ღონისძიებათა სამთავრობო კომისაა. თბ., 2007.

187. შიხაშვილი გ. მღვდელი ბასილ ახვლედიანი. თანამედროვე მენეჯმენტის კორიფეუ – პ. ფ. დრაკერი (1909–2005). უკრნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2007, №6.
188. შიხაშვილი გ. მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია), შიხაშვილი მ. თეოლოგიური ეკონომიკის საფუძვლები: პარადიგმები და კონცეფციები წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) შემოქმედებიდან. უკრნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №2.
189. შიხაშვილი გ. მაღლივ კორპუსში წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო ამოქმედდა. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2008, №3, მარტი.
190. შიხაშვილი გ. უნივერსიტეტისა და ეკლესიის სამეცნიერო-პრაქტიკული თანამშრომლობა ტრადიციად მცვიდრდება. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2008, №6.
191. შიხაშვილი გ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერებისა და აღზრდა-განათლების შესახებ. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო უურნალი „ლოგოსი“. №5/2008.
192. შიხაშვილი გ. ბოლნისის ეპარქია აღრმავებს ურთიერთობებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან. გაზ. „საპატრიარქის უწყებანი“. 2008, №43.
193. შიხაშვილი გ. მდგრადი განვითარების კონცეფცია: ახალი პარადიგმები ბიზნესისა და მენეჯმენტისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივების“ მასალები. თბ., თსუ, „უნივერსალი“, 2008.
194. შიხაშვილი გ., შიხაშვილი მ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეკონომიკისა და ბიზნესის შესახებ. წიგნში: XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თსუ. „უნივერსალი“, 2008.
195. შიხაშვილი გ. განათლების ორგანიზაცია საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის სფეროში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამოქმედობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.

თბ., თსუ გამოქმედლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.

196. შიხაშვილი გ. საეკლესიო მეურნეობის მენეჯმენტი. სილაბუსი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურისათვის. თსუ, თბ., 2009.
197. შიხაშვილი მ. საქართველოს და ისრაელის საგარეო-ეკონომიკური კავშირები და მათი განვითარების პერსპექტივები. სამაგისტრო ნაშრომი. ხელმძღვანელი პროფესიონი თ. ლაჭევიანი. თბ., 2007.
198. ჩავლეიშვილი მ. ფერმერული კოოპერატივები, როგორც აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ფორმა. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპერტივები“, თბ., 1996.
199. ჩიკვაიძე დ. საეკლესიო სამართალი. თბ., 2008.
200. ჩიკვაიძე დ. საეკლესიო სამართლის სამეურნეო-მმართველობითი ასპექტები. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამოქმედლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
201. ცოდო-მადლის წიგნი. თბ., 1993.
202. ცხოვრება და სასწაულები წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედისა. თარგმნა და შეადგინა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა. თბ., 2004.
203. ცხონდება თუ არა მდიდარი? (წმ. მაქიას სწავლების მიხედვით). რუსულიდან თარგმნა ი. ლომოურმა. თბ., 2002.
204. წმ. ანტონი დიდი. შეგონებანი ადამიანთა ზნეობისა და სასიკეთო მოღვწეობის შესახებ. წიგნში: წმინდა მღვიძარეთა სათნობათმოყვარეობა. გამოცემის რეცენზენტ-კონსულტანტი დეკანოზი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მაქსიმე ჭანტურია. ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიობი დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბ., „ახალი ივირონი“, 2006.
205. წმ. ბასილი დიდი. პომილიები ექვსი დღისათვის. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2000. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1999.

206. წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი. ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბ., თსას, 1993.
207. წმიდანთა ცხოვრება. ტ. I-IV. თბ., 1998.
208. წმიდა მამათა სწავლანი. მოსკოვის წმ. გიორგის ქართული ეკლესია. 2002.
209. წმინდა მღვიმარეთა სათნოებათმოყვარეობა. გამოცემის რეცენზენტ-კონსულტანტი დეკანოზი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მაქსიმე ჭანტურია. ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბ., „ახალი ივირობი“, 2006.
210. წმ. ოთანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბ., თსას, 2000.
211. წმ. ოთანე ოქროპირი. თარგმანებანი მათეს სახარებისაი. თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა. წიგნი III, თბ., 1998.
212. წმ. მღვდელმთავარი ლუკა (ვოინო-ასენეცი). მეცნიერება და რელიგია. სული, სამშვინველი და სხეული. გამოცემის ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ილია ნასიმე. მთარგმნელ-რედაქტორი აკაკი მინდიაშვილი. თბ., 2003.
213. ჭავჭავაძე ი. ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 192-194.
214. ჭავჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955.
215. ჭავჭავაძე ი. ერთ და ისტორია. თხზ., ტ. 4, თბ., 1955.
216. ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა 1895 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955.
217. ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა 1892 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955.
218. ჭავჭავაძე ი. ცხოვრება და კანონი. თხზ., ტ. 6, თბ., 1956.
219. ჭავჭავაძე ი. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956.
220. ჭავჭავაძე ი. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. თხზ., ტ. 7, თბ., 1956.
221. ჭავჭავაძე ი. კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ. თხზ., ტ. 7, თბ., 1956.
222. ჭავჭავაძე ი. ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა. თხზ., ტ. 7, თბ., 1956.
223. ჭელიძე ე. ქრისტიანობა და საზოგადოება. საქართველოს საპატიოარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
224. ჭილაძე ი. ეკონომიკის კონცეპტუალური საფუძვლები და ქრისტიანობა წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
225. ხარაიშვილი ე. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმი და მისი სრულყოფის მიმართულებანი. თსუ გამომცემლობა. თბ., 2004.
226. ხარაიშვილი ე. ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში და მისი სრულყოფის მიმართულებები. თსუ გამომცემლობა. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის ავტორეფერატი. თბ., 1999
227. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ. აგრარული სექტორის განვითარების ტენდენციები სამცხე-ჯავახეთში, ჟურნალი „აგროინფა“ (აშშ საერთაშორისო სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერა), 2008, №2(16).
228. ხარაიშვილი ე. საეკლესიო წარმოების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
229. ხორავა ა., ჩეჩელაშვილი ა. სასულიერო პირები ბუდალტრული აღრიცხვის სათავეებთან. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.

230. ხუბუა მ. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე ფილოსოფია და მართლმადიდებლობა. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
231. ხუციშვილი ნ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში. თბ., „არტანუჯი“, 2006.
232. ჯალაბაძე ლ. ეკოლოგიური აგროწარმოების საფუძვლები. თბ., „მწიგნობარი“, 2007.
233. ჯავახიშვილი. ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წ. I. თხზ. ტ. 4, თბ., 1996.
234. ჯავახიშვილი. ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წ. II. თხზ. ტ. 5, თბ., 1986.
235. ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი). ზოგადი ცნობები. თხზ. ტ. 6, თბ., 1982.
236. ჯანჯღავა ჯ. რელიგია, უნივერსიტეტი, მეცნიერება. წიგნში: ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., თსუ გამომცემლობა, 2008. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/samartali/KrebuliBolo.pdf>.
237. Archimandrite Deniol (Wales). The Church as Agent of Change in a Post-Industrial Community – the Wales Orthodox Mission, a Case Study. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
238. Hay D. A. Economics today. A Christian critique. Grand Rapids, Michigan, 1991.
239. Rae S., Wong. K. Beyond Integrity. A Judeo-Christian Approach to Business Ethics. Michigan, 1996.
240. Rev. Dr. Dan Sandu. Eastern Orthodox Theology and Practices Related to Ecological Issues. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. IV, 2007.
241. Stackhouse M. , McCann D., S. Roels, P. Williams. On Moral Business. Classical and Contemporary Resources for Ethics in Economic Life. Michigan, 1995.
242. The Bible. London, 1971.
243. [www.avtonom.org/lib/theory/israelkibbutz.html](http://www.avtonom.org/lib/theory/israelkibbutz.html). p.2.
244. Архиепископ Макарий. Введение в православное богословие. Минск, Москва, 2000.
245. Афанасьев Э. О некоторых православных принципах формирования рыночной экономики. Журн. «Вопросы экономики», №8, 1993.
246. Библия и наука. Ред. П. Харчлаа. Ашфорд. США.
247. Библия опережает науку на тысячи лет. Ред. В. Губанов. М., 1996.
248. Булгаков С. Н. Философия хозяйства. В книге: Булгаков С. Н. Сочинения в двух томах. Т. 1, М., «Наука», 1993.
249. Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. В кн.: Вебер М. Избр. произведения. Пер. с немецкого. Общая редакция Давыдова Ю. Н. М., «Прогресс», 1990.
250. Глаголев А. Христианская экономия в свете насущных задач экономической реформы в России. Журн. «Вопросы экономики», №8, 1993.
251. Зейпель И. Хозяйственно-этические взгляды Отцов Церкви. Пер. с немецкого с предисловием С. Н. Булгакова. М., 1913.
252. Игумен Филарет. Конспект по нравственному богословию. Уфа, 1991.
253. Кандалинцев В. Политическая экономия Библии. М., «Инком Полиграф», 1999.
254. Климент Александрийский. Кто из богатых спасется. Ясенево, 2000.
255. Лопухин. А. П. Библейская история Ветхого Завета. Т.1, СПб, 1889, М., 1998.
256. Митрополит Макарий (Оксиюк). Эсхатология св. Григория Нисского. М., 1999.
257. Митрохин Н. Русская православная церковь как

субъект экономической деятельности. Журн. «Вопросы экономики», №8, 2000.

258. Мы верим. Говорят современные учёные о вере в Бога. 1988.
259. Нейхауз Р. Бизнес и евангелие. Пер. с англ. Кротова Я. М., 1994.
260. Основы социальной концепции Русской православной Церкви. М., 2001.
261. Полный энциклопедический с/х словарь. 1907, т. X.
262. Преп. Иустин (Попович). Прогресс в мельнице смерти. Перевод, послесловие и комментарии д. ф. н., проф. И. А. Чароты. Минск, 2001.
263. Программа действий. Повестка дня на XXI век. Сост. М. Китинг. Женева, 1993.
264. Протопресвитер Александр Шмеман. Введение в богословие. Париж, 1993.
265. Протоиерей Евгений Попов. Нравственное богословие для мирян в порядке десяти заповедей божиих. М., 2001.
266. Рих А. Хозяйственная этика. Пер. с нем. Е.Довгань. Франкфурт на майне. Москва, Посев, 1996.
267. Фальцман В. Российское предпринимательство с позиций христианской морали. Журн. «Вопросы экономики», №8, 2000.
268. Флеров И. О православных церковных братствах. С-пб, 1857.
269. Цыпин В. Курс церковного права. Клин, 2002.
270. Шведов О. Энциклопедия церковного хозяйства. М., 2003.
271. Шихашвили Г. О паломнических турах, организуемых Союзом «Христианская культура Грузии». Газ. «Авиаизвестия». Тбилиси, Москва. #6(11), 1998.
272. Шихашвили Г. Теологическое осмысление эколого-экономической деятельности \_ основа устойчивого развития. Известия АН Грузии, серия экономическая, т. 9, 2001, №1-2.
273. Шихашвили Г. О Библейском осмыслении национальной концепции управления хозяйством. В книге: Экономическая

теория в XXI веке – 2 (9): Национальное и глобальное в экономике. Под ред. Ю. М. Осипова. Москва, 2004.

274. Шихашвили Г. Библейское осмысление хозяйственно-управленческой деятельности. Журнал «Кавказоведение», Москва, 2004, №5.
275. Шихашвили Г. Теологическое осмысление эколого-экономической деятельности – основа устойчивого развития. В книге от Сциллы к Харибе: Актуальный опыт России. Москва \_ Волгоград. 2002.
276. Шихашвили Г. О Библейском осмыслении национальной концепции управления хозяйством. В книге: Экономическая теория в XXI веке – 2 (9): Национальное и глобальное в экономике. Под ред. Ю. М. Осипова. Москва, 2004.
277. Шихашвили Г., Священник Василий Ахвледиани. Церковь и проблемы устойчивого эколого-экономического развития общества. В книге: Экономическая эффективность развития России /Под ред. проф. К. В. Папенова. \_ М.: Экономический ф-т МГУ, ТЕИС, 2007.
278. Чубинашвили Г. Шиомгвимская лавра. Тб., 1924.
279. Чубинашвили Г. Вопросы истории искусства. Исследования и заметки, том 1, Тб., 1970.
280. Экземплярский В. Евангелие и общественная жизнь. Киев, 1913.

## აპტორთა შესახებ

### ელვადელი ბასილ ახვლედიანი

საქონლი და გვარი – გიზო ახვლედიანი

დაბადების თარიღი – 1975 წლის 14 იანვარი

დაბადების ადგილი – ქალაქი სოხუმი. ეროვნული ქართველი.

განათლება – უმაღლესი

- სრულიად რუსეთის საგარეო ვაჭრობის აკადემია (ქ. მოსკოვი) 1992-1996;
- საერთაშორისო ბიზნესის ინსტიტუტი (პეტროპავლოვსკი) 1992-1996;
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურა – 2004-2008;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მაჩიებელი – 2008-2009;
- თბილისის სასულიერო აკადემია (ამჟამად);

აკადემიური ხარისხი:

- ეკონომიკის დოქტორი – დისერტაციის დაცვა 14.05.2009 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თემაზე: „საეკლესიო სასოფლო-საურნეო წარმოების განვითარება საქართველოში“. ხელმძღვანელები: პროფ. გ. შიხაშვილი, პროფ. ე. ხარაიშვილი.

სამეცნიერო საქმიანობა:

- 12 სტატიის ავტორი, მათ შორის 6 რეფერირებადი ნაშრომი;
- მონაცილეობა – 3 კონფერენციაში.

სამუშაო გამოცდილება:

რუსეთი:

- კომპანია „ვოსტოჩნოე სოზვეზდიეს“ მარკეტოლოგი 1992-1996;

საქართველო:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის რეფერენტი 1997-1999;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილე 1999-2000;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის აპარატის უფროსი 2000-2001;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირადი კანცელარიის უფროსი 2001-2002;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის უფროსი (სამინისტროს საქმეთა მმართველი) 2002-2003;
- სარეკლამო და პოლიგრაფიული კომპანია „ულტრა დიზაინის“ დამფუძნებელი – დირექტორი 2007;

ამჟამად:

- საქართველო საპატირიარქო, ბოლნისის ეპარქია - აკაურთის „სიონის“ ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი; ბოლნისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური.

საზოგადოებრივი საქმიანობა:

- კავშირი „საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა კლუბის“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე – 1997-2003 წ.წ.

ენები:

- ქართული – მშობლიური;
- რუსული – კარგად.

ოჯახური მდგომარეობა: – მეუღლე და ორი შვილი.





## გიორგი შიხაშვილი

დაბადების თარიღი: 1950 წლის 8 თებერვალი.

დაბადების ადგილი: ქ. თბ., საქართველო, ეროვნებით ქართველი.  
ოჯახური მდგომარეობა: ცოლიანი, ერთი ვაჟიშვილი და ორი  
შვილიშვილი.

ქვაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი.

### პერსონალური პროფესია

- ეკონომიკის დოქტორი;
- ეკონომისტ-თეოლოგი;
- ეკონომისტ-ეკოლოგი;
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის პროფესორი;
- თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარის საღვთი-სმეტყველო ინსტიტუტის სპეციურსების „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ ხელმძღვანელი;
- საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
- მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-ეკონომიკური სამეცნიერო საკრებულოს ნამდვილი წევრი;

### განათლება და სამეცნიერო-აკადემიური ხარისხი

- ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 2006 წლიდან;
- სტუდენტი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, კვალიფიკაცია – ეკონომისტი, სპეციალობა – „ფინანსები და კრედიტი“ (1976-1981 წწ.).

სამსახური, სამეცნიერო-პედაგოგიური, საზოგადოებრივი და პროფესიულ-ბიზნეს-გამოცდილება

- პროფესორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა (1990 წლიდან დღემდე);
- ლექტორი; თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია (1998 წლიდან დღემდე);
- ხელმძღვანელი; ეკონომიკის სექტორი, ქრისტიანული კვლევების საერთაშორისო ცენტრი (2002 წლიდან დღემდე)
- თავმჯდომარე; საოჯახო საქველმოქმედო კავშირი „გეოგერია“ (2001 წლიდან დღემდე);

სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა და ინტერესის სფეროები:

თეოლოგიური ეკონომიკა; თეოლოგიური ეკოლოგია; ბიზნესისა და მენეჯმენტის ბიბლიური საფუძვლები; საკლესიო-სამონასტრო მეურნეობის ეკონომიკა და მართვა; პროექტების მენეჯმენტი; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ბიზნესისა და მენეჯმენტის ეთიკა; ეკოლოგიური მენეჯმენტი.

### პუბლიკაციები და მონაწილეობა კონფერენციებში

120-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი; მონაწილეობა 50-ზე მეტ კონფერენციაში.

### ენბის ცოდნა


ქართული – მშობლიური, რუსული – თავისუფლად, ინგლისური – საშუალოდ.



354



355





## ნიკოლოზ ბაგაშვილი

დაიბადა 1965 წლის 30 აგვისტოს. ეროვნულით ქართველი.

ქვაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი.

- 1988 წელს – წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი;
- 1991 წელს – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1993 – წელს დოცენტის სამეცნიერო წოდება;
- 1996 წელს – დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ხოლო 2000 წელს – პროფესორის სამეცნიერო წოდება;
- 1991 წლიდან – მუშაობს ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე მასწავლებლის, 1992 წლიდან - დოცენტის, ხოლო 1997 წლიდან - პროფესორის თანამდებობაზე;
- საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 10 ნოემბრის №636 ბრძანებულებით აქტიური სამეცნიერო საქმიანობისა და მიღებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგებისათვის დაქნიშნა პირველი ხარისხის საპრეზიდენტო სტიპენდია;
- 1992-1995 წლებში – კომერციული ბანკის „კვარის“ დამფუძნებელი და მმართველი;
- 1991-1999 წლებში – დააფუძნა და ხელმძღვანელობდა თბილისის მართვის ინსტიტუტს;

- 2001-2003 წლებში – რუსთავის სააქციო საზოგადოება „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველი;
- 2001 წლიდან 2004 წლამდე – სააქციო საზოგადოება „აისბერგის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
- 2004-2006 წლებში – შპს „ფორტროუზ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი;
- 2007-2008 წლებში – შპს „ხაშმის“ გაკოტრების მმართველი;
- 2006 წლიდან დღემდე – შპს „ავჭალის“ გაკოტრების მმართველი;
- 2007 წლიდან დღემდე – კავშირი (ასოციაცია) საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გაკოტრების მმართველი;
- 2007 წლიდან დღემდე – შპს „ელექტროპლასტის“ დირექტორი;
- 2008 წელს – „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მეურვე;
- 2009 წლიდან – შპს „თბილისი & R“-ის მეურვე;
- 1995 წლიდან – ერთ-ერთი პირველი ეწევა საქართველოში აუდიტორულ საქმიანობას, მის მიერ არის დაფუძნებული და დღესაც ხელმძღვანელობს შპს აუდიტურ ფირმა „ბაკაშვილი & Co“-ს;
- გამოქვეყნებული აქვს 29 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია;
- ჰყავს მეუღლე, დარევან მესხიშვილი (თსუ პროფესორი) და ორი ქალიშვილი.







## ღმერთმა დალოცოს თანამდგომი ადამიანები!

ნაშრომის მომზადებასა და გამოცემაში ღოცვით,  
რჩევითა  
და თანადგომით დაგვეხმარნენ კეთილი ადამიანები  
და ცალკეული ორგანიზაციები:

### სასულიერო პირი:

მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე),  
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), დასა-  
ვლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ფოთისა და  
ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ახალციხისა და  
ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), ბორჯომისა  
და ბაქურიანის მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა), სამთავისი-  
სა და გორის მთავარეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა), ჭყონდიდელი  
მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა), ცაგერისა და ლენტეხის ეპის-  
კოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), მესტიისა და ზემო სვანეთის  
ეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი), გურჯაანისა და ველისციხის  
ეპისკოპოსი ექტომე (ლეუავა), სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკო-  
პოსი იეგუდიელი (ტაბატაძე), ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (გამ-  
რეკელიძე), ცურტავის ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი).

არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე), არქიმანდრიტი ილია (ნასიძე),  
არქიმანდრიტი იაკობი (იაკობიშვილი), არქიმანდრიტი სერაფიმე  
(ჭედია), არქიმანდრიტი დოსთეოზი (ბოგვერაძე), პროტოპრესვი-  
ტერი გიორგი ზვადაძე, დეკანოზო მიქაელ ბოტკოველი, დეკანო-  
ზი ტარიელ სიკინჭალაშვილი, დეკანოზი ბიძინა გუნია, დეკანოზი  
ღვთისო შალიკაშვილი, დეკანოზი აკაკი მეგრელიშვილი, დეკანოზი  
ალექსანდრე ჩახვაშვილი, დეკანოზი დავით შარაშენიძე, დეკანოზი  
მიქაელ გალდავა, დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, დეკანოზი გიორ-  
გი თევდორაშვილი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დეკანოზი გიორ-  
გი პაპიაშვილი, მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია), მღვდელ-  
მონაზონი კოზმა, მღვდელი გიორგი სამსონიძე, მღვდელი ზურაბ  
ცხოვრებაძე, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი.

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის,  
ნარიყალას წმ. ნიკოლოზის, წმ. მიქაელ ტვერელის, ანჩისხატის,

ბოლნისის წმ. გიორგის, აკაურთის სიონის ტაძრების მამები, მსახურნი და მრევლი.

#### საქონი:

ამჟამაშვილი გიორგი, ანთიძე ამირანი, არონიშიძე გოჩა, აფანასიევი ედუარდი, ახვლედანი გალაქტიონი, ახვლედანი თენგიზი, ბაქაშვილი დალი, ბაქაშვილი ნანა, ბარათაშვილი ევგენი, ბერიშვილი ჯემალი, ბოხუა მარიამი, ბოხუა ნინო, ბუაჩიძე კარლო, ბუბულაშვილი ელდარი, გაბისონია თამაზი, გაბრიჭიძე შორენა, გაგნიძე ინეზა, გაგუა მარიამი, გაფრინდაშვილი-რეზვაშვილისა ელისაბედი, გველესიანი რევაზი, გოგონია რევაზი, გოგუა იოანე, გუგუშვილი გოჩა, გულუა ეკატერინე, ეკალაძე ზურაბი, ვარდოსანიძე სერგო, ვახტანგიშვილი ივანე, ვეშაპიძე შოთა, ზარნაძე ნინო, ზარნაძე ბონდო, თოდუა გიორგი, თეთრუაშვილი შორენა, თოლორდავა ზაური, იაკობაშვილი ალექსანდრე, იაშვილი ნინო, კანდალინცევი ვიტალი, კაჭარავა პაატა, კახნიაშვილი ზურაბი, კეჟერაშვილი-ურუმაშვილისა ნუნუ, კირვალიძე ზურაბი, კობახიძე თემური, კოპლატაძე გვანცა, კოშაბე ლევანი, კუპრაძე ემზარი, ლორთქიფანიძე რევაზი, მაისურაძე ზვიადი, მამულაშვილი ზაზა, მახათაძე კახა, მესხიშვილი დალი, მესხიშვილი დარეჯანი, მექაბიშვილი ელგუჯა, ნაკნი ალექსი, ნარმანია დავითი, ნაჭყებია ზაური, ნიკოლეიშვილი ოლეგი, ოსიპოვი იური, პაპავა ვლადიმერი, პაპაშვილი მურმანი, რეზვაშვილი დარია, რეზვაშვილი ნაზი, რეზაძე გრიგოლი, რუსიძე კახაბერი, რუსინი იგორი, სალარაძე გურამი, სტურუა უშანგი, ტოგონიძე ლუარსაბი, ტუხაშვილი მირიანი, ურუმაშვილი ვლადიმერი, ქარჩავა ლოიდი, ქურდიანი მიხეილი, ღაღანიძე გიორგი, ლურწკაია კარლო, ყანჩაველი ზაზა, ყოჩიაშვილი სანდრო, შავიძე პავლე, შევჩუკი ანატოლი, შენგელია რევაზი, შიხაშვილი მამუკა, შიხაშვილი გიორგი, შიხაშვილი დავითი, ჩავლეიშვილი მარინა, ჩიგვაძე დავითი, ჩიქვა ლეო, ჭელიძე ედიშერი, ხარაბაძე ელენე, ხარაზოვა ლელა, ხარაიშვილი ეთერი, ხოხონიშვილი-ბაკაშვილისა ნანა, ჯანჯლავა ჯამლეტი, ჯოჯუა ჯემალი.

#### ორგანზაციები:

თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი, შპს აუდიტური ფირმა „ბაკაშვილი & Co“, ს/ს „ელექტრონიკა – 94“, „საზოგადოება ახვლედიანი“.

უფალს შევთხოვთ შეიწიროს მათი გულისხმიერება  
და ახაროს ორსავ სოფელსა შინა. ამინ!

განსრულდა საღიღებლად უფლისა,  
მაღლობა ღმერთს ღიღი ცყალობისათვის!

მდგრადი ბასილ ახმედიანი,  
გიორგი შინაგავილი, ნიკოლოზ ბაგაშვილი

**მართლგადიდებული თეოლოგიური ეპისკოპისა  
და მართვის საფუძვლები**

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2009

რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი  
ტექ. რედაქტორი ინგა ნავროზაშვილი  
კორექტორი მარინე კილაძე  
დიზაინერი დავით კუტუბიძე

გარეკანის პირველ გვერდზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის  
„პურთათვის სიუხვის მიმნიჭებელი (ბარაქის)“ ხატი.  
ავტორი ზვიად მაისურაძე.

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
ალ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: info@meridianpub.com ☎ 39-15-22